# კვირის პალიტრა

№ 38 (449) ◆ 22 – 28 სექტემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## რატომ იყო ვატიკანთან ხელშეკრულება საქართველოსთვის მიუღებელი

გვ.3,4

სკანდალური ხელშეკრულების „ლამაზად შეფუთული“ მუხლებისა და სადავო საკითხების განხილვა...





## „რაკი პრეზიდენტის დისშვილი ვარ, საქმე არ უნდა გავაკეთო?“

გვ.6

**რა საქმის გასარჩევად იბარებდნენ პრეზიდენტის ნათესავს კიკვიძის ბაღში...**

„ბიძამისთან გაარკვიოს, დამნაშავეა თუ არა... ჩვენს დასკვნაზე არსებობს პრეზიდენტის რეზოლუცია შემდეგი შინაარსით: „ამ მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საგზაო პოლიციაში დაკანონებულია კორუფცია და მასიური გამომძალველობა. დაუყოვნებლივ შეუდექით ამ პრობლემის შესწავლა-რეაგირებას“.

ეყოფათ კი ამ საქმის რეალურად შესასწავლად გამბედაობა?!



## შევარდნაძეს ხალხის სიყვარულში მოზიარე არ სჭირდება...

გვ.7

„ფეხზე დაგიდგები, ჩემო საქართველო...“ იმ დღეს მამალაძეს ფეხზე წამოუდგა, ტაშიც დაუკრა და ქედიც მოუხარა ყველამ, მხოლოდ ერთის, მასზე უფრო „დიდი გურულის“ გარდა...

პომპეზურობა და რევერანსები „მსოფლიოში ყველაზე დიდ გურულს“ მაშინ უყვარს, როდესაც მას უძღვნიან და არა — მის ქვეშევრდომებს.

**რაში ეხმარება ლევან მამალაძეს აკვალანგისტობა?**

## რუბრიკის წარდგინება:

ТЕЛЕКОМПАНИЯ ВИD ПРЕДСТАВЛЯЕТ

ЖДИ МЕНЯ

„იქნებ თქვენ გეძებენ!“

კვირის პალიტრა

თქვენ შეძლებთ მოიძიოთ დაკარგული ნათესავები, მეგობრები, აღადგინოთ შეწყვეტილი კონტაქტები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. გვ.23



## მთავარ კითხვაზე პასუხი არ ვიცით...

გვ.20

უსაშველოდ აზარტული ვარ. ამიტომ კატეგორიულად არაფერს ვთამაშობ. დავიღუპები, რომ ვთამაშობდე! ჩემი იმ ქუჩაზე გავლაც კი არ შეიძლება, სადაც ტოტალიზატორია. შიგ შესვლაზე ლაპარაკი ზედმეტია. ნარდი, კარტი... რას ამბობთ, ჩემთვის არ შეიძლება!



ღამით, ბრძანების თანახმად, იქაურობას ვტოვებთ და აფხაზეთის სვანეთისკენ მივიწევთ. მოხუცი ქალი მეკითხება, — საით მიდიხართ, შვილო. თავჩაღუნული, უსიტყვოდ ვუვლი გვერდს... ძნელია იმის აღიარება, რომ გარბიხარ, შეიძლება პირველი არა, მაგრამ ხომ მაინც გარბიხარ! გვ.9

**1993 წლის 27 სექტემბერი...**

## ათი წლით „დაგვიანებული“ რეპორტაჟი

თვითმხილველის მოგონება...



## „უწმიდესის ნათქვამი უფლის ნებად მენიშნა“

**ღმერთთან სავალი გზები, ანუ ნუ შეშინდები, საქართველო, უფალი შენთანაა!**

მაშინ პირველად გავაცნობიერე, რას ნიშნავდა ქრისტიანობა და მისი უპირველესი ღერძი — მართლმადიდებლობა.

ხელებსა და ფეხებზე ბუნებრივად ჩანდა ნამსჭვალი ადგილები, მათრახების ნაკვალევი და ძმრის ლაქაც კი... ოცდამეცხრე დღეა, სისველე აქვს მარჯვენა თვალზე... გვ.12,27




## უხარისხო ვაქცინა თუ არასწორად გაკეთებული აცრა?!

მედიკამენტების შეძენისას დიდი სიფრთხილე გმართებთ! გვ.5,13

**„არც მოგკლავს, არც მოგარჩენს“**

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## „დიდი სამიტი“

იალტის სამიტზე დსთ-ის წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით სპეციალური დოკუმენტი მიიღეს.

„რუსეთმა, ისევე როგორც დსთ-ის სხვა სახელმწიფოებმა, მხარი დაუჭირა ქართული მხარის მოთხოვნით იმ დოკუმენტის მიღებას, რომელშიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპებზეა საუბარი“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა. ვლადიმირ პუტინმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ დსთ-ის სივრცეში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გარდა, სხვა მრავალი დაპირისპირება და ეთნოკონფლიქტი კვლავ მოუგვარებელი რჩება.

## იგორ გიორგაძე კენჭს იყრის?

უშიშროების ექსმინისტრის, იგორ გიორგაძის მხარდამჭერები სამტრედიაში, №54-ე საარჩევნო ოლქში მივიდნენ და ოლქის თავმჯდომარის, სულიკო ნინუას ქმედება გააპროტესტეს. ისინი აცხადებდნენ, რომ ნინუამ იგორ გიორგაძის საბუთები და დოკუმენტაცია გააქრო. თავად სულიკო ნინუა აცხადებს, რომ დოკუმენტაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ნანა დევდარიანმა გამოითხოვა. გიორგაძის მხარდამჭერთა მტკიცებით, ნინუას უფლება არ ჰქონდა ცესკოში დოკუმენტების დედნები გადაეგზავნა, რადგან შესაძლოა ცესკოში დეპუტატობის კანდიდატის საბუთებში რაიმე ცვლილება შეიტანონ და შემდეგ უარი თქვან რეგისტრაციაზე. როგორც ცნობილია, იგორ გიორგაძე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიაში აპირებს კენჭისყრას.

## ცხინვალმა „დამოუკიდებლობა“ მოკრძალებულად იზეიმა

თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დამოუკიდებლობის მე-13 წლისთავს აღლუმის გარეშე შეხვდა. გასული წლებისგან განსხვავებით, ცხინვალის ხელისუფლებას ქალაქის ქუჩებში რუსული სამხედრო ტექნიკის დემონსტრირება არ მოუხდენია. ცხინვალს არც რუსეთიდან, აფხაზეთიდან და დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკიდან სწვევიან ტრადიციული სტუმრები. სტუმართაგან „ყველაზე ჩინოსანი“ ჩრდილოეთ ოსეთის კულტურის მინისტრი იყო. კინოთეატრ „ჩერმენში“ გამართულ საზეიმო ღონისძიებას სამშვიდობოების რუსი სარდალი სვიატოსლავ ნაბდზოროვიც დაესწრო. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე შერეული სამშვიდობო ძალების რუსული დანაყოფის წარმომადგენლებიც. დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი „ზეიმზე“ განსაკუთრებით მწვავე განცხადებებით გამოირჩეოდა. ედუარდ კოკოითმა ქართულ-ოსურ კონფლიქტს „ფაშისტური საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მიმართ განხორციელებული გენოციდი“ უწოდა.(?!).

## ჟვანია პოლიციის შეთქმულებაზე საუბრობს

„ხელისუფლება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გასაყალბებლად გასამხედროებული სამართალდამცავი და სხვა სპეციალური სტრუქტურების გამოყენებას ცდილობს“, — ამის შესახებ ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ზურაბ ჟვანიამ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, ამგვარ სტრუქტურებში შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა ძალოვანი უწყებები მოიაზრებიან, სადაც დაახლოებით 100 ათასამდე მოქალაქე მსახურობს.

ჟვანიას განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილემ, ზურაბ ხაჟალიამ საგანგებო თათბირი ჩაატარა, რომლის დროსაც ითქვა, რომ შს სამინისტრო არჩევნების პერიოდში სპეციალურ ყაზარმულ რეჟიმზე იქნება გადაყვანილი და ყველა პოლიციელი — დაახლოებით 40 ათასამდე ამომრჩეველი, პოლიციის განყოფილებებში, სპეციალურად გახსნილ საარჩევნო უბნებში მისცემს ხმას.

## აჭარის მაღალმთიანეთში ახალი მოსამართლეები დაინიშნება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის სენატმა დღეს მხარი დაუჭირა ქედის რაიონში მოსამართლეებად ზურაბ სურმანიძის და თემურ კაკაბაძის დანიშვნას, შუახევის რაიონში გოჩა ფუტკარაძის, ხოლო ხულოს რაიონში ზურაბ გაბაიძის კანდიდატურებს. კანდიდატურების შერჩევა მოსამართლეთა კონკურსის საფუძველზე მოხდა. საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, მოსამართლეობის მსურველებმა მონაწილეობა მიიღეს ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში. აჭარის პარლამენტის სენატი მოსამართლეთა კანდიდატების სიას საქართველოს იუსტიციის საბჭოს გადაუგზავნის. იგი თავის მხრივ, შუამდგომლობას აღძრავს საქართველოს პრეზიდენტთან, რომელმაც მოსამართლეების დანიშვნისთვის განკარგულება უნდა გამოსცეს.

## ლევან მამალაძე ბოლნისის მაჟორიტარი კანდიდატია

ქვემო ქართლის უკვე ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტადად კენჭს ბოლნისის რაიონში იყრის. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება უკვე ყოფილმა გუბერნატორმა „მოქალაქეთა კავშირის“ ოფისში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე გააკეთა. ლევან მამალაძემ თავისი არჩევანის ბოლნისის რაიონზე გაკეთება ადგილობრივი მოსახლეობის სურვილით ახსნა და დასძინა, რომ ამ რაიონში იგი ამომრჩეველთა ხმების უდიდეს რაოდენობას მოიპოვებს. ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ჯერჯერობით არ დააკონკრეტა, თუ რომელ ნომრად იქნება წარმოდგენილი „მოქალაქეთა კავშირის“ საარჩევნო სიაში და განმარტა, რომ საარჩევნო ნომრების დასახელებასთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებული ვადები ჯერ არ ამოწურულა და კონსულტაციები ამჟამადაც მიმდინარეობს. რაც შეეხება გუბერნატორის პოსტის დატოვებას, მამალაძის განცხადებით, მისი გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტში არსებულმა საკანონმდებლო რეფორმების დეფიციტმა და პარლამენტისთვის საკანონმდებლო ფუნქციების დაბრუნების სურვილმა განაპირობა (ვრცლად იხ. გვ. 7).

## შევარდნაძეს კვოტები განაწილებული დახვდა?

თბილისის მერის და სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერის, ვანო ზოდელავას განცხადებით, სახელისუფლებო ბლოკის სუბიექტებს შორის საარჩევნო სიებში კვოტების გადანაწილებასთან დაკავშირებით შეთანხმება ფაქტობრივად მიღწეულია და ყველა შანსია იმისა, რომ დსთ-ის სამიტიდან დაბრუნებულ პრეზიდენტს „ახალი საქართველოსათვის“ საარჩევნო სიები საბოლოოდ შეჯერებული და შეთანხმებული დახვდეს. „პირადად მე საარჩევნო სიებში რვა ადგილი მაქვს, დაახლოებით ამდენი ადგილი ერგოთ ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორს ლევან მამალაძესა და ბლოკის ერთ-ერთ ახალ სახეს, ვაჟა ლორთქიფანიძეს“ — განაცხადა სახელისუფლებო ბლოკის მორიგი შეხვედრის წინ ზოდელავამ.

## „იტერა“ კუთვნილ თანხებს ითხოვს

სააქციო საზოგადოება „თბილგაზში“ საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერასგან“ ახალი ტელეფონოგრამა მიიღეს, სადაც „იტერას“ აღმასრულებელი დირექტორი იური პიანიხი ქართულ მხარეს შეახსენებს, რომ „თბილგაზს“ ჯერ კიდევ აგვისტოში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური სრულად არა აქვს გადახდილი. როგორც ირკვევა, არაერთი განცხადების მიუხედავად, მოსკოვში აგვისტოს თვეში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური — 324 ათასი დოლარის ნაცვლად, 287 ათასი დოლარი გადაირიცხა. ამასთან, უკვე სექტემბერში თბილისმა 70 ათასი დოლარის ღირებულების ბუნებრივი აირი მოიხმარა. სავარაუდოდ, „იტერა“ სწორედ ამ თანხას ითხოვს, ბუნებრივი აირის მოწოდების განახლების სანაცვლოდ.

## გატაცებული გამგებელი დააბრუნეს...

ზესტაფონის რაიონის გამგებელი ელჯუგა კვეტენაძე ამჟამად ქუთაისში იმყოფება. როგორც თავად ამბობს, მისი გატაცება ყოველგვარი წინასწარი მუქარისა და გამაფრთხილებელი ზარების გარეშე მოხდა და მისთვის არავის უცნობებია მიზეზი, თუ რატომ გაიტაცეს. კვეტენაძის აზრით, მას კრიმინალები გაუსწორდნენ და ამ საქციელით მისი დაშინება გადაწყვიტეს. როგორც მან განაცხადა, ორი პიროვნებიდან ერთი, რომელიც პოლიციამ დააკავა, ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საქარაში მცხოვრები, 1967 წელს დაბადებული ანტონ ხარატიშვილია. ხარატიშვილი ადრე ყაჩაღობისათვის იხდიდა სასჯელს. 1995 წელს იგი შეწყალებით გათავისუფლდა.

## კოლონიიდან გაქცეული პატიმარი ნებაყოფლობით გამოცხადდა

რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაქცეული პატიმარი კახაბერ ქათამაძე სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ნებაყოფლობით გამოცხადდა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის განცხადებით, ქათამაძის მიმართ გაქცევისათვის ახალი სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება. კახაბერ ქათამაძე სასჯელს ქურდობისათვის იხდიდა. მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციამ ამავე საპყრობილედან გაქცეული 2 პატიმარი — მამია გიგაშვილი და ბესიკ ბეჭვაია მარნეულში დააკავა. გიგაშვილი 16-წლიან სასჯელს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისათვის, ყალბი ფულის დამზადებისა და ქურდობისათვის იხდიდა. ბესიკ ბეჭვაიას კი ყაჩაღობისთვის, ფალსიფიკაციისა და ნარკოდანაშაულისთვის 9 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ დროისთვის გაქცეულ პატიმართაგან 70-ზე მეტია დაკავებული.

## რაოს „სამფლობელოები“ ფართოვდება...

„სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გენერალური დირექტორი ბრაიან ქრონლი საგანგაშოს ვერაფერს ხედავს იმაში, თუ „თელასის“ ახალი ხელმძღვანელობა „ალავერდის“ გადამცემ ხაზს, ლისისა და დიდუბის ქვესადგურებს იჯარით აიღებს. ქრონლის განცხადებით, აღნიშნული საკითხი ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა საწარმოთა მართვის სააგენტომ უნდა გადაწყვიტოს.

„ჩვენ ამ ქვესადგურებზე, აგრეთვე გადამცემ ხაზზე, ტექნიკური სამუშაოების ჩასატარებლად საკმარისი თანხები არ გაგვაჩნია, ამიტომ, თუ რუსული მხარე მათ იჯარით აიღებს და სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაატარებს, ეს ჩვენთვის ხელსაყრელიც შეიძლება იყოს“ — განმარტა ქრონლიმ. მას იმედი აქვს, რომ იჯარისაგან მიღებული მცირეოდენი შემოსავლის წყალობით „სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მათ დაქვემდებარებაში მყოფი სხვა ქვესადგურების გარემონტებას შეძლებს.

## ანტიკორუფციულმა საბჭომ მიზანს მიაღწია...

საქართველოს საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსმა, დავით კობახიძემ თანამდებობის დატოვების თაობაზე პატაკი დაწერა. ანტიკორუფციული საბჭოს მდივანმა კობახიძე რამდენიმე კვირის წინ კორუმპირებულობაში ამხილა და ისიც განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი მას მეგობრობის გამო მფარველობს. დავით კობახიძე ბრალდებებს დღესაც არ იზიარებს, თუმცა იმ მოტივით, რომ მომავალ კვირას ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე კობა ნარჩემაშვილს, საგზაო პოლიციაში შექმნილი სიტუაციის გამო, პასუხს მკაცრად მოსთხოვდნენ, კობახიძემ მეგობარ მინისტრს უხერხულობა თავიდან ააცილა და თანამდებობიდან გადადგა.

## ვინ იტაცებდა ინჯიას მეუღლეს

ფრიდონ ინჯიას მეუღლის ქეთევან რუხაიას გატაცების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი გოჩა მაჭარაშვილი ქალაქის მთავარმა სამმართველომ დააკავა. სამმართველოს უფროსის, ლევან მაისურაძის ინფორმაციით, ადრე ნასამართლევი მაჭარაშვილი ოთხ პიროვნებასთან ერთად ინჯიას ცოლის გატაცებას გამოსასყიდის მიღების მიზნით აპირებდა, თუმცა თანხის რაოდენობა ქალაქის პოლიციის შეფს არ დაუკონკრეტებია. პარლამენტის წევრი და ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ამ ფაქტს არჩევნებს უკავშირებს და აცხადებს, რომ ინციდენტი ხელისუფლების პროვოცირებულია.

## თერჯოლელებმა ყაჩაღები გააქციეს

თერჯოლის რაიონის სოფელ სეფარეთში გვიან ღამით, ნეფარიშვილების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. ოთხი ბოროტმოქმედი ცეცხლსასროლი იარაღით იყო შეიარაღებული. ნეფარიშვილებმა თავდამსხმელებს ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს. ხმაურზე მათ მეზობლებიც შეუერთდნენ და ყაჩაღები იძულებულნი გახდნენ, ხელცარიელი გაქცეულიყვნენ. თერჯოლის პოლიციამ აღნიშნულთან დაკავშირებით ერთ-ერთი ეჭვმიტანილი დააკავა. მიმდინარეობს ღონისძიება დანარჩენი სამი დამნაშავის დადგენა-დაკავების მიზნით.




## აშშ-მა გაეროს რეზოლუციას ვეტო დაადო

აშშ-მა სამშაბათს გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტო დაადო რეზოლუციის პროექტს, რომელიც ისრაელს მოუწოდებს თავი შეიკავოს პალესტინის ავტონომიის ლიდერის იასირ არაფატის დეპორტაციისგან. გაეროში აშშ-ს ელჩის ჯონ ნეგროპონტეს განცხადებით, სირიის მიერ შეთავაზებული დოკუმენტი პალესტინის რადიკალური დაჯგუფებების მხრიდან ძალადობას არ გმობს.

რეზოლუციის პროექტს მხარი უშიშროების საბჭოს 11-მა წევრმა დაუჭირა. დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და ბულგარეთმა კი, მრავალსაათიანი კონსულტაციების შემდეგ თავი შეიკავეს. ვაშინგტონმა რეზოლუციის პროექტი ჯერ კიდევ ორშაბათს გააკრიტიკა. ამის შემდეგ სირიამ დოკუმენტში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. კერძოდ, რეზოლუციაში ინტიფადის ბოლო აქტებთან დაკავშირებით „სერიოზული შეშფოთებაა“ გამოთქმული და დაგმობილია კონფლიქტის ორივე მხარე. თუმცა, როგორც გაეროში აშშ-ის ელჩის მოადგილემ ჯეიმს კანინგემმა განაცხადა, ვაშინგტონს რეზოლუციის გადასინჯული და შესწორებული ვარიანტი არ აკმაყოფილებს, რადგან ის არ გმობს ისეთ ტერორისტულ დაჯგუფებებს, როგორებიცაა „ჰამასი“ და „ისლამური ჯიჰადი“.

## სარატოვში სტრატეგიული ბომბდამშენი ჩამოვარდა

სარატოვის ოლქში რუსული სტრატეგიული ბომბდამშენი „ტუ 160“ ჩამოვარდა. ეკიპაჟის ოთხივე წევრი დაიღუპა. წინასწარი ვერსიით, კატასტროფის მიზეზი ერთ-ერთ ძრავაში გაჩენილი ხანძარი გახდა. სამხედრო საჰაერო ძალების წარმომადგენლის თქმით, ბომბდამშენის ბორტზე იარაღი არ ყოფილა. თვითმფრინავის რემონტის შემდეგ პილოტები საცდელ ფრენას ასრულებდნენ.

ბომბდამშენი „ტუ 160“ შეიარაღებაში 1987 წლიდანაა. მას ბირთვული მუხტით აღჭურვილი 12 ფრთოსანი რაკეტის, ასევე 40 ტონამდე ბომბების წაღება შეუძლია. თვითმფრინავი მაქსიმალური დატვირთვით, 10 ათასზე მეტ კილომეტრს სულ 5-6 საათში ფარავს.

## ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა თავმჯდომარის გარეშე დარჩა

აშშ-ის ფინანსურ წრეებში აგორებულმა სკანდალმა საფონდო ბირჟის ხელმძღვანელი რიჩარდ გრასო აიძულა თანამდებობა დაეტოვებინა. სკანდალი მას შემდეგ ატყდა, რაც გაირკვა, რომ ქვეყნის ფინანსური ბაზრის ხელმძღვანელმა პრემიის სახით შთამბეჭდავი თანხა — 140 მლნ. აშშ დოლარი მიიღო. ბირჟის თანამშრომლებმა გრასოს გადადგომა მოითხოვეს. რიჩარდ გრასომ ბირჟაზე 21 წლის ასაკში ბროკერად დაიწყო მუშაობა, ბოლო 8 წლის განმავლობაში ის მსოფლიოში უდიდეს ფინანსურ ბაზარს მართავდა. მისი კონტრაქტის ვადა მხოლოდ 2007 წელს იწურებოდა, თუმცა მას ვადამდე მოუხდა პოსტის დატოვება.

## შვედეთის პოლიციამ მკვლელი დააპატიმრა?

შვედეთის პოლიციამ სამშაბათს საღამოს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ანა ლინდის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააპატიმრა. როგორც იუწყებიან, ეჭვმიტანილი სტოკჰოლმის შემოგარენში რასუნდას სტადიონის მახლობლად რესტორანში დააკავეს. პოლიციელების გამოჩენისას დამნაშავე ტელევიზორს უყურებდა. მას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ეჭვმიტანილი 35 წლის მამაკაცია, რომელსაც ისეთ დანაშაულებებში ედებოდა ბრალი, როგორიცაა თაღლითობა, ქურდობა, ძალადობა და მუქარა ცივი იარაღის გამოყენებით. ამ ადამიანის მიმართ გასულ წელს ჩატარებულმა ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ მისი სრული შერაცხადობა უჩვენა. მაშინვე გაირკვა, რომ ის ალკოჰოლს ეძალება და ნარკოტიკებს იღებს.

## მორიგი თავდასხმა ამერიკელ სამხედროებზე

ერაყში, სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქის თიქრითის მახლობლად, ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებზე მორიგი თავდასხმა განხორციელდა, რის შედეგად 3 ჯარისკაცი დაიღუპა და 3 დაიჭრა. ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე, ბაღდადიდან დასავლეთით, ქალაქ ჰალიდიასთან პარტიზანებმა ამერიკულ სამხედრო კოლონას ყუმბარმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს, გააფთრებული სროლა სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ტელეკომპანია „ალ-არაბიას“ მონაცემებით, თავდასხმის დროს 8 ამერიკელი ჯარისკაცია მოკლული. ამ დანაკარგების ფონზე აშშ-ის ცენტრალური სარდლობა ერაყის რიგი ქალაქებიდან ჯარების გამოყვანის საკითხს განიხილავს.

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ინგა ჯაყელი** — „დედაშვილობისა...“ — 128 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ამ ხალხს ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მაგრამ...“ — 94
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ენერგომამებმა ელექტროსადგურებს ენერგიის გამომუშავება წამგებიანი გაუხადეს“ — 46
4. **თამარ კაპანაძე** — „რომელი ქმარი, ბატონო გოგი?“ — 38
5. **მარინა მამისაშვილი** — „სისხლიანი ვენდეტა ვაკეში“ — 26

თქვენს პრემიას — 50 ლარს ჟურნალისტი **ინგა ჯაყელი** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 437-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# რატომ იყო ვატიკანთან ხელშეკრულება საქართველოსთვის მიუღებელი

*გასულ კვირაში საქართველოსა და ვატიკანს შორის დასადები ხელშეკრულება სახალხო ვნებათაღელვისა და განხილვის საგნად იქცა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ვატიკანის ელჩობის საგანგებო ვიზიტი, კანცელარიის ზედა სართულებზე, საეჭვოდ მიიჩნია — იქნებ იმიტომაც, რომ ერთი შეხედვით უბრალო და სრულიად ჩვეულებრივი (როგორც ამას ქართველი და ვატიკანელი ჩინოსნები ამტკიცებდნენ) ხელშეკრულების ტექსტი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. მისი შინაარსი ცნობილი მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც საქართველოს საპატრიარქო მოსალოდნელ საფრთხეზე ალაპარაკდა და საზოგადოების მეყსეული რეაქციის გამო, კანცელარიის მეწინავე ჩინოვნიკ-რეფორმატორები იძულებულნი გახდნენ, წმინდა საყდრის ფრიად პატივსაცემი დელეგაცია აეროპორტიდან კანცელარიამდე კონსპირაციულად — „ღობე-ღობე“ ეტარებინათ. აეროპორტში მოწყობილ აქციას მარჯვედ გამოერიდნენ, მაგრამ „დანიშნულების ადგილზე“ მისულ, საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე ფარულად მზრუნველ აქტივისტებს გაცილებით უფრო ძნელად გადასალახი „ჩასაფრება“ ელოდათ. კანცელარიის დერეფნებში მოშლიგინე ჩინოსნებზე ნადირობაში გამობრძმედილ ტელეკამერებს ვატიკანის დარბაისელ წარმომადგენელთა პოვნა არ გასჭირვებიათ. ქართული მედიისგან თავის დაძვრენა შეუძლებელი გამოდგა და პეტრე მამრაძეს ისღა დარჩენოდა, არცთუ გრაციოზული პლასტიკის გამოყენებით, ტელეკამერების წინაშე საბალეტო ხელოვნებისთვის დღემდე უცნობი პირუეტი გაეკეთებინა და საპატიო სტუმრები საჯაროობისგან საკუთარი მკერდით დაეცვა. სხვათა შორის, მისგან განსხვავებით, ქართველ მკითხველს ჯერ ზემოთ ნახსენები ხელშეკრულების სრულ ტექსტს გავაცნობთ და მხოლოდ ამის შემდეგ, მოვლენათა მსვლელობის კვალდაკვალ, მის ავ-კარგიანობაზეც ვისაუბრებთ, რადგან დროთა განმავლობაში ყველაფერს შეიძლება ეშველოს (მათ შორის პლასტიკასაც), მაგრამ იურიდიულად გაფორმებული ხელშეკრულება ხელშეკრულებად დარჩება, მასში მოყვანილი პირობები კი ვალდებულებად...*

## სკანდალური ხელშეკრულების „ლამაზად შეფუთული“ მუხლებისა და სადავო საკითხების განხილვა...

**რას სთავაზობდა ვატიკანი მართლმადიდებელ საქართველოს**

**პროექტი:**

**შეთანხმება წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის**

**პრეამბულა**

**წმიდა საყდარი და საქართველო:**

— მიიჩნევენ რა, ერთმანეთს საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ და ავტონომიურ სუბიექტებად,

— წმიდა საყდარი, მოქმედებს რა ვატიკანის მეორე საბჭოს დოკუმენტებისა და საეკლესიო სამართლის ნორმების საფუძველზე, საქართველო მოქმედებს რა საქართველოს კონსტიტუციისა და იმ საერთაშორისო კონვენციების დებულებების შესაბამისად, რომელთა მხარესაც ის წარმოადგენს,

— გამოთქვამენ რა სურვილს, მეგობრობის სულისკვეთებით გააძლიერონ და კიდევ უფრო განავითარონ მათ შორის უკვე არსებული ურთიერთობები,

— განზრახული აქვთ რა ურთიერთგაგების საფუძველზე განსაზღვრონ, საქართველოში მოქმედი კათოლიკური ეკლესიის იურიდიული სტატუსი, შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი 1**

საქართველო აღიარებს კათოლიკური ეკლესიის, როგორც იურიდიული პირის, სტატუსს. კერძოდ, საქართველო უზრუნველყოფს იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის გავრცელებას საეკლესიო სამართლით გათვალისწინებული კათოლიკური ეკლესიის ისეთი ერთეულების მიმართ, როგორიცაა: საეპისკოპოსოები, ეპარქიები ან საეგზარქოსოები, სამოციქულო ადმინისტრაციები, სამრევლოები, რელიგიური საზოგადოებები, ასოციაციები, სემინარიები, კოლეჯები, სკოლები და საგანმანათლებლო ინსტიტუტები, სამედიცინო და საქველმოქმედო დაწესებულებები კომპეტენტურ სამოქალაქო ორგანოებში მათი რეგისტრაციის შემდეგ.

**მუხლი 2**

1) საქართველო უზრუნველყოფს კათოლიკური აღმსარებლობისა და კათოლიკური რელიგიური წესების საჯაროდ აღსრულების თავისუფლებას.

2) საქართველოს კათოლიკურ ეკლესიას აქვს თვითორგანიზებისა და საჭირო საშუალებებით, საკუთარი მისიის განხორციელების უფლება.

3) კომპეტენტური საეკლესიო ორგანო სარგებლობს უფლებით, შექმნას ეკლესიასთან დაკავშირებული სტრუქტურები, კერძოდ, საეკლესიო სამართლის ნორმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დააარსოს და მოახდინოს საეკლესიო იურიდიული პირების რეორგანიზება.

**მუხლი 3**

1) წმიდა საყდარს შეუძლია დაუბრკოლებლად შეარჩიოს სასულიერო პირი ეპისკოპოსის, ეგზარქოსის ან სამოციქულო ადმინისტრატორის ფუნქციების შესრულების მიზნით. ეს პირი შეიძლება იყოს ეპისკოპოსი ზემოაღნიშნული დანიშვნების შესახებ ინფორმაციის გავრცელებამდე. წმიდა საყდარი, თავაზიანობისა და ნდობის პრინციპებიდან გამომდინარე, ამის შესახებ წინასწარ აცნობებს სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებს.

2) კომპეტენტური საეკლესიო ორგანო სარგებლობს უფლებით, დაუბრკოლებლად დანიშნოს ნებისმიერი პირი, რომელიც ამავე დროს, პასუხისმგებელი იქნება საქართველოში არსებულ სხვა საეკლესიო ერთეულებზე.

**მუხლი 4**

საქართველო, შეზღუდვების გარეშე, უზრუნველყოფს კათოლიკური ეკლესიისა და მისი იურიდიული და ფიზიკური პირების ურთიერთობებისა და კონტაქტების თავისუფლებას წმიდა საყდართან და საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ, საეკლესიო სამართლით აღიარებულ სხვა საეკლესიო დაწესებულებებთან.

**მუხლი 5**

საქართველო აღიარებს კათოლიკური ეკლესიის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და პრინციპები, ასევე მის უფლებას, ისარგებლოს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 6**

1) თავისი პასტორალური მისიის განხორციელების მიზნით, ეპისკოპოსი, ეგზარქოსი, სამოციქულო ადმინისტრატორი, მღვდელი ან მათთან გათანაბრებული პირები სარგებლობენ უფლებით, საქართველოში მოიწვიონ მღვდლები, რელიგიური სამწყსოს წარმომადგენლები და საერო პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ საქართველოს მოქალაქეობა.



2) საქართველოს ხელისუფლების ორგანოები გასცემენ საცხოვრებელ ნებართვას კათოლიკური ეკლესიის ზემოაღნიშნული მოწვეული წევრებისათვის, რომლებიც დანიშნული იქნებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ შესაბამის ეკლესიებსა ან კათოლიკური ეკლესიის სხვა დაწესებულებებში მსახურების მიზნით. ნებართვები, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ძალაში იქნება მათი მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

**მუხლი 7**

1) კათოლიკური ეკლესია სარგებლობს უფლებით, შეიძინოს, მართოს, გამოიყენოს და განკარგოს მოძრავი და უძრავი ქონება და ააშენოს ეკლესიები და სხვა შენობები საეკლესიო მიზნებისათვის.

2) ქონების შეძენა, ეკლესიებისა და საეკლესიო ნაგებობების მშენებლობა და მართვა განხორციელდება საეკლესიო სამართლის ნორმებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3) საქართველო უზრუნველყოფს ღვთისმსახურების ადგილების ხელშეუხებლობას. კომპეტენტური საეკლესიო ორგანოების წინასწარი თანხმობის გარეშე ღვთისმსახურების ადგილები არ შეიძლება გამოყენებული იქნას იმ მიზნებისთვის, რაც არ არის გათვალისწინებული საეკლესიო სამართლით.

**მუხლი 8**

1) აღსარების საიდუმლოება ხელშეუხებელია. არავის არ შეუძლია კათოლიკე ეპისკოპოსის ან მღვდლის დაკითხვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია აღსარების საიდუმლოსთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მღვდელი უნდა წარდგეს, როგორც მოწმე ან მხარე სამოქალაქო სასამართლოს წინაშე.

2) სასულიერო პირები არ არიან ვალდებულნი, მიაწოდონ სამოქალაქო ხელისუფლებას ის ინფორმაცია პირებისა და სხვა საკითხების შესახებ, რომელიც მათ მოიპოვეს თავისი მსახურების დროს.

**მუხლი 9**

1) კათოლიკურ ეკლესიას აქვს უფლება, დააარსოს და მართოს თავისი სკოლები საეკლესიო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2) კათოლიკე მოსწავლეებს, როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სკოლებში, ექნებათ თავიანთი რელიგიის შესწავლის გარანტირებული უფლება.

3) კათოლიკური რელიგიის სწავლება, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მიზნად ისახავს ეკუმენისტური სულისკვეთების განმტკიცებას და სხვადასხვა აღმსარებლობებს შორის ურთიერთპატივისცემის გაღრმავებას. რაც, ამავე დროს, გულისხმობს საქართველოს ისტორიასა და კულტურაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის აღიარებას.

4) სწავლება ჩატარდება კათოლიკური ეკლესიის კომპეტენტური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული პროგრამის საფუძველზე და მხოლოდ იმ კვალიფიცირებული პედაგოგების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ ამ ხელისუფლების მიერ გაცემული სერტიფიკატი.

5) კათოლიკური ეკლესია და საქართველო აღიარებენ დიპლომებს, ხარისხებსა და სხვა აკადემიურ კვალიფიკაციებს განათლების ყველა დონეზე.

**მუხლი 10**

წმიდა საყდარი და საქართველო ადასტურებენ რა ორმხრივ დაინტერესებას, გააღრმავონ ურთიერთობები კულტურის სფეროში, ხელს შეუწყობენ კავშირების განმტკიცებას საქართველოში არსებულ დაწესებულებებსა და მთელ მსოფლიოში არსებულ კათოლიკურ ინსტიტუტებს შორის. ისინი ასევე ხელს შეუწყობენ სტუდენტთა გაცვლას საეკლესიო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებს შორის, ორივე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 11**

1) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საეკლესიო ქორწინება, მისი რელიგიური წესი, დღესასწაულობის მომენტიდან, წარმოშობს იურიდიულ შედეგებს სამოქალაქო ურთიერთობებში იმ პირობით, რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დებულებებს.

2) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წიგნში საეკლესიო ქორწინების რეგისტრირების თარიღი და წესი განისაზღვრება საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ, კათოლიკურ ეკლესიასთან კოორდინაციის გზით.

**მუხლი 12**

სემინარიის სტუდენტები და რელიგიური კონგრეგაციების მორჩილები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში. ამ სტუდენტებსა და მორჩილებს დაევალებათ ისეთი ოპერაციების შესრულება, რომლებიც არ არის დაკავშირებული იარაღის გამოყენებასთან.

**მუხლი 13**

საქართველო აღიარებს და უზრუნველყოფს კათოლიკური ეკლესიის უფლებას, შესთავაზოს სულიერი დახმარება იმ მორწმუნე კათოლიკეებს, რომლებიც მსახურობენ ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში და პოლიციაში, იმყოფებიან სახელმწიფო ან კერძო სამედიცინო და გრძელვადიან დაწესებულებებში ან საპატიმროებში.

**მუხლი 14**

1) საქართველო გადასახადებისგან გაათავისუფლებს იმ კათოლიკური დაწესებულებების მიერ შემოტანილ ჰუმანიტარულ დახმარებას, რომლებიც საეკლესიო კანონმდებლობის შესაბამისად, ოფიციალურად აღიარებულია კათოლიკური ეკლესიის მიერ და რეგისტრირებულია სამოქალაქო ორგანოების მიერ.

2) კათოლიკური ეკლესიის მოხმარებისათვის განკუთვნილი სხვა იმპორტირებული ნივთები ასევე თავისუფლდება გადასახადებისაგან.

**მუხლი 15**

იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა გაურკვეველი, გადაუწყვეტელი და სადავო საკითხები ქონებრივ, ეკონომიკურ და ფისკალურ სფეროებში, რომლებიც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას ზოგადად, ან ცალკეულ კათოლიკურ თემებს, შენობებს ან დაწესებულებებს, კათოლიკური ეკლესია და საქართველოს კომპეტენტური ორგანო შექმნიან საგანგებო ერთობლივ კომისიას ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების შემუშავების მიზნით.

**მუხლი 16**

1) წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

2) წმიდა საყდარი და საქართველო წინამდებარე დებულებების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილ სირთულეებს გადაწყვეტენ მეგობრული ურთიერთშეთანხმების გზით.

**მუხლი 17**

წინამდებარე შეთანხმება შესრულებულია ორ პირად, ინგლისურ და ქართულ ენებზე, ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს. განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტს.

**წმიდა საყდრის სახელით** **საქართველოს სახელით**

*საერთაშორისო ურთიერთობებისა და საეკლესიო სამართლის სენტენციებით მკითხველს არ დავღლით. ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე საეჭვო გარემოებაზე გავამახვილებთ.*

## ეჭვი ნომერი პირველი:

*როგორც საერთოდ, საქართველოში სკანდალური პერსპექტივის მქონე სიტუაციებში ხდება ხოლმე, ვატიკანის დელეგაცია სწორედ მაშინ ჩამოვიდა, როდესაც პრეზიდენტი იალტის სამიტზე იმყოფებოდა. პაპის ელჩობა ირწმუნება, საქართველოსთვის ხელშეკრულების დადებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდაო. ამავე დროს, ამბობენ იმასაც, რომ მასში განსაკუთრებული და საგანგაშო არაფერი წერია(?!), უბრალოდ, დოკუმენტი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეგობრობას. თუ ასეა, მისი გაფორმება ცხადია, აჯობებდა რომის პაპის ვიზიტისას, მაგრამ პაპის გაპარება აეროპორტის უკანა კარიდან ძალიან უხერხული იქნებოდა... თანაც, ასეთ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ხალხთან პრეზიდენტს მოუხდებოდა.*

*იქნებ, ყველაფერი არც ისე შემთხვევით მოხდა, როგორც ირწმუნებიან? დელეგაციის ვიზიტი პრეზიდენტის არყოფნას დაამთხვიეს. თუ საზოგადოებას ხელშეკრულების გაფორმებას გამოაპარებდნენ, მოგვიანებით, ხმაურის ატეხის შემთხვევაში, პრეზიდენტი ჩვეული, უდანაშაულო ტონით განაცხადებდა, რომ ის ქვეყანაში არ იყო. თავის კანცელარიის რეფორმატორ გამგებელს „დასჯიდა“ და პატრიოტიზმის საგანში მოკრძალებულ ფრიადს ჩაიწერდა. თუ ხელშეკრულების დადებას მაშინვე ხმაური მოჰყვებოდა, საზღვარგარეთ მყოფი შევარდნაძე რომთან დამეგობრების ცერემონიას განუსაზღვრელი ვადით გადადებდა (როგორც მოხდა კიდეც). შედეგი — პრეზიდენტი გარეთაც მართალია და შინაც. დამნაშავე კი ხალხია, რომელსაც მეგობრობა არ სურს, ან ეკლესია, რომელიც ყველანაირად ცდილობს, ევროპისკენ სავალი გზები ჩაკეტოს; ან მის ზურგს უკან ფარულად მოქმედი ჩინოსნები. მოკლედ, ასეთ შემთხვევაში პასუხი ყველა ვარიანტისთვის არსებობს...*

*საზღვარგარეთ ყოფნა პასუხისმგებლობის ფარგლებს გარეთ ყოფნას არ გულისხმობს. ამიტომაც საქართველოში დომინანტი რელიგიის, მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა იალტაში მყოფ პრეზიდენტს საგანგებო წერილით მიმართა. „დიდი პოლიტიკის“ მიღმა საკუთარ თავთან არსებული ვალდებულებები პრეზიდენტისთვის ალბათ ერთადერთ სიტყვას — „გიორგის“ უნდა შეეხსენებინა...*

## პატრიარქის წერილი

**მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ-გიორგი შევარდნაძეს**

**თქვენო აღმატებულებავ,**

როგორც უკვე ცნობილია, საქართველოში ვატიკანის ოფიციალური წარმომადგენლობის ინიციატივით მომზადდა საქართველოს სახელმწიფოსა და ვატიკანს შორის საერთაშორისო ხელშეკრულება. საქართველოს საპატრიარქოსთვის სრულიად გაუგებარია, რატომ შეირჩა ასეთი ფარული ფორმა ვატიკანთან (და აქედან გამომდინარე, კათოლიკურ ეკლესიასთან) ურთიერთობის დარეგულირებისათვის მაშინ, როდესაც ჩვენს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება საჯაროდ მუშავდებოდა წლების განმავლობაში და იგი არაერთგზის გახდა განხილვის საგანი როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. მის განხილვაში ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიის წარმომადგენლები.

ჩვენ არაერთხელ დაგვიფიქსირებია მზადყოფნა როგორც კათოლიკეების, ისე საქართველოში არსებული სხვა რელიგიების სამართლებრივი სტატუსის განხილვისა და მისი ერთობლივი გადაწყვეტის შესახებ. ამიტომაც ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და ყოვლად მიუღებელია ვატიკანის მხრიდან ამ სახით და ამ რანგში ხელშეკრულების გაფორმების მცდელობა.

აღნიშვნა იმისა, თითქოს ეს არის ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც არანაირად არ ეხება რელიგიურ სფეროს. არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ვატიკანი სახელმწიფო არის უმთავრესად რელიგიური ნიშნით. ამდენად, მის მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებები რელიგიური შინაარსისაა და განაპირობებს კათოლიკური ეკლესიის განსაკუთრებულ მდგომარეობას ამა თუ იმ ქვეყანაში.

***(გაგრძელება იხ. გვ. 4)***

# რატომ იყო ვატიკანთან ხელშეკრულება საქართველოსთვის მიუღებელი

(დასაწყისი იხ. გვ. 3)

ვატიკანს ასეთი ხელშეკრულება გაფორმებული არა აქვს არც ერთ მართლმადიდებელ ქვეყანასთან (გარდა რუმინეთისა, რომელიც ისტორიულად რომანული ქვეყანაა). ასეთი ხელშეკრულება მას არა აქვს დადებული არც ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არც დიდ ბრიტანეთთან და არც არაკათოლიკური კულტურის ბევრ სხვა ქვეყანასთან, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს არ არის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი საერთაშორისო აქტი, არამედ კათოლიკური კულტურის ქვეყნებთან ვატიკანის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტი.

საერთოდ, რელიგიური ტიპის დოკუმენტის მიღებისას არც ერთ ქვეყანაში არ ხდება საზოგადოების და ტრადიციული ეკლესიის პოზიციის გაუთვალისწინებლობა. საქართველოში ამ დოკუმენტის მიღება ჩვენი ისტორიის უგულვებელყოფაა, რაც ჩვენი ხალხის დიდ და სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

შევნიშნავთ იმასაც, რომ ვატიკანთან დადებული ამ ხელშეკრულებით არათუ არ მოწესრიგდება კათოლიკურ ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხები, არამედ კიდევ უფრო გართულდება ისინი და ბიძგს მისცემს სხვა კონფესიებთან დაკავშირებულ მრავალ ნეგატიურ პროცესს, რაც სახელმწიფოს ახალ, მეტად სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

ვიმედოვნებთ, გაუგებრობებისა და დაპირისპირებების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენი ხელისუფლებაც და ვატიკანიც ჩვენს საზოგადოებასთან და მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმების გარეშე ასეთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმისაგან თავს შეიკავებს.

***ღრმა პატივისცემით***
***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი***



ვატიკანი, წმინდა პეტრეს ტაძარი

## სკანდალური ხელშეკრულების „ლამაზად შეფუთული“ მუხლებისა და სადავო საკითხების განხილვა...

### ეჭვი ნომერი მეორე:

*სათაური:* ***შეთანხმება წმინდა საყდარსა და საქართველოს შორის.***

*ხელშეკრულების გარშემო გამართულ დებატებში მავანნი ირწმუნებოდნენ, რომ ეკლესია და რელიგია არაფერ შუაშია, რადგან ეს იყო ორ ქვეყანას შორის გაფორმებული საერთაშორისო სამართლის აქტი. სახელმწიფო სამართლის ანაბანა ისეთ ელემენტარულ ცნებასაც შეიცავს, როგორიც სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემაა. მკითხველს მოეხსენება, რომ არსებობს საპრეზიდენტო რესპუბლიკა, საპარლამენტო რესპუბლიკა, შეზღუდული მონარქია... ვატიკანი კი, თავისი მოწყობით, უნიკალურია — ის რელიგიური ქალაქი-სახელმწიფო გახლავთ და ამაზე მისი ოფიციალური, საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული სახელწოდება, „წმიდა საყდარიც“, მეტყველებს. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ქალაქ-სახელმწიფოს რომის პაპი მართავს — უმაღლესი სასულიერო პირი კათოლიკურ სამყაროში. აქედან გამომდინარე, დიდი მსჯელობა არ უნდა სჭირდებოდეს იმის აღიარებას, რომ ვატიკანთან გაფორმებული ნებისმიერი სახის ხელშეკრულებას სახელმწიფოებრივთან ერთად, უწინარესად, რელიგიური ხასიათი ექნება. ამიტომაც, საქართველოს ეკლესია ხელშეკრულების მომზადების პროცესში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩართული. მით უმეტეს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში (რომელიც, სხვათა შორის, იმავე საერთაშორისო ნორმების თანახმად, სახელმწიფოსთვის უზენაეს სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს), მართლმადიდებლობის დამსახურება ქვეყნის წინაშე ცალკე პუნქტად არის აღებული — რომ აღარაფერი ვთქვათ საკონსტიტუციო შეთანხმებაზე, რომელიც იმავე საერთაშორისო ნორმების თანახმად, საკანონმდებლო იერარქიაში კონსტიტუციის შემდეგ უმაღლეს იურიდიულ აქტად ითვლება და რომლის თანახმადაც, მართლმადიდებლობა დამსახურებულად, სახელმწიფოს დომინანტ რელიგიად არის გამოცხადებული.*

*ვატიკანის სახელმწიფოდ გამოცხადებას თავიდანვე განსაკუთრებული ჩანაფიქრი ჰქონდა — საქართველოსთან მომხდარი ფაქტი ისტორიაში არც პირველია და ალბათ არც უკანასკნელი. რომის პაპი, სხვა უმაღლესი სასულიერო პირებისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლით აღიარებული ტიტულატურით სარგებლობს. ამასთან, იგი მსოფლიოს ყველა კათოლიკეს სულიერ მამად მიიჩნევა და ამდენად, კათოლიციზმის, როგორც კონფესიის, უპირატესობა სხვებთან შედარებით, საერთაშორისო სუბიექტის ტიტულში მდგომარეობს — მისი უმაღლესი იერარქიული მმართველობა, სხვა რელიგიებისგან განსხვავებით, იმ სახელმწიფოს საზღვრებთან არ მთავრდება, სადაც მისი მორწმუნენი ცხოვრობენ. სწორედ ამის წყალობით, კათოლიკური ეკლესია უდიდეს საერთაშორისო ბერკეტებს და გავლენას ფლობს. რადგან, ვთქვათ, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ რომელიმე სახელმწიფოსთან დადებულ ხელშეკრულებას მხოლოდ სამოქალაქო სამართლის სტატუსი ექნება, ვატიკანის ანალოგიური ხელშეკრულება, ყველა სიკეთესთან ერთად, საერთაშორისო სამართლის სტატუსით ისარგებლებს. თუ ზემოთ მოყვანილ ხელშეკრულებას ყურადღებით წავიკითხავთ, ამაში იოლად დავრწმუნდებით. მისი თითოეული მუხლი სწორედ ამ აზრს ატარებს, თუმცა ჩვენ ამ პოლიტიკის შედარებით მკვეთრ გამოხატულებაზე შევჩერდებით.*

*მუხლი 1. ხელშეკრულება უშუალოდ ვატიკანს ნებას რთავს, საქართველო მისეული მართვის პრინციპით მოაწყოს. მავანნი ამტკიცებენ, რომ ეპისკოპოსები საქართველოში სხვა კონფესიებსაც ჰყავთ. ჰყავთ, მაგრამ არა მასობრივად და არა ცენტრალიზებული წესით. იქ, სადაც ოფიციალური სტატისტიკით მოსახლეობის 86%-ს ერთი რელიგიის, მართლმადიდებლობის, მიმდევრები შეადგენენ, რა საჭიროა ვატიკანს ყველა რაიონში ეპისკოპოსი ჰყავდეს, ჰქონდეს ეკლესია, რელიგიური ტიპის დაწესებულება — ასოციაცია, სკოლა, კოლეჯი... თანაც განუსაზღვრელი რაოდენობით და სახელმწიფოს ეკისროს ვალდებულება, ამ რაოდენობის ზრდას ყველანაირად შეუწყოს ხელი. თუ რატომ, ვფიქრობთ, მკითხველს პასუხის გაცემა არ გაუჭირდება.*

*მე-6 მუხლი გვამცნობს, რომ პასტორალური მისიის განხორციელებისთვის, ხელშეკრულების ამოქმედებიდან... ვატიკანის მოქალაქეებს საქართველოში ჩამოსვლისთვის ვიზა არ დასჭირდებათ — მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე ისინი რომის პაპის მფარველობისა და მმართველობის ქვეშ იქნებიან. მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქართული არმიის განვითარებაზე მილიარდები დახარჯა, თბილისში დიდი ხმაური ატყდა, ამერიკელი სამხედროებისთვის ანალოგიური პრივილეგია მიენიჭებინათ თუ არა... ნუ დაგვავიწყდება, რომ ამერიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება ორმხრივია და ქართული მხარეც ანალოგიური პრივილეგიით სარგებლობს. ასეც რომ არ იყოს, ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ მომზადებული ჯარის გამოყენება რაში შეიძლება, ბავშვიც კი გიპასუხებთ. ბავშვი იმასაც გიპასუხებთ, თუ რაში შეიძლება ათიათასობით მისიონერის მიერ საქართველოს ყველა რაიონში მომზადებული მოქალაქის გამოყენება. ოღონდ, ამჯერად არა საქართველოს მიერ, რადგან ზემოაღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, მათ საქართველოს ხელისუფლებასთან არანაირი ანგარიშვალდებულება არ ექნებათ...*

*მუხლი მე-7. პირველი პუნქტის საჭიროება ეჭვქვეშ უკვე მეორე პუნქტით დგება, რომელშიც ნათქვამია, რომ უძრავ-მოძრავი ქონების შეძენა კათოლიკური ეკლესიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში ხორციელდება. მაშინ რა საჭიროა პირველი პუნქტი, რომელიც იმავეს იმეორებს, ოღონდ საქართველოს კანონმდებლობის ხსენების გარეშე?*

*მე-9 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან, საქართველოს სასწავლო დაწესებულებები ვალდებულნი ხდებიან, კათოლიკე მოსწავლეებს მათი რელიგია შეასწავლონ. აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, დღემდე სახელმწიფო სკოლებში მართლმადიდებლობის შემსწავლელი საგანი არ არსებობს, ისევე, როგორც არ არსებობს სხვა კონფესიების შემსწავლელი კონკრეტული საგნები. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიას სახელმწიფოსთან აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ბევრად მაღალი რანგის დოკუმენტი — კონკორდატი — აქვს გაფორმებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო მრავალკონფესიურ სახელმწიფოდ ითვლება და ამ პრივილეგიასაც მხოლოდ კათოლიკეებს ვერ მივანიჭებთ, საქართველოს სკოლებში საერო საგნების სასწავლებლად უბრალოდ, დრო არ დარჩება — ბავშვები თავ-თავისი რელიგიის კლასებში ივლიან, სკოლაში კი მარტო რელიგიისა — 50 მასწავლებელი იქნება. გვიკვირს იმ პოლიტოლოგებისა თუ თეოლოგებისა, ვინც ხელშეკრულების დადების მომხრე იყო. მკითხველმა კი, თუ ოჯახში პატარა ბავშვი ჰყავს, ეგებ მას ჰკითხოს — ჰყავს კი ქართულ საგანმანათლებლო სისტემას ამდენი რელიგიის ამდენი სპეციალისტი?*

*მე-11 მუხლი. საკონსტიტუციო შეთანხმების მიუხედავად, მართლმადიდებლურ ეკლესიაში აღსრულებული ჯვრისწერის მოწმობა იურიდიულად მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციით გაცემულ დოკუმენტთან არ იგივდება — აღნიშნული მუხლი ასეთ პრივილეგიას რატომღაც, მხოლოდ კათოლიკურ ჯვრისწერას ანიჭებს...*

*მე-12 მუხლი. კათოლიკური სემინარიის სტუდენტებისა რა გითხრათ და, საქართველოში ისედაც მოქმედებს კანონი ალტერნატიული სამსახურის შესახებ, რომელიც ჯარში იარაღის ხმარებისგან ათავისუფლებს ყველას, ვისაც ამა თუ იმ მოსაზრებით ამის სურვილი არ აქვს. რატომ გაკეთდა აქცენტი მაინცდამაინც უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდების ასაკზე? — თუ ბავშვს ჯერ კიდევ არ დაუძინია, ჰკითხეთ, სურს თუ არა (დღეს) ქართულ ჯარში სამსახური...*

*მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენება შესანიშნავად შეუძლიათ არალეგალური ვაჭრობის მოყვარულებს — ამისთვის საკმარისია, კარგი ურთიერთობა კათოლიკურ მისიასთან და თქვენ მიერ შემოტანილ საქონელს სახელმწიფო არ დაბეგრავს...*

*მე-15 მუხლის თანახმად კი საქართველოს სასამართლოებს შეუძლიათ „უფასო შვებულება“ გამოაცხადონ — ყველა სადავო საკითხებს „ქონებრივ, ეკონომიკურ და ფისკალურ სფეროებში“ (ანუ ყველაფერში, სისხლის სამართლის დანაშაულის გარდა) კათოლიკური ეკლესიისა (ვატიკანის) და საქართველოს ხელისუფლების საგანგებო კომისია გაარჩევს. კომისიის შემადგენლობა და განაჩენის გამოტანის წესი უცნობია...*

*ვატიკანის მცდელობაში დასაძრახი არაფერია — ასეთია აღნიშნული რელიგიის პოლიტიკა და „წმიდა საყდარს“ იგი ძალის გამოყენებით არასოდეს გაუტარებია — ჯვაროსნულ ლაშქრობებს თუ არ ჩავთვლით. სხვა საკითხია დიპლომატია, სადაც მიუღებელი მეთოდის ცნება არ არსებობს. ცივილიზებულ ქვეყნებს დღეს არც ამის საშიშროება ემუქრებათ, რადგან, როგორც წესი, ანალოგიური სახის შეთანხმებები საერთო-სახალხო მსჯელობის საგანი ხდება ხოლმე. თუმცა, საქართველოში ისე მოერგო ხალხის კისერს ხელისუფლება, რომ აღშფოთებასაც კი გამოთქვამს — სასკანდალო არაფერი იყოო. თვითონ კი მოგვერგო, მაგრამ როგორც ჩანს, ხალხი ხელისუფლების თავზე დაჯდომას ჯერ კიდევ არ შეჩვევია — ვატიკანთან ხელშეკრულების გაფორმებამ სახალხო მღელვარება გამოიწვია. მავანთ პარლამენტის შენობასთან მისული სამი ათასამდე ახალგაზრდა შეცდომაში შეყვანილად მონათლეს. ვაი, რომ შეცდომაში აგერ უკვე მეათე წელია, 5 მილიონი კაცია შეყვანილი...*

*როგორც ჩანს, შეცდომაშია შეყვანილი ვატიკანიც, რომლის მაღალმა სამღვდელო პირებმაც საქართველოში საყვედურებით სავსე წერილი გამოგზავნეს...*



სტუდენტური აქცია თბილისში

### ვატიკანის განცხადება

ვტოვებ რა საქართველოს, მსურს გამოვხატო წმიდა საყდრის დელეგაციის მადლიერება ამ ორი დღის მანძილზე გაწეული მასპინძლობისათვის.

ამასთან, ვწუხვარ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ უკანასკნელ მომენტში შეცვლილი გადაწყვეტილების გამო, არ განხორციელდა ჩემი ვიზიტის ძირითადი მიზანი — საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის ორმხრივი შეთანხმების ხელმოწერა.

ხელისუფლების მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, უპირველეს ყოვლისა, დააზარალებს საქართველოს კათოლიკურ საზოგადოებას, რომელიც კვლავაც რჩება რაიმე იურიდიული გარანტიის გარეშე და რომლის მიმართაც გვსურს გამოვხატოთ ჩვენი სრული სოლიდარობა.

წმიდა საყდრის დელეგაცია მეტად გულნატკენი დატოვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციამაც, რომლის მიერ გავრცელებული ცნობები არ შეესაბამებოდა სიმართლეს, თუმცა ჩვენი მხრივ არაერთხელ იქნა გამოთქმული მზადყოფნა საქმის კურსში ჩაგვეყენებინა იგი მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ.

ზემოაღნიშნული გარემოებები უთუოდ დაამწუხრებს მის უწმიდესობა იოანე-პავლე II-ს, რომელმაც 1999 წელს, საქართველოში ვიზიტის დროს ქვეყნის მოსახლეობას, და განსაკუთრებით, ქრისტიანებს, მოუწოდა თანამშრომლობისაკენ დიდი ქართველი ერის სულიერი აღორძინების საქმეში.

წმიდა საყდარი იმედოვნებს, რომ საქართველო, როგორც ადამიანის უფლებათა შესახებ არსებული არაერთი საერთაშორისო კონვენციის წევრი ქვეყანა, შეძლებს ამ დასანანი ვითარების გამოსწორებას.

***თბილისი, 20 სექტემბერი, 2003 წ.***
***არქიეპისკოპოსი ჟან-ლუი ტორანი***
***წმიდა საყდრის სახელმწიფოებთან ურთიერთობის მდივანი***

*კომენტარის ნაცვლად ამავე ხელშეკრულების ბოლო, მე-17 მუხლს განვიხილავთ, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, ხელშეკრულების ლოგიკურ დასრულებად შეიძლება ჩაითვალოს — ოფიციალური სტატისტიკით, მსოფლიოს საერთაშორისო არბიტრაჟებში, რომლებიც სავაჭრო, საზღვაო, საფინანსო-საკრედიტო და ა.შ. დავებს არჩევენ, მხარეთა დავის საგანი ყველაზე ხშირად ორ ენაზე შესრულებული დოკუმენტის ასლებს შორის ენობრივ-სტილისტური განსხვავება მიიჩნევა. ნებისმიერ ენაში არსებობს იდიომატური გამოთქმები, ტერმინები, ლექსიკა, რომლის თარგმნა და გაგება ათასგვარი ინტერპრეტაციით შეიძლება. თუ გავითვალისწინებთ, რომ პროექტის თანახმად უპირატესობა ინგლისურ ტექსტს ენიჭება, ამ მხრივ სადავოც აღარაფერი დაგვრჩებოდა... და კიდევ, კაცმა არ იცის, რას გულისხმობდა ინგლისური ტექსტი იმის გარდა, რაზეც ვისაუბრეთ. საქართველო ახალგაზრდა სახელმწიფოა და მისი მოტყუება ეგებ მაცდუნებელიც იყოს. მაგრამ არსებობს ჯერ კიდევ 1969 წელს მიღებული ვენის კონვენცია, სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ, რომლის თანახმადაც ასეთი დოკუმენტის ორივე ეგზემპლარი თანაბარი ძალისაა და ორიგინალად ითვლება...*

*ასეც რომ არ იყოს, საქართველოში კათოლიკეები ბევრად უფრო დიდი ხანია ცხოვრობენ, ვიდრე ხელშეკრულების ინიციატორი ქართველი და ვატიკანელი ჩინოსნები დაიბადებოდნენ. გარჩევის მიღმა დარჩენილ მუხლებს, რომლებიც უფრო „შეფუთვად“ შეიძლება ჩაითვალოს, უკვე დიდი ხანია, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი არეგულირებს. მის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქე დაცულია რელიგიური მრწამსის მიუხედავად. ადმინისტრაციული კოდექსი კი აღსარების საიდუმლოსაც იცავს. და კიდევ... ნებისმიერი ქართველი პატივით მოიხსენიებს თავის გმირ თანამოძმეს, კათოლიკე მიხეილ თამარაშვილს... წესით, ნებისმიერ ქართველს სულხან საბას და ლუდოვიკოს შეხვედრის სცენაც უნდა ახსოვდეს — ისტორიიდან თუ არა, პოეზიიდან მაინც...*

P.S. ალბათ, სიმბოლურია, რომ მშფოთვარე კვირაში, ქართული ქრისტიანული კულტურის სიამაყეს და მსოფლიო ხუროთმოძღვრების შედევრს ბაგრატის ტაძარს ათასი წელი(!) შეუსრულდა. ორმაგად სიმბოლურია, რომ იუბილე ბრწყინვალე დღესასწაულს, ღვთისმშობლის შობას დაემთხვა... და კიდევ — დღესასწაულებთან დაკავშირებით საქართველოს მსოფლიო პატრიარქი, ბართოლომეოს პირველი ეწვია.

***დაჩი გრძელიშვილი***

CMYK

# როდის მოეღება მკვლელობებს ბოლო...

## ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობა გახსნილია?!





მკვლელობის ადგილი

თბილისში გრძელდება მკვლელობათა სისხლიანი სერიალები. 14 სექტემბერს, დაახლოებით ღამის 12 სთ-ზე, ფალიაშვილის ქუჩაზე, კლუბ „ტოტოს“ წინ ჩაცხრილეს კაზინო „აჭარის“ ერთ-ერთი მეწილის — შარაშენიძის დაცვის წევრი, არჩილ ბერუაშვილი. 15 სექტემბერს, ღამის 00.05 სთ-ზე მოკლეს ცენტრალური სუპერმარკეტის, „დეზერტირების“ ბაზრის მეპატრონის, წინა მოწვევის პარლამენტარის, ლაერტი ზუბადალაშვილის ვაჟი, ზურაბ ზუბადალაშვილი. 16 სექტემბერს, დღის ორ საათზე უნივერსიტეტის ბაღში ურთიერთშელაპარაკებისას სიცოცხლეს გამოასალმეს სოხუმის ფილიალის სტუდენტი, ზურაბ კაკაბაძე. საქართველოში კრიმინოგენული სიტუაცია პიკს აღწევს, პოლიცია კი ჯიუტად იმეორებს, რომ სიტუაციას აკონტროლებს...

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის, ვალერი გრიგალაშვილის თქმით, ზემონახსენები მკვლელობებიდან არც ერთი არ არის „კილერის“ ხელწერა. მით უფრო სამწუხაროა, რომ სამართალდამცველებს მკვლელების დაპატიმრება უჭირთ. გასული კვირის ამ სისხლიანი ისტორიებიდან გამოძიება ჯერჯერობით არჩილ ბერუაშვილის მკვლელობას გაუხსნელ საქმედ მიიჩნევს. ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობას კი გრიგალაშვილი პრაქტიკულად გახსნილად თვლის. მისი განცხადებით, გამოძიება ამ საქმის მტკიცებულებების გამყარებითაა დაკავებული და უახლოეს დღეებში პროკურატურა ეჭვმიტანილს დაასახელებს. საკითხავი ის არის, მოახერხებს თუ არა პოლიცია მის დაკავებას. არაოფიციალური ინფორმაციით, მკვლელი უკვე გაქცეულია. გამოძიებამ ზუბადალაშვილის სანაცნობო წრიდან ამოიღო სატელეფონო საუბრები. ორმა გამომძიებელმა ერთ-ერთ ბინაში უკვე ჩაატარა ჩხრეკა.

### ვინ მოკლა ზურაბ ზუბადალაშვილი?

... იმ საბედისწერო ღამეს ზურაბ ზუბადალაშვილი თავისი კუთვნილი მანქანით „მერსედეს 600“-ით მეუღლესთან, თამარ ჩაჩუასთან ერთად სახლში დაბრუნდა. თამარ ჩაჩუა მახლობელ მაღაზიაში შევიდა, ზურას კი ავტოფარეხში შეჰყავდა მანქანა. ამ დროს დაესხნენ მას თავს და ცეცხლი გაუხსნეს. ზუბადალაშვილმა ერთხელ მოასწრო გასროლა, დაჭრილი სადარბაზოში შევარდა და მეუღლეს დაუძახა: გაიქეცი, მომდევენო. ზუბადალაშვილი მიყენებული ჭრილობის გამო იძულებული გახდა დამჯდარიყო, თუმცა, მომხვდურებს „მაგნუმის“ ტიპის იარაღიდან მაინც ესროლა. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა მოახერხა მიახლოება და მიბჯენით თავის არეში სროლა. გამოძიებამ შემთხვევის ადგილიდან ამოიღო „მაგნუმის“ პისტოლეტი სამი ვაზნით და ორი გასროლილი მასრით. იქვე იპოვეს სამი მასრა და სამი ტყვიის გულა, რომელიც სავარაუდოდ „მაკაროვის“ სისტემის იარაღიდან არის ნასროლი.

„კვირის პალიტრა“ ესაუბრა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსს **ვალერი გრიგალაშვილს**.

**— ბატონო ვალერი, გასულ კვირას სამი გახმაურებული მკვლელობა მოხდა...**

— ყველა მკვლელობას თავისი მოტივი და საბაბი აქვს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ნებისმიერი მკვლელობა, გარდა შეკვეთილი მკვლელობისა, უეცარი აღელვების შედეგია. ჩვენ ამჟამად ვიძიებთ მხოლოდ ორს — ზუბადალაშვილის და შარაშენიძის დაცვის წევრის არჩილ ბერუაშვილის მკვლელობას. მინდა გითხრათ, რომ არც ერთი მკვლელობა კილერის ხელით არ არის ჩადენილი.

**— როგორც გავიგე, ზურაბ ზუბადალაშვილს თავის დროზე რამდენიმე ბრალდება ჰქონდა. ხომ არ უკავშირდება ეს მკვლელობა რომელიმე მათგანს?**

— აბსოლუტურად არაფერ შუაშია. არც ერთი საქმე, რომლის გამოც იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა, ამ მკვლელობასთან არ არის დაკავშირებული.

**— გინდათ თქვათ, რომ ახალი მოტივი იკვეთება და შურისძიება არ არის?**

— შურისძიება არის, მაგრამ არა ძველი საქმეების გამო. აქ სხვა ნიუანსებია.

**— ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ გარდაცვლილის მამა, ლაერტ ზუბადალაშვილი გესაუბრათ გარკვეულ ვერსიაზე.**

— ერთადერთი შემიძლია გითხრათ, რომ საქმე გახსნილი გვაქვს. ახლა გამოძიება მტკიცებულებების მოპოვებაზე მუშაობს.

**— ეჭვმიტანილი საქმეში უკვე არსებობს?**

— არა, ჯერ გამოძიების დონეზეა.

**— იქნებ გვითხრათ, რას უკავშირდება ეს მკვლელობა — პირადს თუ სამსახურებრივს...**

— სამსახური არაფერ შუაშია. ვერსია რომ დაგიკონკრეტოთ, დამნაშავეები მიიმალებიან და მტკიცებულების მოპოვებაც შეუძლებელი გახდება.

**— არსებობს თუ არა თვითმხილველი, ვინ ესროლა ზურაბ ზუბადალაშვილს?**

— მეუღლის თვალწინ მოხდა საკონტროლო გასროლა, თუმცა იგი ამბობს, რომ თავდამსხმელი მისთვის უცნობი იყო. ამოცნობაზეც არ გვთანხმდება, სახეზე რაღაც ჰქონდა ჩამოფარებული და ვერ ამოვიცნობო.

**— მხოლოდ ერთი პიროვნება იყო თუ რამდენიმე?**

— მისმა მეუღლემ ერთი დაინახა, თუმცა ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ერთი არ იქნებოდა. საქმეში ჩავრთეთ კინოლოგიის სამსახური. ძაღლი ტრასამდე გავიდა და კვალი დაკარგა. ჩანს, იქ მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

**— „აჭარის“ მეწილის, შარაშენიძის დაცვის წევრის მკვლელობის მოტივი გამოიკვეთა?**

— ეს თავიდან ბოლომდე გაუხსნელი მკვლელობაა.

**— დადასტურდა თუ არა გავრცელებული ინფორმაცია, რომ სინამდვილეში შარაშენიძის მოკვლა უნდოდათ?**

— მკვლელს არასდროს არ ეშლება, ვისაც კლავს. ის, რომ შარაშენიძის მოკვლა უნდოდათ და ბერუაშვილი მოკლეს, ნაკლებდამაჯერებელია. რაც ჰქონდათ ჩაფიქრებული, შეასრულეს. გამოვრიცხავ, რომ შეეშალათ.

**— ითქვა, რომ შარაშენიძე იყო დუდუ დადიანის მეგობარი. შეიძლება ითქვას, მკვლელობების მთელი სერიაა: მოკლეს დუდუ დადიანი, მოკლეს კახი ასათიანი, ახლა ეს მკვლელობა...**

— ეს მკვლელობა ამ მკვლელობათა სერიას არ ებმის. მუშაობა მიდის. გეტყვით, რომ ბერუაშვილის მკვლელობა სხვა მკვლელობათა სერიას უკავშირდება.

**— შემთხვევის ადგილიდან რა ამოიღეთ?**

— ბერუაშვილის კუთვნილი უცხოური წარმოების იარაღი. თხუთმეტი საბრძოლო ვაზნა, 26 მასრა, ოთხი ტყვიის გულა. ასევე ნიღაბი.

# ვინ დაამყარებს ციხეებზე რეალურ კონტროლს?!

## იუსტიციის მინისტრობის ყველაზე დიდი შანსი ანზორ ბალუაშვილს აქვს...



რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან 129 პატიმრის გაქცევამ გასულ კვირას როლანდ გილიგაშვილის მინისტრობას წერტილი დაუსვა. პრეზიდენტმა დააკმაყოფილა გილიგაშვილის განცხადება გადადგომის თაობაზე და დსთ-ის სამიტზე ისე წავიდა. სავარაუდოდ, პრეზიდენტი იუსტიციის მომავალი მინისტრის კანდიდატურას ორ კვირაში დაასახელებს. მანამდე კი მინისტრის მოვალეობას პირველი მოადგილე გიორგი წკრიალაშვილი ასრულებს.

შეიძლება ითქვას, როლანდ გილიგაშვილი თავის წინამორბედ მინისტრებს შორის ყველაზე სუსტი აღმოჩნდა. მან ციხე-კოლონიებში სიტუაციის შენარჩუნებაც კი ვერ მოახერხა და ყველაფერი უარესობისკენ, სრული ანარქიისკენ წავიდა. ამას თავადაც გრძნობდა და გადადგომა არაერთხელ სთხოვა პრეზიდენტს. ერთ-ერთი ინფორმაციით, გილიგაშვილმა ერთი თვის წინათაც მიმართა პრეზიდენტს ამგვარი თხოვნით, თუმცა შევარდნაძემ იგი უარით გამოისტუმრა და სიტუაციის გამოსწორება ურჩია. იგი კანცელარიაში პერმანენტულად აფიქსირებდა, რომ ციხე-კოლონიებში სიტუაციას დაფინანსების გარეშე ვერ შეცვლიდა. მიუხედავად ამისა, პენიტენციარული სისტემისთვის ფული დღემდე არ გამოყოფილა. ალბათ გილიგაშვილს უნდა სცოდნოდა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ჯიბეგაფხეკილი ბიუჯეტიდან არავინ დააფინანსებდა. გარდა ამისა, ისიც მნიშვნელოვანია, რომ გილიგაშვილსა და ჯორბენაძეს შორის დაპირისპირება ყოველთვის არსებობდა. შესაძლოა იმიტომაც, რომ ამ უკანასკნელს იუსტიციის მინისტრის სკამი მხოლოდ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, მარიამ ცაცანაშვილისთვის ემეტებოდა, ან თუნდაც იმიტომ, რომ გილიგაშვილმა კახური პირდაპირობა დღემდე ვერ მოიშალა. დღესაც კი, როდესაც მან გადადგომის განცხადება დაწერა, ციხეში შექმნილ ვითარებაში ისევ და ისევ შევარდნაძე და მისი გარემოცვა დაადანაშაულა: „ბევრჯერ მომიმართავს თქვენთვის სიტუაციის გამოსწორების წინადადებით, მაგრამ ამ მიმართულებით არასდროს ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა“, — წერს გილიგაშვილი განცხადებაში.

როგორც ამბობენ, თავის დროზე გილიგაშვილის მინისტრის პოსტზე წარდგენა, მისი თანამემამულის, მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის, გია არსენიშვილის წყალობა ყოფილა. ისე კი, მას ლადო ჭანტურიას იუსტიციის მინისტრობის და ბაბილაშვილის გენპროკურორობის დროსაც საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა და მათ მოადგილედ მუშაობდა. გილიგაშვილზე ამბობენ, რომ ის კარგი იურისტია, მაგრამ როგორც ჩანს, მას არ აღმოაჩნდა ის ფხა, რომელიც მინისტრობას ბოლომდე შეუნარჩუნებდა. ხუმრობა ხომ არ არის, ევროსაბჭოს მოთხოვნის ლამის „სისხლის ფასად“ შესრულება და შსს-დან ციხეების იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემა გილიგაშვილის მინისტრობის დროს კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ეს რბილად ნათქვამია. რეალობა კი ის არის, რომ უახლოეს პერიოდში ალბათ ციხეების გარეპერიმეტრს ისევ შსს-ს შინაგანი ჯარი გააკონტროლებს. ცოტა ხანში აგენტურულ ქსელსაც ისევ შსს ჩაიგდებს ხელში და რა აზრი აქვს, ციხე ოფიციალურად ვის დაექვემდებარებაში იქნება, როცა ციხეებში შსს-ს კადრები დაინიშნება?! თუ ამას დავამატებთ პრეზიდენტის გასული კვირის განცხადებასაც, რომლითაც მან ციხეების იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემა ნაადრევად მიიჩნია, მართლაც მოსალოდნელია ციხე-კოლონიები რეალურად კვლავ შსს-ს დაქვემდებარებაში გადავიდეს. ეს კი ჩვენი ქვეყნისთვის მართლაც უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. არადა, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ამ ხნის მანძილზე ვერ გამოძებნეს ადამიანი, რომელიც პენიტენციარულ სისტემას „სისტემაში მოიყვანდა“ და სრულ კონტროლს დაამყარებდა.



მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტროს ქმედითუნარიანობა ასე დანგრეული და იმიჯშერყეულია, თქვენ წარმოიდგინეთ, კულუარებში უკვე არაერთი კანდიდატურა უპირისპირდება ერთმანეთს — პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი მარიამ ცაცანაშვილი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, მეცნიერი პაატა ცნობილაძე, უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია და უშიშროების მდივნის მოადგილე ჯემალ გახოკიძე. რაც შეეხება გილიგაშვილის პარლამენტში დაბრუნებას, იგი ამას დეპუტატის მანდატით აპირებს.

ამ ჩამოთვლილი კანდიდატურებიდან პარლამენტის კულუარებში ყველაზე რეალურად ანზორ ბალუაშვილს ასახელებენ და ჩუმად ქირქილებენ — ტყუილად კი არ ჩამოიყვანა პრეზიდენტმა ისრაელიდანო. საკითხავი კი ის არის, რომ ვინც არ უნდა დაასახელოს პრეზიდენტმა იუსტიციის მინისტრის კანდიდატად, ახალი მოწვევის პარლამენტი დაამტკიცებს?! ისე კი საინტერესოა, გილიგაშვილი თუ პარლამენტში დაბრუნდება, ვის დაუჭერს თავად მხარს.

***მოამზადა მარინა მამისაშვილმა***

# მედიკამენტების შეძენისას დიდი სიფრთხილე გმართებთ

## „არც მოგკლავს, არც მოგარჩენს“

„თბილისის ბაზრობებზე და ჯიხურებში გასაყიდად გამოტანილი მედიკამენტების 86% სიცოცხლისთვის საშიშია“ — ამბობენ სპეციალისტები, სახარბიელო მდგომარეობა არც აფთიაქებშია.

ერთი სიტყვით, ფარმაკოლოგებიც აღარ უარყოფენ, რომ წამლის ბაზარზე დიდი რაოდენობით ყალბი მედიკამენტია შემოსული. მედიკოსები თავს იმით ინუგეშებენ, რომ ასეთ წამალს, ჯერჯერობით, არავინ მოუკლავს, მაგრამ უამრავი შემთხვევა ყოფილა, როცა ყალბი მედიკამენტის მიღების შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა კატასტროფულად გაუარესებულა.

ერთი ასეთი შემთხვევის მოწმე ამ სტრიქონების ავტორიც გახლავართ: მეზობლის 1 წლის ბიჭუნას ამ რამდენიმე კვირის წინ ექიმებმა ფილტვების ანთების დიაგნოზი დაუსვეს. პატარას მედიკამენტ „კლაფორანით“ მკურნალობდნენ, მაგრამ ბავშვის მდგომარეობა უარესდებოდა — მოემატა ტემპერატურა, კანის ფერი გაუმუქდა, დაეწყო პირღებინება. „მკურნალობის“ სამდღიანი კურსის შემდეგ ისევ ექიმი დაეჭვდა „კლაფორანის“ (სერიის ნომერი — 121560) ვარგისიანობაში. ბავშვის მშობლებმა ამჯერად პრეპარატი სხვა აფთიაქში იყიდეს. პირველივე ინიექციის შემდეგ პატარა დამშვიდდა და რამდენიმე დღეში გამოჯანმრთელდა კიდეც...

როგორც ირკვევა, ყალბი წამლების მიმართ განსაკუთრებულ მგრძნობიარობას ბავშვები იჩენენ, ამიტომ ყველაზე ხშირად სწორედ პატარები ხდებიან ფარმაკოლოგიაში არსებული განუკითხაობის მსხვერპლნი. ვიდრე ფალსიფიცირებული წამლების მოზღვავების მიზეზების ძებნას დავიწყებდით, კონსულტაციისთვის მეგობარ ექიმ-პედიატრს მივმართეთ, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ ამგვარი „წამლების“ სიმრავლე მედიკოსებისთვის მართლაც სერიოზულ თავსატეხს წარმოადგენს.

„როგორც ყველა საჭმელად ვარგისიან სოკოს ჰყავს თავისი შხამიანი ორეული, ასევეა წამლის შემთხვევაშიც, — ამბობს ჩვენი ექიმი-კონსულტანტი, — განსხვავება ის არის, რომ სოკოს ერთი ორეული ჰყავს, წამალს კი — ათასი. ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. ფარმაკოლოგიური მაფია დღეს საკმაოდ მომძლავრებულია. ყალბი წამლების დამზადების ხელოვნება ისე დაიხვეწა, რომ ხშირად ძნელი გასარჩევია, რომელია ყალბი და რომელი — ნამდვილი. კიდევ კარგი, ფალსიფიკატორები ცდილობენ ნახელავი ნამდვილს დაამსგავსონ და შხამისაგან არ ამზადებენ მედიკამენტებს. ასეთი წამალი არც მოგკლავს და არც მოგარჩენს, მაგრამ სიკვდილის პირამდე კი მიგიყვანს...“

ფაქტი, რომ ფალსიფიცირებული წამლები დიდ პრობლემებს უქმნის ექიმებს, პედიატრიის ინსტიტუტშიც დაგვიდასტურეს.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

*ავტომობილების ეკოდიაგნოსტიკის სფეროში უთანასწორო ბრძოლა გაჩაღდა...*

# „რაკი პრეზიდენტის დისშვილი ვარ, საქმე არ უნდა გავაკეთო?"



რა საქმის გასარჩევად იბარებდნენ პრეზიდენტის ნათესავს კიკვიძის ბაღში...

საქართველოს მთავრობის 3 სექტემბრის სხდომაზე პრეზიდენტის მოთხოვნით, მოუხსენებლობით მისთვის უკანონო საქმიანობაში ჩაბმული მისი ოლიგარქი ნათესავების შესახებ, ეს თემა ერთხელ კიდევ გახდა აქტუალური. ალბათ სწორედ ამ განცხადებამ გააბედინა შპს „რუბიკონის" ხელმძღვანელობას პრეზიდენტისთვის ღია წერილით მიემართა (ამ წერილის ასლი „რუბიკონის" ხელმძღვანელობამ „„კვირის პალიტრის" რედაქციასაც დატოვა. — ზ.ჩ.). ეს ფირმა რამდენიმე წელია მთელი ცდილობს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ეკოდიაგნოსტიკის ბიზნესში ჩართვას. ავტომობილების გამონაბოლქვის შემოწმება და ავტოტრანსპორტზე შესაბამისი, ე. წ. ტოქსიკურობის ტალონის გაცემა რვა ლარი ღირს. შემოწმება ფორმალურ ხასიათს ატარებს — მთავარი ფულის გადახდაა. ერთი სიტყვით, ეს ბიზნესი საკმაოდ მომგებიანია. მონოპოლისტი ამ სფეროში შპს „ავტოეკოცენტრია", რომლის უკან პრეზიდენტის დისშვილი მოიაზრება. ბუნებრივია, მას ამ ბიზნესში კონკურენტი ფირმის არსებობა ხელს არ აძლევს, ხოლო საგზაო პოლიციის ჩინოვნიკები პრეზიდენტის დისშვილის წყენინებას ერიდებიან. მკითხველისთვის რომ ყველაფერი ნათელი იყოს, მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ შპს „რუბიკონის" ღია წერილს პრეზიდენტისადმი (სტილი დაცულია): „2001 წლიდან უშედეგოდ ვცდილობთ განვახორციელოთ სამეწარმეო საქმიანობა ავტოტრანსპორტის ეკოდიაგნოსტიკის სფეროში. ამისთვის გავვარეთ ყველა საჭირო დოკუმენტი და ხელსაწყო. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, გაუთავებელ პრობლემებს ვაწყდებით სახელმწიფო სტრუქტურებისაგან, კერძოდ კი საგზაო პოლიციის ხელმძღვანელობის მხრიდან. ამის მიზეზი ერთადერთია: ეკოდიაგნოსტიკურ საქმიანობას საქართველოში (აჭარის გარდა) ახორციელებს ერთადერთი ფირმა, რომლის ხელმძღვანელიც თქვენი დისშვილი, თემურ ბარამაშვილია... იგი მუდმივ ზეწოლას ახდენს სასამართლო ხელისუფლებაზე, რომელსაც არაერთხელ მივმართეთ ჩვენი დარღვეული უფლებების აღსადგენად. „ოჯახური ნარომმაცლობის" გამოყენებით იგი ასევე მუდმივ ზეწოლას ახორციელებს ჩვენზე, რისთვისაც ხშირად სამართალდამცავი ორგანოების გამოყენებას ცდილობს. ერთ-ერთი ასეთი ინციდენტი ჩვენთვის საკმაოდ დამთავრდებოდა, რომ არა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამომძიებო სამსახურის პრინციპულობა. ჩინოვნიკები, რომლებიც ჩვენს საქმიანობას ზღუდავენ, ვერ უარყოფენ ჩვენი პოზიციის სიმართლეს, თუმცა არსებობს ერთი გარემოება, რომელიც ჩვენთვის მართლაც „გადაულახავ რუბიკონად" გადაიქცა. ყველა ინსტანციაში ვაწყდებით პასუხს: „ხომ იცით ვისი დისშვილია?!" თქვენი დისშვილი მუდმივად სარგებლობს პრეზიდენტის სახელით... ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, მართლაც გვსურს ამ კორუფციული გარემოს შეცვლა, რომელსაც სამწუხაროდ ზოგჯერ თქვენი ნათესავი ქმნის და ნებისმიერ ინსტანციაში, ნებისმიერ ბინძური საქმის განსახორციელებლად იყენებს პრეზიდენტის სახელს. უმორჩილესად გთხოვთ, მოახდინოთ რეაგირება, ვინაიდან თქვენს ყურამდე მისი „საქმიანობის მოტანას" თვით ბარამაშვილი ნამდვილად არ გვაპატიებს, რაც ჩვენი ვარაუდით მრავალრიცხოვან პროვოკაციას და ზეწოლაში აისახება".

წერილს შპს „რუბიკონის" დირექციის სახელით ხელს აწერს ლ. დიდებაშვილი.

ჩვენ დავუკავშირდით შპს „რუბიკონის" ერთ-ერთ ხელმძღვანელს, **გოჩა ჩიხრაძეს**, რომელმაც განაცხადა: „პრეზიდენტის დისშვილის მფარველობის ქვეშ მყოფი შპს „ავტოეკოცენტრი" ავტომობილების ეკოდიაგნოსტიკის სფეროში ერთადერთ მონოპოლისტად იქცა. საგზაო პოლიცია მისი ყურმოჭრილი მონაა და რასაც უბრძანებს, იმას აკეთებინებს. როდესაც ამ სფეროში საქმიანობა გადავწყვიტეთ, შევიძინეთ საჭირო აპარატურა, საგზაო პოლიციის მითითებით, ავიღეთ ლიცენზია, თუმცა ეს საკმარისი არ იყო და საქართველოს საგზაო პოლიციის უფროსს, დავით კობახიძეს მუშაობის დაწყების უფლება ვთხოვეთ. ერთხანს საგზაო პოლიციის უფროსი ხვდებოდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, შემდეგ კი დაიწყო ჩვენი საქმიანობის ხელოვნური შეფერხება. ერთხანს საგზაო პოლიციის უფროსი თავიდან გვიცილებდა, მაგრამ ბოლოს მოსვენება არ მივეცით, ჩვენთვის მოულოდნელად ხელი მოგვიწერა. დავიწყეთ მუშაობა, მაგრამ მალე იძულებულნი გავხდით დღესაც უმიზეზოდ გვეწყვიტა საქმიანობა. მიზეზი ნათელია — პრეზიდენტის დისშვილი არ დაუშვებს ამ სფეროში კონკურენტის გამოჩენას. ჩვენი შეკითხვებისა და დაჟინებული თხოვნის შემდეგ საქართველოს ანტიკორუფციულ საბჭოში და ანტიკორუფციულ ბიუროში. მასალების შესწავლის შემდეგ ორივე ორგანიზაციამ ალი- არა ჩვენი საწარმოს შეჩერებულად იგნორირების ფაქტი".

ჩვენ მივმართეთ საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროს, სადაც ავტომობილების ეკოდიაგნოსტიკის სფეროში შექმნილი მდგომარეობის წერილობითი დასკვნა გავაცნეს. მასში ვკითხულობთ: „ანტიკორუფციულმა ბიურომ შეისწავლა შპს „რუბიკონისათვის" ტოქსიკური ტალონების გაცემის აკრძალვაზე საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს დასკვნის მართლზომიერება და შემდეგი გაარკვია: აღნიშნულ სფეროში საქმიანობა რაიმე სახის ნებართვას ან ლიცენზიას არ საჭიროებს, ხოლო თავად ამ სფეროს საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" და ასევე „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერების აუცილებელი დიაგნოსტიკური ლიცენზირების პირობებისა და მუშაობის წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება არეგულირებს. მის თანახმად, ეს საქმიანობა უნდა განხორციელდეს ცენტრალიზებული წესით და არც ერთი ნორმით დასახელებული ნორმატიული აქტი არ ზღუდავს ეკოდიაგნოსტიკურ საქმიანობას მწარმოებელი ეკონომიკური აგენტების რაოდენობას. საქმე გვაქვს როგორც ნორმატიული ბაზის ხარვეზებთან, ასევე სახელმწიფო მოხელეთა (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის) მხრიდან, სავარაუდოდ, კორუფციული ურთიერთობის ხარჯზე, მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანასთან. 2002 წლის თებერვლიდან შპს „რუბიკონმა", რომელსაც გააჩნდა შესაბამისი აპარატურა, კვალიფიციური კადრები და გავლილი ჰქონდა აკრედიტაცია სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დეპარტამენტში, არაერთხელ მიმართა საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოს თხოვნით, ჩაერთოთ „რუბიკონი" ტოქსიკურობის ტალონების გაცემის საქმიანობაში, რაზედაც მიღებულ იქნა უარი. იმავე წლის 30 ოქტომბერს „რუბიკონის" თხოვნა საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა. თუმცა ორი-სამი თვის შემდეგ საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ტელეფონოგრამით საგზაო პოლიციის ქვედანაყოფებს ისევ აკრძალეს „რუბიკონის" ტოქსიკურობის ტალონების მიღება იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი არ „აწორციელებდა" აღნიშნულ საქმიანობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოსთან არსებულ ყველა დიაგნოსტიკურ ცენტრში ვერც შპს „ავტოეკოცენტრი" მუშაობს, თუმცა ეს არ გამხდარა მათი საქმიანობის შეწყვეტის საფუძველი... საგზაო პოლიციის ხელმძღვანელობის ჩარევის შემდეგ შპს „ავტოეკოცენტრს" შექმნილი აქვს მონოპოლიური მდგომარეობა. საგზაო პოლიციის უფროსმა დავით კობახიძემ შპს „რუბიკონისათვის" საქმიანობის ამკრძალავი აქტის გამოცემისას იცოდა, რომ არღვევდა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და აკანონებდა შპს „ავტოეკოცენტრის" მონოპოლისტურ მდგომარეობას. მეტიც, მან იგნორირება გაუკეთა სახელმწიფოში ამ კუთხით ერთადერთი კომპეტენტური ორგანოს — ანტიმონოპოლიური სამსახურის — მითითებას. ამ საქმის თაობაზე რამდენჯერმე წერილობით იქნა ინფორმირებული შს მინისტრის მოადგილე, გენერალური პროკურატურა და შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია, თუმცა მათი მხრიდან რაიმე ქმედითი ღონისძიება არ გატარებულა...".

„ავტოეკოცენტრს" ჩვენი სტუმრობა არ გაჰკვირვებია — მათ უკვე იცოდნენ პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილი ღია წერილის არსებობის შესახებ. შპს „ავტოეკოცენტრის" გენერალური დირექტორის, **გენო არჩაიას** განცხადებით: — „ავტოეკოცენტრი" ერთადერთი ფირმაა საქართველოში, რომელიც ტოქსიკურობის ტალონს გასცემს. ამ საქმეში უზარმაზარი ფული გვაქვს ჩადებული. სახლები გავყიდეთ შესაბამისი აპარატურის შესაძენად, „რუბიკონს" კი ვიღაცამ ორი დანჯღრეული აპარატი აჩუქა და უნდა ბაზარი გავუყოთ. ეგრე სად არის?! იქნებ მეც მინდა „კოკა-კოლას" ჩამოსხმა, მაგრამ ამისთვის თემურ ჭყონიას უნდა ვუჩივლო? შეიძლება დამრთოს კიდეც ნება, მაგრამ თუ სათანადო მოწყობილობა არ მექნა, რას ჩამოვასხამ? ასეა „რუბიკონიც" — ორი აპარატით საქმე არ კეთდება.

**— თუ ორი აპარატი ჰქონდა, ღირდა კი ამისთვის თქვენი მხრიდან ასეთი ამბის ატეხა, ისინი ხომ ბაზარზე ზემოქმედებას ვერ მოახდენდნენ?!**

— დიაგნოსტიკური ობიექტების უმრავლესობა წამგებიანია. „რუბიკონს" მხოლოდ მომგებიან დიაგნოსტიკურ ცენტრებში უნდოდა შესვლა. ათი ათასი ცალი ტოქსიკურობის ტალონი ჩვენგან გადაბეჭდა და მომგებიან ობიექტებშიც შევიდა, ჩვენ კი შემოსავლების გარეშე დავრჩით...

საუბარი პრეზიდენტის დისშვილმა **თემურ ბარამაშვილმა** გააგრძელა: — „რუბიკონმა" ერთ-ერთი ჩვენი დიაგნოსტიკური ცენტრის ოპერატორს 800 ლარი გამოსძალა და გაიტაცა. არადა, ის ფული ბიუჯეტში უნდა შეგვეტანა. გავიდა სამი თვე და ფული არ დაუბრუნებიათ. რამდენჯერმე ტელეფონით შევეხმიანეთ, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. იძულებული გავხდით, მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო სამსახურის უფროსის სახელზე განცხადება დაგვეწერა. შეშინდნენ „რუბიკონის" ხელმძღვანელები და, როგორც იქნა, 800 ლარი დააბრუნეს. ვუთხარი, ჩემთან რატომ მოგაქვთ, ეგ ფული გამომძიებელთან მიიტანეთ და თქვენც იქ მიბრძანდით-მეთქი. მას შემდეგ ვინ აღარ დამირეკა. რა მექნა, მივედი გამომძიებელთან და ვთხოვე, ნუ დალუპავთ გოჩა ჩიხრაძეს, ახალგაზრდა კაცია, ორი შვილის მამა და ავადმყოფი მშობლების პატრონი-მეთქი. ახლა კი, ხედავთ, როგორ შემომიტრიალდნენ, მადლობის მაგიერია? ამ ხალხს აურზაური ხელს აძლევს — აი, პრეზიდენტის დისშვილი რას აკეთებსო. უკანონოს არაფერს ვაკეთებ და არც არასდროს გამიკეთებია. ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ნათესავები ჰყავდეს? მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: თუ ვინმე დამიმტკიცებს, რომ თუნდაც ერთი თეთრი მაქვს მითვისებული ბიუჯეტიდან, ჩემი ფეხით წავალ ციხეში. „რუბიკონის" ხალხმა კი, რაც სურს, ის ჯღაბნოს, ჩემზე არ მოქმედებს.

**— პრეზიდენტზე?**

— იგი კარგად მიცნობს, იცის როგორი კაციც ვარ. ამიტომ არც პრეზიდენტზე მოქმედებს მათი ცილისწამება. რაკი პრეზიდენტის დისშვილი ვარ, საქმე არ უნდა გავაკეთო? მიკვირს, მე, პრეზიდენტის ოჯახის წევრს, რომ ამდენი წინააღმდეგობა შემხვდება, სხვა როგორღაააწყობს საქმეს.

**— რას გულისხმობთ?**

— დასამალი არაფერი მაქვს. ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი, კახა უგულავა დგას „რუბიკონის" უკან. მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტს ყურები გამოუჭედა, თითქოს „ავტოეკოცენტრი" მონოპოლისტი და კორუმპირებული ფირმაა. მან არც კი იცის, რა არის მონოპოლისტობა და კორუმპირებულობა. ვთხოვე უგულავას, მობრძანდით და ყველაფერი შეამოწმეთ-მეთქი. მე არ მომისმინა, „რუბიკონის" ადვოკატისთვის კი მოიცალა. უგულავას კარგად ვიცნობ — მასზე ბევრი რაღაცა ვიცი. ყველამ თავის თავს მიხედოს. ყველას გვაქვს ნერვები, ერთი ბიძაჩემი არ ნერვიულობს. თავს არავის არ დავაჩაგვრინებ. „რუბიკონის" ხალხი თავის დროზე პასუხისგებაში უნდა მიმეცა. თავი შემაცოდეს ავადმყოფი მშობლებით, მერე გავიგე, თურმე მშობლებს სულ არ ნახულობენ. ამას წინათ შემომითვალეს, ერთმანეთს კიკვიძის ბაღში შევხვდეთო. რა მინდა კიკვიძის ბაღში?! ოფისი მაქვს და იქ მოვიდნენ...

**ჩვენ საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოსაც ვთხოვეთ ეკოდიაგნოსტიკის სფეროში შექმნილ მდგომარეობაზე კომენტარი. ჩვენს თხოვნას სამმართველოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი რუბენ ფერაძე გამოეხმაურა. მისი განცხადებით:**

— რატომ შეუწყვიტა პოლიციამ „რუბიკონს" ლიცენზია, გასარკვევია. იქნებ ამ ფირმას ისეთი დარღვევები ჰქონდა, რომ მისი საქმიანობის გაგრძელება დაუშვებელი იყო.

**— მაგრამ ანტიკორუფციულმა ბიურომ „რუბიკონის" მუშაობაში ასეთი რამ ვერ აღმოაჩინა. პირიქით, საგზაო პოლიცია დაადანაშაულა კანონის იგნორირებაში.**

— ანტიკორუფციული სამსახური ცოტა ტენდენციურიცაა. ხომ ამბობს პრეზიდენტი, თუ დამნაშავე იქნება, ჩემი ძმისშვილიც დასაჯეთო (აქ რუბენ ფერაძე ნუგზარ შევარდნაძეს გულისხმობს. — ზ.ჩ.), მაგრამ არ მიდიან პრეზიდენტის ძმისშვილამდე, ერიდებიან. არ ჰყოფნით საამისო გამბედაობა...

როდესაც ანტიკორუფციული ბიუროს თანამშრომლებს პრეზიდენტის დისშვილის განცხადება გავაცანით, ანტიკორუფციული ბიუროს სამართალდამცავ ორგანოებთან მუშაობის ექსპერტმა **ანდრო გოცირიძემ** განაცხადა: „აბსურდული განცხადებაა, თითქოს ანტიკორუფციული ბიუროს მდივანი ან მისი რომელიმე წევრი ვინმეს ინტერესებს ლობირებდეს. ჩვენი მოთხოვნა კანონის ზედმიწევნით დაცვაა ნებისმიერი ადამიანისა და ორგანიზაციის მიერ, იქნება იგი პრეზიდენტის დისშვილი თუ რიგითი მოქალაქე. რაც შეეხება საქართველოში ავტომობილების ეკოდიაგნოსტიკის სფეროში არსებულ მდგომარეობას, აქ ერთი ან ორი ფირმა კი არ უნდა საქმიანობდეს, არამედ ოთხი და ხუთიც... პრეზიდენტის დისშვილმა კი ბიძამისთან გაარკვიოს, დამნაშავეა თუ არა, რადგან არსებობს ჩვენს დასკვნაზე პრეზიდენტის რეზოლუცია შემდეგი შინაარსით: „ამ მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საგზაო პოლიციაში დაკანონებულია კორუფცია და მასიური გამომძალველობა. დაუყოვნებლივ შეუდექით ამ პრობლემის შესწავლა-რეაგირებას".

ახლა საქმე სამართალდამცველებზეა. ეყოფათ კი ამ საქმის რეალურად შესასწავლად და რეაგირებისთვის გამბედაობა?

P. S. დიახ, ბევრ დიდჩინოსანს პრეზიდენტის ოლიგარქი ნათესავების უკანონო საქმიანობის გამოსააშკარავებლად გამბედაობა არ ჰყოფნის. ალბათ იმიტომ, რომ ისინი თვითონაც კორუმპირებულნი არიან და „სითამამე" ძვირად დაუჯდებათ.

P. P. S. გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, რომ თანამდებობიდან გადადგა საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი დავით კობახიძე და ამის მიზეზად ანტიკორუფციულ საბჭოსთან დაპირისპირება დაასახელა.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

> „უკანონოს არაფერს ვაკეთებ და არც არასდროს გამიკეთებია. ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ნათესავები ჰყავდეს? მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: თუ ვინმე დამიმტკიცებს, რომ თუნდაც ერთი თეთრი მაქვს მითვისებული ბიუჯეტიდან, ჩემი ფეხით წავალ ციხეში. რაკი პრეზიდენტის დისშვილი ვარ, საქმე არ უნდა გავაკეთო?"

> „პრეზიდენტის დისშვილის მფარველობის ქვეშ მყოფი შპს „ავტოეკოცენტრი" ავტომობილების ეკოდიაგნოსტიკის სფეროში ერთადერთ მონოპოლისტად იქცა. საგზაო პოლიცია მისი ყურმოჭრილი მონაა და რასაც უბრძანებს, იმას აკეთებინებს"...

> „ბიძამისთან გაარკვიოს, დამნაშავეა თუ არა, რადგან არსებობს ჩვენს დასკვნაზე პრეზიდენტის რეზოლუცია შემდეგი შინაარსით: „ამ მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საგზაო პოლიციაში დაკანონებულია კორუფცია და მასიური გამომძალველობა. დაუყოვნებლივ შეუდექით ამ პრობლემის შესწავლა-რეაგირებას".

# შევარდნაძეს ხალხის სიყვარულში მოზიარე არ სჭირდება...

## რაში ეხმარება ლევან მამალაძეს აკვალანგისტობა?

შევარდნაძის მყუდრო სავანეში სიმშვიდე დაირღვა, ვერც „სამოთხის ჩიტებზე" იტყვით, ძველებურად უზრუნველნი ჩანანო. სახელისუფლებო ბლოკში ვაჟა ლორთქიფანიძის გამოჩენამ წინასაარჩევნოდ დაწყობილი კარტები არია. მისმა პერსონამ ხელისუფლების ბანაკს ძველებური „სიამტკბილობა" დააკარგვინა — იქ, კანცელარიის კულუარებში, დაუნდობელი ძიძგილაობა შეიქნა და აი, რატომ: ლორთქიფანიძე ხელისუფლებაში მარტო არ მისულა, თან თავისი ხალხი მიიყოლა და, შესაბამისად, სახელისუფლებო ულუფიდან წილი მათთვისაც მოითხოვა. უკვე განაწილებული კვოტების ხელახალი გადანაწილების პროცესი კი განხეთქილებამდე მივიდა. საპარლამენტო სკამებზე მონოპოლია აქამდე ჯორბენაძეს, მამალაძესა და ზოდელავას ჰქონდათ (რა თქმა უნდა, პრეზიდენტის შემდეგ) და ლორთქიფანიძის „წილში შესვლა" არც ერთს არ გახარებია. სკანდალი თბილისის მერმა, ვანო ზოდელავამ გაამჟღავნა, როცა თანაგუნდელებს ხელთათმანი გადაუგდო, — თუ მაგრები ხართ, მაჟორიტარებად იყარეთ კენჭიო. ეს აშკარა გამოწვევა და საკუთარი უპირატესობის წარმოჩენის მცდელობა იყო, რამაც „მეგობრები" აშკარად არ გაახარა.



ამბობენ, პარტიული სიების შეჯერებისას ერთმანეთის „დაჭმის" პროცესი სახელისუფლებო გუნდში ლამის ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა (პრეზიდენტი საქართველოში არ იყო, თორემ ასეთ სითამამეს მისი თანდასწრებით ვერ გაბედავდნენ) — რჩეულიშვილი ზოდელავას ველარ იტანს, ზოდელავა ჯორბენაძეს, ჯორბენაძე მამალაძეს და ყველა ერთად კი — ლორთქიფანიძესო. ასეა, ამბიციური ლიდერები საკუთარი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად იბრძვიან და სხვათა ამბიციურობას ვერ ეგუებიან. მათი სისუსტით კი ერთი კაცი, პრეზიდენტი ხეირობს. საზოგადოდ, შევარდნაძეს დაპირებები უყვარს, ოღონდ ისეთი, რომ დაგპირდება და აღარ აგისრულებს. და თუ ჭკუა გაქვს, არც უნდა შეახსენო. ამბობენ, პრეზიდენტი წინასაარჩევნოდ „თავის ბიჭებს" ბევრ რამეს ჰპირდებაო. ამიტომაც აერიათ მისიანებს თავგზა. მაგალითად, ვახტანგ რჩეულიშვილმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გადამრჩენის როლი (პრეზიდენტის ქებამ გადარია) ისე გაითავისა, რომ პარტიულ სიაშიც აღარ ეწერება და დაუფარავად აცხადებს — დეპუტატის სტატუსი ხუთი ზომით პატარა ფეხსაცმელივით მიჭერსო... ცხადია, რჩეულიშვილს უკვე „ფრთები", სივრცე და სიმაღლე უნდა... ეს „სიმაღლე" კი აღმასრულებელ ხელისუფლებაში ზურგმაღალი სავარძელი უნდა იყოს.

> ითქვა, — პარლამენტში მიწვევით, შევარდნაძემ მამალაძე ოსტატურად გააუვნებლა — ამბიციურ გუბერნატორს სპიკერობას დაჰპირდა, მაგრამ ამ დაპირების ასრულებამდე ბევრი წყალი ჩაივლის, მამალაძეს კი რიგითი პარლამენტარის მანდატი შერჩებაო.

პრეზიდენტის დაპირებით თავბრუდახვეული მამალაძე ცხრა წლის შემდეგ ქვემო ქართლის ორბიტას მოსწყდა. ფაშად შერაცხული გუბერნატორი თბილ, შემოსავლიან სავარძელს უკეთესის მოლოდინით თმობს. მამალაძე მიდის, რათა დაბრუნდეს. უფრო სწორად კი, დიდ პოლიტიკაში დარჩეს და უფრო სახეირო ადგილზე ამოყვინთოს. ექსგუბერნატორის ამ ჩანაფიქრს უნებლიეთ დაცდენილი ფრაზა — „სულ კი არ მივდივარო" — ამხელს. დიახ, მამალაძე მიდის და თან რჩება. შემცვლელად „სანდო კაცს" ირჩევს, რომელმაც იცის, რომ კეთილისმყოფლის ნებას არ უნდა გადავიდეს. დიახ, საქმეში უკვე გამოცდილი კობიაშვილი ამ ნიშნით შეირჩა და ალბათ გაამართლებს...

„ფეხზე დაგიდგები, ჩემო საქართველო..." ასე უმღეროდნენ უწინ სამშობლოს. ამჯერად მომღერალ (კონსერვატორიადამთავრებულ) კობიაშვილს არ უმღერია — ფეხზე წამოვუდგეთ დიდ, ჭეშმარიტ ქართველსო — მიმართა მამალაძის პატივსაცემად დარბაზს. იმ დღეს მამალაძეს ფეხზე წამოუდგა, ტაშიც დაუკრა და ქედიც მოუხარა ყველამ, მხოლოდ ერთის, მასზე უფრო „დიდი გურულის", ავთო ჯორბენაძის გარდა. მეკუთვნოდა კიდეც ასეთი გაცილებაო, — იფიქრა ყოფილმა რწმუნებულმა და რამდენიმე წლის წინ მხედრიონელების მიერ გატეხილ თავზე თავმომწონედ შეივლო ხელი... გამოცდა „ქვემო ქართლი" მამალაძემ არცთუ სახელოვნად, მაგრამ მაინც ჩააბარა. ქართული პოლიტიკის „დამპატიჟეს" ახლა სხვა ადგილას, საქართველოს პარლამენტში ეპატიჟებიან. შევარდნაძის კარზე ბევრს არ მოეწონა მისი ხმაურიანი გამოცილება. ამბობენ, პრეზიდენტისთვის მისატანი ცხელ-ცხელი ამბები მაშინვე გამოაცხვეს კანცელარიაშიო. ალბათ, პრეზიდენტიც ეტყვის, — რა საჭირო იყო ასეთი პომპეზურობაო. პომპეზურობა და რევერანსები „მსოფლიოში ყველაზე დიდ გურულს" მაშინ უყვარს, როდესაც მას უძღვნიან და არა — მის ქვეშევრდომებს. პრეზიდენტს სწადია ქართველების სულსა და გულს თავად ათრთოლებდეს და არა — სხვა. ედუარდ-გიორგის ხალხის სიყვარულში მოზიარე არ სურს, არ სჭირდება. ქართველი ხალხის სიყვარულში მოცილეების ადგილი მტრების ან სულაც ოპოზიციის ბანაკშია და არა მის გვერდით.

ამბობენ, შევარდნაძე მამალაძის გაძლიერებას კარგა ხანია იჭვით უყურებს და არც ის მოსწონს, მოღონიერებულმა გუბერნატორმა „თათი" სამცხე-ჯავახეთსაც რომ დაადოო. გაგუბერნატორებული კვარაცხელია, ცხადია, მამალაძეს ვალში არ დარჩება, ამაგს სიკეთით გადაუხდის, მაგრამ სჭირდება პრეზიდენტს („დაყოფე და იბატონეს" იდეის მიმდევარს) მამალაძე-კვარაცხელიას სიამტკბილობა, ან კიდევ ისეთი ხელქვეითი, რომელიც უკვე ორ უზარმაზარ და უმდიდრეს რეგიონს დაუხმარებლად აკონტროლებს? ცხადია, არა... ამიტომაც ითქვა, — პარლამენტში მიწვევით, შევარდნაძემ მამალაძე ოსტატურად გააუვნებლა — ამბიციურ გუბერნატორს სპიკერობას დაჰპირდა, მაგრამ ამ დაპირების ასრულებამდე ბევრი წყალი ჩაივლის, მამალაძეს კი რიგითი პარლამენტარის მანდატი შერჩებაო.

რას იზამს მამალაძე? პროგნოზირება ჯერ ძნელია. ამბიციურ პოლიტიკოსს აქამდე პოლიტიკის მღვრიე ტალღებში ცურვას ჰობი — აკვალანგისტობა უადვილებდა. წყალქვეშა დინებების გამოცნობა, საჭირო ადგილზე ჩაყვინთვა და დროულად ამოყვინთვაც მამალაძეს არ გასჭირვებია. დიახ, ჰობი ეხმარებოდა... ისე, ამბობენ, მამალაძეს სხვა ჰობიც აქვს, — ნიანგებზე ნადირობაო. საინტერესოა, ვის შეეჭიდება „ნიანგისტყაოსანი" ახალგაზრდა პოლიტიკოსი? სანამ ოპოზიციის დრო დადგება, ალბათ, ჯერ ისევ თავისიანებს...

***მარი ზანდუკელი***

# ვინ სად იყრის...

***საქართველოში 75 მაჟორიტარული ოლქია და, როგორც წესი, ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლები იქ მაჟორიტარობის მაძიებელთა შორის იმართება ხოლმე. მაჟორიტარობის მსურველებს ოქტომბრის ბოლომდე შეუძლიათ ცესკოში რეგისტრაციის გავლა და ამიტომაც ზოგიერთი პარტია სტრატეგიული მოსაზრებიდან გამომდინარე, თავისი მაჟორიტარების ვინაობის გამხელისაგან, რბილად რომ ვთქვათ, თავს იკავებს. არადა, ინტერესი დიდია. საზოგადოება სულაც არ უყურებს გულგრილად იმ საკითხს, თუ ვინ აპირებს მომავალ პარლამენტში მის ბედიღბალზე „ზრუნვას". მიუხედავად იმისა, როომ ცესკოში მაჟორიტარ კანდიდატებზე, ჯერჯერობით, ოფიციალური ინფორმაცია არა აქვთ, საკუთარი ძალებით მოვიძიეთ და მკითხველს თბილისის ცალკეულ ოლქებში (დედაქალაქში სულ 10 საარჩევნო ოლქია) მაჟორიტარობის მსურველთა სიას (ანბანის მიხედვით) ვთავაზობთ.***

### მთაწმინდა

„ახალი საქართველოსთვის" — **ზურაბ ბიბილეიშვილი,**
„ახლები" — **ვახტანგ ხმალაძე,**
„ბურჯანაძე-დემოკრატები" — **გიგი წერეთელი,**
ლეიბორისტები — **რევაზ ჩხიკვიშვილი,**
„ნაციონალები" — **გია თორთლაძე,**
დამოუკიდებელი კანდიდატი — **მამა როსტომი (ლორთქიფანიძე);**

### ვაკე

„ახლები" — **ლევან გაჩეჩილაძე,**
ლეიბორისტები — **ედიშერ კვესიტაძე,**
„ნაციონალები" — **მაია ნადირაძე;**

### საბურთალო

„ახლები" — **რევაზ შავიშვილი,**
„ბურჯანაძე-დემოკრატები" — **ზურაბ ჟვანია,**
ლეიბორისტები — **ჯონდი ბაღათურია,**
„ნაციონალები" — **გივი თარგამაძე;**

### ნაძალადევი

„აღორძინება" — **გელა ნიორაძე,**
„ახალი საქართველოსთვის" — **მერაბ სამადაშვილი,**
„ახლები" — **ზვიად ჩოხელი,**
ლეიბორისტები — **გოდერძი ჩოხელი;**

### ისანი

„აღორძინება" — **რეზო ბასილაშვილი,**
„ახალი საქართველოსთვის" — **გიორგი ყარყარაშვილი,**
„ბურჯანაძე-დემოკრატები" — **დავით ჭიჭინაძე,**
ლეიბორისტები — **ვალერი ბაქრაძე;**

### სამგორი

„ახალი საქართველოსთვის" — **პანტიკო თორდია,**
„ახლები" — **ირაკლი შიხიაშვილი,**
„ბურჯანაძე-დემოკრატები" — **მიხეილ მაჭავარიანი,**
ლეიბორისტები — **ლეილა ჩქარეული,**
„ნაციონალები" — **გიორგი არველაძე;**

### დიდუბე

„ახლები" — **დათო კოლუაშვილი,**
„ახალი საქართველოსთვის" **მანანა ნიკოლეიშვილი,**
„ბურჯანაძე-დემოკრატები" — **გია ბარამიძე,**
ლეიბორისტები — **ჯემალ მარგველიძე,**
„მრეწველები" — **ზურაბ ვაშალომიძე,**
დამოუკიდებელი კანდიდატი **ირაკლი წერეთელი;**

### გლდანი

„აღორძინება" — **ანზორ აბრალავა,**
„ახალი საქართველოსთვის" — **გურამ შარაძე,**
„ახლები" — **თემურ გოცირიძე,**
„ბურჯანაძე-დემოკრატები" — **ელენე თევდორაძე,**
ლეიბორისტები — **გიორგი გუგავა,**
„ნაციონალები" — **კობა დავითაშვილი;**

### კრწანისი

„აღორძინება" — **თამაზ დაუშვილი,**
„ახლები" — **თამაზ ჭეიშვილი,**
ლეიბორისტები — **სოსო შატბერაშვილი,**
„ნაციონალები" — **პეტრე ცისკარიშვილი,**
დამოუკიდებელი კანდიდატი — **გია გეწაძე;**

### ჩუღურეთი

„აღორძინება" — **ანზორ ლობჟანიძე,**
„ახალი საქართველოსთვის" — **ზეზვა ღუღუნიშვილი,**
„ახლები" — **კოკა გუნცაძე,**
ლეიბორისტები — **პაატა ჯიბლაძე,**
„მრეწველები" — **ლევან პირველი,**
„ნაციონალები" — **ბესო ჯუღელი.**

*როგორც ხედავთ, ჩამონათვალში „ერთობისა" და „სახალხო პარტიის" წარმომადგენლები არ არიან. იმიტომ, რომ მათ შესაძლო გაერთიანებაზე კვირის ბოლომდე კონსულტაციები მიმდინარეობდა. ისინი საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ დაასახელებენ მაჟორიტარობის კანდიდატებს.*

***იზო რიკაძე***

# „მორცხვად თვალების დახრას არ ვაპირებთ..."

არჩევნებზე ცალკე მისვლას პარტიათა უმრავლესობამ დაბლოკება არჩია. „მარტოხელა მგლობა" მხოლოდ ერთეულებმა გაბედეს. „ნაციონალებისა" და ლეიბორისტების რისკი ასე თუ ისე გასაგებია, ისინი რეიტინგებში ერთმანეთს ტოლს არ უდებენ (აქ ალბათ მათი ლიდერების ბუნებაცაა გასათვალისწინებელი), მაგრამ მოულოდნელი იყო რისკიანთა შორის პრაგმატული და ანგარიშიანი „მრეწველების" გამოჩენა. რაკი „მრეწველებისა" და „ახლების" გაერთიანებაზე ლაპარაკი უშედეგოდ დასრულდა, თოფაძის გუნდი მარტო დარჩა. ისინი არჩევნებზე ცალკე მიდიან. იქნებ მეწარმეებს პოლიტიკურმა ალღომ უღალატათ?! მაინც რისი იმედით ერთვებიან დაუნდობელ საარჩევნო მარათონში „მრეწველები", ამის გარკვევა მრეწველთა ერთ-ერთ ლიდერთან, **ზურაბ ტყემალაძესთან** ვცადეთ.

— წინა საპარლამენტო არჩევნების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ბლოკს სიკეთე კი არა, ცუდის მეტი არაფერი მოაქვს.

**— „ახლებთან" რატომ ვერ გაერთიანდით, ის ხომ იდეოლოგიურად თქვენი მონათესავე პარტიაა.**

— იყო ლაპარაკი გაერთიანებაზე, მაგრამ ბოლოს მაინც დამოუკიდებლობა ვარჩიეთ. რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, თუ მემარჯვენე პარტიები გაერთიანდებიან, მაგრამ „ახლები" ყოველთვის ამბობდნენ, ჩვენ „სხვა მენტალიტეტი" გვაქვსო, რაკი ასეა და მთავარი „მენტალიტეტია", ჩვენ ცალკე დავრჩით.

**— მარტო არჩევნებზე გასვლას ბევრი უფრთხის და თქვენ ვერ ხედავთ ბარიერს მიღმა დარჩენის საფრთხეს?**

— მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია. ცნობილი გამოთქმაა, შამპანურს რისკიანი ხალხი სვამსო. მერწმუნეთ, 7%-იანი ბარიერი ჩვენთვის პრობლემა არ არის, აი, ნახავთ, 15%-საც გადავლახავთ.

**— ბლოკის იდეა თვით ხელისუფლებამაც არ უარყო, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ რესურსსაც ფლობს...**

— ხელისუფლებაში ბლოკს ვერ ვხედავ, ვერცხლისწყალი რომ დაანაწევრო და მერე ისევ შეკრა, სწორედ ისეთი რამ მოხდა იქ. როგორ შეიძლება სახელისუფლებო ბლოკისაგან „აბრეშუმის გზის" ან მეგზეურების, ავტომობილისტებისა და მშენებლების გამიჯვნა. ესენი ერთი ორგანიზმის ნაწილები არიან.

**— თქვენი შარაძეც ხელისუფლებასთან რომ წავიდა, არ გწყენიათ?**

— შარაძე „ჩვენი" არ არის. რაკი ბლოკის შექმნაზე უარი ვთქვით, მანაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო.

**— ამბობენ, „მრეწველები" არჩევნებზე თავიანთ საწარმოებში მომუშავეთა იმედით მოდიანო...**

— რა თქმა უნდა, გვაქვს ამ ხალხის იმედი. ასევე გვაქვს მათი იმედიც, რომლებსაც სჯერათ, რომ მომავალში დავასაქმებთ, რომელთაც ქართული ორიენტაცია აქვთ და რუსულ-ამერიკულისკენ არ იხრებიან. არჩევნებზე ჩვენს ამომრჩეველთან ერთად მივდივართ. ამიტომაც არ ვინდომეთ პოლიტიკოსებთან ბლოკების შექმნა.

**— სხვა ოპოზიციურ პარტიებს თქვენზე მაღალი რეიტინგი აქვთ.**

— შიში ვერ იხსნის სიკვდილსა... არაფრისა და არავისი არ გვეშინია...

**— შევიტყვეთ, სამტრედიაში თქვენი პარტიის წარმომადგენელს იგორ გიორგაძის რეგისტრაციისთვის დაუჭერია მხარი. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მის მიმართ სიმპათია გაქვთ?**

— ის ჩვენი პარტიის წარმომადგენელი კი არა, ჩვენი პარტიიდან დანიშნული კომისიის წევრია. მას ჰქონდა უფლება, დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება. მან მიიჩნია, რომ გიორგაძის რეგისტრაცია კანონიერად მოხდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კომისიის წევრი „მრეწველთა" პოზიციას გამოხატავდა.

**— ჩუღურეთში „მრეწველებმა" ლევან პირველის კანდიდატურა წარადგინეთ, რომლის სახელსაც რამდენიმე გახმაურებული სკანდალი უკავშირდება. არ გიქმნით ეს ფაქტი უხერხულობას?**



— არა, ლევან პირველის სახელი რამდენიმე სკანდალთან გამიზნულად დააკავშირეს, ყველაფერი ეს ხელოვნურად იყო აგორებული. მას ბევრი ებრძოდა და დღესაც ებრძვის, მაგრამ ვფიქრობ, ვერ მოერევიან. ჩუღურეთში კენჭისყრა იმიტომ გადაწყვიტა, რომ ამ უბანში აქვს ახალგაზრდობა გატარებული, იქ ბევრი მეგობარი ჰყავს. ჩუღურეთი კიდევ იმიტომაც აირჩია, რომ იქ ბოლოს და ბოლოს სვანეთის უბანია. სვანი კაცისთვის ეს პატარა საქმე არ არის (იცინის)...

**— პრეზიდენტი ოპოზიციასთან შეხვედრას აპირებს. „ნაციონალებისა" და ლეიბორისტების მსგავსად, თქვენც უარს ხომ არ იტყვით მასთან დიალოგზე?**

— პრეზიდენტი მხოლოდ სახელისუფლებო ბლოკის საკუთრება არ არის და თუ მან მოინდომა ოპოზიციასთან შეხვედრა, აუცილებლად შევხვდებით. შორიდან ლანძღვა ჩვენი საქმე არ არის, სათქმელს პირისპირ შეხვედრისას ვეტყვით.

*გაგრძელება იხ. გვ. 11*

# „გრანტიჭამიობა“ გრიფით „საიდუმლო“



## კონტროლის პალატამ თავდაცვის სამინისტროში იმას „მიაგნო“, რაც ორი წლის წინაც „ცხელი“ იყო

კონტროლის პალატამ, თავდაცვის სამინისტროში განხორციელებული რამდენიმეთვიანი მოკვლევის შედეგად, აღმოაჩინა სერიოზული დარღვევები, რომლებიც უცხოური დახმარებებით, მათ შორის გრანტებით შემოსული მატერიალური ფასეულობების არასწორ აღრიცხვასა და გამოყენებას შეეხებოდა. გაერთიანებული პრეზიდიუმის სხდომაზე ეს მასალები სასწრაფოდ გაასაიდუმლოეს თავდაცვის უწყების სპეციფიკისა და უცხოელი პარტნიორების თხოვნის საფუძველზე. ისინი, შემდგომი სერიოზული მოკვლევისთვის, თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაეცემა. თავდაცვის მინისტრმა თავის მოკლე კომენტარში განაცხადა, — თავდაცვის სამინისტროსთვის გრანტები ჯერ კიდევ უცხო ხილია და ამიტომაც ჭირს აღრიცხვიანობის მოწესრიგებაო.

კეთილი და პატიოსანი. თუმცა, ნათქვამია, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. კონტროლის პალატას დღეს ამერიკა არ აღმოუჩენია. იგივე დარღვევები, ანუ უცხოური გრანტების მიღების სრულყოფილი აღრიცხვიანობის არარსებობა სამინისტროში ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაფიქსირდა.

2001 წელს, საქართველოს პრეზიდენტის — სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარმა სამხედრო ინსპექციამ ჩაატარა შემოწმება საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ გაწეული მატერიალური დახმარებების გამოყენების შესაფასებლად და პრეზიდენტისთვის წარსადგენად. ჯერ კიდევ მაშინ დადგინდა, რომ 1999-2000 წლებში შემოსული უცხოური დახმარებების ლომის წილი საერთოდ არ იყო აღრიცხული სამინისტროში, ხოლო ზოგიერთი ფასეული ნივთი კი გამქრალი იყო სამხედრო ნაწილებიდან (მიღებული გრანტების სათანადო დონეზე აღურიცხავობა ხელმრუდეებს მათი მთლიანად ან ნაწილის აწაპნის შესაძლებლობას აძლევთ).

მაგალითად, საბერძნეთის მიერ ნაჩუქარი კატარღიდან („ივერია“) უგზო-უკვლოდ გაქრა 23 დასახელების მყვინთავის აღჭურვილობა და 75 სხვადასხვა დანიშნულების ქონება. თავდაცვის სამინისტროს სანივთე სამმართველოში 57 დასახელების 367 ათასი დოლარის ღირებულების ქონება არ იყო აღრიცხული, გერმანელების ნაჩუქარი 6 „ფოლკსვაგენის“ სამხედრო ჯიპიდან აღრიცხული მხოლოდ ორი იყო. მოგვიანებით მათთვის 38 ათასი გერმანული მარკის საერთო ღირებულების სათადარიგო ნაწილების 6 კომპლექტი ჩამოვიდა, მაგრამ ისინი არათუ არ იქნა აღრიცხული, არამედ მათი მიღების შესახებ საბუთებიც არსად ჩანს.

ეს იმ პერიოდში იმით აიხსნა, რომ თავდაცვის სამინისტროში არ არსებობდა შესაბამისი სტრუქტურა და პასუხისმგებელი პირი, ვინც ცენტრალიზებულად აღრიცხავდა უცხოური გრანტებით შემოსულ დახმარებებს. ზოგჯერ ასეთი დახმარებები თავდაცვის სამინისტროში აღურიცხავად, პირდაპირ სამხედრო ნაწილში მიზანმიმართულად მიდიოდა; ამასთან, ხშირად მიღება ხდებოდა ცალმხრივი აქტებით და არ არსებობდა მომწოდებელი მხარის მიერ დატოვებული დოკუმენტაცია.

მას შემდეგ ორი წელი გავიდა. თავდაცვის სამინისტროში პასუხისმგებელი პირიც დაინიშნა უცხოური გრანტების აღსარიცხად, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმეს ბევრი ვერაფერი ეშველა და ალბათ არც ეშველებოდა, რადგან უცხოური გრანტები, თუნდაც არაფულადი სახით, ძალიან მსუქანი ლუკმაა და ბევრი მაღალჩინოსანი არ არის დაინტერესებული მათი სრულყოფილი აღრიცხვით (ეს მარტო თავდაცვის სამინისტროს არ ეხება).

გრანტების მიღებასა და აღრიცხვიანობასთან დაკავშირებულმა დარღვევებმა არა გვგონია, აღაფრთოვანოს უცხოელი პარტნიორები; ამის შემდეგ, ვიდრე გრანტების ახალ ულუფას მიაწოდებენ ქართველ გენერლებს, ისინი ალბათ ჯერ კარგად დაფიქრდებიან.

ისე, ყოველივე ამის უკან კიდევ ერთი საინტერესო დეტალი იმალება — გრანტების აღურიცხავობით თვით მომწოდებელი მხარის ზოგიერთი წარმომადგენელიც შეიძლება იყოს დაინტერესებული. მავანთ უკვე კავშირი გააბეს საჭირო ქართველ გენერლებთან, დევიზით — „ხელი ხელს ბანს“; სავარაუდოა, რომ ამ გრანტებიდან ხეირს ორივე მხარე ნახულობს.

# თურმე ამა ქვეყნის ძლიერნიც უფრთხიან „ნემსებს“...

## პუტინის ვერტმფრენის ჩამოგდებას ალბათ საქართველოს დააბრალებენ, თუ იგი...

გასულ კვირას იალტაში გამართულ დსთ-ის ქვეყნების პირველ პირთა შეხვედრაზე, გარდა მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემებისა, კიდევ ერთ საკითხზე ისაუბრეს, რომელიც, ეტყობა, ძალიან აწუხებთ პრეზიდენტებს.

მოლაპარაკებები შეეხება გადასატანი საზენიტო კომპლექსებით ვაჭრობაზე კონტროლს დსთ-ის ქვეყნებში; ანუ თვით პრეზიდენტებმაც უკვე იგრძნეს ის დიდი საშიშროება, რაც მათ, უფრო ზუსტად კი, მათ თვითმფრინავებს და შვეულმფრენებს მოელით იმ „სტრელების“, „იგლებისა“ თუ „სტინგერებისაგან“, რომლებიც შეიძლება ტერორისტებს ჩაუვარდეთ ხელში.

სომხეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი მაშინვე დაეთანხმნენ პრეზიდენტ პუტინის მოთხოვნას „ნემსების“ რუსების მხრიდან კონტროლზე, უკრაინამ ყოყმანი დაიწყო, საქართველომ კი კვლავ გააბრაზა რუსეთი.

— ჯერ გვითხარით, რა რაოდენობის „ნემსები“ გააჩნიათ რუსულ სამხედრო ბაზებსა და სამშვიდობო ძალებს საქართველოში და მხოლოდ შემდეგ ვილაპარაკოთ მათ კონტროლზეო, — „გაჯიუტდნენ ქართველები“.

ისე, ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ: თავად რუსეთი ყოველმხრივ ეწინააღმდეგება, რომ ჩვენმა მეზენიტეებმა „იგლები“ ბულგარეთში ან ჩეხეთში შეიძინონ. კაცმა რომ თქვას, არც ვაშინგტონია აღფრთოვანებული იმ პერსპექტივით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ თავისი არსენალი ბულგარული „ნემსებით“ შეავსოს. პენტაგონს აქვს ინფორმაცია, რომ ხშირად ქართული სამხედრო საწყობებიდან იარაღი იკარგება და თუ იგივე ბედი „იგლებსაც“ მოელით, მაშინ მათი გამოჩენა პლანეტის ნებისმიერ ადგილასაა მოსალოდნელი.

ისე კი, იალტის სამიტისათვის პრეზიდენტმა პუტინმა უკვე იზრუნა თავის უსაფრთხოებასა და „ნემსების“ მომაკვდინებელი „ჩხვლეტის“ თავიდან ასაცილებლად — სამიტზე თავისი კომფორტული შვეულმფრენით ჩაფრინდა (Ми-8ПС „სალონის“ ტიპის შვეულმფრენით ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილიც დაფრინავს, ოღონდ მხოლოდ საქართველოში!). დაკვირვებული თვალი მისი შვეულმფრენზე ერთ ცვლილებას ნამდვილად შეამჩნევდა — ფიუზელაჟის ბოლოსკენ, ილუმინატორის თავზე სპეციალურად დამონტაჟებულ რაკეტების სასროლ ბლოკებს, საიდანაც გამოტყორცნილი მინირაკეტები დიდი სიმხურვალის გამოყოფით იწვიან და თავისკენ „იზიდავენ“ „იგლებს“ და „სტრელებს“. ეტყობა, პუტინი მართლაც სერიოზულად უფრთხის ტერორისტებს. უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ ჩეჩენ მებრძოლებს არაერთი რუსული შვეულმფრენი ჰყავთ „ნემსებით“ ჩამოგდებული. თუკი საქართველო არ შეუერთდა გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებზე კონტროლის ხელშეკრულებას, ღმერთმა არ ქნას და, თუ პუტინი „ჩამოაგდეს“, ალბათ ამასაც ჩვენ დაგვაბრალებენ.

P.S. უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა დაადასტურა, რომ საქართველომ, ისევე როგორც უკრაინამ და აზერბაიჯანმა, ხელი მოაწერეს შეთანხმებას „იგლებსა“ და „სტრელების“ გაყიდვაზე კონტროლის დაწესებაზე. ქართულმა მხარემ თავისი პოზიცია ბოლომდე ვერ შეინარჩუნა, სამაგიეროდ, კერკეტი კაკალი აღმოჩნდა თურქმენეთი. მათმა პრეზიდენტმა საერთოდ არ ინება იალტაში ჩასვლა, ხოლო თურქმენმა სამხედროებმა სერგეი ივანოვს მტკიცედ განუცხადეს, — თურქმენეთი სუვერენული და ნეიტრალური ქვეყანაა და ამიტომაც არავის აქვს უფლება, მისი „ნემსები“ დაითვალოსო.







# ვინ აპირებს ვანის მფარველობას?



ვანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, 30 წლის **პაატა ლეჟავა** არჩევნებში გასამარჯვებლად კორექტულ და კაცურ ბრძოლას აპირებს. თბილისში დაბადებული, გაზრდილი და გარკვეულწილად უკვე ცხოვრების ბრძმედშიც გამოწრთობილი, ცდილობს დაუბრუნდეს „ფესვებს“, საიდანაც მისი წინაპარი მოდიოდა დღემდე. პაატა ლეჟავა თავის საუკეთესო მოგონებებს მთლიანად ვანს და მშობლიურ სოფელ მთისძირს უკავშირებს და ნახევრად ხუმრობით და დიდი სიამაყით აღნიშნავს: — ვანი ხელისგულზე სატარებია, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ გენიალური გალაკტიონი და ტიციანი აჩუქა ჩვენს სამშობლოს, აღარაფერს ვიტყვი იმ უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე, რომელიც ვანმა დაიმკვიდრა არა მარტო საქართველოში და კავკასიაში, არამედ მთელ კონტინენტზე. ცხადია, ეს სიტყვები სიამაყით აავსებს ბევრს, მაგრამ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „იოლად ვერ გადაურჩება“ ვანელებს და მოუწევს უპასუხოს მათ შეკითხვას. მაინც რა კაცია პაატა ლეჟავა.

**— ბატონო პაატა, მომავალ პარლამენტში მოხვედრას ცდილობს პროფესიული თვალსაზრისით ფრიად ჭრელი სპექტრი. თქვენ რა პროფესიის ხართ?**

— იურისტი. სწორედ იმ პროფესიის წარმომადგენელი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო სისტემაში მოხვედრის პრეტენზია. ჩემი პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია მეტ სითამამეს მმატებს ამ შემთხვევაში. დავამთავრე თბილისის 162-ე სკოლა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. შემდეგ ორწელიწადნახევარი აშშ-ში კოლუმბიის უნივერსიტეტში ვეუფლებოდი იურისტის სპეციალობას. 1996 წლიდან, საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების დღიდან, გახლდით მოსამართლის თანაშემწე. შემდეგ იურისტის სპეციალობით გადავედი ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში, სადაც დღემდე ვმუშაობ. წლების მანძილზე გახლავართ იურიდიული ექსპერტი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში და ვმონაწილეობ მნიშვნელოვანი კანონპროექტების შექმნაში. ამჯერად პარლამენტში ვაპირებ ჩემი პროფესიონალიზმის გამოყენებას. დარწმუნებული ვარ, ამას თავს უკეთესად გავართმევ, ვიდრე ჩემი კონკურენტები. ჩემი საარჩევნო პროგრამის შესახებ დაწვრილებით მოგითხრობთ.

**— მოდით, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ, ახლა კი თქვენი ოჯახის შესახებ გვიამბეთ.**

— მყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი. თუ ვინმე დემოგრაფიული პრობლემების უგულებელყოფაში დამდებს ბრალს, იმედი მინდა გავუცრუო, ჩემი ოჯახი უკვე ელის მატებას. ვფიქრობთ, შეგვეძინება მემკვიდრე, რომელსაც კიდევ ეყოლება და-ძმა, თუმცა არ მინდა ჩემმა შვილებმა იცხოვრონ ისეთ ქვეყანაში, როგორიც დღეს გვაქვს. მატერიალური თვალსაზრისით პირადად საწუწუნო ნამდვილად არაფერი მაქვს, ანაზღაურება ჩემი სამსახურიდან საკმარისი მაქვს, მაგრამ ვერ ვგრძნობ თავს კომფორტულად. შინიდან გამოსვლისთანავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით სავსე გარემოში ვხვდები. აშშ-ში ცხოვრებამ უფრო მეტად მაგრძნობინა ასეთი განსხვავების შეუსაბამობა და უხერხულობა. მინდა, მხოლოდ მე არ მილხინდეს და გარშემომყოფთა გაჭირვება ხასიათს არ მიფუჭებდეს. ამისათვის კი, ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, სწორედ სტრატეგიული საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბებაა საჭირო, რაშიც ჩემი წვლილის შეტანა მსურს.

**— რა არის თქვენთვის ეროვნული ტრადიცია და შეიძლება თუ არა მისი შენარჩუნება-განმტკიცებით ერის გაძლიერება?**

— საერთოდ ყველა ხალხის ტრადიციას და წეს-ჩვევას ვაკვირდები და ვფიქრობ, რომ შეიძლება მათგან საუკეთესოს აღება და საკუთართან ერთად სინთეზის შექმნა. რაც ერის ძლიერებას, ცხადია, წაადგება. ჩვენი წინაპრები ტრადიციებით ცხოვრობდნენ და ქვეყანა დღემდე მოიტანეს. ჩვენ კი ვკარგავთ იმას, რაც მნიშვნელოვანია და რაღაც სისულელეებს ვეძახით ტრადიციას. მაგალითად, მწვადის შეწვას შამფურზე ტრადიცია არ ჰქვია. ტრადიციაა ქვეყანაზე ზრუნვა და მომავალ თაობებზე ღირსებების გადაცემა. მახსოვს, ბაბუა მიყვებოდა ვანის ისტორიულ მნიშვნელობაზე, ქართველების გმირობაზე, იქიდან დაიწყო ჩემი ჩამოყალიბება პიროვნებად. როცა თანამედროვე „არგონავტები“ რიონს მოადგნენ და ვანისკენ შემოუყვნენ მდინარეს, ფეხდაფეხ ნაპირიდან მივდევდი მათ, მერე ჭყვიშში დავხვდი, მაშინ გავაცნობიერე ბოლომდე, რას ნიშნავს ცხოვრობდე უძველესი ტრადიციების, უდიდესი კულტურის ქვეყანაში. დღეს უკვე მიზანი მაქვს — მთლიანად ამ ქვეყნის ძლიერებისთვის უნდა ვილვაწო, რათა შვილთან და შვილიშვილთან პირშავად არ დავრჩე.

R

თვითმხილველის მოგონება

# ათი წლით „დაგვიანებული“ რეპორტაჟი

დრო გადის და ბევრ რამეს ივიწყებ, განსაკუთრებით კი ცუდს... მაგრამ ეს მოგონება მოსვენებას არ მაძლევს. იგი გახლავთ ერთი კაცის თვალით დანახული სოხუმის დაცემის ბოლო დღეები...

1992 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების შემდეგ გარკვეულწილად განელდა ბრძოლის ჟინი; კერძოდ, ეს მას მერე მოხდა, რაც ჩვენივე ფულით ფოთში გაგვატანინეს ქართული არტილერია და ტანკები. არადა სწორედ მათი მეოხებით მოვიგერიეთ სოხუმზე არაერთი თავდასხმა.

ხელისუფლებამ 1-ელ სექტემბერს სოხუმის სკოლებში სწავლის დაწყება გამოაცხადა, თუმცა დანარჩენ საქართველოში ამას არავინ ჩქარობდა. ჰაერში კვლავ დენთის სუნი ტრიალებდა, მაგრამ სოხუმში ისევ ჩამოიყვანეს ბავშვები. ყველას ეჭვი გვღრღნიდა, რომ სეპარატისტები, თავის ჩრდილოკავკასიელ და რუს „ძმებთან“ ერთად, კიდევ ერთხელ დაარღვევდნენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე...

ასეც მოხდა. მორიგი პოლიტიკური მარაზმი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული თბილისში, რუსთაველის გამზირზე, რომ მოწინააღმდეგემ 16 სექტემბერს სოხუმს მოულოდნელად შემოუტია კოდორის მიმართულებით, ტყვარჩელიდან, ეშერიდან და შრომიდან...

19 სექტემბერს, როგორც იქნა, მოვახერხე გაჭედილ სამგზავრო თვითმფრინავში მოხვედრა. 45 წუთში ბაბუშერის აეროპორტში დავსხედით. პილოტებს უკვე ჰქონდათ ინფორმაცია, რომ მტერი სპეციალურად ნადირობდა სამგზავრო თვითმფრინავებზე. ამჯერად სოხუმი ბევრად უფრო მძიმე დღეში აღმოჩნდა, ვიდრე წინა შემოტევებისას. მარტში ჩვენმა არტილერიამ გუმისთის სანაპიროზე მუსრი გაავლო მოწინააღმდეგეს, ამჯერად კი ქალაქის დასაცავად აღარაფერი გაგვაჩნდა; მდ. კოდორზე მტერ-

**გადის დრო. ღამით, ბრძანების თანახმად, იქაურობას ვტოვებთ და აფხაზეთის სვანეთისკენ მივიწევთ. მოხუცი ქალი მეკითხება, — საით მიდიხართ, შვილო. თავჩაღუნული, უსიტყვოდ ვუვლი გვერდს... ძნელია იმის აღიარება, რომ გარბიხარ, შეიძლება პირველი არა, მაგრამ ხომ მაინც გარბიხარ!**

მა ხიდი გადაკეტა და ქალაქი ალყაში მოექცა.

ყველას ბოლმა გვახრჩობდა — კიდევ ერთხელ როგორ მოგვატყუესო. გაბრაზებულ გულზე სოხუმში, წითელი ხიდის ახლოს, MBO-ს (მოსკოვის სამხედრო ოლქის) კუთვნილ სანატორიუმში შევაღწიე და იმ კაბინეტში შევედი, სადაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. უზარმაზარი სამხედრო რუკა უპატრონოდ იყო მიტოვებული. რატომ დაირღვა შეთანხმება-მეთქი, — ვკითხე რუს პოლკოვნიკსა და უცხოელ დამკვირვებელს. პასუხად მხოლოდ დუმილი შემომაგებეს. ერთმა ქართველმა ოფიცერმა კი სასოწარკვეთილმა გამიმხილა, — ჯერ კიდევ 14 სექტემბერს დამკვირვებელთა ჯგუფთან ერთად ტყვარჩელში ვიყავი. აფხაზების შტაბში თვალი მოვკარი ოპერატიულ რუკას, სადაც მითითებული იყო მომავალი შეტევის მიმართულებები. ეს ცნობა ხელმძღვანელობას მივაწოდე, მაგრამ რად გინდა...

იმ დღესვე გავიგე, რომ გუმისთაზე მოწინააღმდეგის სნაიპერმა სასიკვდილოდ დაჭრა ჩემი კოლეგა და კინომსახიობი საშა იოსელიანი...

სოხუმი უმოწყალოდ იბომბება. კომპოზიტორების სახლს, სადაც ჩვენი სამხედრო შტაბია განთავსებული, ვერ ხვდება საშინელი წუილით წამოსული ჭურვები, მაგრამ იქვე, ბერიას აგარაკზე, ფეთქდება. ყველაფერი ზანზარებს. სოხუმის თავზე წყვილი Су-25 ჩნდება. ეტყობა, ჩვენები არიან, რადგან გუმისთისკენ მიფრინავენ შეტევის განსახორციელებლად.

ქალაქს ნელ-ნელა იპყრობს პანიკა, რომელიც ნებისმიერ ბომბსა თუ ჭურვზე საშინელია. მოსახლეობა ცდილობს, საპირველსექტემბროდ ჩამოყვანილი ბავშვები როგორმე გაარიდონ აქაურობას.

ღამე MBO-ს ტერიტორიაზე გავათიე. დილას შენობის კუთხე დანგრეული დამხვდა — აფხაზებმა მოძმე რუსების სანატორიუმს შეცდომით მოარტყეს ჭურვი. წითელ ხიდთან ასფალტში „გრადების“ რაკეტების კუდის სტაბილიზატორებია ჩარჭობილი. ვისაც მანქანა ან თუნდ ურიკა აქვს, სოხუმიდან გარბის.

ფრონტის ხაზი დარღვეულია. მოწინააღმდეგემ, წინა შეტევებისგან განსხვავებით, შეტევის ტაქტიკა შეცვალა და ცდილობს, 10-12-კაციანი მობილური ჯგუფებით სხვადასხვა მხრიდან შემოაღწიოს სოხუმში. ნელ-ნელა იპყრობენ ფუნიკულიორს, საიდანაც ქალაქის ქუჩები კარგად ითოფება.

მივდივარ სინოპში, სადაც ერთ-ერთი შენობის სარდაფში ჩვენი მთავარი სამხედრო შტაბია მოწყობილი. ქართველი სამხედროები საკმაოდ დაბნეულნი არიან. დამატებით ძალას და, რაც მთავარია, არტილერიას ელოდებიან. თბილისი გადმოსცემს, — მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა უკვე გამოვგზავნეთ და მალე ოჩამჩირეში იქნებაო.

ტელევიზორით აჩვენებენ რუსეთის გენშტაბის უფროსის, კოლესნიკოვის გამოსვლას რუსეთის დუმაში. იგი ცინიკურად აცხადებს, — ბლოკადაში მოქცეული სოხუმი ორ-სამ დღეში დაეცემაო.

მზიანი დღეა. სინოპის თავზე ორი საბრძოლო თვითმფრინავი გამაყრუებელი გუგუნით მიფრინავს. მოულოდნელად ერთ-ერთი მათგანი ჰაერშივე ფეთქდება და ნაწილებად იფანტება. შტაბთან მყოფი რამდენიმე კაცი გავრბივართ იმ ადგილისკენ, სადაც Су-25 ჩამოვარდა. მისი საბორტე ნომერია 04 და ქართული, განმასხვავებელი ნიშნები აქვს. იქვე, გაბერილ ნავში, ზეწარგადაფარებული დაღუპული მფრინავია ჩასვენებული. ზეწარი გადახადეს. სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი, პოლკოვნიკი იზანი ცერცვაძე აღმოჩნდა... მას კარგად ვიცნობდი. უმწეობის გამო ბოღმა მერევა. ვცდილობ, იქვე, თვითმფრინავის გულიდან, „შავი ყუთი“ ამოვიღო, მაგრამ სადღაც, ახლოს, აფხაზი სნაიპერი „მუშაობს“. აშკარაა, რომ ამ შეჯავშნული მოიერიშე თვითმფრინავის ჩამოსაგდებად უფრო მძლავრი საზენიტო რაკეტა გამოიყენეს, ვიდრე აფხაზების ხელთ არსებული „სტრელა“ ან „იგლაა“. მახსენდება, როდესაც ჩამოგდებული თვითმფრინავისკენ მივრბოდით, გზაში ურიკიანი გლეხი შეგვხვდა. მას უკვე აეკრიფა მოიერიშის რამდენიმე ნაწილი, მათ შორის პილოტის კაბინის წინა საქარე ჯავშანმინაც იყო, რომელსაც ნახვრეტები ეტყობოდა. ეს კი ნიშნავდა, რომ იზანი ცერცვაძის მოიერიშეს რაკეტა წინიდან მოხვდა. სავარაუდოდ, რაკეტა OCA-ს ტიპისა იყო, რომელიც მხოლოდ რუსებს ჰქონდათ.



სოხუმის დამცველი უკანასკნელი ტანკი მაჭარის ხიდთან

სოხუმში კვლავ პანიკაა. ქუჩის ბრძოლები მიმდინარეობს, არც იცი, ვისი სამიზნე გახდები. ჩანს, რომ არანაირი ხელმძღვანელობა აღარ არსებობს, რასაც ადგილობრივი ბრიგადის გაუქმებამაც შეუწყო ხელი.

ვბრუნდები სინოპის შტაბში. გარეთ, სამხედროების გარემოცვაში, ჯაბა იოსელიანი დგას. ეტყობა, ვიღაცას ელოდებიან. იოსელიანს ბაბუშერიდან მოსული სამხედრო უახლოვდება და მორიგი ტრაგედიის შესახებ ატყობინებს: — მოწინააღმდეგემ, აეროპორტში დაშვებისას, ერთი სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო, მეორე კი ასაფრენ ზოლზე ააფეთქა. დაღუპულია ასზე მეტი ადამიანი. მათი გვამების აეროპორტიდან გატანა შეუძლებელიაო. ჯაბა იოსელიანი ურჩევს, დახოცილები აეროპორტის მიდამოებში დამარხეთო.


მანამ არაერთხელ სოხუმის დამცველი არტილერია ჩვენივე ხელითა და ფულით ფოთში გაგვატანინეს

შტაბთან კოლონა ჩერდება. წინა, თეთრი „ჟიგულიდან“ მოულოდნელად შევარდნაძე გადმოდის. უკანა, წითელ „ტაბლეტკაში“ („უაზის“ მიკროავტობუსი) გენერალი ქვარაია და რამდენიმე შეიარაღებული პირია. მესამე, ГАЗ-66-ის ტიპის სატვირთო ავტომობილის ძარაზე კი შავ ფორმაში გამოწყობილი სპეცრაზმი ზის. მათი გადაჩურჩულებიდან ვიგებთ, რომ ისინი სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურის ის თანამშრომლები არიან, რომლებიც აშშ-დან ახლახან დაბრუნდნენ სპეციალური მომზადების შემდეგ. გაოგნებული ვრჩები. მაგრამ ის კი არ მაკვირვებს, რომ შევარდნაძე „ჟიგულით“ დადის ან ამერიკაში მომზადებული მებრძოლები ჩაერთვებიან სოხუმისთვის ბრძოლაში, არამედ შევარდნაძის მცველებისთვის არჩეული „ტაბლეტკის“ წითელი, გამაღიზიანებელი ფერი, რომელიც საუკეთესო სამიზნეა უკვე ფუნიკულიორზე გამოჩენილი მოწინააღმდეგის სნაიპერებისთვის. შტაბშიც სრული ქაოსია. აქაურებსაც დაეტყოთ ფორიაქი. უკვე ცხადია, რომ ბევრი თავის გადარჩენის გზას ეძებს.

როგორც ჟურნალისტს, იარაღი არა მაქვს. ეტყობა, მეც უნდა ვიფიქრო აქედან თავის დაღწევაზე. შორიახლო სოხუმიდან მომავალი „ურალი“ ჩერდება. იქიდან ავტომატიანი გენერალი ზაურ უჩაძე გადმოდის და შტაბისკენ მიდის, ხოლო „ურალი“ გზას აგრძელებს. შემხვედრი მანქანით გენერლის გადაადგილება ცუდად მენიშნა. გენერალი უჩაძე მიხსნის, — პოზიციების დასაფიქსირებლად თავად მომიწია სოხუმში ჩასვლაო.

მორჩა. ჟურნალისტობის დრო აღარაა. ერთ-ერთ ქვედანაყოფთან ერთად ვდგები მაჭარის ხიდზე, ავტომატი მომცეს. ეს ხიდი იმ მომენტისთვის უკვე იქცა სტრატეგიული მნიშვნელობისად, რადგან აქედან მიდის გზა მერხეულისკენ და მერე — აფხაზეთის სვანეთისკენ. ხალხი ამ გზით მიდის მთებში, რადგან, როგორც ამბობენ, კოდორის ხიდი მოწინააღმდეგეს უკავია. თუკი მისი დესანტი მოახერხებს ამ გზაგასაყარის ჩახერგვას, სოხუმიდან გამოქცეული ხალხის დიდი ნაწილი ნამდვილ „ტომარაში“ მოექცევა. ამიტომაც გაფაციცებულნი ვდარაჯობთ ამ ადგილს. დილით გია ყარყარაშვილი, ჯაბა იოსელიანი და ირაკლი ბათიაშვილი მოდიან და გვთხოვენ, მტკიცედ დავიცვათ ხიდი, იარაღიანი ხალხი მერხეულისკენ არ გავუშვათ. ვინც ოჯახს ხიზნავს აფხაზეთის სვანეთისკენ, მათ იარაღს ვიბარებთ და უკან დაბრუნებულებს ვუბრუნებთ.

თავდასხმა ღამითაა მოსალოდნელი. მართლაც გვესვრიან, მაგრამ ეს არ ჰგავს მტრის დესანტის შემოტევას. დილით სამნი იმ ფერდობზე ავდივართ, საიდანაც, სავარაუდოდ, გვესროდნენ. შევდივართ საეჭვო სახლში, რომელიც ადგილობრივი სომხისა აღმოჩნდა. სასადილოდან მადისაღმძვრელი სურნელი იფრქვევა, არადა ორი დღეა, პირში ხემსი არ ჩაგვსვლია. ნერწყვი მოგვდის. სახლის პატრონი გვატყობს და ცდილობს, სასადილოში შეგვიტყუოს. საბედნიეროდ, ვუძლებთ ცდუნებას და სახლს ვათვალიერებთ. აივნის ქვემოთ ავტომატის მასრების გროვას წავაწყდით. აშკარაა, აქედან ისროდნენ. ბიჭებმა სახლში სანადირო თოფი და ხელყუმბარებიც იპოვეს.

მაჭარის ხიდიდან ქვემოთ, ზღვის სანაპიროსკენ მივდივართ, თან გზადაგზა სიმინდის ტაროებს უჩუმრად ვტეხთ. გვრცხვენია, მაგრამ ძალიან გვშია. ზღვაში ფეხების დასველებას ვაპირებთ. უეცრად ჰორიზონტზე რამდენიმე წერტილს ვამჩნევთ — სწრაფად გვიახლოვდებიან. ნაწილი სოხუმისკენ მიემართება. ზუსტად ჩვენს ახლოს, ნაპირს ორი სადესანტო ხომალდი მოადგა.

ჩვენ ასეთი გემები არ გვყავს, ე.ი. მოწინააღმდეგის დესანტია. ორი კაცი სანაპიროსთან ვსაფრდებით. ჩვენების შეტყობინების დრო აღარ არის, ბოლოს და ბოლოს, ავტომატის ჯერს გაიგონებენ და მოემზადებიან. პირველი გემი თითქმის ამოდის ნაპირზე, შემდეგ უკან იხევს და მის ადგილს უფრო დიდი სადესანტო ხომალდი იკავებს. იღება აპარელი, საიდანაც ორი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80 გადმოდის და პოზიციებს იკავებს. მათ საზღვაო ქვეითთა ოცეული მოჰყვება. აშკარაა, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დესანტი გადმოჯდა ქართულ სანაპიროზე. ველოდებით, რა მოხდება. გემისკენ მალე ხალხი დაიძრა. თურმე ისინი მათ წასაყვანად მოსულან. ადვილი წარმოსადგენია, სროლა რომ აგვეტეხა, რა მოხდებოდა. სადესანტო ხომალდში ხალხთან ერთად რამდენიმე ნაცნობი ჟურნალისტი ჯდება. მიმიხმეს. რამდენიმე საათში უხიფათოდ ამოვყოფ თავს ფოთში, მაგრამ შემოჩენილ ეშმაკს ვძლევ. მაჭარის ხიდის დამცველებს ვერ მივატოვებ.

ზღვაში გასულ გემს ნაღვლიან მზერასღა ვაყოლებ...

მაჭარის ხიდზე სოხუმისკენ მიმავალი შეიარაღებული კოლონა გამოჩნდა. კოდორი გადმოლახეს და ქალაქის დამცველების დასახმარებლად მიიჩქარიან. ყიჟინით ვეგებებით, თუმცა გულს ეჭვის ჭია ღრღნის — აკი, კოდორს ათასობით დამხმარე მოადგაო! აქ კი სამასიოდე კაცი თუ იქნება.

გადის დრო. ღამით, ბრძანების თანახმად, იქაურობას ვტოვებთ და აფხაზეთის სვანეთისკენ მივიწევთ. მოხუცი ქალი მეკითხება, — საით მიდიხართ, შვილოო. თავჩაღუნული, უსიტყვოდ ვუვლი გვერდს... ძნელია იმის აღიარება, რომ გარბიხარ, შეიძლება პირველი არა, მაგრამ ხომ მაინც გარბიხარ!

წებელდასთან ვჩერდები და უკან ვიხედები, რომ სოხუმს უკანასკნელად შევავლო თვალი. ქალაქის თავზე თეთრი რკალია გადაჭიმული, ზუსტად ისეთი, როგორსაც რეაქტიული თვითმფრინავები მაღალი ფრენისას ტოვებენ. ეტყობა, დამარცხებული სოხუმის თავზე რუსულმა Су-27-მა გამარჯვების კამარა შეკრა. ისინი ზეიმობენ, ჩვენ კი დამარცხების სირცხვილი გვწვავს.

...საკენიდან უღელტეხილით ჭუბერში გადავდივართ. სიმწრით ტუჩებს იკვნეტ, არა იმიტომ, რომ ჩვილბავშვჩახუტებულ ქალს თუ ხეიბარ კაცს ვერ ეხმარები, არამედ იმიტომ, რომ ძალა არა გაქვს!..

ჭუბერში დიდი გაჭირვებით გადასული, მეორე დილას შვეულმფრენით მაშველებთან ერთად უკან, საკენისკენ, მივფრინავ. თან გზადაგზა ვუჩვენებ იმ ადგილებს, სადაც დაჯდომა შეიძლება. უღელტეხილზე, „სიცოცხლის“ გზაზე მიმავალი მშიერი ხალხი მანანასავით იღებს მოულოდნელად „ციდან“ „ჩამოცვენილ“ „ბუხანკა“ პურსა და „კილკის“ კონსერვს... ორი უცხოელი ფოტოგრაფი, რომლებიც ჩვენ გამოგვყვნენ, იღებს ამ კადრებს. მოულოდნელად, რამდენი ჯარისკაცი, შეურაცხყოფილი, იქვე ყრის კონსერვებს, გვაგინებს და გვიყვირის, — ამათ ფოტოობიექტივში მოხვედრას შიმშილი გვირჩევნიაო.

საკენიდან ლტოლვილების გაყვანას ვაპირებთ. ერთი ცნობილი პირი მოდის დაცვის თანხლებით, შვეულმფრენში ჯდება და ლტოლვილებს ხახამშრალს ტოვებს (მათ შორის მეც).

ხელმეორედ უღელტეხილის გადასვლა ნამდვილად არ მხიბლავს, მაგრამ სხვა გზა არ არის. ბოლო წამს შვეულმფრენის კარი იღება. მეძახიან. როგორც აღმოჩნდა, პილოტებს უთქვამთ იმ ცნობილი კაცისთვის, უმაგისოდ არ გავფრინდებითო. სალონში ათკაციანი დაცვა კბილებს მიღრჭიალებს.

მე ჭუბერში ვრჩები. შვეულმფრენი ქუთაისში მიფრინავს. უკან შებინდებისას ბრუნდება. ეკიპაჟს აძალებენ, კვლავ გაფრინდეს საკენში. შუაღამისას, უღელტეხილგადმოვლილებმა გვითხრეს — აფეთქების ხმა გავიგონეთ და ცეცხლის ალი დავინახეთო. მალე ზუსტდება, რომ შვეულმფრენი ღამით მთას შეეჯახა. ათობით ლტოლვილი დაიღუპა.

მახსენდება, რომ ჯერ კიდევ დღისით ვუთხარი ეკიპაჟს, შვეულმფრენის ორივე „ჰაერის ნაკადის მიმღები“ მილი (ისინი Ми-8МТ-ის კაბინის წინ, „ეშვებივით“ აყენია) ტალახითაა გატენილი (ალბათ აფრენისას მიწას წამოედნენ); თუ არ გაწმენდთ, ხელსაწყოები ფრენის სიჩქარესა და სიმაღლეს არასწორად უჩვენებს-მეთქი. დღისით შვეულმფრენის ეკიპაჟი ვიზუალურად მართავდა მანქანას, ეტყობა, სიბნელეში ხელსაწყოების ჩვენებას ენდო და მცირე სიმაღლის გამო მთის ხერგილს წამოედო...

თბილისში დაბრუნებულს სულ სხვა ცხოვრება დამხვდა, თუმცა ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, სამწუხაროდ, აფხაზეთის ომი არასოდეს გამხდარა საერთო სატკივარი.

მაშინ ჯერ კიდევ გვჯეროდა, რომ აფხაზეთში ღირსეულად დავბრუნდებოდით, მაგრამ ათი წლის შემდეგ...

**უღელტეხილის „სიცოცხლის გზა“ გადმოვლილია...**



*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# ნადავლი წყალქვეშა ნავიდან



ბიჭს ჯარში იწვევდნენ, დასანგრევად გამზადებული საბჭოთა კავშირი კი უკანასკნელ თვეებს ითვლიდა. დედამისი, ქალბატონი ოლღა ხვდებოდა, რომ ეს ურჩხული დღეს თუ არა, ხვალ დასამარდებოდა. ხუთი წლის განმავლობაში ხან რას იმიზეზებდა და ხან რას, დიტო რომ ჯარში არ წაეყვანათ, მაგრამ მამამ (რომელსაც კომუნისტების ბევრ სხვა სიცრუესთან ერთად, კომუნიზმის მშენებლობისაც სჯეროდა), ბატონმა თედომ არ დაიშალა: — დღეს პარტიულ კრებაზე პროფკავშირის თავმჯდომარემ გადმომკრა, ზოგიერთი ჩვენი კომუნისტი ხელმძღვანელი შვილს ჯარში არ უშვებს და აქ ქვეყნის ძლიერებაზე ხმამაღლა ლაპარაკობს სხვისი შვილების ხარჯზეო. დღეს რეპლიკა მესროლეს, ხვალ საყვედურს გამომიცხადებენ, ზეგ კი სამსახურიდან გამომაპანღურებენ და ქუჩაში დავრჩებიო.

— მერე, გინდაც ეგრე იყოს, ვითომ რა, შიმშილით დავწყდებით? სამ შენხელა ჯამაგირს ვიღებ და აგერ ჩემი მეშვიდე წიგნიც გამოვა დღეს თუ ხვალ. შენი ხელფასის იმედად მე და ჩემს შვილს არასოდეს გვიცხოვრია...

— ადამიანო, გაიგე, რომ სხვასავით ქურდობა არ შემიძლია. ისიც კარგად ვიცი, ის რეპლიკა მხოლოდ მე რომ არ მეკუთვნოდა. მთელი ჩვენი ინსტიტუტიდან მარტო მაგ დაფეხვილის შვილი გაიწვიეს ჯარში, მაგრამ მე ჩემი სინდისი და მოვალეობა მაქვს...

— მივხვდი, თედო, მაგრამ იშლება ეს ოხერი იმპერია და სად გავგზავნო შვილი, ვის ჯარში?

— რა დაანგრევს, ქალო, საბჭოთა კავშირს, დედამიწის ერთ მეექვსედს...

— ამას გარბაჩოვიც აღარ მალავს და მარტო შენ გჯერა ამ სისულელის? — ვერაფერი გააწყო ქალბატონმა ოლღამ. აქეთ შვილი ეცოდებოდა, იქით — ქმარი, მაგრამ მაინც დათანხმდა დიტოს ჯარში გაშვებაზე. ეს კი მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ ბიჭს, რბილად რომ ვთქვათ, არასასურველ მიდრეკილებას ამჩნევდა. ქურდული სამყაროსაკენ. იფიქრა, იფიქრა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მართალია, სსრკ იშლება, მაგრამ მგონი ფლოტში კვლავაც ის ძველებური დისციპლინა მეფობს და იქნებ სასიკეთოდაც წაადგეს ჩემს ვაჟსო.

წავიდა დედისერთა შავი ზღვის ფლოტში (ეს საქმეც ქალბატონმა ოლღამ გააჩალიჩა), ჩაიცვა მეზღვაურის ფორმა და შეუდგა სამსახურს. ხან ცოცხი ეჭირა ხელში, ხან იატაკის საპრიალებელი. არაფერიც არ გამოვიდა მისგან. საშუალო მეზღვაურადაც ვერ იქცა. ერთადერთი, რაც ემარჯვებოდა, ქურდობა იყო, მაგრამ აქ, წყალქვეშა ნავზე, რომელიც ნაპირს ზოგჯერ 5-6 თვის შემდეგ თუ მოადგებოდა და იქაც, ხმელეთზე გადასვლისას, ჩხრეკდნენ, — რა უნდა მოეპარა ან როგორ უნდა გაეტანა აქედან. არადა, სამსახურის ბოლო თვეებში წყალქვეშა ხომალდზე გადაიყვანეს, იქ კი კაპიტნის კაიუტის დალაგებისას ისეთი მაგნიტოფონი ნახა, გაგიჟდა ბიჭი. რამდენიმე ძვირფასთვლიანი ოქროს ნივთიც შენიშნა დიტომ კაპიტნის ჟურნალის გვერდით. ის ოხერი ბებერი ბოცმანი ადგა თავზე, თორემ მაგნიტოფონს თუ ვერა, ამათ მაინც აწაპნიდა, მაგრამ ვერ მოახერხა და სხვა დროისათვის გადადო. სხვა დრო კი ვერ მოიხელთა. ცოტა ხნის შემდეგ დემობილიზაცია გამოცხადდა და სხვებთან ერთად დიტოც დაითხოვეს სამსახურიდან. გული წყდებოდა, რომ ის ნივთები გემზე რჩებოდა, მაგრამ ხმელეთზე ფეხიც არ ჰქონდა დადგმული, ხომალდზე რომ განგაში გამოცხადდა. — სწორედ ის ნივთები მოეპარა ვიღაცას. უკვე გაჩხრეკილებიც უკან დააბრუნეს და ხელახლა დაიწყო ჩხრეკა. დიტოს ჩხრეკისა არ ეშინოდა, მაგრამ იმის გაგება კი უნდოდა, ვინ მოიპარა მისი შეთვალიერებული ნივთები და როცა ბოცმანის ამღვრეულ სახეს შეხედა, რომელიც ამ დროს გასასვლელში გაჩხერილიყო, მიხვდა — ის იყო ქურდი. მით უმეტეს, კაპიტანზე განაწყენებული ბრძანდებოდა ბოცმანი, სამსახურიდან რომ დაითხოვა ასაკის გამო — ათ წელიწადს კიდევ ვიმსახურებდიო, ტრაბახობდა, მაგრამ არავინ დაუჯერა და გამოაპანღურეს. ახლა ხანდაზმულ კაცს გაჩხრეკა არ აკადრეს და ისე გაატარეს, მის ჩემოდნებში არც ჩაუხედავთ.

— სულელები, — გაიფიქრა დიტომ და თავისდაუნებურად აედევნა ბებერ მეზღვაურს, რომელმაც საზღვაო პოსტიდან სამი თუ ოთხი კვარტალი ფეხით გაიარა და ლომონოსოვის ქუჩაზე, ერთ-ერთი სახლის კარს მიუკაკუნა.

— აჰა, მაშ, აქ ცხოვრობთ, ამხანაგო ბოცმანო, ხომ?! ვეცდები ყურადღება არ მოგაკლოთ — და გუშინდელი მეზღვაური დიმიტრი თედოს ძე ტიკარაძე (აქ და ქვემოთ გვარსახელები შეცვლილია) ოდესაში დარჩა იმ იმედით, ეგებ ის ნივთები მოვიხელთოო. იმ საღამოსვე, კაფეში შეაბა ერთი იქაური ლამაზმანი და ღამის გასათევადაც მასთან დარჩა. მერე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, კარგა ხნით შერჩა იქაურობას. გახარებულ ქალს ეგონა, ისე ვუყვარვარ, არსად წამსვლელი არ არისო. დიტოს კი მხოლოდ ის აწვალებდა, როგორ დაეთრია ბოცმანის ნაქურდალი და იპოვა კიდეც გამოსავალი. ისე გაუხარდა, სიხარულით შეჰკივლა, რაც მარიასაც არ გამოჰპარვია, მაგრამ ქალს აუხსნა, სიზმარში ვითომ მილიციაში მიმიღეს და ბავშვობის ოცნება ამისრულდაო.

— იქნებ კეთილად ამიხდეს სიზმარი, იქნებ მართლაც მიმიღონ?! ფორმის შეკერვაც არ დამჭირდება. გარდეროზში რომ შენი ყოფილი მეუღლის ფორმაა, იმას ჩავიცვამ და ოდესას კიდევ ერთი წესრიგის დამცველი შეემატება. გადაწყვეტილია, ხვალვე მივდივარ მილიციის სამმართველოში. ბოლოს და ბოლოს, სადღაც ხომ უნდა ვიმუშაოო.

ქალს არ მოეწონა დიმიტრის ჩანაფიქრი. ქმარი მილიციელი ჰყავდა და სამი წლის წინ მოუკლეს ბანდიტებმა. ახლა დიტოც მილიციაში აპირებდა მუშაობას, მაგრამ არაფერი უთქვამს, არ გავანაწყენოო და მხოლოდ ეს უთხრა — შენი საქმისა შენ იცი, მე მილიციელი დიტოც მეყვარებაო.

## „ბოდიში, მე მილიციიდან ვარ...“

ორი კვირა ისეთი საქმიანი იერით დადიოდა დიტო, მარიამ ირწმუნა — უეჭველად მილიციაში იწყებს მუშაობასო.

— ხომ გეუბნებოდი, შენი ქმრის ფორმა გამომადგებამეთქი. მითხრეს, ამჯერად ფორმები არა გვაქვს, შენი ფულით უნდა შეიკეროო. რაღაზე დავხარჯო, აგერ არაა გამზადებული?

მარიამ თავისი ხელით გადაუკეთა შარვალი, პიჯაკი კი თითქოს მის ტანზე შეეკეროთ, ჩამოსხმულივით დაადგა.

— იცოდე, მარია, შეიძლება ღამღამობითაც ვერ მოვიდე, მაგრამ ეჭვიანობა არ დამიწყო, ხომ იცი, მილიცია ღამით უფრო მეტს მუშაობს. შევთანხმდით?

— თანახმა ვარო, — უთხრა და ცრემლი გადმოუგორდა თვალზე. „ნუთუ ამასაც დავკარგავ“ — გაიფიქრა ქალმა და სამზარეულოში გავიდა. დიტოს არაფერი შეუმჩნევია. ახლა მისი ფიქრიც და გონებაც ბოცმანის სახლში იყო და იმ საღამოსვე ეწვია ძველ ნაცნობს, რომელმაც ამ ტანსაცმლით ვერ იცნო ყოფილი მეზღვაური. მისნაირები ხომალდზე ბარე სამასი კაცი მსახურობდა, თანაც დიტომ იმ გემზე სულ რაღაც ორი თვე დაჰყო და ორჯერ თუ სამჯერ შეხვდა ბოცმანს. მილიციელის დანახვაზე ვიტალი ვოლფოვიჩი ერთბაშად შეცბა, რაც კარგად ენიშნა დიტოს. „გეშინია ხომ, ესე იგი ნაქურდალი სახლში გაქვს, მამაძაღლო“ — გაიფიქრა სიხარულით და წარუდგა:

— მილიციის ლეიტენანტი ეგოროვი. კაგებეს დავალებით თქვენს დასაცავად გამომგზავნეს. როგორც გადმომცეს, მიღებული აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თქვენ უნდა გაგძარცვონ. დავალებული მაქვს, ეს არ დავუშვა.

ვიტალი და ტაია ერდმანებს გემიდან ნაქურდლის გარდა, შინ სხვა სიმდიდრეც საკმაოდ ჰქონდათ და მუდამ იმის შიშში იყვნენ, ვინმე არ შემოგვივარდესო.

— მობრძანდით, მობრძანდით. ყოველთვის მჯეროდა, რომ ჩვენი კაგებე ძლიერი, თავის მოქალაქეებზე მზრუნველი ორგანიზაციაა და რაკი მილიციასთან ერთადაც მოქმედებს, ეჭვიც არ მეპარება თქვენს წარმატებაში, — ამას კი ამბობდა, მაგრამ გულში დღედაღამ კაგებესა და მილიციის თათხვაში იყო — ქუჩაში ველარ გამივლია, ყოველ ნაბიჯზე ადამიანებს ძარცვავენო. ამიტომაც იყო, რომ დოკუმენტების შეგროვება დაიწყო ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში გასამგზავრებლად. ფასეული ნივთებიც კარგა ხანია საიმედოდ ჩაელაგებინა ცოლ-ქმარს და მხოლოდ ვიზასღა ელოდებოდნენ.

„ძალიან კარგი... გამგზავრებამდე ესენი დაგვიცავენ. მერე კი, გემზე რომ გადავბარგდებით, თუნდაც წყალს წაუღია ეს ქვეყანა...“, ფიქრობდა ვიტალი ვოლფოვიჩი და ღვთის მადლიერი იყო, რომ ყველაფერი კარგად აეწყო. თუმცა ბოლომდე მაინც არ ენდვნენ და მილიციელი მოპირდაპირე ბინაში, სემიონ მარკოვიჩთან დააბინავეს. წესრიგის დამცველი დღე-ღამეში რამდენჯერმე დახედავდა ერდმანებს და ყოველწამს მზად იქნებოდა მათ დასაცავად. კი აპირებდა ვიტალი ვოლფოვიჩი კაგებეში მისვლას, მადლობას მაინც ვეტყვიო, მაგრამ ისევ ცნობილი შეგონების ერთგული დარჩა, — სჯობია მათგან თავი შორს დავიჭიროო და ამაზე აღარ ნაღვლობდა. ახლა მისი და ტაიას მთავარი ამოცანა ამ ქვეყნიდან მშვიდობიანად გაღწევა იყო. რა თქმა უნდა, თავიანთი სიმდიდრით.

მთელი კვირა „იცავდა“ მილიციის ახალგაზრდა ლეიტენანტი ერდმანებს. ცოლ-ქმარი ისე შეეჩვია, ჩაისაც არ სვამდნენ უიმისოდ. ინანეს კიდეც — რა უნამუსოდ მოვიქეცით, როცა სემიონ მარკოვიჩთან შევასახლეთო და ის იყო, მილიციელის თავიანთ ბინაში გადმოყვანას აპირებდნენ, რომ ერთ საღამოს, როცა სემიონ მარკოვიჩმა ბინაში მარტო დატოვა და დაიბარა, მე დამაგვიანდება, თუმცა შენი იმედით აქაურობაზე არ ვიდარდებო, — ერდმანებს მიადგა, ვიტალი ვოლფოვიჩს რაღაც დალუქული პაკეტი შეაჩეჩა — ახალი ინფორმაცია მაქვს და ტელეფონით ამის გადაცემა ყოვლად დაუშვებელია. თქვენ უნდა წაიღოთ ქალაქის მილიციის სამმართველოში და მორიგეს გადასცეთ. არამც და არამც არც ტაქსი აიყვანოთ და არც მსუბუქი მანქანით წახვიდეთ, შესაძლოა ბანდიტების ტყვეობაში აღმოჩნდეთ. მხოლოდ ავტობუსით ან ტროლეიბუსით იმგზავრეთო და სასწრაფოდ სადარბაზოში გავარდა, რომლის ფანჯრიდანაც „უთვალთვალებდა მოსალოდნელ საფრთხეს“.

დიტომ იცოდა, რომ ვიტალი ვოლფოვიჩი ორ საათს მაინც მოანდომებდა ავტობუსით ჩაქჩაქს. მილიციის მორიგე კი წერილს ხვალ დილამდე არ გადასცემდა კანცელარიას. ცოტა ადროვა და აფორიაქებული შეიჭრა ერდმანების ბინაში, სადაც მხოლოდ ტაია ილინიჩნა იყო. სადარბაზოსთან საეჭვო ტიპები გამოჩნდნენ, ვგრძნობ, ისინი არიან, ვისთვისაც მე აქ გამომგზავნეს. მეეჭვება, ვიტალი ვოლფოვიჩმა წერილი დროზე მიიტანოს. დამხმარე ძალა ალბათ დააგვიანებს. თავი დავიზღვიოთ და თუ რამ ფასეული გაქვთ, მარკოვიჩის ბინაში გადავიტანოთო.

— ახლავე, ახლავე, ძვირფასო. ღმერთმა გამოგვიგზავნა შენი თავი. აგერ, ეს ტყავის ჩანთა. მძიმეა, მაგრამ ალბათ მოერევი და კიდევ ეს ჩემოდანი. დანარჩენი ისეთი არაფერია, რომ გული დამწყვიტოს. ამათ მიმიხედე, ვიდრე შენი კოლეგები მოვლენ.

— თქვენ კარი შიგნიდან ჩაკეტეთ, ტაია ილინიჩნა და ჩემს შეხმიანებამდე არავის გაუღოთ. თუ შეტევაზე გადმოვიდნენ, ვეცდები გავუძლო, — ამ სიტყვებზე დიტომ „ბავშვთა სამყაროში“ ნაყიდი ორმანეთიანი „პარაბელუმი“ დააძრო და კარი გაიხურა. მერე კი ვიდრე დამფრთხალი, ყურებში თითებგარჭობილი ქალი წამი წამზე სროლას ელოდებოდა, მილიციელის ფორმა გაიხადა, მარკოვიჩის კოსტიუმი ჩაიცვა და ძვირფასი ტვირთით უკანა გასასვლელიდან ქუჩაში გავიდა. ქალი კი კარგა ხანს არ უღებდა კარს პოლიციის სამმართველოდან დაბრუნებულ ქმარს — ლეიტენანტმა მითხრა, უჩემოდ არ გააღოო.

## მშობლიური მთების სურნელი

— რა მითხარი, კოსტია გქვია, არა?! ჰოდა, კოსტია, იცოდე, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არა აქვს მთებს ისეთი სურნელი, როგორიც საქართველოში. ჩამოსწიე, ძმობილო, ეგ ფანჯარა და ღრმად ისუნთქე იმის შიშით, მთელი ღამის ნამგზავრს საჭესთან რომ არ ჩაგეძინოს, — მძღოლს გაეხუმრა დიტო და თავად ხარბად შეისუნთქა შავი ზღვის სანაპიროს ჰაერი. მერე კოსტიას შესთავაზა, თუ წინააღმდეგი არა ხარ, ერთიორი დღე გაგრაში დავრჩეთო, მაგრამ ცივი უარი თქვა მძღოლმა — ისედაც გამოვიპარე, ამ სიშორეზე წამოსვლის უფლება არ მქონდა. როგორც შეგპირდი, სოხუმამდე ჩაგიყვან და უკან დავბრუნდებიო. მაგრამ სოხუმამდე ვინ მიუშვა. გუდაუთასთან გააჩერეს აფხაზებმა. რამდენიმე ათეულ შეიარაღებულ კაცს გზა გადაეკეტა და ყველას ჩხრეკდნენ. დიტოს ტვირთიც გაჩხრიკეს და მაშინ პირველად და საბოლოოდ ნახა ასე ახლოდან ნანატრი მაგნიტოფონი დიტომ. ყველაფერი წაართვეს — ეტყობა, ვიღაც გაგიძარცვავსო. თუმცა ვინ, ამას არავინ კითხულობდა. აფხაზები იმ დღეს იქვე, მახლობლად მდებარე სოფელ ლიხნში ყრილობას მართავდნენ და კომუნისტური იმპერიის ისტორიის მანძილზე პირველად უცხადებდნენ პროტესტს ყოველივე ქართულს. მათ შემდგომ სამოქმედო გეგმაში შეიარაღებული კონფლიქტი შედიოდა და ახლა იარაღს ყიდულობდნენ. ამისათვის საჭირო ფული კი ისევ ისე ქართველებისაგან უნდა ეშოვათ. ჰოდა, უკეთეს შემთხვევას ვერც ინატრებდნენ. აგერ, ერთ ცხვირმოუხოცავ ქართველს ამოდენა სიმდიდრე მიაქვს. ვის რაში აინტერესებს, რა გზით იშოვა მან ეს ყველაფერი? ამიტომ ნივთები ჩამოართვეს, ტაქსი უკან გააბრუნეს და დიტოს კი პანღური ჰკრეს და უბრძანეს — დღესვე გადაეთრიე შენს საქართველოში, თორემ აქვე, ასფალტზე დაგანთხევინებთ ტვინსო. და მანაც ერდმანებივით ღმერთს მადლობა შესწირა, რომ გადარჩა. მოგვიანებით ყველაფერს აეხადა ფარდა. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოწვეულ ვიტალი ერდმანმაც მიიღო პასუხი მისთვის საინტერესო კითხვაზე — საიდან მომაგნო, ვინ მისცა ჩემი საქმე დიმიტრი ტიკარაძესო. აუხსნეს, იგი შავი ზღვის ფლოტში იმ ხომალდზე გადიოდა სამხედრო სამსახურს, რომლის ბოცმანიც თქვენ იყავითო. დაფეთებულმა ებრაელმა იმ წამიდან კლიტე დაიდო ენაზე. ე მანდ, ისიც არ ამოტივტივდეს, ამ ნივთების ნაწილი მე რომ მოვპარეო ხომალდის კაპიტანს. მანამდე კი ჩვენი მეზღვაური ჯიბეცარიელი ჩამოვიდა თბილისში სემიონ მარკოვიჩის ნახმარი კოსტიუმით და დანაკარგის ანაზღაურებას შეეცადა. საამისოდ კი პარტნიორს დაუწყო ძებნა და იპოვა კიდეც — ინვალიდი ნუგზარ ქათამაძე და მისი მეზობელი ოთარ ბროლაძე.

## არცთუ ისე ლირიკული გადახვევა

იმ საღამოს ხელფასი აიღეს რკინიგზელებმა. ელმავლის მემანქანემ ანზორ ჭიჭინაძემ თავისი კოლეგა ჯუმბერ ამბოკაძე დაპატიჟა სამწვადეში და შვილიშვილის დაბადება აღნიშნა. მეგობრები ავტობუსის გაჩერებაზე დასცილდნენ ერთმანეთს. ერთი ადრე ავიდა ტრანსპორტში, მეორემ მომავალ „ზაპოროჟეცს“ აუწია ხელი. მანქანაში ორნი ისხდნენ, ორივე ნასვამი.

— ხარფუხამდე ხომ არ მიმიყვანთ, ბიჭებო?

— რატომაც არა, თუ გადაიხდი...

— აბა, რას ვიზამ, თქვე კაი ხალხო. ტყუილად ხომ არ გატარებთ აქეთიქით? — ჩაილაპარაკა შექეიფიანებულმა ანზორმა და ძლივს შეიტანა ვეებერთელა სხეული „ზაპოროჟეცის“ უკანა სალონში. საჭესთან ქათამაძე იჯდა, მის გვერდით კი იურა აკიმენკო, — ხელფასი ავიღეთ მე და ჩემმა ძმაკაცმა და ჩემი შვილიშვილის დაბადება აღვნიშნეთ.

— ალბათ მაღალი ხელფასი გექნებათ. რკინიგზელები კარგ ფულს აკეთებენო, გამიგონია... — ეშმაკურად ჩაეკითხა ანზორს ნუგზარი.

— ბევრი არაფერი... ავანსი — ასოცი მანეთი მომცეს, მინდოდა მე გადამეხადა, მაგრამ არ დამანება ჯუმბერმა და...

— არა უშავს, ახლა გადაიხდი, ბიძაჩემო, — ნუგზარმა ანიშნა აკიმენკოს და მანაც იმწამსვე მიაბჯინა ყელზე ფინური დანა ჭარმაგ რკინიგზელს — აბა, ამოყაჭე, რაცა გაქვს... ახლა ამას ვიკმარებთ, ხვალ კი ორი ათას მანეთს მოიტან.

ანზორი თავდაპირველად დაიბნა, მერე კი გამოერკვა, უზარმაზარი ტორი ჩასცხო იურას და დანაც წაართვა. აკიმენკომ იმარჯვა, „ზაპოროჟეციდან“ გადახტა. ამასობაში ნუგზარმაც გააჩერა მანქანა. ძირს გადმოსული ანზორი აკიმენკოს გამოუდგა, მაგრამ ფეხი დაუცდა და დაეცა. იურამ დრო იხელთა და წაქცეულს ზემოდან დაახტა, მაგრამ ვერ დაიმორჩილა და ქათამაძეს დაუყვირა — მოდი, მომეშველე. ხომ ხედავ, ვერ ვერევი. თუ წამოდგა, შენც არ დაგტოვებს ცოცხალს.

ნუგზარ ქათამაძე ამ ორიოდე წლის წინ მოტოციკლეტზე მიმტვრეული ფეხით მიჩოჩდა ძირს დაყრილებთან:

— თავი გვერდზე გასწიე... — უთხრა იურას და იმწამსვე მთელი ძალით ჩასცხო თავში ხელჯოხი ანზორ ჭიჭინაძეს. მერე კიდევ და კიდევ. როცა დარწმუნდა, ანზორი საშიში აღარ იყო, მკვახე ხმით უბრძანა აკიმენკოს, — ყელი გამოსჭერი.

მორჩილმა იურამაც აღასრულა განაჩენი. მეორე დღეს, მოკლულის გვამი იპოვეს თუ არა, მილიციამ ჯუმბერ ამბოკაძეს სტაცა ხელი — გინდა თუ არა, შენ ხარ ამის ჩამდენიო. ბევრი იძახა ჯუმბერმა, ანზორი ჩემი მეგობარი იყო. შვილიშვილის შეძენა აღვნიშნეთო, მისივე ხელით დააწერინეს — მე მოვკალი ჩემი მეგობარიო. თერთმეტი თვე მკვლელის იარლიყით იჯდა ციხეში კაცი, რომელსაც მეგობარი მოუკლეს. ჯერ ერთხელ დააბრუნა ეს შეთითხნილი საქმე სასამართლომ, მერე — მეორედ. გამომძიებამ ჯუმბერ ამბოკაძის თოთხმეტი წლის გოგონა თეა ღამით ჩამოიყვანა ბოლნისიდან და აიძულეს ეთქვა, რომ მამამისი იმ ღამით გასისხლიანებული მივიდა შინ და ტანსაცმელი მან გაურეცხა. შემდეგ მისი პედაგოგი მოიყვანეს და მასთან გაამეორებინეს იგივე (ასე იცავენ პროცესუალურ ნორმებს ჩვენი სამართალდამცველები). ეს იმისათვის იყო საჭირო, რათა თოთხმეტი წლის ბავშვის ჩვენებას ძალა მისცემოდა.

ჯუმბერ ამბოკაძე ახლაც ციხეში იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება, რამაც ფარდა ახადა დანაშაულს. 1990 წლის 27 ნოემბერს მცხეთის მილიციაში შევიდა განცხადება, რომლის ავტორი ირინა ფისუნენკო-ქათამაძე აცხადებდა, რომ იცის, სინამდვილეში ვინ მოკლა ანზორ ჭიჭინაძე და კიდევ ერთი მკვლელობის შესახებ, რომელზეც ჯერჯერობით სისხლის სამართლის საქმეც არ არის აღძრული. არ ვიცი, რამდენად გაახარა ამ ცნობამ სამართალდამცველები, რომლებსაც ამდენი ხნის მანძილზე უკანონოდ ჰყავდათ დაკავებული ჯუმბერ ამბოკაძე, მაგრამ განმცხადებელი იმდენად კატეგორიული იყო, ისე ასაბუთებდა თავის მონათხრობს, რომ მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა ნამდვილად აღარ შეიძლებოდა.

— დიახ, ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ შიშის გამო ვფარავდი დამნაშავეებს. ახლა ჩემი ფეხით მოვსულვარ. დამიჭირეთ, ოღონდ შვილი გადამირჩინეთო, — ამბობდა გამწარებული ქალი.

სიმართლე გითხრათ, მეც მაინტერესებს, კიდევ რას იტყვის ფისუნენკო-ქათამაძე. ჩვენი გაზეთის მომავალი ნომრის გამოსვლამდე ამ ინფორმაციას სასამართლოს სხდომათა ოქმებში აუცილებლად მოვიძიებ, რაშიც ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, უზენაესი სასამართლოს კოლეგიის სამდივნოს ხელმძღვანელი დიმიტრი მჭედლიშვილი დამეხმარება, რისთვისაც წინასწარ ვუხდი მადლობას.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში).*

**ვაჟა გავაშელი**

# „მორცხვად თვალების დახრას არ ვაპირებთ...“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

პრეზიდენტთან ოპონირებას ის ხალხი ვერ ბედავს, რომლებიც მან დააფრთიანა. ჩვენ დასამალი და მოსარიდებელი მასთან არაფერი გვაქვს. არც ზოგიერთ პოლიტიკოსს ვგავართ, რიდისგან თვალს რომ ვერ უსწორებენ შევარდნაძეს. მათებრ მორცხვად თვალების დახრას ჩვენ არ ვაპირებთ.

**— ამბობენ, „მრეწველებს“ „ზომიერ ელექტორატს“ „ბურჯანაძე–დემოკრატები“ წაართმევენო...**

— ყველა პარტიას ანგარიშს ვუწევთ, განსაკუთრებით კი „ბურჯანაძე-დემოკრატებს“. ხუმრობა ხომ არ არის, სამმა სპიკერმა — ბურჯანაძე-ჟვანიამ და ასათიანმა ერთად მოიყარეს თავი, ვახტანგ გოგუაძესაც თუ შეიერთებენ, არ წააგებენ, სპიკერების სრული სია ექნებათ... სწორედ ამ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები გვიყიჟინებდნენ, წინა არჩევნებში 7%-იან ბარიერს ვერ გადალახავთო. ხომ დავარწმუნეთ ჩვენს ძალაში, ნოემბერში კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან.

**— „მრეწველებზე“ ამბობენ, წინა არჩევნებზე ხელისუფლებამ წააშველა ხელი და პარლამენტში ამიტომ მოხვდნენ. ახლა კი მათთვის შევარდნაძეს აღარ სცალია, თავისი პარტია გასჭირვებიაო.**

— ამ ჭორის გამავრცელებლები ვითონ იყვნენ მაშინ ხელისუფლებაში და კარგად იციან, როგორ გვიშლიდნენ ხელს. ვისაც ამ თემის წინ წამოწევა უნდა, თქვენი გაზეთის საშუალებით საჯარო დებატებში ვიწვევ. ყველა დოკუმენტს წარმოვადგენთ იმის შესახებ, თუ რას აპირებდა ხელისუფლება და რისი გაკეთების საშუალება არ მივეცით.

*ა მას წინათ გაპოლიტიკოსების მოსურნე ერთ მშვენიერ ქალბატონს დასცდა, — რაკი წარმატებული ბიზნესლედი გახლავართ, ქველმოქმედებაზე უარს არ ვამბობ და სახელისუფლებო ბლოკს წინასაარჩევნოდ შევეწიეო. მან ისიც გვაუწყა, — ჩემი პოლიტიკოსი მეუღლე თავის ნაცვლად სიაში მე მსვამსო. ამ გულახდილობის შემდეგ ქალბატონმა ინტერვიუების მიცემაზე უარი თქვა. მიხვდა, პოლიტიკაში იმის თქმა არასოდეს შეიძლება, რასაც ფიქრობ და აკეთებ... ამიტომ პოლიტიკაში ბიზნესლედის მოსვლის მიზეზი, ისევ მის მეუღლეს ვკითხეთ. სანამ ვახტანგ რჩეულიშვილის კომენტარს შემოგთავაზებთ, ჩვენი დღევანდელი რესპონდენტების შერჩევის კრიტერიუმს გაგიმხელთ — პიროვნება, რომელიც პოლიტიკაში მოდის, პოლიტიკოსი, რომელსაც პოლიტიკაში დარჩენა აღარ უნდა და კაცი, რომელიც პოლიტიკაში არასოდეს მოვა...*

**ვახტანგ რჩეულიშვილი:**

— ჩემი მეუღლე პოლიტიკისაგან შორს არასოდეს ყოფილა, პარტია მასთან ერთად დავაფუძნე. მაია პარტიის დაფინანსებაშიც მეხმარებოდა და საორგანიზაციო მუშაობაშიც. ის ყველა არჩევნებზე მეხმარება, განსაკუთრებით კი ჩემს ვიცე-სპიკერად არჩევისას იყოჩაღა. წელიწად-ნახევარი არ მამტკიცებდნენ ამ პოსტზე. როდესაც ავსტრიაში ვიყავი, მაია ყველა ფრაქციას მოეთათბირა და ჩემს ვიცე-სპიკერად არჩევას ორგანიზება გაუკეთა. მაია ძალზე დიპლომატიურია, ჩემი კოლეგები მეუბნებიან — შენთან საქმის ქონას, გვირჩევნია შენს მეუღლესთან ვილაპარაკოთო.

**— ალბათ, ამიტომაც ითქვა, ვახტანგ რჩეულიშვილი პარტიიდან მიდის და თავმჯდომარეობას თავის მეუღლეს უთმობსო. პოლიტიკაც ხომ არ მოგბეზრდათ?**

— პარტიიდან არ წავალ. არა მგონია, მისი თავმჯდომარეობა მაიამ შეძლოს. უბრალოდ, ახალგაზრდები მოვლენ პარტიის ხელმძღვანელობაში. პოლიტიკა მართლაც მომბეზრდა. ბოლო დროს ისეთ საქმეებს შევეჭიდე (რუსულ-ქართული ურთიერთობები, ქართველების დაბრუნება წმინდა მიწაზე), პარტიისთვის ველარ ვიცლი. არ მინდა საქმეები, რომელსაც ვაკეთებ, ვიწროპარტიული კუთხით განიხილებოდეს. ერთი პარტიის ჩარჩოები ჩემთვის ძალზე ვიწროა(!).

# გამჭვირვალე ქაოსის ქვეყანა...

## პიროვნება, რომელსაც პოლიტიკოსობა უნდა და პოლიტიკოსი, რომელსაც პოლიტიკაში დარჩენა აღარ სურს



**— პარტიულ სიაში თქვენს ნაცვლად მაია რჩეულიშვილს ვიხილავთ?**

— შესაძლოა...

*სადეპუტატო მოღვაწეობით გაბეზრებული პარლამენტარი კობა ამირხანაშვილი კი პოლიტიკიდან წასვლას აპირებს და ერთ რამეზე ოცნებობს, როგორმე პრეზიდენტი შეელიოს და პოლიტიკიდან უპრობლემოდ გაუშვას.*

— შარშან პარლამენტარებს მოვუწოდე, — მემორანდუმი შევადგინოთ და ყველამ ხელი მოვაწეროთ, რათა პარლამენტში ახალი ხალხი მოვიდეს. მერე პრეზიდენტს მოვთხოვოთ მთავრობის გადახალისება-მეთქი... ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენად „სერიოზულად“ მიიღებდნენ ჩემს წინადადებას. კაცმა თავში არ უნდა ჩაიჭედო, თუ პარლამენტში არ ვიქნები, გავუბედურდებიო... ათასი საქმე მაქვს (1995 წელს, როცა პარლამენტში მოვედი, დოქტორი და პროფესორი ვიყავი), შვილებიც წამომეზარდნენ, ვიფიქრე, — ახლა სხვა მოვიდეს პარლამენტში-მეთქი...

**— ეტყობა, პოლიტიკოსობა არ მოგეწონათ.**

— ხალხს რასაც დავპირდით, ვერაფერი ავუსრულეთ. რა საქმეც წამოვიწყეთ, ყველაფერში გავიჭედეთ. რა ნამუსით უნდა მივიდეთ ამომრჩეველთან და ვუთხრათ — ხმა მოგვეცითო. ვუთხარი პრეზიდენტს, — პარლამენტში ყოფნას აღარ ვაპირებ-მეთქი. ძალიან შეწუხდა... დებილი უნდა იყო, ეს ხელისუფლება რომ მოგწონდეს და გიხაროდეს, შუქი და გაზი რომ არ არის. ჯარი მშიერია და ავადმყოფი ოპერაციას ვერ იკეთებს... მაგრამ უმადური კაცი არ ვარ, არ შემიძლია ერთი მატარებლით მოვიდე ხელისუფლებაში და მერე სხვაზე გადავხტე...

**ვახუშტი კოტეტიშვილს** *კი ვკითხეთ, მოგწონთ თუ არა პოლიტიკაში არაპროფესიონალები რომ მოდიან-მეთქი:*

— ამის მოწონება როგორ შეიძლება. ქართველებს ვეკითხები — კარგ ხაბაზობაზე რატომ არა გაქვთ პრეტენზია? თუკი ფეხსაცმლის შეკერვას უნდა ცოდნა, სახელმწიფოს მართვას არ სჭირდება პროფესიონალიზმი-მეთქი? ეს ხალხი სარფისთვის მოდის პოლიტიკაში. მე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომელსაც ცოდნაც მაქვს და განათლებაც, რატომ არ მოვდივარ პოლიტიკაში, იცით? მაწყენდა 500-ლარიანი ხელფასი და სიკვდილამდე პენსია?! მაგრამ ეტყობა სიხარბეს ჩემი შეგნება ჯაბნის. თან, კაცმა თუ შენი საქმე იცი, ისეთ საქმეს არ მოჰკიდებ ხელს, რომლისაც არაფერი გაგეგება. სამწუხაროდ, ჩვენ დილეტანტების ეპოქაში ვცხოვრობთ — დიპლომებს ვარიგებთ და ცოდნას არ ვიძლევით. ასეთ ქვეყანაში კი ჯიბის პოლიტიკაა მთავარი და არა — სახელმწიფო. პარლამენტში ხალხი საკუთარი თავის მოსაჭახრაკებლად მოდის. ამიტომაც არ ვიცნობ პარლამენტარების უმეტესობას. რა საჭიროა პარლამენტში 250 კაცი, 80 დეპუტატიც ეყოფა, მაგრამ პოლიტიკაში ფულია და ფულისკენ მიილტვის ეს ხალხი. აბა, არ იყოს იქ ფული, სახრით ვერავის შეაგდებდი პარლამენტში.

ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ, მაგრამ ჩვენი ნიჭი ერთმანეთის ჭამაზე გვაქვს მიმართული. ამას შეელია საქართველოს სული. ყველა სფეროში დაპირისპირებაა, განსაკუთრებით კი პოლიტიკაში.

ჩვენ გამჭვირვალე ქაოსში ვცხოვრობთ, ყველა ყველაფერს ხედავს, მაგრამ გამოსწორებას არავინ ცდილობს...

მაშინ გვეშველება, როცა ყველა ჩვენ-ჩვენი საქმის კეთებას დავიწყებთ, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას თავს დავანებებთ და ღვთით ბოძებულ ნიჭს საჭიროებისამებრ მივმართავთ.

***მოამზადა იზო რიკაძემ***











# იყო ემ-ბი-ჯი, გახდა პროკრედიტ ბანკი

MBG
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ქართულ საბანკო სამყაროში ცვლილებაა, რომელიც უცხოურ ბანკებსაც შეეხება. 2003 წლის 15 სექტემბრიდან სახელი შეიცვალა საქართველოში ერთ-ერთმა ლიდერმა ბანკმა „ემ-ბი-ჯიმ“, ამიერიდან იგი „პროკრედიტ ბანკად“ იწოდება. უახლოეს თვეებში პროკრედიტ ბანკით შეიცვლიან სახელს აგრეთვე პარტნიორი ბანკები აღმოსავლეთ ევროპაში. ნათლობასთან დაკავშირებით 15 სექტემბერს სასტუმრო „მერიოტში“ საქმიანი წვეულება გამართა პროკრედიტ ბანკმა, სადაც სიახლის გარდა, მიწვეულ საზოგადოებას მასპინძლებმა კიდევ ერთხელ მოახსენეს მიღწეული წარმატებების შესახებ. პროკრედიტ ბანკის ფილიალების ქსელის განვითარების მენეჯერს ასმუს როტნეს სიახლისა და საქმიანი ურთიერთობის შესახებ ვესაუბრეთ:

***— ბანკი „ემ-ბი-ჯი“ სახელს იცვლის და პროკრედიტ ბანკი ხდება, ანუ თქვენს სამსახურში რჩება იგივე ბანკი ახალი სახელითა და უკეთესი მომსახურებით...***

— პროკრედიტ ბანკი წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებულ უნივერსალურ ბანკს. მომხმარებელს ჩვენ ვთავაზობთ საუკეთესო მომსახურებასა და საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრს. ჩვენი საკრედიტო საქმიანობა ძირითადად მიმართულია მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსებაზე, ვინაიდან დარწმუნებულები ვართ, რომ სწორედ ეს საწარმოები ქმნიან ყველაზე მეტ სამუშაო ადგილს და ამით არსებითი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ჩვენი ბანკი განზრახ არიდებს თავს საქმიანობის სპეკულაციურ მიმართულებებს და შესაბამისად დიდ სესხებს გასცემს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რითაც ასეთ საქმიანობებთან დაკავშირებული რისკი დაჰყავს მინიმუმამდე.

***— ბოლო დროს საბურთალოს რაიონში „ემ-ბი-ჯის“ ერთ-ერთი ფილიალის გახსნას დავესწარი. მას შემდეგ კიდევ გაიზარდა თქვენი მომსახურების ქსელი?***

— დიახ. სულ ახლახან გავხსენით ფილიალი დიდუბის რაიონში. ოთხი წელია, რაც საქართველოს მოსახლეობას ვემსახურებით და ამ ხნის მანძილზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე 16 ფილიალისა და განყოფილების მეშვეობით 80000 ბიზნესკლიენტსა და 10000 კერძო პირს ვუწევთ მომსახურებას. პროკრედიტ ბანკი იმ ბანკების ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც საქმიანობას სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეწევიან. ისინი ერთად 250 000 კლიენტს ემსახურებიან. მათი აქტივების ღირებულება 800 მლნ ევროს უდრის. ეს ბანკები იმყოფება ისეთი ძლიერი საერთაშორისო აქციონერებისგან შემდგარი ჯგუფის მფლობელობაში, როგორებიცაა: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, კომერცბანკი, გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და საერთაშორისო მიკროინვესტიციების კომპანია. ბანკების საქმიანობას მართავს სათავო ოფისი ფრანკფურტში, მათი რეგიონის მიმართ აღებული ვალდებულებებისა და ბანკების მზარდი ინტეგრაციის ნიშნად მიღებული იქნა გადაწყვეტილება ყველა ბანკის ერთი სახელითა და ლოგოტიპით გაერთიანების შესახებ.

***— რას ნიშნავს პროკრედიტ ბანკის სახელი და ლოგოტიპი?***

— პროკრედიტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სესხებზე, ნდობაზე ორიენტირებულს. იგი გამოხატავს ჯგუფში შემავალი ყველა ბანკის მიზანსა და საქმიანობის ძირითად სფეროს. ლოგოტიპის სფერო გამოხატავს იმ ბაზრების რიცხოვნობასა და მრავალფეროვნებას, სადაც პროკრედიტ ბანკი ფუნქციონირებს და მოპოვებული აქვს ფუნდამენტალური ცოდნა და გამოცდილება.

***— ამ ცვლილების შედეგად რა შეიცვლება კლიენტებისათვის?***

— ბანკთან ყოველდღიური ურთიერთობის პროცესში არაფერი, ყველა ანგარიშის ნომერი იგივე დარჩება, შესაბამის ფილიალებში იგივე პერსონალი გაგიწევთ მომსახურებას. დეპოზიტები კვლავ უსაფრთხოდ იქნება შენახული და კლიენტებს იგივე ხელმძღვანელობა მოემსახურება. მომდევნო თვეების განმავლობაში თქვენ უკვე შეამჩნევთ, რომ ის ფილიალები, რომლებიც თქვენ გემსახურებიან, წარმოდგენილი იქნება ახალი სახელით. ბანკი შემოგთავაზებთ გაუმჯობესებულ მომსახურებას, რომელიც დამყარებული იქნება ქსელში არსებული სხვა ბანკების გამოცდილებასა და ცოდნაზე. ასე რომ, პროკრედიტ ბანკისაგან, თქვენ გელოდებათ უფრო სწრაფი, ეფექტური და გაუმჯობესებული მომსახურება.

***— დაბოლოს, რით იწონებს პროკრედიტ ბანკი თავს?***

— 2003 წლის ივლისის შედეგებმა კვლავ დაგვანახვა ბანკის დინამიკური ზრდა. საქართველოში მას გაცემული აქვს 1000-ზე მეტი ბიზნესსესხი, რომელიც თანხობრივად 5.8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. შესაბამისად მან საქართველოს ბაზარზე დაიმკვიდრა ერთ-ერთი წამყვანი ბანკის პოზიცია. 31 ივლისის მდგომარეობით 2003 წლის მოგებამ შეადგინა 900 ათასი აშშ დოლარი. სულ მალე შემოგთავაზებთ პლასტიკური ბარათებითა და ინდივიდუალური სეიფებით მომსახურებას. ონლაინ ბანკინგს, რომელიც საშუალებას მოგცემთ ოფისიდან ან სახლიდან გაუსვლელად თქვენი კომპიუტერის მეშვეობით არა მარტო აკონტროლოთ თქვენი ანგარიში, არამედ განახორციელოთ საბანკო ტრანზაქციებიც. მაგალითად, ფულადი გადარიცხვები და ვალუტის კონვერტაციები.

R

# „უწმიდესის ნათქვამი უფლის ნებად მენიშნა“

## გარემო

საქართველოში ახლა ყველამ თუ არა, მგონი ყოველმა მეორემ მაინც იცის, რომ სადღაც ფილიპინებზე, რომელიღაც პატარა სოფელში ცხოვრობს რამდენიმე გაუნათლებელი ადამიანი, რომლებიც ღვთისა თუ გეოგრაფიული მდებარეობის შეწევნით ადამიანებს კურნავენ. სამაგიეროდ, ვეჭვობ ასიდან ერთმა მაინც იცოდეს, რომ ჩვენთან, საქართველოში, ჭიათურის რაიონში, ქალაქიდან ოცდახუთი კილომეტრის დაშორებით, ქვაღორღიან მთებში, სადაც გლეხი სიმინდის შემოსაყრელ მიწასაც ვერ აგროვებს, უგზოობის, უშუქობის, უწყლობის პირობებში ცხოვრობს ორასკომლიანი სოფელი, ცხრუკვეთი, რომელმაც ქვეყანას მისცა მსოფლიო სახელის მქონე შვიდი მეცნიერი აკადემიკოსი, ოცდარვა პროფესორი, ხოლო მეცნიერებათა კანდიდატების თუ სხვა დამსახურებებით გამორჩეულ ადამიანებს ვინ მოთვლის.

ნებისმიერი ერი იამაყებდა ისეთი სახელებით, როგორიცაა აკადემიკოსები ანდრია ბიწაძე და თინათინ წერეთელი, გრიგოლ ბიწაძე და გიორგი წერეთელი, ალექსანდრე, ალექსანდრა და ნიკოლოზ წერეთლები და ბევრი სხვ.

დიახ! ამ მწირ მიწაზე მოსავალი არ მოდის, მაგრამ ნიჭიერების, ტალანტების ისეთი სიუხვეა, იქ მისულს უნებურად გიჩნდება სურვილი, ქუდი მოიხადო და ქედი მოიდრიკო პატივისცემის ნიშნად.

დიდი ხანია, მინდოდა „კვირის პალიტრის“ მკითხველებისთვის ამ საოცარი სოფლისა და იქაურების შესახებ მეამბნა, მაგრამ ამჯერად იქვე, იმ სოფელში ისეთი საოცრების მოწმე გავხდი, რომ ჩემმა ადრინდელმა ჩანაფიქრმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა და პირველობა კაცს მივაკუთვნე, რომელიც შორს დგას მეცნიერებისგან, მაგრამ ძალიან ახლოს მისულა სხვა სიმაღლეებთან. წინამდებარე სტატიის გმირიც ცხრუკვეთელია.

ამთავითვე ვაფრთხილებ ურწმუნოებს, რომ მეც მათ რიგებს ვეკუთვნი, ან უფრო სწორად, ვეკუთვნოდი გასულ ოთხშაბათამდე. იმ დღეს ნანახმა და მოსმენილმა კი ერთიანად გააცამტვერა კომუნისტებისგან ჩანერგილი ჩემი ათეისტური წარმოდგენები და გასაკვირი არ იქნება, ამიერიდან თუ ხშირად მნახავენ საკურთხეველთან სანთლით ხე-



ლში. როგორც ყოფილი სამართალდამცველი, პირობას ვდებ, მოგითხროთ სიმართლე, სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა — ანუ რაც ვნახე, მოვისმინე და ვიგრძენი.

## გამოცხადებამდე

ცხრუკვეთელი **ემზარ ბიწაძე**, ოცდაცამეტი წლის: — აქ დავიბადე, აქვე დავამთავრე რვაწლედი და შემდეგ ქუთაისის პროფტექნიკურ სასწავლებელში არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციას ვეუფლებოდი. მოსწავლის რანგში ვმუშაობდი ბაგრატის ტაძრის ერთ-ერთი გუმბათის რესტავრაციაზე. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე ინდუსტრიულ-პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ჯარში გამიწვიეს და პირდაპირ ავღანეთში მიკრეს თავი. მზვერავი მენაღმე გახლდით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ მიმართულებით, საითაც ჯარი უნდა გადაადგილებულიყო, პირველს მე მიწევდა გავლა. ბევრი სისხლი მინახავს, ბევრჯერ შევყრივარ სიკვდილს პირისპირ, მაგრამ ერთხელაც არ გავკაწრულვარ, მიუხედავად იმისა, რომ „ბეტეერი“, რომლითაც მე ავღანეთიდან ცამეტ თებერვალს ბოლო კოლონაში გამოვედი, ბოლოსწინა იყო. ეს ჩემი ცხოვრების ის პერიოდი იყო, როცა ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდი ჯვარსა და ნახევარმთვარეს, ანუ რელიგიის არაფერი გამეგებოდა და რატომღაც აკვიატებული მქონდა სურვილი — ნახევარმთვარე მეყიდა და მეტარებინა.

## პირველი გამოცხადება

სწორედ იმ დღეებში, როცა ამ ნივთს ვეძებდი, დღისით (ალბათ შუადღის სამი საათი იქნებოდა), თეთრებით შემოსილი წმინდანი (ამას მერე მივხვდი) გამომეცხადა. სახე ისე უბრწყინავდა, ნაკვთების გარჩევა შეუძლებელი იყო. მხოლოდ გრძელი წვერი და უკან გადავარცხნილი თმის ბოლოები უჩანდა. წმინდანმა ჯვარი გამომიწოდა და მითხრა: „შვილო, რასაც დაეძებ, ის არ არის შენი საქმე, აი, ეს უნდა ატაროო“ და გაუჩინარდა.

ნაჩვენები ჯვრის კონფიგურაცია რომ არ დამვიწყებოდა, ჩემს სამხედრო ტყავის ქამარს ბოლო წავაჭერი და აი, ეს ჯვარი გავაკეთე, რომელსაც ერთხანს ვატარებდი კიდეც, მა-




გრამ ისე, სხვათა შორის, გაუცნობიერებლად. ეს ჩემი ავღანური პერიოდის დასაწყისში მოხდა და უფალს ვუმადლი, რომ მან გადამარჩინა. რამდენჯერ ყოფილა, გაუვალ ადგილებში სწორად გამიგნია გზა. წყურვილისაგან სულს რომ ვლაფავდით ხრიოკებში, წყალიც მიპოვია. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაც მკარნახობდა ყველაფერს, თითქოს ნამყოფიც კი ვიყავი ამ ადგილებში...

შინ დავბრუნდი. იურიდიულზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ მშობლებმა სხვა მოინდომეს. პატარა წავიმეცადინე და სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე ჩავაბარე იმავე წელს. აბა, რა მექნა, გულს ხომ არ დავწყვეტდი ლოდინითა და შიშით დაღლილ დედ-მამას. ინსტიტუტი ქირურგის დიპლომით დავამთავრე, მაგრამ უფულობის გამო სამსახური ვერ ვიშოვე. სამაგიეროდ, შიგადაშიგ, ცხინვალისა და აფხაზეთის ომებში მეძახდნენ და მეც მორჩილად ვასრულებდი ზემდგომების ბრძანებებს.

## მეორე გამოცხადება

96-ში კვლავ გამომეცხადა წმინდანი და მკითხა — რას შვრები, აგრძელებ ჩემს გზას თუ არაო, — იმ მოსწავლესავით ავიწურე, გაკვეთილი რომ არ იცის და ხმაც ვერ დავძარი. ან კი რა უნდა მეთქვა, იმ ტყავის ჯვრის გარდა, რომელიც ამჯერად სადღაც კომოდის უჯრაში იდო, არაფერიც არ გამიკეთებია. წმინდანი ისე გაუჩინარდა, საყვედურიც არ უთქვამს, თუმცა ახლა რომ ვაკვირდები, როგორც ჩანს, დამსაჯა. სხვანაირად ვერაფრით ავხსნი იმ გარემოებას, მანამდე რომ ფრჩხილიც არ მტკენია, საღი კბილი ამტკივდა და ჩვიდმეტდღიანი წამების შემდეგ ამოვიღე. გაგიჟდა ექიმი — ეს რა ქენი, საღი კბილი ამომაღებინეო. მალე ისე ამტკივდა და გამისივდა ყბა, რომ საავადმყოფოში დამაწვინეს. აი, იქ იყო, პირველად ღმერთისკენ რომ გავიხედე. მაშინ პირველად გავაცნობიერე, რას ნიშნავდა ქრისტიანობა და მისი უპირველესი ღერძი — მართლმადიდებლობა. ვისწავლე ლოცვები. ჯერ „ერის ლოცვა“, შემდეგ „მამაო ჩვენო“ და სხვები. საავადმყოფოდან შინ რომ დავბრუნდი, წნევა აღარ მესინჯებოდა, სხვა ალბათ დაიღუპებოდა. მე გადავრჩი, როგორც ჩანს, ისევ უფლის ნებით.

## მესამე გამოცხადება

მესამედ კვლავ გამომეცხადა წმინდანი და წმინდა გიორგის ცოცხალი ხატი მაჩვენა, ანუ სცენა, როგორ განგმირა წმინდა გიორგიმ გველეშაპი. ამის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში პირველად ხეზე გავაკეთე წმინდა გიორგის პატარა ხატი, რომელზეც ზუსტად ცხრა საათი ვიმუშავე. ამ დროის განმავლობაში არც მიჭამია და მგონი, არც წყალი დამილევია. დიახ! პირველად ჩემს სიცოცხლეში დავიწყე ხეზე კვეთა, რაც მანამდე არც მიცდია, არც არავის უსწავლებია და არც დავინტერესებულვარ.



**— ჩემს სამხედრო ტყავის ქამარს ბოლო წავაჭერი და აი, ეს ჯვარი გავაკეთე...**

ხეს გადმობრუნებულ გვერდზე ზუსტად იმ ადგილზე აღმოაჩნდა ცხრა სანტიმეტრის სიგრძის ხვრელი (ზუსტად ამ სიღრმის ჭრილობა ჰქონდა ფერდში ვნების შემდეგ მაცხოვარს). ხელებსა და ფეხებზე ბუნებრივად ჩანდა ნამსჭვალი ადგილები, მათრახების ნაკვალევი და ძმრის ლაქაც კი (ხომ გახსოვთ, წყლის ნაცვლად ძმარი მიაწოდეს მაცხოვარს). ოცდამეცხრე დღეა, სისველე აქვს მარჯვენა თვალზე. ფერისცვალებამდე სამი დღით ადრე დაეწყო თმის შეფერვა და როგორც მღვდელმსახურნი ამბობენ, იმ ფერს იღებს, როგორიც სინამდვილეში ჰქონია მაცხოვარს.

ქვისა ასე თუ ისე რაღაც გამეგებოდა, მაგრამ ხის — არაფერი. მას შემდეგ ვაკეთებდი პატარ-პატარა ხატებს და ყველა გავაჩუქე, ამ პირველი ნახელავის გარდა.

ამასობაში, გამიჩნდა სურვილი ქრისტეს ხეში გამოკვეთისა, მაგრამ ეს სურვილი ალბათ ისევ სურვილად დარჩებოდა, ჩემს ძმას, პაატას რომ ზუსტად იგივე არ ეთქვა; ესე იგი, მასაც იგივე ძალა კარნახობდა, რომელიც მე, მაგრამ როგორ გამეკეთებინა, — მე ხომ არც ბიბლია ვიცოდი და არც სხვა ლიტერატურას ვიცნობდი ქრისტეს ცხოვრების შესახებ. ამას დაუმატეთ ჩემი უმეცრება მხატვრობაში, მაგრამ...

## მეოთხე გამოცხადება

წმინდანი კვლავ გამომეცხადა და მითხრა — „შენ ეს უნდა გააკეთო.“ მივხვდი, უფლის გამოკვეთას ითხოვდა. ჩავთვალე, რომ ეს უკვე ბრძანება იყო და ლიტერატურის შესწავლას ჩავუჯექი. თან მე და ჩემი ძმა კვეთისათვის საჭირო მასალას ვეძებდით. თავდაპირველად, ბზა გვინდოდა, მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ ამ ზომის ბზას ვერ ვიშოვიდით. მერე ქართულ კოპიტზე შევაჩერეთ არჩევანი. ძებნა-ძებნით ქუთაისი-თერჯოლის საზღვარზე, სოფელ გოდოგანს მივადექით. როცა იქაურებმა შეიტყვეს, რასაც ვეძებდით და რისთვის, რამდენიმე კოპიტის მოჭრაც შემოგვთავაზეს — წაიღეთ, როგორც ჩვენი შემოწირულობა მაგ საქმისთვისო, მაგრამ არც ერთზე გული არ მიმივიდა. ის იყო, სოფელს გავცდით მე და ჩემი ქუთაისელი მეგობრები ზაზა კირკიტაძე და ზამერ ცირეკიძე, რომ ბიჭები დაგვეწივნენ, ჩვენს უბანში ერთ გლეხს მოჭრილი კოპიტი უდევს ეზოში და იქნებ ის მოგეწონოსო. უკან დავბრუნდით. შევხედე თუ არა ხეს, ვიღაცამ ჩამძახა, ეს ხე უნდა წაიღოთო და ავუხსენი მის პატრონს რისთვისაც ვიყავით მისულები.

— მე არაფერი მაინტერესებს, ფული გადაიხადეთ და წაიღეთო, გვითხრა. აბა, როგორ დავფიქრდებოდი, მე და ჩემი იურისტი ძმა ხან კაფელს ვაგებთ, ხან პარკეტს ან მეტლახს, ცოტა ფულს ვშოულობთ. იმ კაცს იქვე ჩავუთვალეთ, რაც მოგვთხოვა და გასულ ახალ წელს ხე სოფელში ჩამოვიტანე.

*(დასასრული იხ. გვ. 27)*

## რას გვეტყვი, მამაო?

**— მაინტერესებს, გარდა ეკლესიისა, სად შემიძლია ვიმუშაო სასულიერო აკადემიის დამთავრების შემთხვევაში?**

— სასულიერო სემინარია საღვთისმეტყველო განათლებას აძლევს. ღვთისმეტყველების გამოყენებას კი უსასრულო სფერო აქვს — სკოლის პედაგოგებიდან დაწყებული, სამეცნიერო მუშაობით დამთავრებული, შეგიძლიათ იმუშაოთ ნებისმიერ იმ სამსახურში, სადაც საღვთისმეტყველო განათლებაა საჭირო.

**— რამდენჯერ უნდა გადავიწერო პირჯვარი საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში. ვთქვათ, ტრანსპორტში ყოფნისას.**

— პირჯვრის ერთხელ გადაწერაც საკმარისია, რომ უფლისადმი თქვენი მორჩილება, სიყვარული და ვედრება გამოხატოთ. მთავარია პირჯვარი სწორად, გამართულად გადაიწეროთ, რათა უწმინდური ძალები ვერ მოგიახლოვდნენ...

**— შეგვიძლია თუ არა საერო წმინდანები „წმინდა მამებად“ მოვიხსენიოთ?**

— წმინდა მამებად მოვიხსენიებთ ცოცხალ თუ გარდაცვლილ საეკლესიო მოღვაწეებს, რომლებიც უფლის სახელისთვის აღესრულნენ. ღვთის ნებით, წმინდანებად შეირაცხნენ ის საერო პირებიც, რომლებსაც განუზომელი ღვაწლი წარმოაჩინეს ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე... მაგრამ საეკლესიო ტერმინოლოგიაში „წმინდა მამის“ წოდებას მხოლოდ სასულიერო მოღვაწენი ატარებენ.

**— გავიგეთ, რომ უცხოური პარფიუმერიის და კოსმეტიკის ზოგიერთი პროდუქცია, რომელიც ჩვენთან იყიდება (მაგალითად პროქტერე), უფლისაგან განდგომილი ადამიანების შექმნილია. რა იცით ამის შესახებ. შევიძინოთ ისინი?**

— ასეთ საკითხებს სიფრთხილით უნდა მოეპყრათ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგჯერ ფართო მოხმარების საგნებზე, სავაჭრო კონკურენციის გამო, საგანგებოდ ხდება მცდარი ინფორმაციის გავრცელება. ამ შემთხვევაში თვითონვე უნდა გადაწყვიტოთ რა ქნათ. თუ რომელიმე პროდუქცია გაბრკოლებთ ან არ გსიამოვნებთ მისი მოხმარება, შეიძინეთ სხვა, ის, რომელსაც უფრო საიმედოდ თვლით.

**— მამაო, ვიცი რომ სასოწარკვეთა ცოდვაა, მაგრამ ვერ გამოვდივარ ამ ცოდვიდან. შინიდან გასვლის ძალაც აღარ მაქვს, როგორ მოვიქცე?**

— სასოწარკვეთა სულის დაავადებაა და ადამიანის ცხოვრების წესიდან გამომდინარეობს. თუ ადამიანმა ისე იცხოვრა და ისეთი სურვილები ჰქონდა, რომელთა განხორციელებაში უფალი ვერ დაეხმარა, რადგამ ეს სურვილები მისი ნების საწინააღმდეგო იყო, ადამიანი ჩიხამდე მიდის. ღვთისგან დაშორებულს ჰგონია, რომ ბედნიერი არასოდეს იქნება. როგორც მზის ხანგრძლივი დაშორება იწვევს ადამიანის გაყინვას, ასევე იწვევს სულიერ გაყინვას უფლისაგან დაშორება. ერთადერთი გამოსავალი სასოწარკვეთიდან კვლავ უფალთან დაბრუნებაა. თუ ჯერჯერობით შინიდან ვერ გადიხართ, სთხოვეთ ახლობლებს, მოძღვარი მოიყვანონ. უამბეთ მას ყველაფერი... მთავარია, სინანული იგრძნოთ შეცდომების გამო... როცა მოდის სინანული, მაშინ მოდის სულიერი კურნების მადლი. მერე სულში ნელ-ნელა სევდანარევი სიხარული ისადგურებს, რომელსაც თანდათან ცვლის ბედნიერება.

**— შეუძლია თუ არა სასულიერო პირს ქუჩაში ანაფორის გარეშე იაროს?**

— საქართველოს ეკლესიის კანონიკა — სასულიერო პირს საერთო თავშეყრის ადგილებში ანაფორით სიარულს ავალებს. თუმცა არსებობს განსაკუთრებული შემთხვევები, როცა სასულიერო პირს საერო სამოსით სიარულის ნება ეძლევა (მაგ. არაქრისტიანული ქვეყანა, სპეციფიკური სიტუაციები), ოღონდ ეს უნდა მოხდეს მღვდელმთავართან შეთანხმებით.

**— აუცილებელია თუ არა შინ გვქონდეს ნაკურთხი წყალი და როგორ უნდა შევინახოთ იგი?**

— ნაკურთხი წყალი ყველა ქრისტიანულ ოჯახში უნდა ინახებოდეს. იგი გამოიყენება დასალევად და ოთახში სასხურებლად. უნდა მოვათავსოთ საგანგებოდ მისთვის განკუთვნილ ჭურჭელში და მის დასალევადაც განკუთვნილი უნდა იყოს პატარა ჭიქა. სასურველია ნაკურთხი წყალი ყოველ დილით უზმოზე, ლოცვის შემდეგ დალიოთ. იგი ყოველთვის მიიღეთ ავადმყოფობისას.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# მედიკამენტების შეძენისას დიდი სიფრთხილე გმართებთ

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**მამუკა მაისურაძე,** პედიატრიის ინსტიტუტის მთავარი ექიმი: — ყალბი წამლის დაფიქსირება ექიმისთვის ძალზე რთულია. მკურნალობის უშედეგობა თავისთავად ბადებს ეჭვს წამალზე, თუმცა ზოგჯერ შეიძლება არასწორი დანიშნულებითაც იყოს გამოწვეული.

— **კი, მაგრამ უშედეგობა წამლის სიყალბეზე არ მიუთითებს?**

— ბევრი ფაქტორი არსებობს, როცა წამლის ხმარებას ეფექტი არ მოსდევს. როცა ავადმყოფს წამალი უკეთდება, მაქსიმუმ 72 საათის შემდეგ ეფექტი უნდა მივიღოთ, თუ დადებითი ეფექტი არ არის, იცვლება წამალიც და დანიშნულებაც გადაისინჯება. ჩვენს ინსტიტუტში ბიცილინური პროფილაქტიკა კეთდება, რასაც რუსული პრეპარატი „ბიცილინ-5" სჭირდება. ჩვენ ხმარებიდან ამოვიღეთ უცხოური წარმომავლობის მისი ყველა ანალოგიური პრეპარატი, რადგან ამ სახის ნორმალური უცხოური პრეპარატების მოძებნა შეუძლებელი აღმოჩნდა. ასევე ამოვიღეთ ხმარებიდან ანტიბიოტიკების 10 დასახელება და სხვადასხვა ჰორმონალური საშუალება, რომელთა ხმარებას პაციენტებისთვის შეიძლებოდა სერიოზული ზიანი მიეყენებინა...

როგორც ირკვევა, წამლის ფალსიფიკატორები, ძირითადად, ისეთი იაფფასიანი მედიკამენტების წარმოებით არიან დაკავებულები, როგორებიცაა ანალგინი, პენიცილინი, ნაფტიზინი და სხვა პოპულარული წამლები. ასეთი „წამლები" საქართველოში უმეტესად აზიის ქვეყნებიდან შემოდის. სპეციალისტების თქმით, ასევე საეჭვოა ამ ქვეყნებიდან შემოტანილი ბავშვთა ვაქცინალური საშუალებები. დღეს უკვე სულ უფრო მეტი მშობელი ამბობს, რომ აცრის შემდეგ მათი ბავშვის მდგომარეობა სერიოზულად გართულდა.

„ერთი წლის წინ ჩემს ბავშვს კომბინირებული აცრის შემდეგ კიდური გაუშეშდა, — გვითხრა ერთ-ერთმა მშობელმა, რომელმაც ვინაობის დასახელება არ ისურვა, — აშკარად დაეტყო თვალების სიელმე, რასაც დიდი ხნის მანძილზე ვმკურნალობდით ნევროპათოლოგთან. საქმეს ის ართულებდა, რომ ექიმები ვერ მიხვდნენ, რა იყო გართულების მიზეზი — უხარისხო ვაქცინა თუ არასწორად გაკეთებული აცრა. მაგრამ შემდეგ სხვა მშობლებიც ვნახეთ, რომლებიც ჩემნაირ მდგომარეობაში იყვნენ. აღმოჩნდა, რომ ვაქცინის ეს პარტია მალაიზიიდან შემოუტანიათ და ბავშვების უმრავლესობამ ცუდად გადაიტანა იგი".

უხარისხო წამლებით დაზარალებულთა სიმრავლის მიუხედავად, ექიმები ხშირად დაზუსტებით ვერ ამბობენ, თუ რამ გამოიწვია გართულება, რადგან თვით წამლის ლაბორატორიული შემოწმება აჩვენებს, რომ მედიკამენტი სწორად არის დამზადებული, არაეფექტურობა კი შეიძლება მისი არასწორად შენახვის ბრალი იყოს.

**მზია კელენჯერიძე,** პედიატრი-კარდიოლოგი, „წამალი და თერაპიული კომიტეტის" განყოფილების გამგე: — პრაქტიკაში ასეთი რამ მეც ხშირად მხვდება, პაციენტს ვუნიშნავ რომელიმე პრეპარატს და ეფექტი კი არ აქვს. როცა ასეთი წამლები შესამოწმებლად გადავაგზავნეთ, აღმოჩნდა, რომ ინგრედიენტები, რითაც ესა თუ ის პრეპარატი უნდა იყოს დამზადებული, მათში ნამდვილად არის, მაგრამ ყველა სხვა კომპონენტი, რაც შენახვის ვადებსა თუ ხარისხს უზრუნველყოფს, დარღვეულია. შენახვის ვადები იყო დარღვეული ასევე ვაქცინალურ საშუალებებშიც.

— **ამბობენ, რომ მალაიზიიდან შემოტანილი ვაქცინები და წამლები უხარისხოა..**

— რა თქმა უნდა. ასეთი წამლის მიღების შემდეგ ავადმყოფი არც კვდება და არც რჩება. საბედნიეროდ, ფალსიფიკატორი ყალბ წამალს დივერსიის მიზნით არ აკეთებს. როცა წამლის აბს კარტოფილის ფქვილით დაამზადებს, ავადმყოფი ასეთი წამლის მიღების შემდეგ, თავს ძველებურად შეუძლოდ გრძნობს, ამიტომ სხვა ექიმთან მიდის და სხვა, უკვე ნამდვილ მედიკამენტებს იღებს.

— **მაგრამ, როცა საოპერაციო ავადმყოფი იღებს ასეთ წამალს?**

— ექიმს აქვს ამის საწინააღმდეგო დამცავი მექანიზმი. თუკი ეფექტი არ ექნება, მედიკამენტს შეცვლის. ყალბი წამლის მიღება ლეტალური შედეგით არ მთავრდება. ასეთი წამალი მხოლოდ გააწვალებს(?!) მას...

საბედნიეროდ, ყალბი წამლის მიღებით ლეტალური შედეგი, არ არის დაფიქსირებული. თუმცა, როგორც ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში გავარკვიეთ, ასეთი წამლებით ხშირად უკიდურეს შედეგებამდე მივდივართ.

„აცრების შემდგომი გართულებით დღესაც მყავდა ორი ავადმყოფი, რომლებსაც კიდურები სერიოზულად დაუზიანდათ, — გვითხრა ტოქსიკოლოგიის განყოფილების გამგემ, **ოთარ რუსაძემ,** — ბოლო ორი დღის განმავლობაში ასეთი სამი შემთხვევა მქონდა. მართლაც ძალზე ძნელია გართულების გამომწვევი მიზეზების დადგენა. ცუდი რომ ყოფილიყო ეს ვაქცინა, მაშინ სხვა ბავშვებზეც ანალოგიურად უნდა ემოქმედა. ჩემი აზრით, აცრების შემდგომი გართულება, შეიძლება მართლაც უხარისხო ვაქცინით იყოს გამოწვეული, მაგრამ ამის დამტკიცება არც ერთ ექიმს არ შეუძლია..."

## „არც მოგკლავს, არც მოგარჩენს"




როგორც ჩანს, უხარისხო პრეპარატისგან ავადმყოფისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა, მართლაც დიდ სირთულეს წარმოადგენს. ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფ 13 წლის გიორგი ქობალიას, რომელიც აცრის შემდეგ ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა, ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზად ყალბი ვაქცინის ხმარება დღემდე ვერ დაუდგინეს.

**დავით ფულარიანი,** თერაპიისა და რეანიმაციის განყოფილების გამგე: — ასეთ დროს კრიტერიუმი უნდა არსებობდეს, რომ ავადმყოფობის გართულება ყალბი წამლით არის გამოწვეული და არა რაიმე სხვა მიზეზით. სამწუხაროდ, ასეთი კრიტერიუმი მსოფლიო მედიცინაში არ არსებობს. გიორგი ქობალიას ავადმყოფობა აცრის შემდეგ დაეწყო. ბავშვი საერთაშორისო ექსპერტებმაც შეამოწმეს. დაასკვნეს, რომ დაავადება აცრის შემდეგ განვითარდა, მაგრამ უვარგისი ვაქცინით იყო ეს გამოწვეული თუ არა, ამის დამტკიცება ვერავინ მოახერხა.

— **რა აცრა გაუკეთდა ქობალიას?**

— მისი დაავადება დაემთხვა B ჰეპატიტის (ე. წ. ბოტკინის) ვაქცინაციას. ამის შემდეგ ბავშვს განუვითარდა ცენტრალური ნერვული სისტემის ანთება, ვერ ამოძრავებს კიდურებს, აქვს სუნთქვის უკმარისობა. ბავშვი ავსტრიასა და გერმანიაში ჰყავდათ. იქაურ კლინიკებშიც დაადასტურეს, რომ მდგომარეობის გართულების მიზეზი აცრაა. მიუხედავად ამისა, კიდევ ვიმეორებ, ობიექტური კრიტერიუმის არარსებობის გამო მეტის მტკიცება შეუძლებელია.

— **ვაქცინა სადაური იყო?**

— კორეული.

— **აზიური წარმომავლობის წამლები უხარისხო ყოფილა.**

— დიახ...

**ქეთევან ბარამიძე,** სამედიცინო დახმარების ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექციის უფროსის მოადგილე: — უვარგისი წამლების მეტი რა არის, მაგრამ „კლაფორანი", რომელიც თქვენი მეზობლის ბავშვს გაუკეთდა, არ ვიცი, ვარგისიანი იყო თუ უვარგისი. შესყიდვისას ჩვენ უხარისხო „კლაფორანი" არ შეგვხვედრია.

— **„შესყიდვა" რას ნიშნავს, საქართველოში შემოსულ ყველა წამალს ყიდულობთ და ამოწმებთ?**

— ყველას არ ვყიდულობთ. დაწესებული გვაქვს შერჩევითი კონტროლი. ჩვენი თანამშრომლები აფთიაქებში ხმარებად მედიკამენტებს (!) შერჩევით ყიდულობენ და შემდეგ ხდება მათი შემოწმება.

— **რამდენი სახეობის უხარისხო წამალია გამოვლენილი?**

— ის, რომ უხარისხო წამალი იყიდება, ამის უარყოფა არ შეიძლება. რაც მე მაქვს, ის ინფორმაციაც საკმარისია განგაშის ასატეხად. ბაზრობებზე გამოტანილი წამლების 86% უვარგისია და სიცოცხლისთვის საშიშროებას წარმოადგენს. პრეპარატების უმრავლესობას სპეციალურ ტემპერატურაზე შენახვა ესაჭიროება. უშუქობის პირობებში ამას აფთიაქებიც კი ვერ ახერხებენ, რომ აღარაფერი ვთქვათ, დახლებზე, მცხუნვარე მზის ქვეშ დაყრილ მედიკამენტებზე.

— **86% შემაშფოთებელი მაჩვენებელია. რაიმე მექანიზმი თუ არსებობს ყალბი წამლისაგან თავის დასაცავად?**

— მედიკამენტები ლიცენზირებულ აფთიაქებში უნდა შეიძინოთ და წამლის სერტიფიკატი მოითხოვოთ. სხვა დამცავი მექანიზმი, ჯერჯერობით, არ არსებობს...

კომპეტენტური წყაროს მტკიცებით, არც იმისგან ვართ დაცული, რომ ყალბი წამალი სწორედ აფთიაქში შემოგვატყუონ. „კლაფორანი", რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, ჩემმა მეზობლებმა სწორედ ლიცენზირებულ აფთიაქში შეიძინეს. აფთიაქის სახელწოდებას მხოლოდ იმ მიზნით არ ვასახელებთ, რომ ამ სერიის წამალი მთელ ქალაქში ერთდროულად შემოვიდა და შესაძლოა აფთიაქების მეპატრონეებმა არც იცოდნენ, რა წამალთან ჰქონდათ საქმე. ასე რომ, ჯერჯერობით, მომხმარებელი საკუთარი იღბლის ანაბარა რჩება(?!) — ნაყიდი წამალი ან გაუმართლებს ან — არა.

***დავით დევიძე***


# „მუვ ფრი" - დაივიწყეთ ტკივილი



*ნებისმიერი ტკივილი სახსარში, ყველაზე უმნიშვნელოც კი, ადამიანს მოსვენებას უკარგავს, მისი ცხოვრების ხარისხს აუარესებს. სახსარში ტკივილისა და დისკომფორტის გაჩენა – პირველი სიმპტომია, რომელიც მიგვანიშნებს დესტრუქციულ პროცესზე – ოსტეოართროზზე. მასთან ბრძოლაც სწორედ ამ მომენტიდან უნდა დავიწყოთ.*

*უმეტეს შემთხვევაში, თუ დროულად მივაკითხავთ ექიმს და მკურნალობის სწორ საშუალებას შევარჩევთ, ოსტეოართროზს შესაძლოა წარმატებულად შევეწინააღმდეგოთ.*

„15 წელზე მეტია მაწუხებს სახსრები, დიაგნოზი – პოლიართრიტი. 2 წლის წინ განსაკუთრებით გამიმწვავდა ანთება მუხლების სახსრებში, 6 თვის მანძილზე სახლიდან პრაქტიკულად არ გავსულვარ. რევმატოლოგმა დამინიშნა ფიზიოთერაპია და ტრადიციული მედიკამენტები. ა/წ მარტის თვეში შევიტყვე პრეპარატ „**მუვ ფრის**" შესახებ და შევიძინე კიდეც, ვიღებდი თითო კაფსულას 3-ჯერ დღეში. გაუმჯობესებას თანდათან ვამჩნევდი. ახლა უკვე თავისუფლად დავდივარ. ტკივილს მხოლოდ სიმძიმეების აწევისას თუ ვგრძნობ. ახლა ისევ 4 ფლაკონი შევიძინე მკურნალობის კურსის გასამეორებლად, რათა მდგომარეობა სრულად გავიუმჯობესო".

*მ. ხვედელიძე*

„ორივე მუხლის სახსარზე მენისკის დაზიანების გამო, გადავიტანე ორი ოპერაცია (1992წ. და 1999წ.). სახსრების ართროზს ყველა შესაძლო მეთოდებით ვმკურნალობდი. გერმანიაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა მიჩვენა, რომ სახსრები სრულიად „გაცვეთილია" და პროთეზირება მესაჭიროება.

პრეპარატ „**მუვ ფრის**" მიღება 2002 წლიდან დავიწყე, ჯერ კიდევ სანამ იგი საქართველოში კომპანია „**ჯეოვიტის**" წყალობით გამოჩნდებოდა. 3 თვის მანძილზე მისი მიღების შემდეგ ტკივილმა ფაქტობრივად გამიარა. დროთა განმავლობაში დატვირთვებსაც მოვუმატე და ახლა თავს წყლის თხილამურებზე დგომის უფლებაც მივეცი. „**მუვ ფრის**" გარდა არაფერი მიმიღია. პირველი 6 თვის მანძილზე ვღებულობდი დღეში 3 კაფსულას, შემდეგ 2 კაფსულამდე შევამცირე. ახლა „**მუვ ფრის**" პროფილაქტიკის მიზნით ვღებულობ".

*ვ. გრძელიშვილი*

**პრეპარატმა „მუვ ფრი" აქტიური ცხოვრება დაუბრუნა არა მარტო ამ წერილების ავტორებს, არამედ სახსრების დაავადებებით შეწუხებულ და ტრავმაგადატანილ – მათ შორის სპორტულიც – მრავალ ადამიანს.**

**„მუვ ფრის" კომპონენტების დადებითი მოქმედება, დროის, ახლობლებისა და მეგობრების მიერ შემოწმებული და დადასტურებულია; თავად ართრიტის ფონდის მიერ ევროპისა და ამერიკის წამყვან კლინიკებში ჩატარებულმა კლინიკურმა ტესტირებებმა გვიჩვენა, რომ „მუვ ფრის" აქტიური ინგრედიენტებია:**

**- *ქონდროიტინის სულფატი* – სულფატირებულ გლიკოზამინგლიკანს – გამოხატული ანთების საწინააღმდეგო აქტიურობის უნარი აქვს, ანთების უჯრედოვანი კომპონენტებისა და ხრტილის დამანგრეველი ფერმენტების ინჰიბიციის ხარჯზე; გარდა ამისა, წყლის მოლეკულების შეერთების უნარიანობით ხელს უწყობს ხრტილის ქსოვილის ელასტიკურობისა და მთლიანობის შენარჩუნებას. ამ ფონზე ქონდროიტინსულფატი უზრუნველყოფს ტკივილის სინდრომის გამოხატულ შემცირებას და სახსრის ფუნქციონალური მდგომარეობის შენარჩუნებას.**

**- *გლუკოზამინების კომპლექსი* – გლუკოზამინ ჰიდროქლორიდი, ნ-აცეტატ-დ-გლუკოზამინი და გლუკოზამინ სულფატი. გლუკოზამინი აქტიურად არეგულირებს ხრტილოვანი უჯრედების სინთეზს, სრულად ფარავს ორგანიზმში გლუკოზამინის დეფიციტს და ხელს უწყობს ძვლის ქსოვილში კალციუმის ნორმალურ „ჩალაგებას".**

**ამ კომპონენტების გაერთიანებამ „მუვ ფრის" ერთ ფორმულაში, განსაზღვრული თანაფარდობით, მართლაც განსაცვიფრებელი წარმატებების მიღწევის საშუალება მოგვცა და მისი შედეგიანი მოქმედება მრავალმა ექიმმა თავიანთი პაციენტების მდგომარეობის მიხედვით, უკვე სათანადოდაც შეაფასა!**




**„მუვ ფრი" მაღალი უსაფრთხოებით გამოირჩევა და შესანიშნავად უთავსდება მკურნალობის სხვა მეთოდებსაც. მის შემადგენლობაში მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ნატურალური კომპონენტები შედის, რომლებიც GMP-ის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობს.**

**„მუვ ფრი" - ამერიკის ართრიტის ფონდი გისურვებთ ჯანმრთელობას.**

***ჩვენთან მოგისმენენ და გაგიგებენ, დაგიბრუნებენ იმედსა და ჯანმრთელობას!***

ჯეოვიტი
GEOVIT

**ამერიკული კომპანია „შიფ"-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი"**
**მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),**
**ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56.**
**www.schiffvitamins.com**

# რუსი ტურისტი ყველაზე მშიერი ტურისტია



აფხაზების მიზანი რუსეთთან გულში ჩახუტებაა, წელს რაღა და, გაისად მასთან საზღვრის და საბაჟოს გაუქმებაც აქვთ გამიზნული.

თურმე გაგრის სანაპირო მოსკოველ მაგნატებს შეუსყიდიათ, მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს ისე ჰყვარებია აქაურობა, რომ სასტუმრო „აფხაზეთის" თექვსმეტსართულიანი კომპლექსი შეუძენია და დედამისიც გაგრაში დაუსახლებია. აბა, ლამაზი თვალებისთვის ხომ არ აჩუქებდა სოხუმს ათ-ათ ავტობუსსა და ტროლეიბუსსო, — ამბობენ გაგრელები და დასძენენ, — ამის შემდეგ ვინმე გაბედავს იმის თქმას, რუსეთი აფხაზეთს დათმობსო? პუტინი ბრიყვი იქნება, ასეთ მიწა-წყალს ამერიკელებს თუ დაუთმობს. ქართველები ამერიკელებს უმეგობრდებიან. იმდენი ჭკუა კი არა აქვთ, რომ განსაზღვრონ, ამერიკა სად არის. რუსეთი კი აქვეა — რუსეთს უნდა ვემეგობროთ. ახალი წლისათვის ყველანი რუსულ პასპორტებს მივიღებთო — ტყუილად უხარიათ აფხაზებს. რუსეთის შტამპიან პასპორტებს კი მიიღებენ, მაგრამ ოფიციალურად მას საზღვარგარეთის პასპორტები ერქმევა. დიდი იმედი აქვთ, როცა საზღვარი წაიშლება, ტურისტები მომრავლდებიან და ცხოვრებაც საამური გახდებაო.

ამ ბოლო დროს ტურისტების წყალობით აფხაზეთში მართლაც გამოკეთდა საქმე, სახლებიც ათჯერ გაძვირდა. საშუალო სახლს ორი წლის წინ თუ 3-4 ათას დოლარად იყიდდი, ახლა 40 ათასადაც არავინ მოგცემს.

უზარმაზარი, ათსართულიანი, ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „სამშიტოვაია როშჩა" თურქებს აუშენებიათ. დამსვენებლების უმრავლესობა მოსკოვიდან და აფხაზეთის მოსაზღვრე რესპუბლიკებიდანაა. სამზარეულოც საუცხოოა, აქ თითქმის ყველა მზარეული და ოფიციანტი ბელორუსიიდან არიან, ისინი აფხაზეთში სეზონურად ჩადიან.

სასტუმროს უზარმაზარ სასადილო დარბაზში შვედური მაგიდაა გაშლილი. აქ კიდევ ერთხელ დასტურდება გამოთქმა — რუსი ტურისტი ყოველთვის მშიერიაო. დახამებულები უზარმაზარ, გაპიპინებულ თეფშებს სხვა თეფშებიდან ამატებენ კერძებს. მაგ. ნალჩიკელმა გოშამ თეფში თევზით, სოსისით, ვინეგრეტით და ტკბილი ხაჭოთი ხომ აივსო, ზედ ყურძენიც დაადო — ეტყობა, ნამეტანი იხარბა. არადა კედელზე განცხადებაა გაკრული — „ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, გთხოვთ თეფშებს ნუ აივსებთ, რამდენჯერაც გინდათ, აიღეთ, ოღონდ ცოტა-ცოტა"(!)

ტურისტები რიწის ტბაზეც ადიან, ტაქსის მძღოლი იურა ამბობს, — ჩვენ ორ-ორი სახელი გვაქვს, ერთი შინაურისათვის, მეორე — გარეულისთვის. მოხუცები ამბობენ, უცხოს რომ შენი სახელი ეცოდინება, შეიძლება ავი თვალი გცესო. ჩემი ნამდვილი სახელი ირაკლია. მგონი, ძველ რუსებსაც ჰქონდათ ასეთი ადათი. ჰოდა, ესეც იმას მეტყველებს, რომ ჩვენ და რუსები ძმები ვართ...

**ოლგა ოლიანოვა**
**დენგი №36**

# იგორ გიორგაძე დეპუტატობას აპირებს

სამტრედიის ერთმანდატიან ოლქში საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი ოფიციალურად გახდა ყოფილი უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე, სწორედ ის „საერთაშორისო ტერორისტი", რომელსაც საქართველოს გენპროკურატურა 1995 წლიდან ეძებს. „მოუხელთებელი" ჩეკისტი კი წარამარა ინტერვიუებს აძლევს რუსეთის წამყვან გაზეთებსა და სატელევიზიო პროგრამებს. თანაც საკმარისად სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. მაგალითად, ერთხელ თქვა, — მაქვს დოკუმენტები, რომ ედუარდ შევარდნაძემ საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად თავად მოიწყო თავდასხმაო. ასეთი ადამიანის გვარის გამოჩენა საარჩევნო სიებში უბრალო მოვლენა არ გახლავთ! როგორც იგორის მამამ, პანტელეიმონ გიორგაძემ განაცხადა, — საინიციატივო ჯგუფმა საარჩევნო კომისიას ყველა დოკუმენტი წარუდგინა, მათ შორის მომავალი ამომრჩევლის ათასი ხელმოწერა, რაც აუცილებელი იყო კანდიდატის სარეგისტრაციოდ. კომისიას არავითარი საფუძველი არ გააჩნდა უარის სათქმელად. საქართველოს ცესკო სამტრედიაში იგორ გიორგაძის მაჟორიტარ დეპუტატად რეგისტრაციას ადასტურებს, მაგრამ ამბობს: ადგილობრივი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება უკანონოაო და ეყრდნობიან კანონს, რომლის თანახმად ეროვნული პარლამენტის წევრი ბოლო ორი წელი მაინც უნდა ცხოვრობდეს საქართველოში მუდმივად ან სხვა ქვეყანაში ამავე ვადის მანძილზე საქართველოს საკონსულოს აღრიცხვაზე იმყოფებოდეს. იგორ გიორგაძემ კი კარგა ხანია დაკარგა კავშირი სამშობლოსთან. ამის გათვალისწინებით, ცესკოს თავმჯდომარემ ნანა დევდარიანმა სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიას სასწრაფოდ მოსთხოვა იგორ გიორგაძის რეგისტრაციის გაუქმება. არადა სასამართლო გადაწყვეტს ამასო, — დაემუქრა ის. მაგრამ არჩევნების კანონის მიხედვით, კანდიდატის რეგისტრაციის გასაჩივრება მხოლოდ რეგისტრაციიდან ორ დღეში შეიძლება, იგორ გიორგაძემ კი რეგისტრაცია 13 სექტემბერს გაირა. ცესკო კიდევ ერთ წინააღმდეგობას აწყდება: საოლქო საარჩევნო კომისიაში წარადგინეს დოკუმენტები, სადაც ნათქვამია, რომ გიორგაძე მთელი ეს წლები სამხრეთ ოსეთის ზნაურის რაიონში ცხოვრობდა. მართალია, ეს ტერიტორია თბილისის იურისდიქციაში აღარ შედის, მაგრამ საქართველოს ნაწილია და ამ ფაქტის უარყოფას ვერავინ გაბედავს. თუ „გაქცეული" ყოფილი მინისტრი პარლამენტში გავა, ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები ვეღარაფერს დააკლებენ — სადეპუტატო იმუნიტეტი დაიცავს.

**ნეზავისიმაია გაზეტა №199**

# კახა ბენდუქიძემ ევროპის სასამართლოში დააგვიანა



გაერთიანებული სააქციო საზოგადოება „ურალმაშსა" (რომელსაც აკონტროლებს მეწარმე კახა ბენდუქიძე) და სახელმწიფოს (ფინანსთა სამინისტროს სახით) შორის ბრძოლა ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო. 1992 წელს, „ურალმაშის" პრივატიზაციისას, მის შემადგენლობაში შევიდა ქარხანა №9. „ურალმაშის" ხელმძღვანელობამ მთავრობას შესთავაზა, ქარხანა გადაეცვალა სააქციო საზოგადოების 5-მილიონიან სახელმწიფო პაკეტზე. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, მაგრამ ქარხანას აქციები არ მიუღია.

2001 წლიდან „ურალმაში" სახელმწიფოს უჩივის — ხელშეკრულების შესრულებას სთხოვს, მაგრამ უშედეგოდ. 2003 წლის აპრილში საწარმოს აქციონერებმა კერძო საკუთრების უფლებების დარღვევების საჩივრით სტრასბურგის სასამართლოს მიმართეს. მაგრამ ევროპელმა ჩინოსნებმა ჩათვალეს, რომ „ურალმაშის" წარმომადგენლებმა დოკუმენტების ჩაბარება დააგვიანეს. რეგლამენტით, მათ ეს საჩივარი რუსეთის სასამართლოს გადაწყვეტილების ექვსი თვის შემდეგ უნდა შეეტანათ. „ურალმაშის" მესვეურები ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან და სააპელაციოდ ემზადებიან.

**კომერსანტ დეილი №132**

# ბორჯომის მაგივრად — ნავთობი!

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას კვლავ სდევს ქართველი და უცხოელი ეკოლოგების პროტესტი, ისინი ამტკიცებენ, — საქართველოს ბიორესურსები საფრთხეშიაო.

ნავთობსადენის მშენებლობა, რომელიც წელიწადში 50 მლნ ტონა ნავთობს გაატარებს, 2005 წლის დასაწყისისთვის უკვე დამთავრებული უნდა იყოს და 2,5 მლრდ ჯდება.

„სამწუხაროდ, საქართველომ ნავთობსადენის გამო შეიძლება თავისი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი დაკარგოს", — განაცხადა როიტერთან ინტერვიუში ველური ბუნების მსოფლიო ფონდის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პოლ სტილმა.

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის და საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის ექსპერტები ამბობენ, — გარდა იმისა, რომ მომავალი ნავთობსადენის ერთ-ერთი მონაკვეთი მინერალური წყლებით მდიდარ ბორჯომის ხეობას გაივლის, მისი მარშრუტი მეწყერულ და სეისმურად საშიშ ზონებსაც გადაკვეთს. ავარიის შემთხვევაში ათი წუთი იქნება საჭირო მილების გადასაკეტად, მაგრამ ეს ათი წუთი საკმარისია, რომ 20 000 გალონი ნავთობი ჩაიღვაროს მდინარე ბორჯომულაში, ხოლო ორ საათში ნავთობი ქალაქ ბორჯომამდეც ჩააღწევს", — თქვა სტილმა. მისივე აზრით, ავარიის ლიკვიდაცია პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

მიუხედავად ყველაფრისა, ნავთობსადენის მშენებლობა დაწყებულია. ეკოლოგების აზრს ყურადღებას არავინ აქცევს. ეტყობა, ფულის ძალას საზღვარი არა აქვს, ხოლო შედეგს მომავალი თაობა მოიმკის.

**ნიუსინფო**

# შეხვედრის მოლოდინში

17 სექტემბერს აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ და გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელმა ჰაიტი ტალიავინიმ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხები განიხილეს. „23 სექტემბერს თბილისში დაგეგმილია ქართულ-აფხაზური შეხვედრის მოწყობა, სადაც მხარეები წარმოადგენენ წინადადებებს, თუ როგორ ესახებათ უშიშროების გარანტიები", — თქვა ჰაიტი ტალიავინიმ. შეხვედრის შემდეგ სერგეი შამბამ განაცხადა: — „თუ თბილისში გარკვეულ შედეგს მივაღწევთ, მაშინ აფხაზეთს უშიშროების საიმედო გარანტიები გაუჩნდება და ჩვენ შორის ომი გამორიცხული იქნება"

**აფსნი პრესი**

# ლაზერული ეპილაცია – საუბრობენ ექიმები

*დღეს თბილისში მომრავლებულ კერძო სამედიცინო, სამკურნალო ცენტრებსა და კლინიკებს შორის სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება არჩევანის გაკეთება. მაგრამ არსებობს ისეთი ცენტრებიც, რომლებმაც მთავარ გამოცდას – დროს, გაუძლეს და თავიანთი საქმიანობა უფრო მაღალეფექტური და წარმატებულიც კი გახადეს. ერთ-ერთი ასეთი სამედიცინო ცენტრია "ექიმი გილი", რომელიც დღეს კიდევ ერთ მეტად საინტერესო სიახლეს გვთავაზობს.*

*სულ ერთი თვეა, რაც აქ გაიხსნა ლაზერული ეპილაციის კაბინეტი, სადაც ფუნქციონირებს 2003 წლის ალექსანდრიტის დერმატოლოგიური ლაზერული დანადგარი, რომელიც ყველა თავისი წინამორბედისაგან მკვეთრად განსხვავდება.*

*იმისათვის, რომ ჩვეულებრივი ადამიანისათვის ტექნოლოგიური დეტალების გარდა, განვმარტოთ ახალი აპარატის უპირატესობა, ჩვენ მივმართეთ სამედიცინო ცენტრს "ექიმი გილი" და გავესაუბრეთ კლინიკის წამყვან ლაზეროთერაპევტებს* ***ქ-ნ მარიკა ხოფერიას და ქ-ნ ნია ბაღათურიას.***

**– როგორც ცნობილია, ლაზერული აპარატურა ახალი ტექნოლოგიაა, რთულია თუ არა მასთან მუშაობა?**

**ნია ბაღათურია:** ალექსანდრიტის ლაზერული აპარატი, რომელიც დამონტაჟებულია ჩვენს კლინიკაში, საკმაოდ დახვეწილი და სათუთია. ამ დანადგარით მუშაობა მოითხოვს თეორიულად მაღალ დონეზე მომზადებას და პრაქტიკას. ლაზეროთერაპევტმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს, თუ რას წარმოადგენს ლაზერი, აგრეთვე პაციენტის კანის თავისებურებები, რომ შეძლოს ლაზერული სხივის ზემოქმედების შესაბამისი რეჟიმის შერჩევა. ეს აუცილებელია მაღალი ეფექტის მისაღებად.

**- თქვენ ახსენეთ კანის თავისებურებების ცოდნა. რამდენად არის საჭირო დერმატოლოგიური განათლება ლაზერული ეპილაციის ჩასატრებლად, ამ დროს ხომ კანთან უშუალო შეხება არ ხდება?**

**ნია ბაღათურია:** როგორც მოგახსენეთ, პროცედურის ჩატარებამდე მნიშვნელოვანია შეფასდეს კანის მდგომარეობა, რადგანაც სხვადასხვა სტრუქტურისა და ფერის კანი მუშავდება შესაბამისი ლაზერული რეჟიმით. არასწორად წარმოებულმა ეპილაციამ შეიძლება გამოიწვიოს კანზე პიგმენტური ლაქების გაჩენა და დამწვრობა. ამიტომ ექიმი კვალიფიცირებული უნდა იყოს დერმატოლოგიაშიც. ეს ხომ აქსიომაა, რომ ექიმის კვალიფიკაცია და გამოცდილება მთავარია პაციენტის წარმატებული მკურნალობისთვის.

**– თქვენ კვალიფიკაციით ლაზეროთერაპევტები ბრძანდებით თუ დერმატოლოგები?**

**მარიკა ხოფერია:** მეც და ქალბატონ ნიასაც, გვაქვს როგორც ლაზეროთერაპევტის, ასევე დერმატოლოგის კვალიფიკაცია, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სერტიფიკატით.

**– რამდენი წელია მუშაობთ ამ დარგში?**

**ნია ბაღათურია:** თითქმის ხუთი წელი.

**– ანუ საქართველოში თქვენ ამ დარგში პიონერები ხართ?**

**ნია ბაღათურია:** ასეც შეიძლება ითქვას.

**– ალექსანდრიტის ლაზერი უკვე ფუნქციონირებს თბილისში. რა განსხვავებაა მასა და თქვენ კლინიკაში დამონტაჟებულ აპარატს შორის, ან რაში გამოიხატება თქვენი აზრით უპირატესობა?**

**მარიკა ხოფერია:** პასუხი საკმაოდ მარტივია. კითხვითვე გიპასუხებთ: რა განსხვავებაა თუნდაც 3 წლის წინანდელ და დღევანდელი თაობის მობილურ ტელეფონებს შორის? ტექნოლოგიური პროგრესი შეუქცევადი პროცესია. მსოფლიო ბაზარი ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო გაუმჯობესებულ აპარატურას გვთავაზობს. ჩვენი დანადგარი უახლესი მოდელია ლაზერული ეპილაციის დარგში. მას ახასიათებს მაქსიმალური სისწრაფე და უსაფრთხოობა, გარდა ამისა, აქვს გაუტკივარების მეტი ეფექტი.

**– რამდენად უსაფრთხოა საერთოდ ლაზერული ეპილაცია და რა გავლენას ახდენს უშუალოდ კანზე?**

**ნია ბაღათურია:** ლაზერული ეპილაციის უპირატესობა აღიარებულია მსოფლიოში, ვინაიდან, ეპილაციის პროცესში არ ხდება უშუალო კონტაქტი კანის ზედაპირთან და პაციენტი დაზღვეულია ინფიცირებისაგან. ჩვენი აპარატი წარმოადგენს ახალი თაობის ალექსანდრიტის დერმატოლოგიურ ლაზერს, რომელიც აბსოლუტურად უსაფრთხოა. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმის გამოცდილებას და პროფესიონალიზმს ამ დარგში, ვინაიდან არასწორად წარმოებულმა ეპილაციამ შეიძლება გართულებები გამოიწვიოს.

**– როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ ადრე სხვა სამედიცინო ცენტრში მუშაობდით, რატომ შეიცვალეთ სამუშაო ადგილი?**

**მარიკა ხოფერია:** მე ვერ ვხე-დავ ტრაგედიას სამუშაო ადგილის შეცვლაში. უპირველესად ეს გამოწვეული იყო "ექიმი გილის" ადმინისტრაციის მიწვევით, რომელსაც დავეთანხმეთ. თანაც ექიმისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია პროფესიული ზრდის და უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

*არსებობს მომსახურების სფეროები, სადაც ადამიანმა, შესაძლებელია აირჩიოს საშუალო ან ოპტიმალური ვარიანტი. სამედიცინო სფერო ეს ის განსხვავებული სისტემაა, სადაც მხოლოდ საუკეთესოა მისაღები. უახლესი აპარატურა და გამოცდილი, მაღალკვალიფიციური ექიმი ხომ თქვენი განკურნების გარანტია.*

**მაია ბოკერია**

R

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიითხრობენ

***

**პატარა თამუნიას** ბაბუა ეკითხება:

— ბაბუა, ბაღში ლექსებს გასწავლიან?

— ლოგოლ ალა, მასწავლიან. მალა, მე შენი ბაბუა ალ ვალ, შენ ხალ ჩემი ბაბუა, მიხვდი?

***

**5 წლის გიორგი სილაგაძემ** დედას გული გაუწყალა, — ახლავე კანფეტი მიყიდეო.

დედა გაუწყრა, — არა გრცხვენია, დილიდან ენაგადმოვარდნილი დავრბივარ, საქმეებს ვაკეთებ, შენ კი აღარ მასვენებო.

— მერე, რატომ გაქვს ენა გადმოგდებული, შეინახე — დაარიგა ბიჭმა.

***

— რას აკეთებ, ბებო? — ეკითხება **3,5 წლის ნოდარ ბოკერია** ბების.

— პამიდვრის საწებელს, — იყო პასუხი.

— ააა! პამიდორი უნდა დააწებო? — დაასკვნა ნოდარიკომ.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ცისფერ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „უდაბნოს გემს უწოდებენ, ცხოველია ტანმაღალი, უშნოა და ულამაზო, არ სჭირდება ფეხზე ნალი. გზის და სიცხის ამტანია, უცნაური აქვს თვისება: უჭმელ-უსმელს შეუძლია რამდენიმე დღეს გაძლება“.

IV





იპოვე 10 განსხვავება

### I ანა, გამოიცანი

**1) ვინ იყო საქართველოს უკანასკნელი მეფე?**

ა) გიორგი X; ბ) ერეკლე ; გ) სოლომონ ; დ) გიორგი X.

**2) ვინ არის ავტორი სტროფისა: „სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა... როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.**

ა) ვაჟა-ფშაველა; ბ) რაფიელ ერისთავი; გ) დავით გურამიშვილი; დ) ნიკოლოზ ბარათაშვილი.

**3) იესო ქრისტეს ცნობილ შეგონებაში ქვემოთ ჩამოთვლილთაგან სხეულის რომელი ორგანო აქვს ნახსენები, როგორც „მაცდუნებელი“?**

ა) გული; ბ) ენა; გ) ყური; დ) თვალი.

**4) რა ჰქვია მოდუღებულ ყურძნის წვენს?**

ა) ბადაგი; ბ) ბადიში; გ) ბადალი; დ) ბანგი.

**5) ვის ეომებოდნენ ქართველები 1121 წელს დიდგორის ველზე?**

ა) თურქ-სელჩუკებს; ბ) მონღოლებს; გ) სპარსელებს; დ) რომაელებს.

**6) რომელ სახელმწიფოს უწოდებენ „ამომავალი მზის ქვეყანას“?**

ა) ჩინეთს; ბ) იაპონიას; გ) ფილიპინებს; დ) ახალ ზელანდიას.

**7) რას უწოდებდნენ ძველად სექტემბრის თვეს?**

ა) აპნისს; ბ) მკათათვეს; გ) ენკენისთვეს; დ) მირკანს.

მოთხრობა

## მუხა

*რევაზ ინანიშვილი*

ეს მუხა ტყის პირას დგას — ბებერი, ჯმუხი, ტანდაკოჟრილი, ფოთლებშეთხელებული. აღარც ჩრდილს იფენს, აღარც რკოს ისხამს. იშვიათად თუ ეწვევა ვინმე, — ადამიანი, ცხოველი თუ ფრინველი. საუკუნეებით დაღლილს, გაწამებულს ხანდახან ქორი თუ მოებმება ხმელ კენწეროზე, ისიც უძრავი, მრისხანედ მიშტერებული ველისკენ; ხანდახან კოდალა თუ მოინახულებს; სწრაფად, უგულოდ შემოურბენს ირგვლივ, თითქოს ვალდებულების მოსახდელად ორიოდეჯერ დაჰკრავს ნისკარტს, — კივკივო! — ანუგეშებს და გაფრინდება სხვა ხეებისკენ. ციყვებმაც კი მიატოვეს და წავიდნენ...

ამ რამდენიმე წლის წინათ მუხის მეზობლად, ლამაზი თელის ძირში, მონადირეებმა შეისვენეს. დაანთეს ცეცხლი, გაშალეს სუფრა, დაიწყეს პურობა და სმა. ცოტა რომ შეზარხოშდნენ, აყაყანდნენ: არა მე გჯობივართ სროლაში, არა მეო. ერთი მონადირე წამოდგა და თქვა: — აი, ბურთი, და აი, მოედანი! — მუხის დიდ კოჟრზე ასანთის კოლოფი დასვა, — ვესროლოთო. ზოგი ფეხმორთხმული ისროდა, ზოგი — წაწოლილი. სიცილით გაშვებული ტყვიები წივილით ესობოდნენ მუხას, სიმწრის ნაფლეთები გულხეთქებით ცვიოდა აქეთ-იქით. მონადირეები რომ წავიდნენ, ქარი ამოვარდა, მუხის სველი ჭრილობა მიწით ამოივსო.

გამოხდა ხანი, — თვეები, წლები. და აი, წლეულს, გაზაფხულზე, ის მონადირე, ასანთის კოლოფი რომ დასვა მუხაზე, უკვე ჭარმაგი, პატარა შვილიშვილთან ხელჩაკიდებული, ისევ მოხვდა ამ ადგილებში.

მუხის ნაჭრილობევში მთელი ბლუჯა ია ამოსულიყო და ჟრიამულით ყვაოდა. მონადირის შვილიშვილმა, ლამაზმა, ყურებსიფრიფანა გოგონამ აღტაცებულმა ჩაიმუხლა, მუხას ხელები მოხვია და მიეხუტა.

მონადირემ უყურა, უყურა, მერე ქუდი მოიხადა და თავდახრილი გაჩერდა.



რომელი საგნები იწყება „კ“ ასოთი?




II რომელია ზედმეტი საგანი?

### III რებუსი






გაიარე გოგონას ლაბირინთში

### ანდაზები

- სინდისი უკბილოა, მაგრამ იკბინებაო.
- გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს, რეგვენი — ამძიმებსო.
- ვისაც სიმართლე არ უყვარს, მართლის მთქმელი ეჯავრებაო.
- კოლო ლომსაც მოერევა ხერხითა და ფანდითაო.

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# თბილისში ყველაზე ლამაზი გზა აეროპორტიდან შინამდეა

*ალბათ ბევრმა იცით, ვინ არის* ***მანუელ ფაუნდეს ბარანდა****. მეცხრე არხის დილის პროგრამაში ის მზარეულის წითელი ჩაჩითა და არაჩვეულებრივი, უცხო რეცეპტებით გეგებებათ და ოსტატურად ამზადებს კერძებს. როცა ეს გადაცემა პირველად ვნახე, დავრწმუნდი, რომ ის პროფესიონალი მზარეული იყო. სხვას ვის შეუძლია ვეება სამზარეულოს დანის ასე სწრაფად ხმარება! მაგრამ ბატონი მანუელი ერთი დიდი სიურპრიზივით არის. რაც უფრო მეტს ესაუბრები, მით უფრო მეტ მოულოდნელობას აღმოაჩენ შენთვის. ეს დახვეწილი ინტელიგენტი, ქართველ-ესპანელი კაცი სულაც არ არის პროფესიონალი მზარეული, თუმცა არაფრით ჩამოუვარდება მას, არც მსახიობია, მაგრამ შესანიშნავია ეკრანზე.*

— ჩემი მშობლები ესპანელები არიან. ომის დროს მოხვდნენ საქართველოში და ერთმანეთი აქ გაიცნეს, 1953 წელს. გაცნობა საკმაოდ საინტერესოდ მოხდა: მამაჩემი, თავის ხუთ ესპანელ მეგობართან ერთად, მთაწმინდაზე ავიდა. ლამაზი გოგონების ჯგუფი შეეფეთათ. ერთ-ერთი ძალიან მოეწონა მამას. მიუახლოვდნენ. გაიგონეს, რომ ისინიც ესპანურად ლაპარაკობდნენ. გაოგნებისგან დავმუნჯდიო. თურმე სასწრაფოდ, სამ დღეში დაქორწინდნენ. ჩვენი ოჯახი თბილისში ცხოვრობდა. მამაჩემი კალატოზად მუშაობდა, დედაჩემი — თამბაქოს ქარხანაში. ხუმრობით კარმენს ვეძახდი. ორივე ბევრს შრომობდა.

**— ქართულისა და ესპანურის გარდა, კიდევ რომელი ენა იცით?**

— დამთავრებული მაქვს ფრანგული ენის ფაკულტეტი და სინქრონული თარგმანის უმაღლესი კურსები...

**— პროფესიით მუშაობდით?**

— რა თქმა უნდა. 1983-87 წლებში რეზო ჩხეიძესთან ვმუშაობდი, მაშინ ის „დონ კიხოტს“ იღებდა. მთელი სარეჟისორო სცენარი მე და ია კარგარეთელმა ვთარგმნეთ. რეზო ჩხეიძემ ლიკანში გამოგვკეტა, 45 დღე თავაუღებლად ვმუშაობდით და 9 სერია ვთარგმნეთ. ჩვენთან ერთად იყვნენ რეზო ჩხეიძე და ესპანელი სცენარისტი მარსიალ სუარესი, ცნობილი დრამატურგი, ლოპე დე ვეგას პრემიის ლაურეატი. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთული, ძალიან საინტერესო სამუშაო მთარგმნელის როლში. მერე ნიკარაგუაში, მანაგუაში 3 წელი ვმუშაობდი თარჯიმნად. იქ კიდევ ერთი პროფესია შევიძინე. ორი წელი ვთარგმნიდი ელექტროტექნიკის კურსს. მესამე წელს კი უკვე დამოუკიდებლად ვკითხულობდი ელექტროტექნიკას — ბავშვებს ვასწავლიდი.

**— ყოფაში თუ იყენებთ ელექტროტექნიკოსის განათლებას?**

— რა თქმა უნდა. სხვათა შორის, სანტექნიკის შეკეთებაც მეხერხება. ამას წინათ შევიძინე აგარაკი ბურიანში იმ თანხით, რომელიც მამამ ახალი მანქანის შესაძენად გამომიგზავნა. მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ ასე. გვაქვს მიწა. მე, მამაჩემის შვილს, კალატოზობაც მეხერხება... მეუღლე ყვავილებს რგავს, მე — სამშენებლო საქმეს მშვენივრად ვართმევ თავს.

**— ამჟამად სად მუშაობთ?**

— რეგიონალური კვლევითი ცენტრის, „პრესალის“ წარმომადგენელი ვარ ამიერკავკასიაში, მისი უშტატო კორესპონდენტიც და მიწევს პოლიტიკურ თემებზე ესპანურ ენაზე წერა.



*მანუელი, მისი ქალიშვილები და შვილიშვილი*

**ესპანური ღვინო ძალიან მიყვარს, მაგრამ ესპანური ღვინით ვერ ვიქეიფებ. მე მჭირდება კახური, ცოტა ჭაჭაზე დაყენებული ღვინო. ამ ღვინის გარეშე ვერ გავძლებ, თბილისის გარეშე ვერ გავძლებ. ჩემმა ძმამ ერთი ძალიან კარგი რამ მითხრა: იცი, თბილისში ყველაზე ლამაზი რა არისო? რა ვიცი, ალბათ უამრავი ლამაზი ადგილია-მეთქი! არა, ყველაზე ლამაზი გზა, აეროპორტიდან შინამდეაო. მართლა ასეა. ის შეგრძნებაა ლამაზი, როცა შენ უბრუნდები თბილისს...**

**— ესპანეთში ხშირად დადიხართ?**

— ჩემი მშობლები ახლა ბასკეთში ცხოვრობენ, ჩვენც მივდივართ, ისინიც ჩამოდიან შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილის სანახავად.

**— თქვენ გყავთ შვილიშვილი?**

— დიახ, 7 წლის იმერელი ზურაბ ჟორჟოლიანი. ჯერჯერობით ესპანური არ იცის.

**— მეუღლე ქართველი გყავთ?**

— საბედნიეროდ. არაჩვეულებრივი პიროვნებაა — ნინო მიქელაძე, რომელთანაც ერთად 25 წელი გავატარე, იმედია კიდევ სამჯერ 25-ს გავატარებ.

**— ღმერთმა ინებოს. ბევრ ქვეყანაში გიმოგზაურიათ, რომელს გამოარჩევდით?**

— მოდით, უტილიტარულად მივუდგეთ ამ საკითხს და კულინარიული განხრა მივცეთ. ერთი ხანობა ვმუშაობდი სოსო ჩხაიძესთან, რომელიც იღებდა დოკუმენტურ ფილმს ბაგრატიონებზე. მასთან ერთად შემოვიარე მთელი ევროპა — თურქეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია. ჩემი შეფასების კრიტერიუმი არის ყავა, რომელიც ძალიან მიყვარს. მერწმუნეთ, ყველაზე გემრიელი ყავა ევროპაში მზადდება, იტალიაში; მეორე ადგილზეა ესპანეთი, მესამეზე — საფრანგეთი. ეს ჩემი სუბიექტური მიდგომაა. ისედაც მიყვარს იტალიური კულტურა, ამას დაემატა ყავაც და... ხასიათით კი... ალბათ ბასკები გამოირჩევიან ლხინის სიყვარულით, პირისგემოთი...

**— რაკი კულინარია ვახსენეთ, ბარემ გვიამბეთ, როგორ მოხდა თქვენი გატაცება სამზარეულოთი?**

— ეს ჩემი მშობლების დამსახურებაა. სამსახურიდან შინ გვიან ბრუნდებოდნენ. 9 წლის ასაკიდან მომიწია დამოუკიდებლად სადილის მომზადება. დავიწყე კვერცხის შეწვით და სოსისის მოხარშვით, გადავედი კარტოფილის შეწვაზე და ასე... მერე თანდათან დავინტერესდი კულინარიით. სტუდენტობისას უკვე უგემრიელეს კერძებს ვამზადებდი. ბოლოს, ეს სერიოზულ ჰობად მექცა. ამასთანავე, ოჯახშიც სადილის მომზადების სიამოვნება მე მეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მეუღლეს ძალიან კარგი ხელი აქვს. სადილის მომზადებისათვის სამი რამ არის საჭირო: გული, სული და ხელი, სხვანაირად გემრიელ კერძს ვერ მოამზადებ.

**— რამდენი რეცეპტი იცით?**

— ვერ გეტყვით, იმიტომ რომ ძალიან ბევრს ვიგონებ. ზოგჯერ რეცეპტი მესიზმრება. დილით ვილვიძებ და გამზადებულ რეცეპტს ვიწერ. ბევრი მოვიფიქრე, ასე ვთქვათ, გაჭირვებისა გამო. როცა პროდუქტი ცოტა გაქვს და სტუმარი მოგივა, გინდა ორიგინალური რამ მოამზადო და იგონებ ახალ კერძს. ერთხელ ჩემი მეგობრის რესტორანში — „წითელ ხარში“ — ვიყავით. შემობრძანდა ქალბატონი მარიამ ბაგრატიონი ჩემი ნაცნობის თანხლებით... ქალბატონმა მარიამმა — ამ დაწესებულებას ესპანურ სამზარეულოზე აქვს პრეტენზია და თევზის რაიმე ორიგინალური კერძი გაგვასინჯეთო. ამან იმოქმედა ჩემს პატივმოყვარეობაზე. მაშინვე სამზარეულოში გავედი და მოვამზადე ზუთხი სოკოს სოუსით. კერძი ძალიან მოეწონათ ჩემს მეგობრებს. ეს რეცეპტი ჯერჯერობით არ შემითავაზებია მაყურებლისათვის, იმიტომ რომ ვცდილობ, ნაკლებად ძვირად ღირებული რეცეპტები მივაწოდო.

**— არასოდეს გეზარებათ სადილის მომზადება?**

— არასოდეს! ეს ჩემთვის დასვენებაა. ერთი პრობლემა მაქვს: სხვა ადამიანს ვერ ვიტან სამზარეულოში. ამ ბოლოს დროს, რაც მე-9 არხზე დავიწყე მუშაობა, ნაკლები დრო მრჩება და შინ ისე ხშირად ველარ ვამზადებ. სამაგიეროდ, ძალიან კმაყოფილი ვარ აქ მუშაობით. კარგი ხალხია თავმოყრილი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის გარეშე, უბრალოდ, ვერ გაიღიმებ! რა უგუნებოდაც არ უნდა იყო, მოხვალ, ოპერატორი იხუმრებს, რეჟისორი გეხუმრება და იღიმები... ამიტომ ხშირად ჩართვას ღიმილით ვიწყებ. ამას წინათ ჩემმა ცოლმა მისაყვედურა: ჩართვებისას ასე უაზროდ რა გაცინებსო? გამახსენდა, რომ რეჟისორმა იხუმრა მიკროფონში და იმიტომ ვიცინოდი.

**— ისევ საქართველოსა და ესპანეთს დავუბრუნდეთ...**

— მყავს არაჩვეულებრივი მეგობრები, ბასკების ანსამბლი „ელაი-ალაია“. ისინი საქართველოში გავიცანი. ერთმა წყვილმა ამ ანსამბლიდან საქართველოში, ქვათახევის მონასტერში დაიწერა ჯვარი, რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც მართლმადიდებლებად მოინათლნენ. ესპანეთში არის პატარა ქალაქი პორტუგალეტი, სადაც ერთი ქუჩაა, ბარების ქუჩა. არ არსებობს ბარი, რომელშიც საქართველოს რომელიმე ხედის ფოტო არ ეკიდოს, ან ქართული სუვენირი არ იყოს გამოფენილი. იმ ქუჩას მე „ქართული ბარების ქუჩას“ ვეძახი.

**— ესპანეთში რომ წასულიყავით საცხოვრებლად, ბევრ პრობლემას აიცილებდით თავიდან.. მოგეხსენებათ, საქართველოდან გარბიან...**

— ვერ ვიტყვი, უკეთ ვიქნებოდი-მეთქი. მიფიქრია ესპანეთში წასვლაზე, მაგრამ ჩემ გარშემო იმდენი ადამიანია, ვისაც ვერ შევველევი, რომ... ჩემი ნათესავები აქ აღარ დარჩნენ, მშობლებიცა და ძმაც ესპანეთში არიან, მაგრამ აქ არიან ჩემი მეუღლის ნათესავები, ჩვენი მეგობრები. მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, რომ ვერ წავიდოდით. ესპანური ღვინო ძალიან მიყვარს, მაგრამ ესპანური ღვინით ვერ ვიქეიფებ. მე მჭირდება კახური, ცოტა ჭაჭაზე დაყენებული ღვინო. ამ ღვინის გარეშე ვერ გავძლებ, თბილისის გარეშე ვერ გავძლებ. ჩემმა ძმამ ერთი ძალიან კარგი რამ მითხრა: იცი, თბილისში ყველაზე ლამაზი რა არისო? რა ვიცი, ალბათ უამრავი ლამაზი ადგილია-მეთქი! არა, ყველაზე ლამაზი გზა, აეროპორტიდან შინამდეაო. მართლა ასეა. ის შეგრძნებაა ლამაზი, როცა შენ უბრუნდები თბილისს და ეს არ არის მაღალფარდოვანი სიტყვები — ნამდვილად განცდილია. ამდენად, რა რაზე გაცვალო, არ იცი. შეიძლება გაცვალო უშუქობა შუქზე და სულიერად გაღატაკებული დარჩე. მერე, მეგობრობის ცნება ესპანეთში მეტ-ნაკლებად წაშლილია. ამას ჩემი ესპანელი მეგობრებიც აღიარებენ. ჩვენთან, ღმერთმა არ ქნას, ეს დაიკარგოს. რაც აქ არის კარგი, მოფრთხილება და განმტკიცება სჭირდება... ეს მართლა დიდი ღირებულებაა.

***ლელა ჯიყაშვილი***

# ასდოლარიანი ცრემლიანმა გამომართვა და საბჭოთა ხუთკაპიკიანი მაჩუქა...

ჩემი დღევანდელი რესპონდენტი საკმაოდ ცნობილი ბიზნესმენია, თანაც არა მხოლოდ საქართველოში და დღეს ბევრი ოცნებობს მასთან დაახლოებაზე. არადა იყო დრო, როცა მართლა უჭირდა, ბევრს შეეძლო მისთვის ხელის გამართვა, მაგრამ...

გულნატკენმა მითხრა, ჰგონიათ — თუ წუთისოფელში მდიდრები და რჩეულნი არიან, მათია ეს ქვეყანა, იმ ქვეყანაზე აღარ ფიქრობენ, არადა, ბიბლიაში მშვენივრადაა ნათქვამი: უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა სასუფეველშიო!..

სათქმელის უფრო დაკონკრეტებას ერიდება, მაგრამ საქართველოში ბიზნესის წარმართვაზე ამბობს: „აქ შეუძლებელია პატიოსანი ბიზნესის წარმოება, ჩაგქოლავენ, ჩაგწიხლავენ და ბოლოს შეიძლება ტყვიაც გესროლონ!...“

საქართველოში იგი მხოლოდ ქველმოქმედებას ეწევა და ამასაც უხმაუროდ, რამეთუ გახმაურებული ქველმოქმედება უანგაროდ არ მიაჩნია: „მე არაფრით დამიმსახურებია რჩეულობა... არიან ადამიანები, რომლებიც ჩემზე მეტს შრომობენ, მაგრამ პურის ფულიც არა აქვთ, ოჯახებს ელემენტარულადაც ვერ არჩენენ. როცა ვლოცულობ ხატების წინ მდგომი, მე ამ უბრალო ადამიანებზე ვფიქრობ და ვგრძნობ ვალდებულებას მათ წინაშე. ქველმოქმედება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, ვიცი, უფალს სწორედ ასეთი ვჭირდები და იმიტომ!.. ფული უნდა დაიმორჩილო და სიკეთის სამსახურში ჩააყენო, არ უნდა დაემონო, თორემ ადამიანის სახეს დაგაკარგვინებს!..“

**— დამპირდით, რომ თქვენს ცხოვრებაში მომხდარ სასწაულზე მიამბობდით...**

— გააჩნია, რას ეძახით სასწაულს, ჩემთვის კი ეს თითქოს ღვთიური ნიშანი იყო...

წლების წინ, როცა თითქმის უფულოდ და მარტო შევეჭიდე ბიზნესს, რუსეთში გამგზავრებამდე, თბილისის ყველა ტაძარი მოვიარე და დავიფიცე: წარმატების შემთხვევაში პირველსავე მოგებას შუაზე გავყოფ, მილიონიც რომ იყოს და ნახევარს ტაძრებს შევწირავ, გაჭირვებულებს განვიკითხავ-მეთქი!...“



პირველი მოგება არც ისე ბევრი იყო, 3 ათასი დოლარი. 1500 ისევ საქმეში დავაბრუნე, მეორე ნაწილი კონვერტში ჩავდე და საქართველოში წამოვიღე. ისევ ყველა ტაძარი შემოვიარე და ფული ყველგან ჩავაგდე შესაწირავ ყუთში. 500 დოლარი წვრილ კუპიურებად დავახურდავე და მათხოვრებს დავურიგე, გაგიჟდნენ სიხარულით, ფეხებზე მეხვეოდნენ და... მე ვტიროდი. მაშინ შევიგრძენი, რა საოცარი ბედნიერებაა, როცა იმედს გაუჩენ სასოწარკვეთილს...

ის იყო, მანქანაში ვჯდებოდი ვალმოხდილი, რომ ტაძრის ჭიშკრის კუთხეში შავოსანი დავლანდე. არ ვიცი, საიდან გაჩნდა, ის კი ვიგრძენი, მონუსხულივით ვერ დავძარი მანქანა...

ჯიბეში ხელი ჩავიყავი — „რაც ამომყვება, მივცემ-მეთქი!“ — ასდოლარიანი ამომყვა და მიუხედავად იმისა, რომ არც ისე ბევრი ფული მქონდა, დაუნანებლად მივეცი... ცრემლიანი თვალებით შემომხედა, გულზე მედალიონი ეკიდა, რომელშიც ახალგაზრდა ქალიშვილის სურათი ჩანდა...

— ვინ არის-მეთქი?!

— ჩემი ერთადერთი შვილი იყოო...

მერე ჯიბეები მოიჩხრიკა და სპილენძის ხუთკაპიკიანი გამომიწოდა, საბჭოთა ხუთკაპიკიანი, ჩვეულებრივი: „შეინახე... ჩემი ლოცვაა შიგ, შენ იმსახურებ ბედნიერებას და აუცილებლად მოვაო!..“

გამოვართვი, როგორც უძვირფასესი საჩუქარი და წამოვედი, თუმცა არც მიფიქრია, რომ მართლა თილისმად მექცეოდა...

ერთ წელიწადში არნახული მოგება მოიტანა ჩემმა ბიზნესმა, საყვარელ ქალსაც შევხვდი, რომლისგანაც ახლა უკვე სამი შვილი მყავს. არადა, უკვე სამ ათეულ წელს ვიყავი გადაცილებული და არც ვფიქრობდი ოჯახის შექმნზე, უცებ მეწვია თავბრუდამხვევი გრძნობა!...

ჩემი პირველი შვილი რომ დაიბადა, მაშინ დავიფიცე, რომ მოვძებნიდი იმ შავოსანს და ჩემთან წამოვიყვანდი, საკუთარ დედასავით ვუპატრონებდი და ვცემდი პატივს სიცოცხლის ბოლომდე. თბილისში ჩამოსულმა მოვიკითხე, მაგრამ ვერავინ ვერ მითხრა რამე ასეთი ქალის შესახებ, არც გაეგონათ. „არასოდეს გვინახავსო“ — იმ ტაძართან წლობით რომ სხედან, იმ მათხოვრებმა მითხრეს. სხვაგანაც ვეძებე და... სამწუხაროდ, უშედეგოდ...

...მერე დავფიქრდი და რას მივხვდი, იცით?! — მგონი, უფლის ნებით, რომელიღაც წმინდანი გამომეცხადა მათხოვრის იერით და გამოცდა მომიწყო. თუ გულგრილად შევიძლებდი ჩავლას — „მე ჩემი წილი გავიღე-მეთქი“ — ეშმაკი იზეიმებდა. ვერ შევძელი ჩავლა, დაუნანებლად გავიღე შესაძლებლობის მაქსიმუმი და უფლის წყალობამაც არ დაახანა... ახლა მართლა ბევრი ფული მაქვს. როგორც გითხარით, ქველმოქმედება ჩემი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია და ეს საოცარ ბედნიერებას მანიჭებს; ვისაც ვეხმარები, მათ არ იციან, ვინაა მათი გამკითხავი. უფალმა საოცარი ძალა მომანიჭა, რის გამოც მადლიერების გრძნობა არ მტოვებს!..

...იმ შავოსანი ქალის სახე, ბუნებრივია, დრომ გაცრიცა ჩემს მეხსიერებაში და გააფერმკრთალა, არადა ხშირად მახსენდება და... ზოგჯერ მგონია, თავად ღვთისმშობელი მეჩვენა წამიერად... თუ მკრეხელურია ჩემი ფიქრი, მაპატიოს უფალმა!...

ფიქრაკვიატებული დავშორდი მოსაუბრეს... ბევრი არაფერი მედო ჯიბეში, მაგრამ ისიც დაუნანებლად გავუნაწილე იმ მათხოვრებს, გზაზე რომ დამხვდნენ... მართლა საოცარი მშვიდი და ბედნიერი ვიყავი იმ საღამოსაც და მომდევნო დღეებშიც, ყველაზე მეტად რა მახარებდა, იცით? — შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გამიჭირდეს და პურის ფულიც ველარ ვიშოვნო, მოვა ვიღაცა, სრულიად უცხო, უცნობი და... მაჩუქებს იმედს!..

***ინგა ჯაყელი***

CMYK

# სავსემთვარეობისას შემიძლია გამოვთვალო ადამიანის ასაკი, ჯანმრთელობა, მომავალი ცხოვრება



1960 წლის ბარაქიანი შემოდგომა იდგა. ყვარლელმა ნათლიამ რთველში დამპატიჟა. იმდენი ყურძენი გამომატანა, ნახევარი ავტობუსი ჩემი კალათებით გაივსო. ჩხები წნორის ტოტებით გამონასკვა და ფანჯრებთან ჩამოკიდა. პა-პა-პა, რა ამბავია კაცო, განა მარანია? — დაუტატანა შოფერმა.

— შენ ჩუმათ, გოგი. წელიწადში ერთხელ ძლივსა ვხვდები ნათლულს, მა რა ვქნა, ცარიელი გავისტუმრო? აჰა შენ, დაკავებული ადგილების ფასი და ეს გოგო შინამდე მიიყვანე. შოფერს თანხმობის ნიშნად ულვაშებში ჩაეცინა, მაგრამ გამოვცდით თუ არა ყვარელს, ვინც ხელი დაუქნია, ყველას გაუჩერა. ავტობუსი ისე გაიჭედა ხალხით, ფეხს ვერ მოინაცვლებდი. ბოლოს ერთი ნასვამი ახალგაზრდა ამოვიდა, ჯერ შოფერს ეჯიჯლინა, მერე მგზავრებს — მიიწ-მოიწიეთ, რა სარგადაყლაპულებივით დაყუდებულხართ. ხმა არავის გაუცია. ერთგან მანქანამ შემხვედრს მხარი აუქცია და ხრეშის გროვაზე შევარდა. ხალხი ერთმანეთს მიაწყდა. ნასვამი ახალგაზრდა წაბარბაცდა და ჩემს ჩხაში დურთა თავი. გაწყდა საკიდი, ლერწიანად აჭრილი მტევნები თავ-პირსა და მხრებზე მსხმოიარე ვაზივით აეკუნწლა.

— შენი პატრონის დედაც! — შეიკურთხა, მტევნები ბლუჯად ჩამოიცილა და მაინცდამაინც იმ ფანჯრისკენ ისროლა, სადაც მე ვიჯექი. პირველი მტევანი იოლად „მოვიგერიე“ და გადავაგდე. მერე ველარ ვასწრებდი, დამიშინა სეტყვასავით. ეცნენ აქეთ-იქიდან — რა სჩადიხარო. ერთი ბიჭი წამოხტა, ხელები გაუბოჭა, წინ გაიყვანა. ახლა იმას აუშარდა: — შენ მე არ მიცნობ, კერატიშვილი ვარ! კერატი რა არის იცი? — მამალი ღორი, ტახი! ეშვებით დაგგლეჯო...

— როგორი მამალიც გინდა იყო, ღორი ხარ მაინცო — მიიღო პასუხი.

ჩემმა „გულშემატკივარმა“ ავტობუსი ღარის წყალთან გააჩერებინა, ჩაიყვანა მოჩხუბარი და შიგ ჩააყვინთვინა — შენ თუ კერატი ხარ, მე ცეტი ვარ! — უთხრა მშვიდად, ამოვიდა უკან და წადიო, — ანიშნა შოფერს.

— ღამდება შვილო, სადა ტოვებ, — შეენანა ვიღაცას.

— არა უშავს, მგლები არ შეჭამენ. გონზე მოვა, გზას გაიგნებს.

— ეგენი მართლა ცეტები არიან, ყველაფერი იციან, რაც ქვეყანაზე ხდება, — დაამშვიდა გვერდით მჯდომი მგზავრი ბიჭის თანასოფლელმა. ხუთნი არიან: სამი ძმა და ორი და — ცეტები. ხუთივემ მშვენიერი ოჯახი შექმნა. შვილებიც ჩინებულად გაზარდეს, მაინც ცეტებს ეძახიან. პაპა ჰყავდათ ცეტიო, — ჰყვებოდა ქალი. მის კერაზე პირველი ვაჟი თურმე, მამისფერა დადგა, პირველი შვილიშვილი, ზედგამოჭრილი — პაპაილა, ჰოდა, რახან თაობებში ყველა პირველი შვილი თვალტანადობით, ხასიათით, ცხვირზე წამოსკუპებული დიდი, ყავისფერი ხალით და რაც მთავარია, სიცეტითაც ემსგავსებოდა წინაპარს, სხვებსაც მათი წამხედურობით ცეტებს ეძახდნენ. სწყინთ თუ არა „ცეტიაანთ“ ლამაზ ქალიშვილებს ან გვარის გამგრძელებელ ვაჟებს ამ მეტსახელით მოხსენიება, არავინ იცის, ერთი კი ცხადია, სოფლის ყაყანს ისინი ყურადღებას არ აქცევენო.

ავტობუსში შემთხვევით გაცნობილ „ცეტს“ მერე უნივერსიტეტში შევხვდი. მიცნო. ფიზიკურზე ვსწავლობო — მითხრა. ჩემი მამიდაშვილის ჯგუფელი აღმოჩნდა და ხშირად მოდიოდა მასთან. „ცეტობის“ საიდუმლოც თვითონვე გაგვანდო: — „ჩამომავლობით ფშაველები ვართ, თარაქიდან (არის ასეთი სოფელი ცივგომბორის კალთებზე. — თ.რ.). იქ დაბადებულა ჩემი დიდი პაპა. წერა-კითხვა არ იცოდა, სამწყემსოში ზურგჩანთით დაჰქონდა გრძელი, წვეტიანი ქვა. ჩამოჯდებოდა კლდიდან გადმომსკდარი წყალვარდნილის ნაპირას, ხელისგულით ლამს მოასწორებდა და ხაზავდა თავისთვის რაღაცას, ანგარიშობდა. ბევრს უნახავს მისგან დახატული, ვარსკვლავებით მოხატული უკიდეგანო სივრცე.

— რასა ჯღაბნი მიხავ? — თავზე წასდგომია ერთხელ მეზობელი.

— ცუდი წელიწადი დადგება — ჩაულაპარაკია თავისთვის და გასცლია. იმ შემოდგომაზე წყალდიდობამ გარეკახეთში სახლები დაანგრია, ქარიშხალმა სახურავები ააგლიჯა, ასწლოვანი ხეები მოთხარა ძირიანად, ხალხი და პირუტყვი იმსხვერპლა. მიხა პაპა მთელი ცხოვრება ღამით ცას შესცქეროდა, დღისით იჯდა და ლამზე რაღაცას ანგარიშობდა — ამ დროს ეს მოხდება, იმ დროს ესო — იტყოდა და ახდებოდა თურმე. ძეობაზე რომ დაპატიჟებდნენ, ზოგჯერ დაზაფრული ბრუნდებოდა. ცოლს მიზეზი უკითხავს — ეს ბალღი ისეთ ვარსკვლავზე დაიბადა, ჭკუაზე შეცდებაო — უთქვამს ერთზე. ის მართლა თვრამეტი წლის გაგიჟებულა. თავისი შვილების ბედზე ხომ მუდამ შეწუხებული იყო. ცხრიდან სამიღა შერჩა. დანარჩენები, როგორც თვითონ ამბობდა, „თავის წერით დაიხოცნენ“. დიდი ბებო სულ ელდაში ყოფილა, აღარაფერს ეკითხებოდა თურმე — ცუდი ამბის „მოძახურა“ ხარო. ნაბოლარა ბიჭის დარდს გადაჰყვა. სულ თან დასდევდა — ჭიანჭველასაც არ დაადგა ფეხიო, ჩიტი არ მოკლაო, ქვა არავის ესროლოო. დავაჟკაცებულს უკითხავს მამისთვის — რად მიშლი ნადირობასო. წუხილით გაუმხელია: ისეთ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული, მეშინია, ცოდვა არავისი დაიდოო. ამქვეყნად აღარ იყო, წინათგრძნობა რომ აუხდა. მისმა ნაფერებმა შვილმა მართლა მოკლა კაცი. იმის მერე აბარგებულან და გადმოსახლებულან ბარში. მიხა პაპას აღლო შთამომავლებსაც გამოჰყვა. ჩემს და-ძმებსაც მეტნაკლებად შეუძლიათ ახსნან ვარსკვლავების გავლენა ადამიანზე, ბუნებაზე. ამის დაჯერება არავის უნდა და ცეტებს გვეძახიან. მე ჩემდა თავად, მთვარის „მესაიდუმლე“ ვარ. სავსემთვარეობისას შემიძლია გამოვთვალო ადამიანის ასაკი, ჯანმრთელობა, მომავალი ცხოვრება. ჩვენი მეზობელი — თებრო ბაბო ხშირად უჩიოდა ბალ-ბოსტნის მოუსავლიანობას. მეათეკლასელი ვიყავი მთვარის კალენდარი რომ შევუდგინე. მართლა იმ დროს დარგა და დათესა ყველაფერი, როგორც ავუხსენი.

— ე, მაგ ბალღის ჭკვაზე დაბერდიო — ებუზღუნებოდა ქმარი. იმ წელს თავზე საყრელი მოსავალი მოიწია, ყველა გაკვირვებული იყო. თებრო ბაბო მლოცავდა, მეფერებოდა — რა ჭკვიანი ყოფილხარ შვილო, ენა გაუხმეს, ვინც შენ ცეტი დაგიძახოსო.

ერთხელ სოფელში წივილ-კივილი ატყდა. არიქათ, მშობიარე ილუპებაო. ბებია ქალი თურმე სულ მუხლებს ითქვეფავდა — ველარაფერს ვუშველიო. ჩვენებიც აფორიაქდნენ. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. მე ერდოზე გავედი. მთვარე ჩადიოდა, თითქოს თან გამიყოლა, მთელი არსებით შევუერთდი თითქოს... ცოტა რომ მოვგონდი, მეზობელთან გადავირბინე და დაზაფრულ ოჯახის უფროსს ვახარე: ბიჭი განთიადისას დაიბადება-მეთქი. მდუმარედ გადამისვა თავზე ხელი — ნუგეშისთვის გმადლობო. ბავშვი მართლა ალიონზე დაიბადა. გახარებულებმა ჩემი სახელი დაარქვეს.

სხვა პლანეტებიც მიზიდავს. მზის სრული დაბნელება რომ მოხდა (იგულისხმება გასული საუკუნის 50-იანი წლები. — თ.რ.), წინასწარ გავთვალე, 12-13 წლის ვიქნებოდი, ავიჩემე, თარაქში წამიყვანეთ-მეთქი. იქიდან უკეთესად ჩანდა ეს საოცრება, ნახშირით გავმურე მინა, თვალებზე ავიფარე და ისე ვუყურებდი ყველაზე მაღალი მთიდან.

თანდათან ჩამობნელდა. ქარი ამოვარდა. კაკლის ხეები მიწაზე არტყამდნენ კენწეროებს. ნახირი ბღავილით გამორბოდა სახლისკენ. მეზობლები ბავშვებს შინ მალავდნენ. ერთი წივილ-კივილი იდგა... გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, „ირმის ნახტომზე“ ვარსკვლავებს ვითვლი. ვიცი ერთ ღამეს სად ვჩერდები და მერე ვაგრძელებ. ამ დროს შინაგანად ვიმუხტები, ზოგჯერ „დიდი დათვის“ ვარსკვლავებიც „მიმხელენ საიდუმლოს“.

ჩემს წინაპარ „ცეტებს“ არც ასტრონომია უსწავლიათ, არც ასტროლოგია. ისინი გენეტიკურად ვარსკვლავთმრიცხველები იყვნენ, წინასწარ ითვლიდნენ მოვლენებს, კატასტროფებს, ადამიანის ბედისწერას, ანგარიშობდნენ პლანეტების დაახლოება-დაშორების დროს. სამწუხაროდ, დიდმა პაპამ საფლავში ბევრი საიდუმლო წაიღო. არც მისი შთამომავლები გაჰყოლიან მეცნიერების ამ დარგს. უგზო-უკვლოდ გაიფანტა მათი ნიჭი.

გარშემომყოფთა წრეში კი „ცეტებად“ მონათლულები დავრჩით“.

***თუთი რატიანი***



# „ლომი ზამთარში“ გახსოვთ? იმ ფილმში მინდა ვითამაშო



ბოლო დროს იგი განსაკუთრებით პოპულარული გახდა ტელესერიალებში მონაწილეობით. რამდენიმე წლის წინ ითამაშა ქართულ ფანტასტიკურ ფილმში „ვირთხა“. მოგვიანებით გამოჩნდა რეჟისორ მერაბ თავაძის ფილმში „ხვეული კიბით“. იგი კინომსახიობთა და სარდაფის თეატრების აქტიური მსახიობია. სულ მალე მაყურებელი **ეკა ანდრონიკაშვილს** იხილავს ლევან წულაძის სპექტაკლში „ხანუმა“. ახალი „სარდაფის“ სცენაზე კი მშვენიერი ქეთოს როლს ითამაშებს. ახალგაზრდა მსახიობს პირდაპირი ხაზით ნათესაობა აკავშირებს ქართული კინოს ორ უმშვენიერეს სახესთან, ლეგენდარულ ნატო ვაჩნაძესთან და ულამაზეს კირა ანდრონიკაშვილთან. ნატო ბებიად ეკუთვნოდა, კირა კი მისი მამიდაა.

— ნატო ვაჩნაძე მამაჩემის, მერაბ ანდრონიკაშვილის მამიდა იყო. მის შესახებ გადმოცემით ბევრი რამ ვიცი. მამა ჰყვება ხოლმე, რომ ნატოს დანახვისას ხალხი ჩერდებოდა და საქმე ავიწყდებოდათო. მამას სახელოსნოში უკიდია ნატოსა და დედამისის, ულამაზესი ქალის — ეკატერინე სლივიცკაიას პორტრეტები. ამ ფოტოებზე ეკატერინე უფრო ლამაზია ნატოზე. მიყვარს მათზე ფიქრი. ისინი თავიანთი ფესვიდან მასაზრდოებენ. ამას ყოველთვის ვგრძნობ.

**— ასეთი ბებიის ჩრდილში მყოფმა მსახიობობა როგორ გადაწყვიტე?**

— ვგიჟდებოდი ამ პროფესიაზე. ბავშვობაში ვნახე „ანა ფრანკის დღიური“. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა და მივხვდი, რომ მსახიობობის გარდა აღარანაირი საქმე აღარ მაინტერესებდა. თუმცა ვხატავდი, სკოლაშიც კარგად ვსწავლობდი. ისე რომ, სხვა პროფესიების არჩევაც შემეძლო, მაგრამ მსახიობობა ყოვლისმომცველი იყო ჩემთვის.

**— მილიონი ვიღაცის ტყავში უწევს მსახიობს შეძრომა. ზოგჯერ საკუთარ მესთან დაბრუნება რთულია. ამბობენ, ამ დროს იწყება ბოჰემური ცხოვრება. ადამიანი შეიძლება გალოთდეს და მოკლედ, ხელიდან წავიდესო.**

— გააჩნია მუშაობის როგორი მეთოდიკა აქვს მსახიობს. შეიძლება სრულად გარდასახვა, მაგრამ შეიძლება უბრალოდ როლის განსახიერებაც. მარლონ ბრანდომ თქვა — მსახიობი იმიტომ ვარ, რომ განვასახიერო ტრაგიკული როლი და არა ტრაგედიაში ვიცხოვროო. შესაბამისად, როლიდან გამოსვლის პროცესიც არ არის რთული. მთავარია პერსონაჟის ფსიქოლოგიას ჩაუღრმავდე, დანარჩენი უკვე შენი არტისტული ტექნიკით უნდა მოახერხო, სულაც არ მგონია ეს რთული.

**— მსახიობების ერთი ნაწილი ჭირვეულობს როლების შერჩევისას, შენ როგორი ხარ?**

— ჯერჯერობით არც ერთ როლზე არ მითქვამს უარი. როლის შერჩევისას მთლიანად ვენდობი რეჟისორს. ე.ი. რასაც მთავაზობს, იმ როლში სწორედ მე მხედავს. მსახიობის და რეჟისორის სინთეზი თუ არ შედგა, არც სპექტაკლი იქნება ჰარმონიული და არც კინო. მსახიობი პლასტელინია, რომლიდანაც რეჟისორი ძერწავს ხელოვანს. კარგი რეჟისორი, კარგ მსახიობს შანსს ისედაც მისცემს. დაბალი დონის მქონესთან კი არც უნდა იმუშაო.

**— ეკა, ახალგაზრდა დედა ხარ, თანაც ვაჟიშვილის. თანამედროვე დედები შვილებს ანებივრებენ. თქვენ თუ აკეთებთ ამას?**

— მოსიყვარულე, მაგრამ ძალიან მომთხოვნი ვარ. მიმაჩნია, რომ შვილისათვის ავტორიტეტი უნდა იყო, მას მშობლების რიდი უნდა ჰქონდეს. როცა პირველად შვილი ხელში ავიყვანე, ვიგრძენი, რომ იგი ჩემი სხეულის ნაწილია და ვალდებული ვარ, მუდამ მის გვერდით ვიყო. ის ტიროდა, მაგრამ უცებ დაწყნარდა. მჯერა, ჩემი ნაფიქრალი გაიგო და დამშვიდდა. საქმეების გამო ახლა სულ გადარბენაზე ვარ. ხაჭაპურებს ვერ ვუცხობ, მაგრამ მასთან მეგობრულ ურთიერთობას მაინც ვახერხებ. მინდა უყვარდეს კითხვა. ვცდილობ შთავაგონო ადამიანურობა და განათლებისკენ სწრაფვა. მე ძირითადად წიგნზე ვარ დამოკიდებული. მინდა ეს თვისება ლევანიკოშიც გადავიდეს. წიგნიერი ადამიანი ზღუდესავითაა. იგი საკუთარ თავსაც იცავს და ქვეყანასაც არგია.

**— საინტერესო თემას შეეხეთ, დღეს ბევრი თქვენი ახალბედა და მომავალი კოლეგა შორს დგას წიგნისგან, რაც აშკარად იგრძნობა კიდეც. მხოლოდ რაღაც ბუნებრივი მონაცემების წყალობით ქმნიან ისინი ხელოვნებას.**

— საინტერესოა მსახიობი, რომელიც მარტო რეჟისორის დავალებას და ნებას კი არ ასრულებს, არამედ, თვითონაც აქვს რაღაც სათქმელი. სისავსე, განათლება, წიგნიერება საკუთარი ხელოვნების შექმნაში გვეხმარება, თორემ ვიცი ძალიან ნიჭიერი მსახიობებიც, რომლებიც წიგნებს არ კითხულობენ, მაგრამ რეჟისორის შეგონებებს ისრუტავენ, როლს მაინც ასრულებენ. თუმცა ეს საკმარისი არ არის.

**— არსებობენ ისეთი მსახიობები, ვინც ძალიან მოგწონს და ვისაც ბაძავ?**

— ძალიან მომწონს ჯუდი ფოსტერი, მერილ სტრიპი, ინგრიდ ბერგმანი. ისინი ნამდვილი ინტელექტუალები და ძლიერი მსახიობები არიან. გარეგნულად კი სხვები მომწონს. იდეალ მსახიობებზე ვერაფერს გეტყვი. ჩემთვის იდეალია ძლიერი ადამიანი.

**— ხელი რომ შეეშალათ და მსახიობი ვერ გამხდარიყავი, რაში დაიხარჯებოდი?**

— უფრო მხატვარ-დიზაინერის პროფესიას ვირჩევდი, გამოყენებითი ხელოვნება უფრო მაინტერესებს. შეიძლება ინგლისურის სპეციალისტი ვყოფილიყავი, ან სულაც დიპლომატი, იქნებ ფსიქოლოგიც, მაგრამ მათემატიკოსი ვერასოდეს ვიქნებოდი. რომელი პროფესიებიც ჩამოვთვალე, ყველა მათგანი რაღაცნაირად ატარებს მსახიობის თვისებებს, მსახიობს კიდევ ყველა მათგანისათვის აუცილებელი უნარი სჭირდება.

**— არის როლი, რომელიც ძალიან გინდა ითამაშო?**

— როცა რომელიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს ვკითხულობ, სულ მინდა იქიდან რჩეული პერსონაჟი ვითამაშო. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ გამუდმებით ვოცნებობ, ვითამაშო ისეთი როლი სიბერეში, როგორიც ხანდაზმულმა კეტრინ ჰეპბერნმა პიტერ ო'ტულთან ერთად ითამაშა ფილმში „ლომი ზამთარში“.

*ეკა ლომიძე*


ავიაკომპანიები „საქავიასერვისი“ და „სამარა“ 25 აგვისტოდან ასრულებენ რეისს



თბილისი — სამარა — ორშაბათობით
სამარა — თბილისი — სამშაბათობით
მის: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. №4
ტელ: 99-02-37; 99-83-87




# — აპოლიტიკურობა მინდა, ბატონო, მომეცით ამის საშუალება



ქართული ტელესერიალის „ძილის წინ“ „სეკვესტრირებამდე“ ერთი თვით ადრე ეკრანიდან გაუჩინარდა დიდი ვერსაჩე დიდია. ასე და ამგვარად, წარსულს ჩაჰბარდა ცერცვაძეების ოჯახის დაუძინებელი მტერი. ვერსაჩე დიდიას სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა — პოლიციელი ჟურული ახალი ქართული ტელესერიალიდან „ყავა და ლუდი“. მსახიობი **ალეკო მახარობლიშვილი** ახალ როლზე მუშაობს და ცდილობს, ჟურული ვერსაჩე დიდიამ არ „დაჩრდილოს“. ბატონ ალეკოს მისი მოუცლელობის გამო გადასაღებ მოედანზე ვესტუმრე. ფილმის გადამღები ჯგუფი მის ქება-დიდებაშია, როგორც გაირკვა, სამი შვილის მამა, 2 თვის მარიამის ბაბუა, საინტერესო თეატრალური როლების შემსრულებელი და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებზე მზრუნველი პედაგოგი, გამოირჩევა მსახიობისათვის უჩვეულო თვისებებით: პუნქტუალურობით და საოცარი მოწესრიგებულობით.

— სანამ „ძილის წინ“ დამთავრდებოდა, მანამ წამოვედი აუდიენციიდან „ყავა და ლუდის“ გამო. ფიზიკურად ვერ ვახერხებდი ორ გადასაღებ მოედანზე ყოფნას. ზოგი ასაკგადაცილებული ფეხბურთელი მანამ ვერ გრძნობს მოედნიდან წასვლის აუცილებლობას, სანამ არ დაუსტვენენ. ვიფიქრე, მეც ასე არ დამემართოს და სანამ ვერსაჩეს დაუსტვენენ, მანამ წავალ „ძილის წინიდან“-მეთქი, სიტუაციამაც ხელი შემიწყო. გარდა იმისა, რომ „ძილის წინმა“ პოპულარობა მომიტანა, შესანიშნავ ადამიანებთან ერთად ვიყავი სამი წელი გადასაღებ მოედანზე. თეატრში ბოლო მსახიობი მგონი არა ვარ, მაგრამ ხალხმა სწორედ ამ ფილმიდან მიცნო ქუჩაში. თავიდან უხერხულად ვგრძნობდი თავს, მერე კი მივეჩვიე და მივხვდი, რომ ეს არის მსახიობისთვის ბედნიერება. გცნობენ, ე.ი. რაღაცას წარმოადგენ, უყვარხარ ხალხს. ამიტომ არ მესმის ზოგიერთის, რომ ამბობს, პოპულარობა დამღლელიაო.

მთელ გადამღებ ჯგუფს გვინდა, რომ „ყავა და ლუდი“ იყოს მსუბუქი, ირონიული დეტექტივი, სადაც თითო საქმის გამოძიება თითო სერიაში დამთავრდება. ვცდილობთ, ძალიან ბუნებრივები ვიყოთ და ეკრანზე რეალური ფაქტები გადმოვიტანოთ, ამავე დროს ვცდილობთ, ჩვენი დამოკიდებულება გმირებისადმი იყოს ირონიული კარგი გაგებით. არ გვინდა მაყურებელი დავძაბოთ.

**— თქვენს ახალ პერსონაჟზე რას გვეტყვით?**

— ოპერრწმუნებული ნოშრევან ჟურული გვინდა ეგზოტიკური გმირი გამოვიდეს, თან ძალიან მინდა დავავიწყო მაყურებელს ვერსაჩე დიდია. ამიტომაც შევიტანეთ ცვლილება ჩემს გარეგნობაშიც — ბაკენბარდები და ულვაშები. მაგრამ მაინც მაყურებელი ალბათ ფიქრობს, ნეტავ ეს კაცი ვინ არის, რა ნაცნობი სახეაო.

**— ჟურულის სახე სცენარში „ძილის წინის“ გავლენით ხომ არ შეიქმნა?**

— არა. 2000 წლამდე, სანამ „ძილის წინის“ გადაღებები დაიწყებოდა, რამდენიმე მსახიობი რეჟისორ ზაზა ბუაძესთან ერთად უკვე ვმუშაობდით ფილმზე „ყავა და ლუდი“. ორი სერიაც გადავიღეთ, მაგრამ უსახსრობის გამო გადაღება შეჩერდა.

**— როგორ ფიქრობთ, შეიძლება მსახიობს თავისი როლი ისე შეუყვარდეს, რომ პროფესია შეიცვალოს? მაგალითად, თქვენ უცებ პოლიციელი რომ გახდეთ ცხოვრებაშიც.**

— ადრე ექიმობა მინდოდა ძალიან, მაგრამ დროზე მივხვდი, რომ ამ საქმისთვის არ გამოვდგებოდი. თუმცა, ახლაც ძალიან მომწონს. პოლიციელობა კი არასოდეს მიფიქრია და არც არანაირი შეხება არ მქონია ამ ხალხთან.

**— მიუხედავად იმისა, რომ ყველა თქვენს მოწესრიგებულობაზე ლაპარაკობს, ამბობენ, ერთი სული აქვს გადაღებას მორჩეს, რომ თეატრალურში გაიქცეს სტუდენტებთანო.**

— გაიქცესო თუ „გაშპესო“ (ეცინება)? წელს პირველკურსელები ავიყვანე კიდევ და მათთან მიმეჩქარება მუდმივად. იმათ ვასწავლი, ვინც საგულდაგულოდ შევარჩიე გამოცდებზე და ძალიან მსიამოვნებს მათთან ურთიერთობა. ვითხოვ წესრიგს, ცოდნას და ვცდილობ, დავარწმუნო ყველა, რომ მათი ყურადღების და ინტერესის მოდუნება კიდევ უფრო გაამძაფრებს არაპროფესიონალიზმის სენს. 24 საათი თითქმის სულ მოძრაობაში ვარ და ძალიან მიხარია, რომ საქმე ყელამდე მაქვს. თუ საქმისგან ვიცლი, მეგობრებთან ვატარებ დროს ან ორი თვის შვილიშვილ მარიამთან გავრბივარ. აქვე დავძენ, მიუხედავად ჩემი ეკრანული როლებისა, ძალიან სერიოზული ადამიანი ვარ.

**— როგორ ფიქრობთ, დღეს ეკრანიდან პოლიტიკოსები უფრო პოპულარულები არიან, თუ მსახიობები?**

— არა მგონია, რომელიმე პოლიტიკოსი მსახიობზე მეტად უყვარდეთ საქართველოში. მაგრამ სირცხვილი მგონია, ერთი და იგივე პოლიტიკოსები მართლა ტელევარსკვლავებად რომ იქცნენ. ცვალონ მაინც ეს ხალხი ეკრანზე. ტელევიზორის ჩართვა აღარ მინდა ამ პოლიტიკის და პოლიტიკოსების გადამკიდე. ყელში ამომივიდა მაგათი გინება და ერთმანეთის თავზე ლაფის დასხმა. აპოლიტიკურობა მინდა და ამის საშუალებას არ მაძლევენ.

*ეკა ლომიძე*


ქართული და უცხოური ჟურნალ-გაზეთების გამოწერა



თბილისის მაცხოვრებელთათვის და ორგანიზაციებისთვის
ტელ: 33-26-73
სახლიდან გაუსვლელად
შპს „ელვასერვისი“

# თემურ ჩხეიძე: მთავარ კითხვაზე პასუხი არ ვიცით...

**გიორგი ქუჩიშვილი, ბაბუა, მამის მხრიდან გალაკტიონთან მეგობრობდა. ერთხელ, ბებიას წაუკითხავს მათთვის ნოტაცია: დაანებეთ თავი სმას, ამის შემდეგ ჩემს ოჯახში წვეთს აღარ დაგალევინებთო. მეორე დღეს ისევ ერთად მისულან და გალაკტიონს მიუმართავს: ვასასი, დაგვისხი ას-ასიო. ბებიას უთქვამს, მაგ რითმაში გეკუთვნით, დაგისხამთო...**

Სულ მალე ცნობილ რეჟისორს, **თემურ ჩხეიძეს** 60 წელი შეუსრულდება. ბატონ თემურს მარჯანიშვილის თეატრში ვესტუმრეთ. ჩვეული თავმდაბლობით შეგვხვდა. მას ხომ საარაკო ნიჭი აქვს ადამიანებთან ურთიერთობისა! შეუძლებელია, სული არ გაგითბოთ ამ ერთი ცნობილი ამბის გახსენებამ: ერთხელ, როცა ბატონი თემური რეპეტიციას ატარებდა და სცენაზე ქალბატონი მედეა ჩახავა იდგა, ასე მიმართა: ქალბატონო დედა... შემდეგში ხშირად ახსენებენ მედეა ჩახავას ამ სახელით — „ქალბატონი დედა“... ეს სიტყვები ძალიან ტევადია, თითქოს თემურ ჩხეიძის შინაგან სამყაროს ეხმიანება, მის ოჯახთან დამოკიდებულებასაც ასახავს. საერთოდ, თემურ ჩხეიძესთან საუბარი ძალიან საინტერესოა. ამას განაპირობებს ყველაფერი ერთად: პროფესიონალიზმი, ხასიათი, სულიერი სიმდიდრე...

როცა მოახლოებული თარიღი ვახსენე, ბატონმა თემურმა მითხრა:

— კარგა ხანია იმისი შეგრძნება მაქვს, რომ წლები მიდის და წინ უფრო და უფრო ცოტა რჩება. რა გველოდება, არ ვიცით, ჩვენ ვართ ჩვენი წარსული... მხოლოდ ერთი წუთია აწმყო, დანარჩენი ყველაფერი წარსულია. ჩვენი ფსიქიკით, ხასიათით ვინც დღეს ვართ, ვართ წარსულისა გამო. მომავლის მხოლოდ იმედი შეიძლება გვქონდეს. საერთოდ კი... ჩვენ ხომ არაფერი ვიცით. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

**— რაღაც ძალიან მძიმე განწყობით მოგვიწია საუბრის დაწყება...**

— ამას ფონად გასდევს ცხოვრება: შვილები, შვილიშვილები. ასე მგონია, სიკვდილიც კი გამიადვილდება, როცა ჩემს შვილებს, შვილიშვილებს ვუყურებ. უფროსი თაობა უნდა წავიდეს, რომ ისინი მოვიდნენ. ასაკი, იცით, კიდევ რას განაპირობებს? ჩემი ხნისამ მხოლოდ ის უნდა დაისახო მიზნად, რისი მოსწრების იმედიც გაქვს... ახალგაზრდობაში კი შეგიძლია უამრავ რამეზე იოცნებო. სულ ვცდილობ, მოსწრების აუცილებლობა არ გადაიზარდოს ფუსფუსში. მგონი, ასე თუ ისე ვახერხებ კიდეც ამას. ყველაფერი მშვიდად უნდა აკეთო. ქოთქოთი არ არის მოსწრება. ზოგჯერ ისიც კარგია, რომ იფიქრო, თითქოს ბოლო სპექტაკლს დგამ. მაშინ სხვანაირად მობილიზებული ხდები.

**— თქვენ გაწონასწორებული ადამიანი ბრძანდებით...**

— პროფესია მაქვს ასეთი. გაუწონასწორებლობა მსახიობზე ცუდად იმოქმედებს, ვერ მოაბამს თავს როლის თამაშს... რეჟისორობა ისეთი პროფესიაა, გინდა თუ არა, მის გარშემო იკრიბება ხალხი. ჩემი კალაპოტიდან ამოვარდნა საერთო კრახი იქნება. ჩემი ფორიაქი არ შეიძლება, თორემ...

**— დაძაბული ცხოვრება გაქვთ?**

— ეს არ არის დაძაბულობა. ეს ცხოვრების გარკვეული რეჟიმია, თანაც, ნებით არჩეული... ვინ გაძალებს რეჟისორობას?!

**— ბრძანეთ, ადამიანი თავისი განვლილი ცხოვრებააო. ამიტომ თქვენს განვლილ ცხოვრებას მივუბრუნდები. მე მინახავს მთაში გადაღებული თქვენი ფოტოები. თითქოს მეუცხოვა კიდეც... რატომღაც უფრო სამუშაო მაგიდასთან ან თეატრში წარმომედგინეთ.**

— რატომ, თქვენი აზრით, სულ ასეთი ბებერი ვიყავი?!

**— არა, ამას არ ვგულისხმობდი... უბრალოდ, ეს — თქვენი ცხოვრების ჩემთვის უცნობი და საინტერესო მხარე იყო...**

— ახალგაზრდობაში ძალიან მოწოწიალე ვიყავი. ვერ წარმოიდგენთ, საქართველოს იმდენი ადგილი მაქვს ფეხით დავლილი. მეგობრებიც ასეთი მყავდა. წელი არ გავიდოდა, რომ ოთხი-ხუთი ახალი, საინტერესო ისტორიული ძეგლი არ გვენახა. ჩვენთვის პატარ-პატარა აღმოჩენებს ვაკეთებდით. რუკებს ვადგენდით.

**— ეს მეგობრები ვინ იყვნენ?**

— ხანდახან იცვლებოდნენ... არა, მეგობრები კი არა... მოწოწიალეთა შემადგენლობა იცვლებოდა. ჩემი მეგობარი იყო მიშა ჭავჭავაძე — გენიალური მხატვარი და პიროვნება. რამდენიმე წელია წავიდა და ძალიან დამაკლდა... თან მარტო მე კი არა... ის იყო ჩემი სულიერი მეგობარი. უამრავ რამეზე ამიხილა თვალი. სკოლაშიც ერთად ვსწავლობდით, ინსტიტუტშიც... მერე ის სამხატვრო აკადემიაში გადავიდა. მისი ლტოლვა არქიტექტურის, ძეგლების, ფრესკების მიმართ ახალ „სენად“, „ვირუსად“ მექცა. ღამეებს ვათევდით მონასტრებში, ტაძრებში...

**— მთაშიც დადიოდით, სიმაღლე გხიბლავდათ?..**

— სიმაღლისა მეშინია, მაგრამ ამის გამო უკან არ დამიხევია. შარშან, როგორც იქნა, გვეღირსა და გადავედით ახალ ბინაში. მერვე სართულზე მოგვიხდა ასვლა. ძლივს შევეჩვიე. გოგი ქავთარაძე ბათუმში თეატრის ხელმძღვანელი რომ იყო, მეთორმეტე სართულზე ცხოვრობდა. ვაი, შენს მტერს, მე რომ მემართებოდა იქ ასვლისას. თანაც რამდენს დავფრინავ! რა ვქნა, აბა? საგანგებოდ ზედაზენზე გადმოვდგებოდი ხოლმე, რომ სიმაღლის შიში დამეძლია, ჩემი თავისთვის დამემტკიცებინა... სიმაღლე თითქოს გიზიდავს და... პარიზში სამჯერ მაინც ვარ ნამყოფი... ეიფელის კოშკზე ლიფტი სულ ბოლომდე ადის. მე მეორე სართულს არ ავცილებივარ. ჩემი მეუღლე, ნანი და შუათანა ქალიშვილი ავიდნენ... და მაინც სიმაღლე მიტაცებს, მხიბლავს. მერე რა, რომ მეშინია! ნანიმ — ჩვენ გვიშვებ და შენ არ ამოდიხარო? ვიცოდი, საშიში არაფერი იყო, თორემ მათაც ხომ არ გავუშვებდი!

**— ბატონო თემურ, განსაკუთრებით რა გიყვართ, გაშლილი სივრცე?**

— ნებისმიერი ხედი მიყვარს... მიყვარს, როცა ფანჯრიდან ფართოდ ჩანს ცა...

**— ახლანდელ ბინაში თუ გაქვთ რომელიმე ფანჯრიდან კარგი ხედი?**

— მაქვს. წყნეთი მოჩანს... რაც მთავარია, წინ სახლი არ გვაქვს აფარებული. ადრე სადაც ვცხოვრობდი, პირდაპირ კორპუსს ვუყურებდი... ვამბობდი, რომ მოვკვდე, ეს კორპუსი უნდა მქონდეს თვალებში ჩარჩენილი-მეთქი?! სულ მინდოდა, ისეთ ადგილას მოვმკვდარიყავი, საიდანაც ცა გამოჩნდებოდა... ახლა კი ჩვენი სახლი შემაღლებულზეა.

**— მაინც როგორ ახერხებთ სიმშვიდის შენარჩუნებას, კონფლიქტის თავიდან აცილებას?**

— არ მიყვარს კონფლიქტი. შინ მეუბნებიან, ადვილად ღიზიანდებიო. ალბათ... მაგრამ კონფლიქტი არ მიყვარს. ამიტომ გამოსავალს ვპოულობ. ერთ რამეში დავრწმუნდი, რომ ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია, ოღონდ გააჩნია, როგორ. მთავარია, როგორ და არა რა. თანამოსაუბრეს ყველაფერი შეიძლება უთხრა, მაგრამ ამ დროს მთავარი ინტონაციაა, ისევე როგორც მუსიკაში.

**— ეს უნარი გამოიმუშავეთ, თუ გქონდათ?..**

— არ ვიცი. ისე, წონასწორობა თუ დავკარგე, მერე ველარ ვმუშაობ, სწორად ველარ ვფიქრობ.

**— ცნობილია, რომ ქალბატონ მედეა ჩახავას არაჩვეულებრივი, დიდი ტრადიციების ოჯახი აქვს. ამ ოჯახმა თქვენს ცხოვრებაში უთუოდ ბევრი რამ განსაზღვრა.**

— დიდი ტრადიციების ოჯახი გვქონდა. ბაბუა — დედაჩემის მამა — სულ გვასწავლიდა, რომ სადილობისას ყველა შინ უნდა ვყოფილიყავით, ყველაფერი წუთობით გვქონდა გათვლილი. წესრიგის მოყვარული კაცი იყო. აბა, ერთი დაგეგდო რაიმე უადგილოდ...

**— ასეთი მკაცრი იყო?**

— მკაცრი არ იყო. უბრალოდ, მას ვერ შებედავდი სხვანაირად მოქცევას. ექიმი იყო. თხემით ტერფამდე ექიმი... ისიც უყვარდა, რომ თვითონ აერჩია პროდუქტი ბაზარში, თვითონ გადაეწყვიტა...

**— სადილობის რიტუალი თუ გაქვთ თქვენს ოჯახში?**

— მაგალითად, ოჯახის წევრები შინ რომ არ არიან, არ შემიძლია მარტო სადილობა. მაცივარი რომ გამოტენილი იყოს და გამოღება უნდოდეს მხოლოდ, არ შემიძლია! იმიტომ კი არა, რომ გამოღება არ შემიძლია, მარტო ვერ ვისადილებ. პეტერბურგში რომ ვარ, ვამჯობინებ თეატრში სადილობას, რადგან შემიძლია ნაცნობი მსახიობები მოვისვა გვერდით.

**— იმხელა ოჯახის შვილი და მამა ბრძანდებით, რომ მარტო ძალიან იშვიათად მოგიწევთ ყოფნა.**

— ერთადერთხელ მოხდა ასეთი რამ: დავამთავრე კითხვა და გადავწყვიტე წახემსება. ჩემი უფროსი ქალიშვილი პატარა იყო. შენიშვნა მომცა: შენ ხომ არ გიყვარს მარტო ჭამა?! მართალი იყო. მეც დავემორჩილე — ბოდიში-მეთქი. მას შემდეგ ამგვარად აღარ მოვქცეულვარ. ჩემი შვილიშვილებიც შეეჩვივნენ. 2 წლის გოგონას სუფრასთან რომ სვამენ, მე მელოდება. ვსხდებით და ვიწყებთ სადილობას. ეს ასეა, მაგრამ ნებსით თუ უნებლიეთ, ცხოვრებას შეაქვს კორექტივები ჩვენს გრაფიკში. ჩემი უმცროსი ქალიშვილი და სიძე ისეთ ადგილზე მუშაობენ, რომ შინ 7 საათამდე ვერ ბრუნდებიან. ამიტომ გვიან სადილობენ. კი დავაპირეთ მე და ნანიმ გრაფიკის „ჩაჩოჩება“ იქით, მაგრამ მაშინ ბავშვები სადილობდნენ მარტო... მოკლედ, ძალიან მწყდება გული, რომ ოჯახში სადილობის გრაფიკი მაინც ირღვევა. ჩემი ბებია-ბაბუა, დედაჩემი, ნანის დედა — ყველანი, ტრადიციული წესრიგის მომხრენი იყვნენ. რაც არ უნდა მწირი იყოს, სადილი ოჯახში მაინც რიტუალია!

**— ხომ ხდება, რომ ერთ-ერთი წინაპარი თითქოს განსაკუთრებით ახლოსაა, სხვაგვარად გიყვარს, გენატრება. თქვენ განსაკუთრებულად ვინ გაკლიათ?**

— ბევრი მყავდა ასეთი, რომლებიც ახლა ძალიან მაკლია. უცნაურია, მაგრამ ახლობელს რომ კარგავ, დროთა განმავლობაში ტკივილი ნელდება, მასთან ყოფნის ჩვევა გიქრება. მერე, წლებთან ერთად მონატრება მატულობს. ოჯახის წევრი რომ გაკლია, ეს საშინელებაა... სულ გენატრება და გენატრება. ალბათ ამიტომაც არის, რომ სიცოცხლის ბოლოს სწორედ მათ ეძახიან, მათ ხედავენ... ეს ყველაფერი მონატრებაა... მენატრებიან ბებია-ბაბუები. ბებია და ბაბუა ყველას უყვარს, მაგრამ მათ დიდი კვალი დატოვეს ჩემზე. 3 წლის ვიყავი, გიორგი ქუჩიშვილი, ბაბუა, მამის მხრიდან, რომ გარდაიცვალა. ბებია კარგად მახსოვს და ძალიან მიყვარდა. რამიშვილის ქალი იყო, ვასასი ერქვა.

**— ცნობილია, რომ თქვენი ბაბუა გალაქტიონთან მეგობრობდა.**

— რა საოცარიც არ უნდა იყოს, ასეა. ხშირ-



ად მიფიქრია, რა ჰქონდათ საერთო. ალბათ ის, რუსები რომ ამბობდნენ, Крайнности сходятся-ო. არ ვიცი... ერთხელ, ბებიას წაუკითხავს მათთვის ნოტაცია: დაანებეთ თავი სმას, ამის შემდეგ ჩემს ოჯახში წვეთს აღარ დაგალევინებთო. მეორე დღეს ისევ ერთად მისულან და გალაკტიონს მიუმართავს: ვასასი, დაგვისხი ას-ასიო. ბებიას უთქვამს, მაგ რითმაში გეკუთვნით, დაგისხამთო. ძალიან დიდი კვალი დატოვა ჩემზე მამიდამ — ციალა ჩხეიძემ. უკაცრავად, მე ჩემს წინაპრებს ვაქებ. კი არ ვაქებ, ჩემს სუბიექტურ დამოკიდებულებას გამოვხატავ. მამიდამ ლიტერატურა შემაყვარა. მას ბევრი რამ ჰქონდა ნათარგმნი — სალტიკოვ-შჩედრინი, დოსტოევსკი, თანამედროვე პროზას თარგმნიდა. კარგი მექართულე იყო. ამან სიტყვისადმი დამოკიდებულება გამიჩინა, დამაავადა და დღეს რომ მესმის არასწორი ქართული მეტყველება, ნერვები მეშლება.

**— ბატონო თემურ, ხელოვნებაზე არაფერს გკითხავთ, თქვენს სათქმელს შესანიშნავად გვაგებინებთ თქვენი სპექტაკლებით, მაგრამ საინტერესოა, კიდევ რა გიყვართ, თავისუფალ დროს როგორ განტვირთვებით?**

— ორი სფეროა ჩემი ჰობიც და საერთოდ, ყველაფერიც... ხელოვნება და სპორტი.

**— სპორტი?!**

— უსაშველოდ აზარტული ვარ. ამიტომ კატეგორიულად არაფერს ვთამაშობ. დავიღუპები, რომ ვთამაშობდე! ჩემი იმ ქუჩაზე გავლაც კი არ შეიძლება, სადაც ტოტალიზატორია. შიგ შესვლაზე ლაპარაკი ზედმეტია. ნარდი, კარტი... რას ამბობთ, ჩემთვის არ შეიძლება!

**— ფეხბურთის გულშემატკივარი იქნებით...**

— მთელი დღე ტანში მზრინავს, თუ საღამოს ჩვენებმა უნდა ითამაშონ. წაგების შემთხვევაში ერთი კვირა მოშხამული ვარ. ამიტომ სერიოზულ საქმეზე წინა დღეს უნდა ვილაპარაკო, მეორე დღეს ველარ მოვუსმენ... შინ სპორტულ არხებს და კარგ ფილმებს ვუყურებ ხოლმე. ეს არის ჩემი განტვირთვა. სხვათა შორის, ხანდახან, საქართველოს და რუსეთის არხებზე რომ ფილმებს წააწყდები, უცხოეთში ვერ ვნახულობ. იქ ათასში ერთხელ შეგხვდება კარგი ფილმი.

**— თქვენ თუ ხართ ისეთი მამა და ბაბუა, როგორი მშობლებიცა და ბებია-ბაბუებიც გყავდათ, აძლევთ იმდენს შვილებს, რამდენის მოცემაც მათ შეძლეს სულიერების სფეროში?**

— მაინც ვფიქრობ, რომ ისინი მეტს მაძლევდნენ, ვიდრე მე ვაძლევ ჩემს შვილებს, შვილიშვილებს. ამას ვერ ვიტყვი ნანიზე. ის უფრო ახერხებს...

**— რამდენი შვილიშვილი გყავთ?**

— ოთხი. ორი ჩემთან ცხოვრობს, ორი — ცალკე. ძალიან მინდა ათეული წლების შემდეგ მათაც ისე ვენატრებოდე, როგორც მე მენატრება ჩემი ბაბუები...

**— ძალიან მნიშვნელოვანია კარგი ადამიანების გარემოცვა, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს წიგნსაც... მოდით, გაიხსენეთ, როგორ პოულობდით საინტერესო წიგნებს. საბჭოთა პერიოდში ხომ ბევრი მათგანი აკრძალული იყო.**

— სახარება პირველად მე-5 თუ მე-6 კლასში წავიკითხე. ვკითხულობდი რუსულადაც, ქართულადაც. სახარებაზე მერე ხომ მთელი ცხოვრება ფიქრობ, რა იგულისხმება გინდა ძველ აღთქმაში, გინდა ახალში. მე რელიგიურად კი არ მზრდიდნენ, ეს ნებაყოფლობით ხდებოდა.

**— ამბობენ, მსგავსი წიგნები იდევნებოდაო.**

— იარაღით არ იდევნებოდა, მაგრამ... ხშირად უკითხავთ: როგორ, თქვენ ამას კითხულობდით, საბჭოთა პერიოდში იყო ამისი საშუალებაო? საბჭოთა პერიოდში რომ ლიტერატურა იბეჭდებოდა და შემოდიოდა, კითხვას ვერ ვასწრებდით. კრძალავდნენ ბერდიაევს, რობაქიძეს, მაგრამ ვშოულობდით და ვკითხულობდით. სოლჟენიცინი... პასტერნაკის „ექიმი ჟივაგო“ რუსეთში ჩვენს თანატოლებს თვალითაც არ ჰქონდათ ნანახი, როცა ჩვენ წაკითხული გვქონდა. ვახერხებდით...

**— საამაყოა ისიც, რომ საქართველოში იბეჭდებოდა ბევრი მწერალი, რომელსაც რუსეთში არასდიდებით არ დაბეჭდავდნენ.**

— პასტერნაკმა თავისი ვრცელი ავტობიოგრაფია აქ დაბეჭდა. ხუმრობდნენ — სიმონ ჩიქოვანმა გაიკვირვა, — როგორ გაიგეს მოსკოვში, პასტერნაკი რომ დავბეჭდეთ, ჩვენ ხომ ქართულად დავბეჭდეთო!

**— დაბოლოს, ბატონო თემურ, რა არის მთავარი ადამიანის ცხოვრებაში?**

— კაცობრიობას ხომ მთავარ კითხვაზე არ აქვს პასუხი — რა გვინდა საერთოდ ამ დედამიწაზე. არც უახლოეს მომავალში ექნება. სამყარო უსასრულოა... რას ნიშნავს უსასრულო... ბავშვობაში რომ ვწოლილვარ მინდორში, ცაში მიყურებია და მიფიქრია ღმერთზე... რანაირად არის სამყარო ასეთი ორგანიზებული? მიყვარს ასტრონომია. ერთი ზაფხული მახსოვს, აბასთუმანში გავატარე. ვცხოვრობდი ობსერვატორიის გვერდით, პატარა სასტუმროში. ღამით ვარსკვლავებს ვუყურებდით. ფანტასტიკურია სამყარო. ადამიანის გაჩენა არ არის ყველაზე დიდი საოცრება... ჩნდებიან და... მერე ყველა მიდის. რატომ? რისთვის მოვდივართ? ეგება, რაღაც ფუნქცია გვაქვს და ჩვენ არ ვიცით. რაღაცის გამო ხომ ჩნდება კაცი?! მე იმიტომ გავჩნდი, რომ სპექტაკლები დავდგა? — გამორიცხულია. მთავარი პასუხი არ ვიცით...

***ლელა ჯიყაშვილი***


გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:
- მედიაცია, ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- იპოთეკა,
- მემკვიდრეობა,
- ყიდვა-გაყიდვა,
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა.
- უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,
☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 912.

# უსიყვარულოდ...



ამ წერილის ავტორი, ლევანი, პროფესიით იურისტი, ამჟამად ამერიკის მოქალაქეა. წელს ორიოდე თვით ჩამოვიდა საქართველოში. ყველა ახლობელი მოინახულა...

ვერდავიწყებულმა გრძნობამ ლევანს სათქმელი ფურცელზე გადაატანინა და გამოგვიგზავნა: „ალბათ როცა ეს წერილი დაიბეჭდება, მე ამერიკაში ვიქნები. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შვებას ვიგრძნობ, როცა ჩემს აღსარებას ჩემს საყვარელ გაზეთში ვნახავ — მას ხომ ჩემამდე ჩემი უძვირფასესი ადამიანი, ანა, წაიკითხავს. მას ვერც თავის დროზე, ვერც ახლა, ამ ბოლო შეხვედრისას, ვერ ვუთხარი ყველაფერი, ალბათ იმიტომ, რომ უკვე ველარაფერს შევცვლი, მაგრამ რა ვუყო იმ გრძნობას, რომელიც ოდნავადაც არ გამნელებია? ჰოდა, იცოდეს, რომ ოკეანის გაღმა არის ადამიანი, მისი სტუდენტობის დროინდელი მეგობარი, ერთ დროს მის საქმროდ წოდებული, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს.

ჩემი ოჯახი შეძლებული იყო. დედისერთა ვიყავი და არაფერს მაკლებდნენ, თუმცა არც მანებივრებდნენ. სკოლის ამრევად ვითვლებოდი, უბანშიც „პატივს“ მცემდნენ, ქალების მუსუსიც გახლდით. როგორც კი ეს შემამჩნია მამაჩემმა — აქაურობას უნდა გაგარიდო, თორემ ხელიდან წახვალო და თელავში გადამიყვანა ნათესავთან. სკოლაც იქ დავამთავრე და პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. იქაურებს უკვირდათ, როგორ შეელიე თბილისსო. თავდაპირველად მართლაც ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მიუხედავად ჩემი თამამი საქციელისა, მამის დიდი რიდი მქონდა... სწავლას ბეჯითად შევუდექი, სექტემბერმა უცებ გაირბინა. 3 ოქტომბერს, ლექციაზე ვისხედით. უცებ გაიღო აუდიტორიის კარი, შემოვიდა ინსტიტუტის რექტორი, მას შემოჰყვნენ ვიღაც კაცი და ულამაზესი გოგონა. მამაკაცი იმ გოგონას მამა აღმოჩნდა. გოგონას ანა ერქვა. თურმე სამედიცინოზე სურდა სწავლა, მაგრამ მამამ არ მისცა თბილისში წასვლის უფლება და იძულებით ჩააბარებინა პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამიტომაც გააცდინა სექტემბერი. ლექტორმა ანა ჩემს უკან, თავისუფალ ადგილზე დასვა. ჩემმა მეგობარმა, მიშამ, ხელი გამკრა — ნახე, რა „მაგარი“ ჩიტი შემოფრინდაო. ძმაკაცს შევუბღვირე, მერე კი მზერა ანასკენ გავაპარე. მართლაც საოცრება იყო. ულამაზესი თვალები ჰქონდა, ხვეული შავი თმა მხრებზე ეფინა... ლექციის დამთავრებამდე მივხვდი, რომ უსაზღვროდ მიყვარდა და უიმისოდ ერთი დღეც ვერ გავძლებდი.

გადიოდა დღეები. ჩემს მეგობრებს უკვირდათ, თბილისელ ლამაზმანებთან შეთამამებული ბიჭი ამ თელაველ გოგოსთან ბრინჯივით რომ ვიბნეოდი და კრინტის დაძვრას ვერ ვახერხებდი, არადა მთელმა ინსტიტუტმა იცოდა ჩემი სიყვარულის ამბავი, ყველა „საეჭვო“ ბიჭი გაფრთხილებული მყავდა, — ანა ჩემი საცოლეა და ვაგლახად არაფერი შეჰკადროთ-მეთქი, ჩვენებმაც გაიგეს და ძალიან გაუხარდათ. ერთი სიტყვით, ყველამ ყველაფერი იცოდა... ანა კობიაშვილის გარდა. ბოლოს, სითამამისთვის ჩემმა მეგობრებმა სამი ჭიქა კონიაკი დამალევინეს და ანასთან გამგზავნეს. მეტი რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ანას წინ გადავუდექი — კონსპექტი მათხოვე-მეთქი. გაუკვირდა, მაგრამ მაინც მომაწოდა რვეული. აუდიტორიაში მარტო ჩვენ ორნი დავრჩით. გარეთ, კართან, კახა იდგა დარაჯად, როგორც იქნა, ამოვღერღე: — ანა, ნუთუ გგონია, რომ მართლა კონსპექტი მჭირდება... მე შენ უზომოდ მიყვარხარ, ეს ყველამ იცის, შენ გარდა (მან ტირილი დაიწყო)... ნუ ტირი, მე მინდა ბედნიერი იყო, ჩვენები მალე ჩამოვლენ და ნიშნობა გადავიხადოთ... უშენოდ არ შემიძლია-მეთქი. მივხვდი, რომ ამ გულითადმა სიტყვებმა გაჭრა. ჩუმად მისმენდა, მერე კი საოცრება მოხდა — ცოლობაზე დამთანხმდა. ანა რომ წავიდა, გულში სიხარული არ დამეტია, ამხელა კაცი მერხზე დამხობილი ვტიროდი. მეგობრებმა ძლივს დამაწყნარეს. იქვე გადავწყვიტეთ, რომ კახა იქნებოდა ჩემი მეჯვარე... პარასკევს, საღამოს, გაფითრებული კახა მოვიდა ჩემთან — სასიმამრო გელოდება ერეკლეს მოედანთანო. გაბედულად მივედი. მანქანაში ჩამსვა. შევატყვე, მთვრალი იყო (მისი სიმთვრალისა და უხიაკობის ამბავი მთელმა თელავმა იცოდა). არც აცია, არც აცხელა და შემომიტია: — ხვალვე აიბარგები აქედან. შენი ლანდი აღარ ვნახო თელავში, თორემ ჭიაყელასავით გაგსრეს. ჩემი გოგოსთვის ძმაკაცის შვილი მყავს შერჩეული და ქორწილიც დანიშნულია, შენ ვინ ხარ, ვის დაკარგვიხარ, რომ გეგმა ჩამიშალოო. დავუწყე მშვიდად ახსნა, — ანა მიყვარს და ისიც თანახმაა, ცოლად გამომყვეს. ასეთ შემთხვევაში საქმეში უფროსები არ უნდა ერეოდნენ-მეთქი, მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდოდა. თვითონვე წამოროშა, — ანა შემეწინააღმდეგა და ისე ვცემე, გონება დაკარგაო. მერე მითხრა: ახლა წადი, იქნებ გამიაროს სიბრაზემ და მერე ვნახოთ, რა ჭკუაზე დავდგებიო. მე და კახა ცოცხალ-მკვდრები გამოვბრუნდით და ანას ბიძაშვილს, ვასიკოს, დავურეკე. მან კი ისეთი რამ მითხრა, კინაღამ გული გამისკდა: მამამისს ისე უცემია ანა, რომ ცხვირი აქვს გატეხილი. სისხლი ვერ შეუჩერეს და თბილისში გააქციესო. იმავე დღეს გამოვიტანე საბუთები ინსტიტუტიდან და თბილისს მივაშურე. ანა თელავში აღარ მეგულებოდა და რა ჯანდაბა მინდოდა იქ? ჩემს მშობლებს ჩემს ჩასვლამდე გაეგოთ ყველაფერი. მამაჩემი ანას ოპერაციასაც დაესწრო თურმე (ძია ვახტანგი, „წოპე“, მისი ძმაკაცი იყო). მეც ცოტა მოგვიანებით მივედი და ვინახულე. გული მომიკვდა. ჩემი გულისთვის რამხელა ტკივილი გადაუტანია... სახე ჩალურჯებული ჰქონდა, თმა შეეჭრა. როცა გაიგო, რომ თელავიდან წამოვედი, კინაღამ გაგიჟდა — მშიშარა ხარ, ლაჩარი, რატომ გამოიქეცი, მამაჩემის როგორ შეგეშინდა. მე მას ყველაფერი ვუთხარი, უკან არ დავიხიე, შენ კი კურდღელი ყოფილხარო და გულწასული ჩაესვენა ექთანს მკლავებში. გიჟივით გამოვვარდი გარეთ. მეგობრები მანუგეშებდნენ, მშობლებიც. ბოლოს, მამაჩემი გაბრაზდა: იმ კახელის შესახვეწი რა გჭირსო...

მე მართლაც არ შემეძლო ანას გარეშე სიცოცხლე, ის კი ახლოს არ მიკარებდა...

ცოტა ხნის შემდეგ მშობლებმა ამერიკაში გამგზავნეს სასწავლებლად. წავედი და თან იმედი გავიყოლე — დრო და მანძილი ანას წყენას გაუნელებს და საქართველოში დაბრუნებულს შემირიგდება-მეთქი... დღედაღამ ყველგან ანა მედგა თვალწინ. კარგა ხნის შემდეგ გავიგე, რომ ანას მამა მოკვდომოდა, ოჯახის ტვირთი მას დასწოლოდა მხრებზე. თურმე ახლობლები გაუფრთხილებია — ვისაც ჩემთან მეგობრობა სურს, ლევანის სახელი არ მიხსენოსო.

დრო გადიოდა. გამიტკბა „კარგი“ ცხოვრება. ვილხენდი, არც ქალები მაკლდა, თუმცა ანას დარდი და ნატვრა არ მშორდებოდა.

ერთხელ, საქართველოდან ჩამოსულმა ქალბატონმა „გამომიჭირა“ (ამ სიტყვას ნუ შემიცვლით, რადგან ზუსტად შეესაბამება მის საქციელს) — შენგან ფეხმძიმედ ვარ და თავს არ ვიცოცხლებ, რომ მიმატოვოო... ჩემი ჭკუით, „ვივაჟკაცე“ და ცოლად მოვიყვანე, მაგრამ ბავშვის გაჩენის შემდეგ აღარ ვაპირებდი მასთან დარჩენას. რა თქმა უნდა, დახმარებას არ მოვაკლებდი, მაგრამ როგორ უნდა მეცხოვრა იმ ქალთან, რომელიც არ მიყვარდა? ეს მას ვუთხარი კიდეც, თითქოს დამეთანხმა, მაგრამ... ფაქტი სახეზეა, ახლაც ერთად ვართ, მაგრამ ჰქვია კი ამას ერთად ყოფნა? დღეს ორი შვილის მამა ვარ. გოგონას ჩემი დაკარგული ანას სახელი დავარქვი. წელს მშობლები გარდამეცვალნენ — ჯერ მამა, მერე დედა. ჩამოვედი თბილისში. ანას სახელზე ნაყიდი ნივთები და სამკაულები დედაჩემს სათუთად შეენახა. ისინი გაჭირვებულ ახლობლებს ჩამოვურიგე. მერე ღვინომოკიდებული დავჯექი ჩემი ბიძაშვილის მანქანის საჭესთან... რამდენიმე საათში თელავში ვიყავი. ახლაც მიკვირს, ისეთმა მთვრალმა როგორ ჩავაღწიე თელავამდე. ნათესავები, მეგობრები — სიხარულით შემეგებნენ. სტუდენტობის მეგობარს ვთხოვე, ანასთან მიმყოლოდა. მითხრა, ანა თელავში აღარ ცხოვრობს. მამამისს ვიღაცის ვალი დასდებოდა, იმას „შავები“ მიუსევია, ოჯახი ერთიანად აუწიოკებიათ... ახლა ანა, დედამისი და უმცროსი ძმა, ბექა, მეზობელ სოფელში, პაპისეულ სახლში ცხოვრობენო.

...ანას სახლთან რომ მივედით, შორიახლოს გავჩერდით. მანქანას მუქი შუშები ჰქონდა, ჩამოწევას ვერ ვბედავდი, ისე მეშინოდა მასთან შეხვედრის. შინ არ აღმოჩნდა. კახამ მობილურზე დაურეკა. გაუხარდა მისი ხმის გაგონება. მაღაზიაში ვარო. კახამ — აბა, თუ იცნობ, ვინ დაგელაპარაკება ახლაო და ტელეფონი შემომაჩეჩა. მისი ხმა რომ გავიგონე, რეტი დამესხა. მერე როგორღაც მოვახერხე და ვკითხე, — ანა, როგორ ხარ-მეთქი და — ენაც წამერთვა. მაშინვე მიცნო — რატომ ხმას არ იღებ, შენი ამბები მითხარიო. ბოლოს, ისევ კახამ იმარჯვა: შენს სახლთან გიცდითო... მალე გზაზეც გამოჩნდა... მოდიოდა ისევ ისეთი მშვენიერი, ოდნავ მოსუქებულიყო, სახე ნაღვლიანი ჰქონდა. მომეჩვენა, რომ ჩემს დანახვაზე თვალები მოუწყლიანდა, მაგრამ მაინც მხიარულად შეგვხვდა. ასეთი ბედნიერი დიდი ხანია არ ვყოფილვარ.

...ფულიც მაქვს, პროფესიაც, ვცხოვრობ ბევრი ქართველისთვის საოცნებო ამერიკაში, მაგრამ რა? ყველაზე მთავარი მაკლია. გულით მინდა, ანამ იპოვოს თავისი შესაფერისი ადამიანი, კაცი, რომელიც მას დააფასებს და შეიყვარებს...

ნეტავ, რას იტყვის ჩემი ანა? იქნებ მანაც გადაგიშალოთ გული“...

***მარინა ბაბუნაშვილი***

## გამოხმაურება

# მითხარით, ვტყუი?



*რძალისა და დედამთილის ურთიერთობის თემამ ბევრს თავისი პრობლემა გაახსენა. დედამთილებიც გამოგვეხმაურნენ, რძლებიც. ვბეჭდავთ რამდენიმე გამოხმაურებას მცირედი შემოკლებით,*

— მსგავსი ამბავი ჩემს ოჯახშიც დატრიალდა. ჩემმა რძალმაც დატოვა ოჯახი, თანაც „ჭინჭებისადმი“ უზომო სიყვარულის გამო. ჯერ კიდევ ქორწილი გადახდილი არ გვქონდა, ჩემს შვილს სიდედრმა უბრძანა, კომუნისტურ პარტიაში უნდა შეხვიდე, თორემ არ დაგაწინაურებენო... როცა ჩემმა რძალმა ბავშვი გააჩინა, მანაც ისევე „გააჭენა“, როგორც დედამისმა. ოთხი წლის მანძილზე არც მას, არც დედამისს, არ დაელიათ პრეტენზიები ჩვენ მიმართ. ერთხელ, იმაზე აგვიშარდნენ: ორი წელია „ასეთ“ ადგილზე მუშაობს და მანქანა ვერ იყიდა, მაგისგან კარგს რას უნდა ველოდოთო. კვირა არ გავიდოდა, რომ კონფლიქტური სიტუაცია არ შექმნილიყო რძლის უთავბოლო მოთხოვნების გამო. ჩემი შვილი არ ეპუებოდა მათ, ბოლო ხანს, აღარც სურდა მათთან ურთიერთობა. ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ რძალი, ბავშვთან ერთად, შინიდან გაიპარა. სამკაული, საჭირო ნივთები და ტანსაცმელი ნელ-ნელა ჩუმად გაზიდა, ბოლოს კი სიმამრმა მილიციელები დაგვაყენა თავს ავეჯის წასაღებად... ვიმედოვნებდით, ბავშვი არ დაგვივიწყებდა (მას ხომ ძალიან ვუყვარდი!), მაგრამ... მან დიდობაშიც აღარ ისურვა ჩვენთან ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ხშირად ვაკითხავდით. რძლის ოჯახი ხმას გვივრცელებდა — ბავშვის ამბავს არც კითხულობენო(!).

ვფიქრობდით, გაიზრდება ბიჭი და მოვა მამასთან და ბებია-ბაბუასთანო, მას კი მაშინ გავახსენდით, როცა სახლმმართველობიდან ცნობა დასჭირდა და უთხრეს, ამოწერილი ხარო. გამწარდნენ თურმე... ვერ გამიგია: შვილს მამა არ უნდა და მისი ბინის ხელში ჩაგდების სურვილი კი აქვს. ჯერ მამას ანახოს სითბო და სიყვარული და მერე ვნახოთ, რასაც გადავწყვეტთ. სულაც მისთვის გვინდოდა ყველაფერი, მაგრამ... იმათ მიაჩნიათ, რომ „ძვირფასი“ ბიჭი აღზარდეს. შვილიშვილზე ყველაფერი ვიცით. ვიცით, რომ კარგად სწავლობდა და როგორც წარჩინებული, საზღვარგარეთ გაგზავნეს... მაგრამ ბავშვის „სიკარგე“ კარგი სწავლით არ ამოიწურება. მთავარი სულიერებაა. ბავშვს თუ მშობელი არ უყვარს, მის კეთილშობილებაზე ზედმეტია ლაპარაკი. ბოლოს და ბოლოს, სწავლის სურვილი და სიყვარულიც გენეტიკურად მიიღო ჩემი შვილისაგან, თორემ ისინი რა „წიგნიერებიც“ არიან ან რა სულიერი ღირებულებებიც გააჩნიათ, ყველამ იცის.

იმედს ვიტოვებ, რომ სისხლი ოდესმე თავისას იზამს და ჩვენი ბიჭიც მიხვდება: არ შეიძლება ორ ოჯახს შორის ერთი მხარე იყოს ყველაფერში მართალი, მეორე კი მტყუანი. ისიც მჯერა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას იპოვის.

***ერთგული მკითხველი***

— რძალს შეუძლია დიდი სიხარულიც მოუტანოს ქმარს და მისიანებს, მაგრამ შეუძლია თავბედიც აწყევლინოს ყველას... ჩემმა შვილმა ძალიან განიცადა ოჯახის დაშლა, მაგრამ სხვა გზა აღარ რჩებოდა, იმ ქალთან ცხოვრება წარმოუდგენელი იყო. ჩემი აზრით, როგორც კი ურთიერთობაში პირველი ბზარი გაჩნდება, იწილო-ბიწილოს მაშინვე სჯობს გადაჭრით თქმა: ან ასე, ან ისე!

სალი ურთიერთობა ნიჭიერი ადამიანის თანამდევია, ამ ნიჭით კი სამწუხაროდ, ბევრი ვერ დაიტრაბახებს.

***ნათელა, თბილისი***

— მსურს ჩემი შეხედულება გავუზიარო ახალგაზრდებს, რომლებიც ოჯახის შექმნას აპირებენ.

თუ მთლად „სასწაული“ „ვინმე“ არ დაგხვდათ ავი დედამთილის სახით, მოთმინება თქვენ, ოჯახში შესულ რძალს უფრო გმართებთ, ვიდრე დამხვდურს. ნათქვამია, სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო. დიახაც! თუ მთლად „საშინელი ქუდი“ არაა, მიმსვლელმა უნდა როგორმე „მოირგოს“. პირადად მე, კარგა ხანია მორგებული მაქვს რძლის „ქუდი“ და სიამტკბილობა მაქვს ოჯახში. რა თქმა უნდა, პატივისცემა და სიყვარული ორმხრივია, ცალმხრივი არაფერი არსებობს...

***ნათია***

# ბორია წიფურიას დანახვაზე ვეცემი...

***მეზობელი მყავს ერთი, ბებია ლიზი, საუცხოო პიროვნებაა. საუცხოო იუმორი აქვს, ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვის, რომ მუცელზე ხელმიჭერილები ვხარხარებთ. ამას წინათ მითხრა, — ბებო, ამ ბოლო დროს დაბღვერილი დადიხარ, გახსენი წარბი, ეგება შენზეც დაეცნენ ბიჭებიო. თქვენც ჟარგონებით ლაპარაკობთ, ბებია ლიზი-მეთქი, გამეცინა. აბა, ამ მართლა დალეწილ-დამტვრეული, მობლატავე ბიჭების გადამკიდე, რას ვიზამო, — ჩაიქნია ხელი და ისე ოსტატურად გააბოლა მეზობელი ნიკუშას ნაჩუქარი „ქემელი“, რომ კინაღამ მართლა დავეცი. მერე გულში ჩამრჩა სიტყვა „დავეცი“ და ძალიან დამაინტერესა, რაზე „ეცემიან“ ჩვენი ბიჭები და, საერთოდ, კაცები.***

**თენგო (48 წლის):** — ამას წინათ მე და ჩემი სამი ძმაკაცი ქუჩაში რაღაცაზე ვკამათობდით მანქანას მიყრდნობილები და თანაც ვიგინებოდით. უცებ გავიხედე და, ზემოდან გოგო მოდის — „ქალი კი არა, ქალღმერთი“ და მოაქვს ქუჩა, ყველა თავი მისკენ ტრიალდება. მან კი არხეინად ჩაგვიარა, დაგვაშტერა ყველა. დავეცით კი არა, ხმას ვერ ვიღებდით. ის იყო, დავიქოქეთ და ისევ ავყაყანდით, რომ გამოჩნდა წითელი იაგუარი. ის ლამაზი გოგო მეტყვის — წადი, შე ბებერო ღიპაო, იაგუარი კიდევ ვერაფერსაც ვერ მეტყვის. ძაან მაგარი მანქანა იყო. დავეცი...

**ლუკა (32 წლის):** — მაგარ ქალზე ვეცემი. კი არ ვეცემი, ვხოხავ, რა. ამას წინათ ინგლისელი პარტნიორი ჩამოგვივიდა. ღამის ბარში წავედით. საწყალი ვილი დაშტერდა. აღარც სმა ახსოვდა, აღარც ჭამა (პირველად იყო საქართველოში) — რა ქალები გყავთ, ჰოლივუდში მგონია თავიო. ჩვენ კი შევიფერეთ, მაგრამ ძაან არ გაგვიგიჟებია თავი. შეგვატყო ეს და გვითხრა. თქვენ, ეტყობა, თვალი გაქვთ შეჩვეული და ვერ ამჩნევთ, რამდენი მზეთუნახავი გყავთო. ამის თქმა იყო და გაიღო კარი, გოგო შემოვიდა, მართლა დაცემა! მაღალი, ლამაზი, არც კი ვიცი, როგორ აღვწერო. ბიჭთან ერთად იყო. ვილის ფერი აღარ ჰქონდა, ხარივით სვამდა ვისკის. მერე აიხირა, — იმ გოგოსთან უნდა ვიცეკვოო. ძლივს შევაგნებინეთ, რომ საქართველოში ეს ცუდი ტონი იყო. რომ იმ გოგოს თანმხლები ბიჭი, ვინც არ უნდა ყოფილიყო მისი, ქალის საცეკვაოდ გაწვევას არ მოუწონებდა არავის. ვილის ვაწყნარებდით. არადა ჩვენც როგორ გვსურდა იგივე?..

**ლაშა (28 წლის):** — საქორწინო მოგზაურობაში წავედით აშშ-ში მე და ჩემი მეუღლე. დავდიოდით მაღაზიებში და მუზეუმებივით ვათვალიერებდით. საერთოდ, ტექნიკურ აპარატურაზე ტვინი მეკეტება, რომ მითხრა, ერთ-ერთი აირჩიე: ყველაზე სასურველ ცნობილ ლამაზმანთან დაწოლა ერთი ღამით, მაგარი კომპიუტერი ან მობილური ტელეფონი, ან ბოლო მარკის სუპერტელევიზორიო, უყოყმანოდ ავირჩევ უკანასკნელებს. ჰოდა, შევედით ერთ სუპერმარკეტში და პირდაღებული ისე გავერთე ტექნიკის უმაღლესი მიღწევების თვალიერებით, რომ სულ დამავიწყდა, სად, რატომ და ვისთან ერთად ვიყავი. სხვათა შორის, ჩემი ცოლიც ასე გათიშულა რაღაცების თვალიერებით და გონს მოსულს ჩემი ძებნა დაუწყია, მე კი ყველაფერი რომ ვნახე, ოცნებაში წასულმა ჯიბეებში ხელი ჩავიყავი, სტვენა-სტვენით, კმაყოფილი იდიოტის ღიმილით გამოვუყევი გზას და უცებ დამარტყა თავში, რომ ცოლი დამავიწყდა.

**თემო (41 წლის):** — კაი ქეიფზე ვეცემი, რა. მწვადი, სოკო, კალმახი, კაი საფერავი და ლოთი ძმაკაცები. ქალებზე რას ვფიქრობ? რაც არ უნდა ვიფიქრო, ეგენი მაინც არ იკლავენ ჩემთვის თავს. ამას წინათ მატარებლით ვიმგზავრე თბილისიდან ბათუმამდე. ორი ანგელოზი იჯდა ჩემ წინ, დახატული გოგოები. ვოხრავდი, ვკვნესოდი, ქათინაურებს ვეუბნებოდი, მაგრამ ზედაც არ მიყურებდნენ. ზესტაფონში ერთ კაცს ფული ვაჩუქე და ადგილი გავუცვალე. მიზეზი რომ ვუთხარი, სიცილი აუტყდა. შენ გაიხარე, თვალს გავახარებო, ქალი არა, დოზანა! კაი პურ-მარილს რა სჯობს.



**გურამი (34 წლის):** — კაი ფეხბურთს თუ ვუყურებ, არც ქალი მახსოვს მაშინ, არც მანქანა და არაფერი. კიდევ ბორია წიფურიას დანახვაზე ვეცემი. მომკალით, რაც გინდათ, ის მიქენით, მაგრამ ამ კაცის დანახვაზე ისტერიული სიცილი მივარდება და სულ ის ფილმი მახსენდება, სადაც საოხრეს მოჭრას უპირებდნენ ქალები. აი, ეგეთი ამბავი რომ ნაღდად გავიგო? დავეცემი კი არა, ამოვტრიალდები. ჭინჭრით როგორ დასუსხეს საწყალი ბორია. ისე ქართულ ფილმებზეც ვეცემი... ბევრი ძალიან მაგარი ფილმი გვაქვს.

***ეკა ლომიძე***




**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. არსენალი; 2. მერია; 3. მია; 4. ნალი; 5. ანუი; 6. ალისა; 7. ბარონი; 8. სილა; 9. პაპირუსი; 10. აბრა; 11. პასი; 12. „მი“; 13. უმი; 14. იუმი; 15. ტრიუმი; 16. რადიანი; 17. კოლხი; 18. სანტანა; 19. ნასა; 20. ტარიფი; 21. კალასი; 22. კაა; 23. მაი; 24. ტაო; 25. ვალუა; 26. მაინი; 27. ვანი; 28. ალღუმი; 29. უილიამსი; 30. ვატერპასი; 31. შუ; 32. მისანი; 33. ბისაუ; 34. ცურვა; 35. ლიეპა; 36. ფირი; 37. ალჩუ; 38. რეტორტა; 39. ომი; 40. ლუპა; 41. ტურა; 42. ტიტა; 43. ურიკა; 44. რე; 45. ტირანა; 46. ნაილონი; 47. ნეი; 48. სინდიყი; 49. საკე; 50. სიო; 51. პრერიები; 52. პაი; 53. ლეი; 54. ოზონი; 55. „ალი“; 56. ანძა; 57. ხორცი; 58. ბათა; 59. პიტნა; 60. სია; 61. სინი; 62. მოლითი; 63. ვარდნა; 64. ბიზე; 65. უთავო; 66. პი; 67. მაორი; 68. არია; 69. იორი; 70. „ცოდნა“.

1. მაკულატურა; 2. ნუღარ მკოცნით; 3. ვახშამი ბერლუსკონისთან; 4. ძნელი არჩევანი; 5. ცოდნის მოყვარული.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

# „იქნებ თქვენ გეძებენ!“

*ჩვენო ერთგულო მკითხველო, თქვენი გაზეთი რუსეთის ტელეკომპანია „ვიდ“-თან ერთად გთავაზობთ ახალ რუბრიკას „იქნებ თქვენ გეძებენ!“, რომლის საშუალებითაც შეძლებთ მოიძიოთ დაკარგული ნათესავები ან აღადგინოთ კონტაქტები ძველ მეგობრებთან და ნაცნობებთან საქართველოსა და მთელი ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე (მის საზღვრებს გარეთაც). ჩვენ ვიწყებთ იმ განცხადებების გამოქვეყნებას, რომლებშიც დსთ-ის ქვეყნების მოქალაქეები ნათესავებს და მეგობრებს საქართველოში ეძებენ. ეს განცხადებები რუსულმა გამოცემამ, „ჟდი მენია“-მ მოგვაწოდა. მათი სტილი და მონაცემების „სიზუსტე“ (ზოგჯერ შეცდომითაც) დაცულია. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მათ და იქნებ საძიებელ ადამიანში საკუთარი თავი, მეზობელი ან ნაცნობი ამოიცნოთ. თუ რაიმე ინფორმაცია გაგაჩნიათ საძიებელ ადამიანებზე, გთხოვთ მოგვწეროთ, წერილები კი „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში მოათავსოთ (ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36). ჩვენ დაგეხმარებით დაკარგული კავშირების აღდგენასა და გამყარებაში (კონვერტებზე აუცილებლად მიუთითეთ რუბრიკის სახელი).*

*ასევე შეგიძლიათ გამოაქვეყნოთ თქვენი განცხადება ვინმეს ძებნის შესახებ. ამისთვის შეავსეთ ქვემოთ მოცემული ქვითარი, დაურთეთ მას საძიებელი ადამიანის შესახებ არსებული, თქვენი აზრით, ძიებისთვის საჭირო ინფორმაცია (არა უმეტეს ერთი გვერდისა), ჩადეთ კონვერტში და ჩააგდეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთში. კონვერტზე აუცილებლად მიუთითეთ რუბრიკის დასახელება „იქნებ თქვენ გეძებენ“. განცხადებები საქართველოს ტერიტორიაზე ძებნის შესახებ გამოქვეყნდება „კვირის პალიტრაში“, ხოლო ის განცხადებები, რომლებიც შეეხება საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ ადამიანებს, გამოქვეყნდება რუსეთში გამომავალ სპეციალურ გაზეთში „Жди меня“ (გთხოვთ, განცხადება საქართველოს საზღვრებს გარეთ საძიებელი ადამიანის შესახებ შეადგინოთ რუსულ ენაზე).*

***ყურადღება:*** *თუ საძიებელ განცხადებას არ ახლავს „კვირის პალიტრის“ ქვითარი, ან მასზე არ იქნება მითითებული მძებნელის მისამართი და ტელეფონის ნომერი, განცხადება არ გამოქვეყნდება.*




**იძებნება:** **თიკანაძე ილია.**
დაბადებული 1967 წელს, ქ. ბათუმში.
**ეძებს:** **კამენდროვსკი ვასილი ვიქტორის ძე**
**ისტორია:** „ერთად ვმსახურობდით ჯარში, ტიუმენის ოლქის სოფელ კომსომოლსკოეში, ПВО-ში. ილია ელექტრიკოსი იყო. მან ბათუმში დაამთავრა საზღვაო სასწავლებელი, ელექტრიკოსის სპეციალობით. ამის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა გემზე.“

**იძებნება:** **მელქაძე ნატო ალექსანდრეს ასული**
დაბადებული 1972 წელს.
უკანასკნელი ცნობილი მისამართი: 384964, სოხუმი, აგუძერას №96. ბინა 52.
**ეძებს:** **ანდრიენკო მარინა სერგეის ასული**
**ისტორია:** „ვეძებ ბავშვობის მეგობარს. 1992 წლამდე ვცხოვრობდით აფხაზეთში. შემდეგ, ომის გამო გადავსახლდი მოსკოვში. ჩემი ინფორმაციით, ნატო სადღაც სამტრედიის რაიონში უნდა წასულიყო, სადაც ნათესავები ჰყავდა. მას შემდეგ ჩვენი კავშირი შეწყდა. სამწუხაროდ, მისი ნათესავების მისამართი არ ვიცი. თქვენი მადლობელი ვიქნები, თუ ნატოს მაპოვნინებთ.“

**იძებნება:** **ბულია ჯონი შალვას ძე**
**ეძებს:** **შაბალინა ეკატერინე ვლადიმირის ასული**
**ისტორია:** „ვეძებ ბაბუას მამის მხრიდან. მამის მშობლები გაშორების შემდეგ რამდენიმე წელი არ წყვეტდნენ ურთიერთობას, მაგრამ მერე ყველაფერი დასრულდა.“

**იძებნება:** **შრაიბერი პაშა ვლადიმირის ასული**
დაბადებული 1928 წელს.
**ეძებს:** **სოლოვიოვა (ხოვრიკოვა) ვალენტინა ივანეს ასული**
**ისტორია:** „მინდა შევხვდე მეგობარს. რომელსაც 1947 წელს დავშორდი. პაშა ქუთაისში გათხოვდა. უკანასკნელად შევხვდით 1952 წელს, როდესაც ტყუპ ვაჟთან ერთად გვესტუმრა.“

**იძებნება:** **ცინაძე ნატალია გელას ასული**
დაბადებული 1978 წელს, თბილისში.
უკანასკნელი ცნობილი მისამართი: 380063, თბილისი, ვარკეთილი, მე-2 მიკრორაიონი, კორპ. №6. ბინა 44.
**ეძებს:** **შერბაკოვა ანა ვლდიმირის ასული**
**ისტორია:** „1982-90 წლებში ვცხოვრობდი თბილისში. ნატო ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. 1990 წელს ოჯახთან ერთად ხაბაროვსკში გადავსახლდი. მიმოწერას 1994 წლამდე ვაწარმოებდით, მას შემდეგ ნატოზე არაფერი გამიგია. ვიცი, რომ მისი მშობლები გერმანიაში აპირებდნენ წასვლას.“

**იძებნება:** **ოგიშვილი ლეო (ლევან ან Лев) ალექსანდრეს ძე**
დაბადებული 1943 წელს.
**ეძებს:** **ბურმისტროვა (ოგიშვილი) ნათელა ლევანის ასული**
**ისტორია:** „ვეძებ მამას. 1977 წელს ჩემი მშობლები გაიყარნენ. მამა საცხოვრებლად საქართველოში, თბილისში გადავიდა. მას შემდეგ მასზე არაფერი ვიცი.“

**იძებნება:** **ილურიძე ჟუჟუნა ნიკოლოზის ასული**
დაბადებული 1943 წელს.
**ეძებს:** **ცგოევა (ილურიძე) ქსენია ნიკოლოზის ასული**
**ისტორია:** „1943 წელს ოჯახი დაიშალა. სამი გოგონა და ბიჭი ბედმა ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გაამწესა. დეიდამ ჟუჟუნა საქართველოში, თბილისში წაიყვანა. სიკვდილის წინ დეიდამ აღიარა, რომ ჟუჟუნა უცხო ქალზე გააშვილა ქალაქ ცხაკაიაში.“

**იძებნება:** **მოსეშვილი რუსლან ნოდარის ძე**
დაბადებული 1982 წელს.
**ეძებს:** **მელნიკოვა ტატიანა ანატოლის ასული**
**ისტორია:** „ვეძებ შვილს, რომელიც მამამ 1996 წელს საქართველოში წაიყვანა. შესაძლებელია ცხოვრობდეს ლაგოდეხის რაიონში, სოფელ თამარიანში, ან ბებიასთან, ცისკარა მოსეშვილთან — სოფელ ცოდნისკარში.“

**იძებნება:** **წყალობაშვილი (კრივორუჩკო) ტატიანა იურის ასული**
დაბადებული 1971 წელს.
**ეძებს:** **კრივორუჩკო სერგეი იურის ძე**
**ისტორია:** „ვეძებ დას, რომელიც 1993 წელს ქმართან, რამაზ ომარის ძე წყალობაშვილთან და შვილთან (გოგონა) ერთად საქართველოში წავიდა საცხოვრებლად.“

**იძებნება:** **ჩერნენკო ვალენტინა სტეპანეს ასული**
დაბადებული 1943 წელს.
უკანასკნელი ცნობილი მისამართი: საქართველო, სოფ. ბოგდანოვკა.
**ეძებს:** **დობოვსკაია ლიუბოვ ვიქტორის ასული**
**ისტორია:** „ვეძებ მეგობარს, რომელიც 1991 წლამდე მუშაობდა სოფელ ბოგდანოვკის საფოსტო განყოფილებაში. ვალენტინა ხშირად ურეკავდა ჩემს მშობლებს. 1991 წელს დედაჩემი გარდაიცვალა, მამამ სხვა ქალი შეირთო და სახლი გაყიდა. ვალენტინას ქმარს მიხეილი ჰქვია.“

## „იქნებ თქვენ გეძებენ!“

**ვის ეძებთ** ______________________
გვარი
______________________ ______
სახელი, მამის სახელი ასაკი
______________________
ძებნის სავარაუდო ადგილი
______________________
______________________
ძებნის ისტორია (მოკლედ)
______________________

**ვინ ეძებს** ______________________
გვარი
______________________ ______
სახელი, მამის სახელი ასაკი
______________________
ტელეფონი
______________________
მისამართი
______________________

CMYK

# მედიცინა

მენდად 1 ს/კ კიტრის თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ ქაფქაფა მდუღარე. 30 წუთით გააჩერეთ თავდახურული წყლის ორთქლზე, გაწურეთ და სვით დღის განმავლობაში.

**სმენის გასაუმჯობესებლად** ყოველდღე მიირთვით 1/4 ლიმონი ქერქიანად.

**ქრონიკული თავის ტკივილის**

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**რამდენჯერმე ვიმკურნალე საკვერცხეების ანთებაზე, მაგრამ უშედეგოდ. უკანასკნელი გამოკვლევისას კი დამიდგინეს ქლამიდიოზი. ძალიან შევშინდი, რადგან მსმენია, რომ ეს დაავადება თითქმის არ ემორჩილება მკურნალობას. რამდენად საშიშია იგი?**

***ერთგული მკითხველი***

მწვავე ანთების სახით გამოვლენილი თუ ქრონიკულად მიმდინარე ქლამიდიური ინფექცია აუცილებლად საჭიროებს ორივე სქესობრივი პარტნიორის მკურნალობას. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ქლამიდიები ყოველთვის დროულად ვერ დიაგნოსტირდება, რადგან ამისთვის ძვირად ღირებული მეთოდების გამოყენებაა საჭირო. შედეგად კი, ანთებითი პროცესი მწვავდება და რთულდება.

ქლამიდიები ქალებში აზიანებს გენიტალიური ტრაქტის ყველა ნაწილს — საშოს ყელიდან დაწყებული და საშვილოსნოს მილებით დამთავრებული. სწორედ ამითაა საშიში დაავადება. ხშირად დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს: ქლამიდიები კი, ამ დროს იწვევს მძიმე, ზოგჯერ შეუქცევად ცვლილებებს საშვილოსნოს მილების კედლებში. ვითარდება შეხორცებები, რაც მყარი უნაყოფობის მიზეზი ხდება ხოლმე.

ქლამიდიური ინფექციის სამკურნალოდ ამჟამად გამოიყენება სამი ძირითადი ჯგუფის ანტიბიოტიკები: ტეტრაციკლინები (უპირატესად დოქსიციკლონი), მაკროლოდები და ფტორქინოლონები. მკურნალობის სქემაში აგრეთვე ჩართული უნდა იყოს იმუნომოდულატორები, სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატი და ვიტამინები. იმის მიხედვით, თუ რა სიმძიმისა და ხანგრძლივობისაა ანთებითი პროცესი კონკრეტულად თქვენ შემთხვევაში და თუ რა მკურნალობა გაქვთ ჩატარებული დღემდე, ექიმი შეგირჩევთ პრეპარატებს, მათ დოზებსა და მიღების ხანგრძლივობას.

**რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ 5 წლის ბავშვს დიდი ხნის განმავლობაში აქვს გადიდებული ლიმფური ჯირკვლები? აუცილებელია თუ არა მისი ექიმთან მიყვანა?**

***მაკა გულუა, თბილისი***

ლიმფური კვანძების გადიდებას შეიძლება ჰქონდეს ლოკალური ხასიათი (როდესაც ზიანდება ლიმფური კვანძების მხოლოდ გარკვეული ჯგუფი, მაგალითად, ყბისქვეშა ან საზარდულის არეში), ანდა იყოს მრავლობითი, ზოგადი ხასიათის (ასეთ მოვლენას პოლიადენოპათია ეწოდება). სხვადასხვა ასაკში მას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს.

ლიმფური კვანძების სტრუქტურა საბოლოოდ ფორმირდება 8 წლის ასაკში — ამ დროისათვის იწყებენ ისინი ბარიერული ფუნქციის შესრულებას. აღნიშნულ ასაკში ლიმფური კვანძების ხანგრძლივი გადიდებისას საჭიროა უპირველეს ყოვლისა გამოირიცხოს ტუბერკულოზური ინფექცია, განსაკუთრებით მაშინ, თუ კვანძები მკვრივი და მრავლობითია. უფრო მცირე ასაკის ბავშვებში კი, ლიმფური კვანძების გადიდება, შეიძლება დაკავშირებული იყოს ცხვირ-ხახის პათოლოგიასთან, ადენოიდებთან, განმეორებით ანგინებთან, ყურების ანთებით პროცესებთან, ვირუსული ინფექციის შედეგებთან. ამ შემთხვევაში ანთება უხშირესად ვითარდება ყბისქვეშა, ყურის მახლობლად მდებარე და იღლიის ლიმფურ კვანძებში. ბევრი ლიმფური კვანძის მნიშვნელოვანი გადიდებისას უნდა გამოირიცხოს უფრო სერიოზული დაავადება (მაგალითად, ლიმფოგრანულომატოზი). პოლიადენოპათია შეიძლება განვითარდეს ბევრი ქრონიკული დაავადების დროს, როგორიცაა რევმატოიდული ართრიტი ბავშვებში. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიმართოთ პედიატრს, ბავშვს გაუკეთეთ სისხლის საერთო ანალიზი, აგრეთვე ტუბერკულანური სინჯი (მანტუს რეაქცია).

**როგორც ცნობილია, ქათმის კვერცხი სნებოვნდება სალმონელას მიკრობებით. გვირჩევენ ნაჭუჭის გარეცხვას ცხელი წყლითა და საპნით. მაგრამ თუ კი ქათამია სალმონელოზით დაავადებული, განა ეს მიკრობები კვერცხის ცილასა და გულშიც არ იქნება? მაშინ, რა თქმა უნდა, საშიშია, როგორც თოხლო, ასევე ათქვეფილი უმი კვერცხის ცილაც ნამცხვრებში.**

***უღრმესი მადლობა, პატივისცემით ნანა კილაძე***

ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ყველაზე ხშირი, დღეისათვის სალმონელოზის ეპიდემიებია, რომლებსაც სწორედ დასნებოვნებული კვერცხი და ქათამი იწვევს. თუ კვერცხი დასნებოვნებულია, დაუშვებელია მისი თოხლოდ და მით უმეტეს, უმად მირთმევა. ამიტომ გირჩევთ, კვერცხი მხოლოდ საგულდაგულო თერმული დამუშავების შემდეგ მიირთვათ.

**ვარ 37 წლის. მაქვს წვის მაგვარი ტკივილები კიდურებში, წელისა და გულის არეში. მითამაშებს წნევა. ყოველივე ეს დამეწყო შარშან, შხამქიმიკატით მოწამვლის შემდეგ. მქონდა ჰიპოქსია. გთხოვთ დამეხმაროთ დიაგნოსტირებასა და მკურნალობაში.**

***ერთგული მკითხველი***

უპირველესად, გაიკეთეთ შარდისა და სისხლის ანალიზები. გამოიკვლიეთ თირკმლები (ხომ არ დააზიანა მოშხამვამ. გაიკეთეთ ელექტროკარდიოგრაფია (რათა დადგინდეს, როგორ მუშაობს გულის კუნთი). სასურველია აგრეთვე ღვიძლის ფუნქციური გამოკვლევა. აღნიშნული ანალიზებით უნდა მიმართოთ გამოცდილ თერაპევტს, რომელიც დაადგენს თქვენ მიერ აღნიშნული სიმპტომების მიზეზს და სათანადო მკურნალობას დაგინიშნავთ.

## კარაბადინი

**მინდა თქვენი გაზეთის მრავალრიცხოვან მკითხველს გავაცნო წნევის სამკურნალო მეტად მარტივი და ეფექტიანი საშუალება. პირადად მე საკუთარ თავზე გამოვცადე და ძალიან კმაყოფილი დავრჩი.**

**მაღალი წნევის მქონე ადამიანმა უნდა მიიღოს 20-20 ცალი უნაბი 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ. დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში. მისი მიღება შეგიძლიათ ახალდაკრეფილისაც და ზამთარშიც (გამხმარი სახით).**

**ექიმის კომენტარი:** უნაბი საქართველოში კარგად ხარობს შავი ზღვის სანაპიროზე. აღმოსავლეთ საქართველოში ნაყოფს არ იძლევა. მისი ნაყოფი მბრწყინავი, წითელი ან ყავისფერი, საჭმელად გემრიელია.

უნაბს ფართოდ ხმარობდნენ ძველ ქართულ მედიცინაში. უსიამოვნო წამლის მიღების შედეგად თუ ავადმყოფს აზიდებდა, ურჩევდნენ უნაბის ფოთოლი კევივით დაეღეჭა. უნაბის ნაყოფი შედიოდა სხვადასხვა შარბათის შემადგენლობაში. ამ მცენარეს იყენებდნენ ნერვული დაავადების, თავის ტკივილის შემთხვევაში.

„უსწორო კარაბადინში“ ვკითხულობთ: „კაცს რომ სისხლისა და სიმხურვალისაგან თავი სტკიოდეს და უნაბის შარბათი ასვა, თავისა და საფეთქლების ტკივილს უშველის“.

განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით უნაბის გამოყენებას ხველის დროს.

მკითხველის მიერ მოწოდებული რეცეპტი გავრცელებულია ხალხურ მედიცინაში.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**მაწუხებს ტკივილი მუხლის სახსრებში. ვსვამდი ექიმის დანიშნულ წამლებს. თავიდან მიშველა, მაგრამ ბოლო დროს აღარ მშველის. თანაც კუჭი ამატკივა ამდენმა წამალმა.**

**იქნებ მკითხველმა იცოდეს ჩემთვის გამოსადეგი მცენარეული ნაყენი ან სხვა ხალხური საშუალება? წინასწარ გიხდის მადლობას.**

**ა.ა.**

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ჯარაექიმის რჩევანი

**ხველების** დროს 1. 1/3 ჩ/ჭ კომბოსტოს წვენს დაამატეთ 1 ს/კ გამდნარი კარაქი და 2 ს/კ თაფლი. კარგად მოურიეთ, დაამატეთ კვერცხის გული, კარგად ათქვიფეთ და მიიღეთ 2-2 ს/კ დღის განმავლობაში.

2. უზმოზე მიირთვით 1 კვერცხის გოგლი-მოგლი.

**ანემიის** დროს 1 ს/კ დედოფლის ყვავილის ბალახს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 2 საათი, გაწურეთ და მიიღეთ 2-3 ს/კ დღეში 3-4-ჯერ ჭამამდე.

**ნერვიულობისა და გადაღლილობის** დროს შეურიეთ ერთმანეთს ასკილისა და შავი მოცხარის ნაყოფი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე, გააჩერეთ 2 საათი, გაწურეთ, გემოვნებით დაამატეთ თაფლი ან შაქარი. მიიღეთ 2/3 ჩ/ჭ ნაყენი 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე.

**სისხლძარღვების კედლების გასაწ-** დროს უმ კვერცხს დაასხით მდუღარე რძე და კარგად მოურიეთ, გემოვნებით დაამატეთ თაფლი. მიიღეთ დღეში ერთხელ, უზმოზე.

**გაციებისათვის**: აიღეთ 1 ჭიქა გარეცხილი, გაუცეხვავი შვრია, დაასხით 1 ლ რძე, ადუღეთ დაბალ ცეცხლზე, გადმოდგით, გაწურეთ და სვით ღამით (ცხლად).

**ეხმარება გულს**: 300 გრ ნედლ ვაზის ფოთოლს დაასხით 3 ლ ცივი წყალი, გააჩერეთ 3 დღე, სვით თითო ჭიქა 3-ჯერ დღეში.

**ბრონქიტის სამკურნალოდ:** გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში 2 ლიმონი კანიანად (მარცვლების გარეშე). აურიეთ 300 გრ შაქრის ფხვნილი და 1/2 ლ ლუდი, ადუღეთ თავდახურულ ჭურჭელში ჩადგმულ ქილაში. დროდადრო მოურიეთ. მიიღეთ დღეში 4-6-ჯერ ცხლად, თითო სუფრის კოვზი.

## კამა — სილამაზისა და ჯანმრთელობის საწინდარი



თურმე, ძველად, რომსა და საბერძნეთში კამის თაიგულებს უძღვნიდნენ გმირებს, მამაკაცები — საყვარელ ქალებს. კამით რთავდნენ ჩვილის საძინებელს, რადგან მას შეუძლია მშვიდი ძილი მოჰგვაროს პატარას. ამასთანავე, კამა გამოიყენებოდა კულინარიასა და მედიცინაში. მას იყენებდნენ მადის აღმძვრელ, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მომწესრიგებელ, ამოსახველებელ საშუალებად. კამა ბოსტნეულთა შორის ყველაზე მეტ C ვიტამინს შეიცავს, მდიდარია კალიუმითა და რკინით, კაროტინით, რაც აუცილებელია მხედველობისთვის, შველის უძილობას.

ფასეულია კამის თესლის ნაყენი **ამოსახველებლად და მუცლის შებერილობის** დროს. ნაყენი ასე მზადდება: 10გ (3ს/კ) თესლი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, დაახურეთ სახურავი და გააჩერეთ 15 წუთი წყლის ორთქლზე, გაწურეთ და დაამატეთ ანადუღარი წყალი, რომ 200 მლ მიიღოთ. დალიეთ 1/3 ჩ/ჭ თბილი ნაყენი 3-4-ჯერ დღეში.

კამის თესლის ნაყენი გამოიყენება **ვარდისფერი ფერისმჭამელების** სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

1. ნაყენში დაასველებული მარლა ოდნავ გაწურეთ და 15 წუთით დაიფინეთ სახეზე. მკურნალობის კურსია 15 პროცედურა.

2. ახალდაკრეფილი კამა გარეცხეთ, დაკეპეთ, შეურიეთ კვერცხის ცილა და წაისვით სახეზე, 15 წუთი გაიჩერეთ და ჩამოიბანეთ. გაიმეორეთ კვირაში 2-ჯერ. მკურნალობის კურსია 15 პროცედურა.

***ცელებნიკი №8***


## როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

## ჰერპესი — მცოცავი ვირუსი




როგორც ცნობილია მოსახლეობის 90% ჰერპეს-ვირუსის მატარებელია, რომელიც პერსისტირებს სისხლში. «ყველაზე მეტად გავრცელებულია ჰერპეს-ვირუსის ორი ფორმა: ჰერპეს ზოსტერი და ჰერპეს სიმპლექსი (კანისა და ლორწოვანას ფორმები).

ჰერპესის ინფექცია გადამდებია. Mმისი სრულიად განკურნება მსოფლიოს მედიკოსთა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. როდესაც ჰერპესი კლინიკურად ვლინდება მას თან ახლავს ზოგადი სისუსტე, მადის დაქვეითება, ტემპერატურის მატება, ტანში ტეხვის შეგრძნება, აღგზნებადობა და უძილობა.




ჰერპესის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო მცენარეულ პრეპარატს "სუპერ ლიზინი+", რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხოლო ძლიერი იმუნური სისტემა დაგიცავთ ამ ვირუსისაგან.

სუპერ ლიზინი+ წარმოდგენილია აბების, კრემისა და ტუჩის საცხის სახით, რაც აადვილებს როგორც სისხლში ვირუსის აქტივობის დაქვეითებას, ასევე ადგილობრივ მკურნალობას.

სუპერ ლიზინი+ თავიდან აგაცილებთ ჰერპესის ვირუსით გამოწვეულ ბევრ უსიამოვნო შეგრძნებებს.

## მენოპაუზა — ქალის ჯანმრთელობა

ქალების უმრავლესობამ კარგად იცის რომ, მენოპაუზა დაავადება კი არ არის, არამედ ქალის ორგანიზმის ბუნებრივი გადასვლა, რომელსაც ძალიან ხშირად ახლავს ძლიერი გართულებები და სტრესები, მაგრამ, ბევრმა არ იცის, რომ არსებობს ამ გადასვლის შემამსუბუქებელი საშუალებები.




საქართველოში კარგად ცნობილი ამერიკული კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი", გთავაზობთ მენოპაუზუალური სიმპტომების შემამსუბუქებელ საუკეთესო საშუალებებს: ჰოთ-ფლეში(აბებში) და პროგესტერონი (მალამო).

ამ პრეპარატების ეფექტურობა განპირობებულია მათში შემავალი მცენარეებით, რომლებიც წარმოადგენენ პროგესტერონის ნატურალურ წინამორბედს.

- უნიკალური დამხმარე საშუალება 30 წლის ზევით ქალებისათვის;
- ეხმარება ჰორმონალური სტატუსის ბალანსირებაში;
- ახდენს მკვებავ და მატონიზირებელ გავლენას ქალის ორგანოებზე განსაკუთრებით კლიმაქტერულ პერიოდში.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე
კვირის გარდა 10.00 - 18.00
www.shopge.com

# გრძელფეხება დედების შვილები უფრო ჯანმრთელები არიან?

ინგლისელმა მეცნიერებმა მრავალწლიანი გამოკვლევის შემდეგ დაადასტურეს გამოცდილი პედიატრების მოსაზრება, რომ მომავალი ბავშვის ჯანმრთელობა დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ როგორ იკვებებოდა დედა ფეხმძიმობამდე და ფეხმძიმობისას, არამედ დედის ფეხების სიგრძეზე. თურმე, გრძელფეხება დედებს უფრო ჯანმრთელი ბავშვები უჩნდებათ, რომლებიც დიდობაშიც შემდეგაც ნაკლებად ავადდებიან ქრონიკული სნეულებებით, მათ შორის გულ-სისხლძარღვებით.

ფეხების სიგრძის მიხედვით, შეიძლება მიხვდეთ, თუ როგორ იკვებებოდა ქალი ბავშვობაში. მათ, რომელთა საკვებიც არასაკმარის ცილებსა და ცხიმებს შეიცავდა, მოკლე ფეხები აქვთ, ხოლო ვინც ბევრ ნახშირწყალს იღებდა — გრძელი ტანი. სტატისტიკაც ამტკიცებს, რომ ინგლისში თუკი ახალდაბადებულთა წონა საშუალოდ 3,15 კგ-ია, გრძელფეხება დედების ბავშვები, როგორც წესი, 3,6 კგ-ზე მეტს იწონიან. ეს ეხება იმ ქალბატონებსაც, რომლებიც მაღლები არ არიან, მაგრამ გრძელი ფეხები აქვთ. თუ გვსურს ბავშვები გაჩნდნენ უფრო დიდები და ძლიერები, მათი დედები უნდა იყვნენ ჯანმრთელნი და იკვებებოდნენ სწორად. დღეს ძალიან ბევრ ოჯახში არ აქცევენ საკმაო ყურადღებას იმას, თუ როგორ იკვებებიან გოგონები, რომლებიც ათასნაირ მავნე დიეტას მისდევენ, რათა დაემსგავსონ ტოპ-მოდელებს.

ფეხების სიგრძე შეიძლება ასე გამოთვალოთ: გაზომეთ ფეხზე მდგარი ადამიანი, შემდეგ დასვით სკამზე და გაზომეთ ტანის სიგრძე თმიდან — კუდუსუნამდე. ამ რიცხვთა არითმეტიკული სხვაობა იქნება ფეხის სიგრძე.

***ტრუდ-7 №140***


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**



**რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწალისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.**



**მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით: მანუალური თერაპია, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ტრენაჟორები.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
ალმაშენებლის 90/84 სად, სართ.
ტელ: 95-47-67; 75-06-14 (საღამოს);
899-26-51-08



*პირველად საქართველოში!*

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გამნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: **99 64 99**
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
**ანონიმურობა დაცულია!**






*თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის*


**მაწუხებს დისკომფორტის შეგრძნება თვალებში, თითქოს ცრემლი არასაკმარისი რაოდენობით გამოიყოფა. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? არსებობს თუ არა ასეთი პათოლოგია?**

**ა.ა.**

# „მშრალი" თვალის სინდრომი

ოფთალმოლოგების აზრით, დღეს ცივილიზაციის დაავადებებს შორის ერთ-ერთი უპირველესია „მშრალი თვალის" სინდრომი, რაც დამახასიათებელია ეკოლოგიურად დაბინძურებული ქვეყნებისთვის, სადაც უხვადაა მანქანების გამონაბოლქვი, მტვერი; ეს ყველაფერი თვალის რქოვანი გარსის გაღიზიანებას განაპირობებს, რასაც შედეგად ლორწოვანი გარსის სიმშრალე მოჰყვება.



თვალის „სიმშრალის" მიზეზი ხშირად არის ტელევიზორთან თუ კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა. ხანგრძლივად მხედველობის დაძაბვა და ელექტრომაგნიტური გამოსხივება არღვევს ცრემლის გამოყოფის პროცესს, რაც თვალის ლორწოვანის სიმშრალეს განაპირობებს. სიმშრალეს იწვევს კონდიციონერი, სიგარეტის ბოლი. თვალის არასაკმარისად დასველების გამო ნაკლებად ჩამოირეცხება და გამოიდევნება უცხო სხეულები, ირღვევა რქოვანი გარსის კვების პროცესი, უარესდება თვალის ოპტიკური შესაძლებლობა — მხედველობა. გარდა ამისა, ლიზოციმის ნაკლებობა, რაც თვალის სითხის შემადგენლობაში შედის და ანტიბაქტერიული მოქმედებით ხასიათდება, განაპირობებს თვალის დაუცველობას დაავადებების გამომწვევი მიკრობებისა და ვირუსებისგან, ეს, შესაძლოა, ანთებითი პროცესის მიზეზი გახდეს.

„მშრალი" თვალი ადვილად იღლება და იძაბება. მხედველობითი დისკომფორტი, რომელიც მას ახლავს, განაპირობებს შრომისუნარიანობის დაქვეითებას, იწვევს დეპრესიას. მუდმივ სიმშრალეს შეუძლია მხედველობის სერიოზული დარღვევის გამოწვევა. ამ პრობლემის თავიდან აცილება შეიძლება კომპიუტერთან მუშაობის წესების დაცვით, შენობის მუდმივი დატენიანებით, თვალების გამორეცხვით, განსაკუთრებით საღამოობით — სუფთა წყლით ან ჩაის ნაყენით.

გთავაზობთ ტესტს, რომლის საშუალებით გაარკვევთ, გაქვთ თუ არა პრობლემები:

— საერთო მხედველობითი დისკომფორტი;
— თვალებში სიმძიმისა და დაღლილობის შეგრძნება;
— თვალების ლორწოვანის შეწითლება (ქავილის გარეშე);
— თვალებში სიმშრალის შეგრძნება;
— ჭრის შეგრძნება თვალში, კერძოდ, საღამოს;
— თვალში უცხო სხეულის არსებობის შეგრძნება;
— დროდადრო წვის შეგრძნება;
— ცრემლდენა ქარში, სიმშრალეში, კონდიციონერის მუშაობისას;
— სინათლის შიში ან დროებითი ბუნდოვანი მხედველობა;
— თვალის არეში სხვადასხვა ინტენსივობის ტკივილის შეგრძნება, განსაკუთრებით თვალის ხამხამის დროს;
— მხედველობის სიმახვილის პერიოდული დაქვეითება და დასვენების შემდგომი გაუმჯობესება;
— ამ სიმპტომების შემცირება ან გაქრობა დასვენების შემდეგ;
— მცირე რაოდენობით ლორწოვანი გამონადენი თვალის კუთხეებში;
— თვალის ხამხამის გახშირება (ნორმა 16-18 წუთში);
— დისკომფორტი, რომელიც აღმოცენდება კონდიციონერის ან თბილი, მშრალი ჰაერის დროს.

ტესტის 2-3 პუნქტის არსებობისასაც კი, თქვენ ფარული ან უკვე გამოვლენილი სახით გაქვთ ცრემლის გამოყოფის შემცირება.

***მაია მუხიგული***

# სვით მხოლოდ ნატურალური წვენები



დღეს მსოფლიოში ძალიან პოპულარულია წვენით მკურნალობა. წვენი გვეხმარება ვებრძოლოთ დაავადებებს და განვიმტკიცოთ ტონუსი. მკურნალობის საიდუმლო არის მის სწორად მომზადებაში. უპირველესად, წვენი უნდა მომზადდეს მხოლოდ მწიფე, ახალი ხილისა და ბოსტნეულისგან. წვენსაწურში გაწურული ხილის ან ბოსტნეულის წვენი შეიცავს 10%-მდე რბილობს, მასში გადადის გაცილებით მეტი ბიოლოგიური ნივთიერება და შესაბამისად, უფრო სასარგებლოა ორგანიზმისთვის.

გაწურვის წინ ხილი (ან ბოსტნეული) გულდასმით გადაარჩიეთ, გამდინარე წყლით კარგად გარეცხეთ და გაწურეთ დალევის წინ.

თუ წვენებს პროფილაქტიკის მიზნით მიირთმევთ, რაოდენობის განსაზღვრა არ არის საჭირო, ხოლო თუ რომელიმე დაავადებას მკურნალობთ, მაშინ აუცილებელია მიიღოთ იმდენი, რამდენსაც გინიშნავთ ექიმი ან ხალხური მედიცინის რეცეპტი. სასურველია წვენი მიიღოთ ყოველდღე — უწყვეტლივ. ბოსტნეულის წვენს შეგიძლიათ დაუმატოთ 1 ჩაის კოვზი ლიმონი.

**სტაფილოს წვენით** ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში მკურნალობდნენ გულისა და ცხვირ-ხახის დაავადებებს. სტაფილოს წვენი A ვიტამინის საუკეთესო წყაროა, აძლიერებს მადას, აწესრიგებს საჭმლის მონელებას, ამაგრებს კბილებსა და ნერვულ სისტემას, ორგანიზმს ენერგიას მატებს. კანის სიმშრალის, დერმატიტისა და კანის სხვა დაავადებების დროს, აგრეთვე თვალის დაავადებისას, სამ დღეში ერთხელ დალიეთ 600 გ სტაფილოს წვენი. ის ძალიან სასარგებლოა წყლულების სამკურნალოდაც.

ხველის, ბრონქიტის, ტრაქეიტის, ლარინგიტის და პნევმონიის დროს მიიღეთ დღეში 5-6-ჯერ, თითო სუფრის კოვზი რძისა და სტაფილოს წვენის ნარევი, სტომატიტისა და ღრძილების ანთებისას — დღეში 5-6-ჯერ გამოივლეთ სუფთა სტაფილოს წვენი. მიოკარდიუმის ინფარქტის შემდეგ ექიმი პირველსავე დღეებში ნიშნავს სტაფილოს წვენს — 100 მლგ დღეში 2-3-ჯერ. რევმატიული ართრიტის ნიშნის გამოჩენისთანავე დაიწყეთ წვენებით მკურნალობა. პირველ კვირას — სტაფილოს წვენი სვით მხოლოდ ერთი დღე, მეორე კვირას — 2 დღე, მესამე კვირას — 3 დღე (ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს).

პოტენციის ასამაღლებლად — მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში.

სტაფილოს წვენს ერიდეთ, თუ გაწუხებთ კუჭის წყლული, ნაწლავების ანთება და ღვიძლის დაავადება.

***ოჯი***


**კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:**

1. დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
2. ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
3. სამეანო განყოფილებას;
4. ახალშობილთა განყოფილებას;
5. გინეკოლოგიურ განყოფილებას;
6. თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
7. ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);
8. სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
9. რეაბილიტაციის სამსახურს (ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.**
**მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.**
**მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255*
*(ყოფ. I სამშობიარო სახლი)*
☎ 66-73-70 71 72 73 74



**იტალია**

## სილვიო ბერლუსკონი: – გულში რაც მაქვს, იმას ვამბობ

ინგლისურ ყოველკვირეულ Spectator-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუში იტალიის პრემიერმა როყიოდ ისროლა, — როგორ შეიძლება სადამ ჰუსეინისა და ბენიტო მუსოლინის შედარება! მუსოლინის არავინ მოუკლავს, ოპოზიციონერებს გადასახლებაში გზავნიდა დასასვენებლადო.

ამ განცხადებამ ოპოზიციონერები განარისხა.

დამკვირვებლების აზრით, ბერლუსკონის ვითომდა წამოსროლილი სიტყვები სინამდვილეში გააზრებული ნათქვამია, რადგან იტალიელთა უმეტესობა ფიქრობს, რომ მუსოლინიმ სამშობლოს ბევრი სიკეთე მოუტანა. დუჩემ დაამარცხა კორუფცია, მაფია, გააუმჯობესა მოსახლეობის ცხოვრების დონე, საკმაოდ ლმობიერად ექცეოდა მოწინააღმდეგეებს, ხელს არ უშლიდა ოპოზიციური ლიტერატურის ბეჭდვას.

სილვიო ბერლუსკონიმ თავისი ნათქვამი ასე ახსნა, — მე არც ფაშიზმის ისტორიული ანალიზის გაკეთება მიფიქრია, არც მუსოლინის ღვაწლის შეფასება. როგორც იტალიელი, ვერ დავეთანხმებოდი მუსოლინის შედარებას სადამ ჰუსეინთან, რომელსაც მილიონობით ადამიანის სიკვდილში ურევია ხელი. დარწმუნებული ვარ, იტალიელთა უმეტესობა მეთანხმება.

ამ ინტერვიუმ ბევრს გაახსენა ბერლუსკონის ადრინდელი სკანდალური გამონათქვამი, როცა მან გერმანელი პარლამენტარი საკონცენტრაციო ბანაკის მცველს შეადარა. თუმცა არც მაშინ და არც ახლა იტალიის პრემიერს არაფერი უნანია.

*კომერსანტი №167*

**ჩრდილოეთ კორეა**

## ფხენიანი საეჭვოდ დუმს...



საბჭოთა კავშირში დღესასწაულებს პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ბოლო დრომდე ასე იყო ჩრდილოეთ კორეაშიც, რომელმაც სახელმწიფოს შექმნის 55-ე წლისთავი ახლახან იზეიმა. დღესასწაულზე ხელისუფლებისგან მნიშვნელოვან განცხადებებს ელოდნენ. გაზეთები იტყობინებოდნენ, — სამხედრო აღლუმზე წარმოდგენილი იქნება ახალი ბალისტიკური რაკეტა, მას წყნარ ოკეანეში ამერიკელთა ბაზამდე შეუძლია მიღწევაო. იმასაც ფიქრობდნენ, რომ ჩრდილოკორეელი ლიდერი კიმ ჩენ ირი აუცილებლად გამოაცხადებდა ბირთვულ სახელმწიფოთა კლუბში ოფიციალურად შესვლას.

დღესასწაულმა ჩაიარა, მაგრამ არაფერი მომხდარა. ანალიტიკოსები თავს მოტყუებულად გრძნობენ. ფხენიანში, სამხედრო აღლუმზე რაკეტები კი არა, ტანკებიც კი არ გამოუყვანიათ, არც ბირთვულ სახელმწიფოთა კლუბში შესვლა გამოუცხადებიათ. სპეციალისტები დაბნეულნი არიან — ან ჩრდილოეთ კორეას არაფერი აქვს სათქმელი, ან კიმ ჩენ ირმა რაღაც მოსაზრებით შეიკავა თავიო.

*ვლასტი №36*

## იალტის სამიტს შედეგი თითქმის არ მოჰყოლია



თორმეტი ქვეყანა უმეტესად პრეზიდენტებით იყო წარმოდგენილი. 2003 წელს რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა და ბელორუსია ერთიან ეკონომიკურ სივრცეში აპირებენ გაერთიანებას. სამიტამდე პუტინთან სოჭში ჩავიდა ალექსანდრ ლუკაშენკო. მანამდე რუსეთის პრეზიდენტი აზოვის ზღვის კუნძულ ბირიუჩიზე ეწვია ლეონიდ კუჩმას. „დიდი ოთხიანის“ შეხვედრამდე პუტინი იალტაში ესაუბრა ყაზახეთისა და მოლდავეთის პრეზიდენტებს, აგრეთვე აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრ ილჰამ ალიევს.

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მსგავსი შეხვედრები თანამეგობრობის შექმნის მომენტიდან არ ყოფილა. საუბარია განხილული საკითხების მასშტაბურობაზე. საგარეო საქმეთა მინისტრებმა გააგრძელეს დსთ-ის ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელის მანდატი. სამიტში მონაწილეობდა გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე, ნარკოტიკებთან და დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს აღმასრულებელი დირექტორი ანტონიო მარია კოსტა.

ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, — რუსეთმა, ისევე, როგორც დსთ-ის სხვა ქვეყნებმა, მხარი დაუჭირა საქართველოს ინიციატივას დოკუმენტის მისაღებად, რომელიც გვახსენებს თავად აფხაზეთის პრობლემას და მისი გადაწყვეტის გზებს.

*ნიუს რუ*

## აჰმედ ზაკაევი: პარტიზანული ომი რუსეთში გადადის

იჩქერიის თავდაცვის კომიტეტმა, რომელსაც ასლან მასხადოვი ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა, ომი რუსეთის ტერიტორიაზეც გაშალოს — აცხადებს ჩეჩენ სეპარატისტთა საგანგებო წარმომადგენელი აჰმედ ზაკაევი, — რუსეთში ჩეჩენი მებრძოლების მიერ განხორციელებულ დივერსიულ აქტებზე პასუხისმგებლობა ამ ქვეყნის ხელმძღვანელობას დაეკისრება. ზაკაევმა აღნიშნა, რომ — პარტიზანული ომის დაწყების გადაწყვეტილება მაშინ მიიღეს, როცა მასხადოვი და მისი მომხრეები კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგების უპერსპექტივობაში დარწმუნდნენ. რუსეთის ხელისუფლებას სურს სერიოზულ პოლიტიკურ პროცესად გაასაღოს ფარსი, რომელსაც ისინი ვითომდა ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნების გარშემო ქმნიან, სინამდვილეში კი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ჟურნალისტი და პოლიტიკოსი ჩართონ ამ საქმეში მხოლოდ იმ მიზნით, რომ პროცესს ლეგიტიმურობა შესძინონ.

ამჟამად იჩქერიის წარმომადგენელი ლონდონში იმყოფება. რფ-ის გენპროკურატურა დიდ ბრიტანეთს მის გადაცემას სთხოვს. აჰმედ ზაკაევის დაცვას მიაჩნია, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდება პოლიტიკურადაა მოტივირებული. ლონდონის სასამართლო ამ საკითხს 21 ოქტომბერს გადაწყვეტს.

*დოიჩე ველე*

## დალაი ლამა შინ ბრუნდება?



დალაი ლამას ყოველი ვიზიტი ვაშინგტონში, პეკინის მძაფრ რეაქციას იწვევს. თუმცა ბოლო დროს ოფიციალური პეკინი ოდნავ მომბალი ჩანს. შესაძლოა, ეს ჩინეთის ახალი პრეზიდენტის ჰუ ძინტაოს დამსახურებაც იყოს. მან ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის გარდაქმნა დაიწყო და როგორც ამბობენ, დალაი ლამას ტიბეტში დაბრუნების საკითხსაც განიხილავს. საინტერესოა ერთი დეტალიც: დალაი ლამამ ტიბეტი 1959 წელს დატოვა. მას შემდეგ აქ ბევრი რამ ძირფესვიანად შეიცვალა — „გადასავლურდა“. დედაქალაქი ლჰასა თანამედროვე ჩინეთის დიდი ქალაქების ასლი გახდა. დალაი ლამა, თუკი ის ლჰასაში დაბრუნდება, ისევ თავის სამსაუკუნოვან სასახლეში იცხოვრებს, რომელიც ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მეზობლად მდებარეობს და ირგვლივ კი კაფე-ბარები აქვს შემორტყმული. ჩინეთმა ყველაფერი გააკეთა 2,7 მილიონი ტიბეტელის გულის მოსაგებად. მარტო 2001 წელს პრეზიდენტ ძინტაოს განკარგულებით, ლჰასას ბუდისტური მონასტრის აღსადგენად 200 ათასი დოლარი გამოიყო. პეკინი თანახმაა დალაი ლამას დაბრუნებაზე ერთადერთი პირობით, რომ ის ტიბეტში, როგორც ჩინეთის ნაწილში, დაბრუნდება და იქნება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე.

*ნიუ ზუიქი*

## ტაივანი ისევ არ შეუშვეს გაეროში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მეთორმეტედ უთხრა უარი ტაივანს, მორიგ ასამბლეაზე დაეყენებინა ამ ორგანიზაციაში მისი შესვლის საკითხი. გაეროს პრესმდივანმა მიშელ მონტამ ჩინეთის დელეგაციის მიერ გამოთქმულ პროტესტზე დაყრდნობით განაცხადა — ტაივანის საკითხს ასამბლეა არ განიხილავსო.

ტაივანმა გაეროში თავისი ადგილი 1971 წელს დაკარგა. იგი კომუნისტურმა ჩინეთმა დაიკავა. გაერო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტურ მთავრობას ჩინეთის ერთადერთ კანონიერ ხელმძღვანელად მიიჩნევს, თავად პეკინი კი ტაივანს თავის ტერიტორიად თვლის. ტაივანთან დიპლომატიური ურთიერთობა აქვს 26 ქვეყანას, უმთავრესად აფრიკის კონტინენტისა და კარიბის რეგიონის პატარა სახელმწიფოებს.

*ლენტა რუ*

**მოკლედ**



**ტროპიკულმა** ქარიშხალმა „იზაბელმა“, რომელიც აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე მძვინვარებდა, დიდი ზარალი მიაყენა ქვეყანას. ათიათასობით ადამიანმა დაკარგა სახლ-კარი, დაიხურა სკოლები, მაღაზიები, მუშაობა შეწყვიტა ტრანსპორტმა. დაიღუპა ოცზე მეტი ადამიანი, ქარიშხალმა მილიონნახევარი ადამიანი უშუქოდ დატოვა.

„იზაბელი“ ნაწილობრივ ჩაცხრა და კოკისპირულ წვიმად იქცა.



**პალესტინის** ლიდერმა იასირ არაფატმა განაცხადა, — თუ ისრაელის ჯარი ჩემს დეპორტირებას ან მოკვლას შეეცდება, ავტომატს მივუშვერ, რომელიც არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ნებისმიერი პალესტინელის დასაცავად მაქვს და თუ საჭირო გახდა, მოწამებრივი სიკვდილითაც აღვესრულები. ამქვეყნად არ არის პალესტინელი, რომელიც ამაზე არ ოცნებობდესო.



**ერაყის** თავდაცვის ყოფილი მინისტრი ამერიკელებს ჩაჰბარდა. სულთან ჰაშიმ აჰმედს 27-ე ადგილი უჭირავს ჰუსეინის რეჟიმის დიდ სამხედრო ჩინოსანთა 55-კაციან ნუსხაში, რომლებსაც ამერიკელები ეძებდნენ. სულთან ჰაშიმ აჰმედს ერაყელების წინაშე დანაშაული არ მიუძღვის, მას მხოლოდ თანამდებობის გამო ეძებდნენ. დამკვირვებლები არ გამორიცხავენ, რომ მას შეიყვანენ ხელისუფლების ორგანოებში და მისცემენ საშუალებას, ემსახუროს ერაყელებს.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*


## CERMA (სერმა) – კომპანია, რომელსაც კომპანიებისათვის წარმატებები მოაქვს

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოს ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ქართველი მეწარმეები თავიანთ კომპანიებში მართვის დასავლური სტანდარტების დანერგვას, ძველი საბჭოური მენტალიტეტის დაძლევას, უცხოურ პარტნიორებთან ურთიერთობის დამყარებას, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას და რაც მთავარია, ამ პროდუქციით ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე დამკვიდრებას. საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრმა — CERMA (სერმა)-მ თავისი არსებობის 6 წლის მანძილზე საქართველოს კერძო საწარმოებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ამ პრობლემების დაძლევაში. კვალიფიციური ადგილობრივი და უცხოელი კონსულტანტების მონაწილეობით დახმარება გაუწია 100-მდე საწარმოს და გადაამზადა 150-მდე მენეჯერი, რამაც სასიკეთო ძვრებს დაუდო საფუძველი. ამ საწარმოებში გაიზარდა წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი და რეალიზაცია, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, ზოგ საწარმოში გამოჩნდნენ უცხოელი ინვესტორები, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია CERMA-ს მიერ დანერგილმა სისტემებმა გაუადვილა მენეჯერებს საწარმოთა მართვა.

CERMA (სერმა)-ს აღმასრულებელი დირექტორის ნანა ადეიშვილის თქმით, CERMA ასრულებს ექიმის როლს საწარმოში. უპირველეს ყოვლისა CERMA( სერმა)-ს კონსულტანტთა ჯგუფი ახორციელებს კომპანიაში არსებული მდგომარეობის ანალიზს, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით და კონკრეტული კომპანიის თავისებურებების გათვალისწინებით იქმნება მენეჯერული მართვის მოდელი, რომელიც მოიცავს საწარმოს საქმიანობის ყველა უმნიშვნელოვანეს მხარეს (ფინანსები, მარკეტინგული საქმიანობა, საწარმოო პროცესების ორგანიზაცია და მართვა, პროდუქციის ხარისხი და ა. შ.) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ CERMA (სერმა)-ს საქმიანობის მთავარი მიზანია არა მართვის მოდელის შექმნა, არამედ მისი პრაქტიკაში დანერგვა.

საწარმოებთან ურთიერთობის შემდგომ ეტაპზე აღნიშნული მოდელი პრაქტიკაში ინერგება CERMA (სერმა)-ს კონსულტანტების ძალებით, ხოლო საბოლოო, დამამთავრებელ ეტაპზე კომპანიის თანამშრომლები ამ მოდელით უკვე დამოუკიდებლად მართავენ საწარმოს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად CERMA (სერმა) კონტრაქტის საფუძველზე მართავს საწარმოებს და ამ შემთხვევაში კონსულტანტები მოქმედებენ როგორც კომპანიის მენეჯერები, ასრულებენ რა საწარმოში შესაბამის ფუნქციებს.

თბილღვინოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ CERMA (სერმა)-მ ჩვენს კომპანიას სერიოზული წინსვლის საშუალება მისცა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოსათვის მენეჯმენტის სრულყოფას.

საწარმოთა მენეჯმენტის სრულყოფის ერთ-ერთი შემაფერხებელი გარემოებაა ქვეყანაში კვალიფიციური მენეჯერების დეფიციტი. ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით CERMA (სერმა) ახორციელებს პროფესიონალ მენეჯერთა გადამზადების პროგრამას.

გამძაფრებული კონკურენციის პირობებში დიდი თუ მცირე ზომის საწარმოების მენეჯერების კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობის გამო CERMA (სერმა)-ს წამყვანმა ბიზნესკონსულტანტებმა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისა და ბიზნესსკოლების პროფესორების დახმარებით მოამზადეს პროგრამა, რომელიც შექმნილია ქართული სპეციფიკისა და საქართველოს კომპანიების მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი ბიზნესის პრობლემებს და სწავლების პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდოლოგია.

CERMA (სერმა)-ს მიერ ბიზნესკონსულტაციების და სწავლების სფეროში გაწეული მომსახურების მაღალ დონეს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 2003 წელს მას მიენიჭა ISO 9001-ის შესაბამისი საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი. პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან CERMA (სერმა)-მ, თავისი საქმიანობის ფარგლებში ერთ-ერთმა პირველმა შეძლო ამ საერთაშორისო აღიარების მოპოვება. CERMA (სერმა)-ს ხარისხის მართვის სისტემა შეამოწმა სტანდარტიზაციის, ტესტირებისა და სერტიფიცირების სფეროში ერთ-ერთმა უდიდესმა ბრიტანეთის სტანდარტების ორგანიზაციამ, BSI-მ. ამ ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული არიან მსოფლიოს ისეთი გიგანტები, როგორიცაა ჯენერალ მოტორსი, კოდაკი, ნოკია, ერიკსონი, კომპაკი და სერტიფიცირებული კომპანიების სიაში ამ გიგანტების გვერდით დღეს უკვე CERMA (სერმა)-ც არის წარმოდგენილი.

ISO 9001 მსოფლიოში ყველაზე აღიარებული სტანდარტია მართვის სფეროში. ამ სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა უზრუნველყოფს საწარმოების პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას და შესაბამისად საერთაშორისო ბაზრებზე შესვლის ალბათობის ზრდას, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მფლობელებისა და მენეჯერებისთვის კომპანიებში მართვის პროცესების გაადვილებას.

ამ ტიპის ხარისხის მართვის სისტემები თავისი ეფექტიანობის გამო იმდენად პოპულარულია, რომ დღეს მსოფლიოში ათასობით კომპანია უკვე სერტიფიცირებულია ISO 9001 სტანდარტით. იგი შესაძლებელია მიესადაგოს ნებისმიერი სიდიდის და საქმიანობის მქონე კომპანიას ან ორგანიზაციას. ეს სერტიფიკატი საერთაშორისო კომპანიებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის აუცილებელი წინაპირობაა.

ხარისხის მართვის სისტემა კომპანიას აიძულებს წარმოებაზე ორიენტირებული მართვა უკანა პლანზე გადაწიოს და პირველ რიგში იზრუნოს კლიენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. თუ კომპანიამ ისწავლა მომხმარებლის ენაზე საუბარი და მართვის პროცესების ამ ენაზე მორგება, მაშინ ბიზნესში წარმატება გარდაუვალია. მომხმარებლის მოთხოვნის ცოდნა და მომხმარებელზე ორიენტაცია ხშირ შემთხვევაში ქართული ბიზნესის სინამდვილეში არასრულყოფილად აღიქმება. გასაბჭოებიდან მოყოლებული საქართველოში წარმოებულ პროდუქციას მომხმარებელი უნდობლობით ეკიდებოდა და ეკიდება. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანი ისაა, რომ იმპორტს თითქმის ყველა დარგში უდიდესი წილი უკავია. ISO 9001 სტანდარტის უპირველესი და უმთავრესი მოთხოვნაა მომხმარებელზე მაქსიმალური ორიენტაცია. ეს საექსპორტო ბაზრებზე წარმატებით საქმიანობის გარდა იმპორტის ჩანაცვლების მნიშვნელოვანი ბერკეტია.

საქართველოში CERMA (სერმა)-ს გარდა 6 სერტიფიცირებულ საწარმოს შორის ერთ-ერთში CERMA (სერმა)-ს დახმარებით დაინერგა ISO 9001 სტანდარტებით ხარისხის მართვის სისტემა, რის შედეგადაც კომპანიის აუდიტი ხარისხის მართვის სისტემების სერტიფიცირებაში წარმატებით განახორციელა არანაკლებ ცნობილმა საერთაშორისო ორგანიზაციამ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ CERMA (სერმა) თავისი საქმიანობით საქართველოში ბიზნესკონსულტაციების და სწავლების სფეროში სოლიდური კომპანიაა. R

# „უწმიდესის ნათქვამი უფლის ნებად მენიშნა"

## ღმერთთან სავალი გზები, ანუ ნუ შეშინდები, საქართველო, უფალი შენთანაა!

**(დასაწყისი იხ. გვ. 12)**

მერე კი უფლის კარნახით უწმიდესსა და უნეტარესს, ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს ილია -ს ვაახლე ჩემი ნათესავი, კანკელების ოსტატი ზაურ ცირეკიძე და მიღება ვთხოვე. იმ დროს მივედი, როცა კათოლიკოსი რეზიდენციიდან გადიოდა — გამოგვყევით, სამების ტაძრის მშენებლებთან მივდივარ და იქ ვილაპარაკოთო. იქ კი კათოლიკოსმა მთავარ არქიტექტორთან ასე წარმადგინა — გაიცანით, ეს არის ხეზე კვეთის ოსტატი, რომელმაც დიდი ჯვარცმა უნდა გააკეთოსო. გავოცდი, მე ხომ კათოლიკოსი არც მიცნობდა და არც დიდი ოსტატი ვარ, მაგრამ უწმიდესის ნათქვამი ახლაც უფლის ნებად მენიშნა. საპატრიარქოს ჩემი ესკიზი წარვუდგინე, მისი ერთი პირი კი სამების მშენებარე ტაძრის წინამძღვარს, მამა ექვთიმეს (ამჟამად გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსი) ვაახლე და შინ დავბრუნდი.



**ჯვარცმა გელათიდან თბილისის გზას უკვე ამ ურმით გაუდგება**

უფლის კარნახით უწმინდესსა და უნეტარესს, ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს ვაახლე ჩემი ნათესავი, კანკელების ოსტატი ზაურ ცირეკიძე და მიღება ვთხოვე. იმ დროს მივედი, როცა კათოლიკოსი რეზიდენციიდან გადიოდა – გამოგვყევით, სამების ტაძრის მშენებლებთან მივდივარ და იქ ვილაპარაკოთო. იქ კი კათოლიკოსმა მთავარ არქიტექტორთან ასე წარმადგინა – გაიცანით, ეს არის ხეზე კვეთის ოსტატი, რომელმაც დიდი ჯვარცმა უნდა გააკეთოსო. გავოცდი, მე ხომ კათოლიკოსი არც მიცნობდა და არც დიდი ოსტატი ვარ, მაგრამ უწმინდესის ნათქვამი ახლაც უფლის ნებად მენიშნა.

### შემოქმედება უფლის კარნახით, ანუ ხილული სასწაული

ჩვენი სახელოსნო ადრე ბოსელი იყო. ეს ხეც იქ დავასვენეთ და ის იყო, მუშაობას ჩემი შერჩეული მხრიდან უნდა შევდგომოდი, რომ რაღაც ხმამ მიკარნახა, აქედან არა, მეორე გვერდიდან დაიწყეო. გადმოვაბრუნეთ ხე. დავიწყე ესკიზის კეთება და ყველაფერი ამერია. ესკიზის მიხედვით თავი იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ფეხები აქვს, მე კი პირიქით გამომივიდა, შევწუხდი, მაგრამ ისევ იმ ხმამ მიკარნახა, ასე იმუშავეო და მეც გავაგრძელე.

ხედავთ, ხეს გადმობრუნებულ გვერდზე ზუსტად იმ ადგილზე აღმოაჩნდა ცხრა სანტიმეტრის სიგრძის ხვრელი (ზუსტად ამ სიღრმის ჭრილობა ჰქონდა ფერდში ვნების შემდეგ მაცხოვარს). ხეს, რომელსაც თავდაპირველად გარედან ფორმის ნასახიც არ ეტყობოდა, ხელებსა და ფეხებზე ბუნებრივად აჩნდა ნამსჭვალი ადგილები, მათრახების ნაკვალევი და ძმრის ლაქაც კი (ხომ გახსოვთ, წყლის ნაცვლად ძმარი მიაწოდეს მაცხოვარს). ოცდამეცხრე დღეა, სისველე აქვს მარჯვენა თვალზე. ფერისცვალებამდე სამი დღით ადრე დაეწყო თმის შეფერვა და როგორც მღვდელმსახურნი ამბობენ, იმ ფერს იღებს, როგორიც სინამდვილეში ჰქონია მაცხოვარს *(ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე. — ვ.გ.).*

***ნოდარ ბურჯანაძე,*** *სოფელ გეზრულის მკვიდრი:* — რამდენიმე დღის წინ მთელი ჩვენი სოფელი ფეხზე დადგა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გაკაშკაშებული გუმბათი ადგა ბიწაძეების სახლს.

***გოგი ბიწაძე,*** *მეზობელი:* — გუშინ, ღამით, ასე თერთმეტ საათზე ციდან მბრწყინავი ნათელი სვეტი ჩამოვიდა ამათი სახლის თავზე. ერთხანს იდგა, მერე ნელ-ნელა აიწია და გაუჩინარდა. გაოგნებულები შევყურებდით ამ საოცრებას.

***თეა ფხალაძე,*** *მეზობელი, ბიწაძეების ოჯახის ნათესავი:* — ჩემს დას, ნათიას, ჯვარცმის ნახვის შემდეგ შავ კაბაზე უამრავი ჯვარი გამოესახა. თვითონ ნახავდით, მაგრამ იმ კაბიანადაა ახლა ქიათურაში წასული.

ნანახითა და მოსმენილით გაოგნებულს მხოლოდ ერთი კითხვა დამებადა:

— ახლა რას უპირებთ, როგორ უნდა გადააბრძანოთ ჯვარცმა თბილისში?

ემზარმა სახლის გვერდით გამიყვანა და ახალთახალი, მუხის ხისაგან გამოკოპიტებული ვეებერთელა ქართული ურემი მაჩვენა.

— ეს ჩემმა ძმამ, პაატამ და ჩვენმა ახლობელმა, ნოდარ ბიწაძემ ამათაც თავის სიცოცხლეში პირველად, უფლის შეწევნით შეძლეს. ალბათ ხარებსაც შემოგვწირავს ვინმე, თუმცა აქედან გელათის ტაძრამდე ჯვარცმა მანქანით იმგზავრებს, ცხრა ეკლესიას მოივლის — ჯერ აქ, სოფელში, წმინდა გიორგის ტაძარს, რომელიც იმ დღეს ამოქმედდება და იქნება მასობრივი ჯვრისწერა, შემდეგ კაცხის ტაძარს, გელათს, საიდანაც უკვე ურმით გაუყვება თბილისის გზას. მოინახულებს უბისის, რუისისა და ურბნისის ტაძრებს, მცხეთის ჯვარს, სვეტიცხოველს, სამთავროს დედათა მონასტერს, სიონის საკათედრო ტაძარსა და სამების ტაძარს...

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა ამას წინათ ნახა ეს ჯვარცმა, მაგრამ საბოლოო ადგილის მოსაძებნად ჯერ პატრიარქის ნებართვაა საჭირო. მეც არა ვარ ჯერ მზად. აი, ხარები კი შეთვალიერებული მყავს, მაგრამ ჯერჯერობით მყიდველი არ ჩანს, თუმცა ის ხმა მკარნახობს, რომ ამ დღეებში ესეც მოგვარდება...

***რა დავამატო? ალბათ ის, რაც ისედაც თვალში საცემია. ქრისტე საქონლის სადგომში დაიბადა. ჯვარცმაც ყოფილ ბოსელში (ან ნაბოსლარში) გამოიკვეთა. მისი შემოქმედი ოცდაცამეტი წლისაა და ალბათ ესეც დიდი სიმბოლიკაა.***

P. S. ***ინტერვიუ დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. ამასობაში კი ჭიშკარს გარეთ იმდენი ხალხი მოგროვილიყო, მე და ფოტორეპორტიორმა ძლივს გამოვაღწიეთ ორღობიდან.***

*ვაჟა გავაშელი*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 20 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1250 |
| ევრო | 2,3966 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4495 |
| რუსული რუბლი | 0,0695 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5483 |


მედიკამენტების მომხმარებელთა საყურადღებოდ!

PSP
ფსფ

ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მედიკამენტების ხარისხზე!

www.shopge.com













შპს „გეოკორი" აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად



მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
☎: 33-26-75; 38-24-02

„ლონსტრონსის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141  შ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ასლგადამღები აპარატები
ევროპიდან და იაპონიიდან
აღდგენილი და ახალი
1. იჯარა - ლიზინგი
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

ქსეროასლები
შავ-თეთრი წითელი ლურჯი
2-დან 5 თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი ქსეროასლები
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
საარჩევნო პლაკატების და ბუკლეტების
კომპიუტერული დიზაინი
ფოტოების მხატვრული გაფორმება, ბეჭდვა ნივთებზე, „ნაკლეიკები" თქვენი ბავშვის ფოტოთი, ეტიკეტები, აკინძვა, ლამინირება
Web-დიზაინი

თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო" Company LTD

# ცხოვრებისეული კურიოზები

## იძულებითი მარათონი



სკოლის პერიოდში 6 ბიჭი შევიკრიბეთ და სოფლიდან ერთი კილომეტრის მოშორებით წავედით მეურნეობის ბლის მოსაპარად. ღამე იყო და ძებნაში ბიჭებს გავცდი, ბოლოს ვიპოვე ერთი ბლის ხე და ავხტი, ტოტი დავწიე და დავიწყე კრეფა. ვხედავ, ერთი ჩემი მეგობარი ჩემკენ იყურება და შეშინებული იძახის, ყარაულიო. ამ ხმაზე ისიც გაიქცა და ყველა უკან მიჰყვა. მეც შემეშინდა, ყარაული დაინახეს-მეთქი და გავიქეცი. მივრბივართ და მესმის, წინ რომელიღაცა იძახის, ვაიმე, მოგვდევსო და მოუმატეს, მაგრამ რა მოუმატეს სირბილს. მეც იძულებული გავხდი, უფრო ჩქარა მივყოლოდი წინ გაქცეულთ. სოფლამდე ხომ სირბილით ჩავედით, ლამის სოფელსაც ერთი წრე დავარტყით ყარაულის შიშით. ბოლოს რომელიღაცა წაიქცა. ზედ რომ დავადექი, მიცნო და დაიყვირა, ბიჭებო, შალვა ყოფილა, გაჩერდითო, თორემ ალბათ მთელი ღამე ვირბენდით.

*შალვა, თბილისი*

## სამაგალითო ბებია



ერთი ანცი მეგობარი მყავს, ხელმარცხიანს რომ ეძახიან, ისეთი. ბებია გაუშვა ლიკანში საგზურით, დასასვენებლად.

კომუნისტების დროს ბევრი წარმოუდგენელი რამ ხდებოდა და ლიკანში, იქ, სადაც ბებია ისვენებდა, „პაჩოტნი“ ფურცლებს აძლევდნენ (ვინც დაიმსახურებდა).

ბებია რომ დაბრუნდა თბილისში, შვილიშვილს „პაჩოტნი“ „ნადავლი“ დაუდო წინ:

— წაიკითხე, შე მაკვარანცხო, წაიკითხე... რავარი ბებია გყავს, როგორ სანიმუშოდ ისვენებდა და რა წესიერად იქცეოდა. შენ ვის გავხარ, ვის, შე უდღეურო?

შვილიშვილმა კითხვა დაიწყო: „ეს სიგელი ეძლევა ქალბატონ „№“-ს ორი კვირის განმავლობაში საუკეთესო ყოფაქცევისათვის“ — ადმინისტრაცია.

— დიდი ამბავი. ახლა, 87 წლის ქალი „რაგატკით“ რო არ ჩაამტვრევდი ფანჯრებს, მაგის იმედი კი მქონდა! — შეიფერა შვილიშვილმა.

*მურმან მერკველიშვილი, თბილისი*

## — დანარჩენს მე მივხედავო!..



მეზობელმა მეზობელს სთხოვა ღორი დამიკოდეო. ერთ დღეს დამკოდავს არ ეცალა, მეორე დღეს რომ მიდიოდა, შეხვდა გზაზე ეს მეზობელი და ეუბნება, რა ვქნა, ძამა, დღეს მე არ მცალია, ხვალ მოდიო. — ხვალ მე არ მცალია, ძამაო, — უთხრა დამკოდავმა. მერე ზეგ შენ არ გეცლება. მაგას ის მირჩევნია, მივალ შენთან, შენმა ცოლმა მარტო ფეხები გამიშალოს და დანარჩენს მე მივხედავო.

— რაიო! — შენმა ცოლმა ფეხები გამიშალოსო? — ვის ეუბნები შენ მაგას! — გადაირია ღორის პატრონი. მოკლედ, იქ ამბავი ატყდა, რომ არა კიდევ ერთი ჩვენი მეზობელი ზურია თავდგირიძე, არავინ იცის, რა დატრიალდებოდა.

*ჯანსულ ბოჭორიშვილი, ქუთაისი*

## ვანოს ბიჭი

ჩემი ახლობელი ვანო თავისი პატარა ბიჭით ტრაბახობდა — ნიჭი აქვს, ნიჭი, დღე ისე არ გავა, რამე რომ არ მოიპაროსო!

— არა გრცხვენია, ვანო! ბალღს ქურდობას აჩვევ, უნდა დაღუპო, კაცო?! — შეედავნენ მეზობლები.

— რა უნდა დავღუპო, კაცო! — ძველი ქურდები დღეს ზოგი გენერალია, ზოგი ბიზნესმენი და ზოგიც პარლამენტარი, — მეც მინდა ჩემი შვილი მარაქაში გაერიოს!..

*ივანე შალუტაშვილი, ქარელი*

## ოპერატიული ინფორმაცია



ჩემი მეზობელი კოტე ცოლ-შვილით სტუმრად წავიდა ახლობლებთან მეზობელ სოფელში და თავისი სახლის რკინის კარზე საგულდაგულოდ მიკრული „ინფორმაცია“ დაუტოვა სტუდენტ ვაჟიშვილს, რომელიც იმ დღეებში თბილისიდან უნდა ჩამოსულიყო.

ბიჭი არ ჩამოვიდა. სამაგიეროდ, კოტე და მისი მეუღლე რომ დაბრუნდნენ, მთელი ბინა ამოტრიალებული დახვდათ. ქურდებს წასაღები ბევრი ვერაფერი უპოვიათ, მაგრამ მაინც ძლივს მოასულიერეს კოტეს გულწასული მეუღლე. პოლიციასაც შეატყობინეს და გამომძიებელი გულდასმით შეუდგა სამხილის ძებნას. გამომძიებელმა, რომელსაც ხელში რაღაც ფურცელი ეჭირა, სინანულით გადააქნია თავი. ფურცელზე შავით თეთრზე ეწერა: „ნიკო, ჩვენ სოფელში მივდივართ და ოთხი დღე შინ არ ვიქნებით. გასაღები „კოვრიკის“ ქვეშ არის. თუ ამ დღეებში ჩამოხვიდე, შენც ჩვენთან ამოდი. დედა“.

ყველაფერი ნათელი იყო...

## უნებლიე შეურაცხყოფა...

ერთ წელიწადს, ბოსლეველი თენგიზ კაპანაძის ოჯახმა ხორცკომბინატში ტახის ჩაბარება გადაწყვიტა. 250-კილოგრამიანი ღორი რის ვაი-ვაგლახით აიყვანეს სატვირთო მანქანაზე და აგვისტოს შუა რიცხვებში ე. წ. „ცხოველდამზადებას“ მიაკითხეს.

თურმე ნუ იტყვით და, სექტემბრის შუა რიცხვებამდე პირუტყვს აღარ იბარებდნენ. საგონებელში ჩავარდა თენგიზი, მაგრამ გამოსავალიც გამოძებნა. ზესტაფონის სატყეო მეურნეობის მაშინდელ მთავარ ინჟინერს, დიმიტრი საყვარელიძეს მიაკითხა და პროტექტორობა სთხოვა.

ბ-ნმა დიმიტრიმ მართლაც მოახერხა და ტახი თავის სახელზე ჩააბარა ერთი პირობით: საბუთებს ოფიციალურად სექტემბრის ბოლოს გააფორმებდნენ და ფულსაც მაშინ მიიღებდნენ. ბუნებრივია, თენგიზიც დათანხმდა.



მოვლენები ისე განვითარდა, რომ სატყეო მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბატონი დიმიტრი ხან ერთ ობიექტზე იყო, ხან მეორეზე და მთელი ორი თვე ისე გავიდა, თენგიზმა ვერაფრით ვერ მოიხელთა დიმიტრი. მით უმეტეს, არც თავად იყო მოცლილი — სატყეო მეურნეობაში მუშაობდა.

ოჯახშიც აღარ სჯეროდათ თენგიზის არგუმენტების, ყველას ეგონა, ფული აიღო და დახარჯაო.

როგორც იქნა, ერთ დღეს, სატყეო „ოფისში“ ბ-ნ დიმიტრის მოჰკრა თვალი და გახარებულმა ყველას გასაგონად წამოიყვირა: „ნიკოლაევიჩ, რაღამც თქვენ დაგინახეთ, აღარაფერს დავეძებ... ისე გამიხარდა, თუ გინდა ჩემი ღორი დამენახოს!“.

*დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი*

## ნოდარ დუმბაძის სხარტულები



* * *

ახალდაარსებული „ცისკრის“ რედაქტორის, ვახტანგ ჭელიძის კაბინეტში, ჟურნალის მომდევნო ნომრის მაკეტზე საუბრობდნენ. საქმით გართულ რედაქტორს დავიწყებია, თანამშრომლებისთვის დასხდომა შეეთავაზებინა. ნოდარ დუმბაძეს ველარ მოუთმენია და უთქვამს:

— ბატონო ვახტანგ! სანამ არ შემესობა აი ფეხები საჯდომში, არ დამსვამ?

* * *

ნოდარ დუმბაძეს, უკვე ძალიან ავად რომ იყო, არც მაშინ დაუკარგავს სიცოცხლის ხალისი. იმ პერიოდში პრესაში დაბეჭდილა: ყველამ მივბაძოთ ამხანაგ ჩერნენკოსო (საბჭოთა კავშირის მაშინდელ ხელმძღვანელს)!

— მე რაც შემიძლია, ვბაძავ, ძამა: ვერ დავდივარ, ვერ ვლაპარაკობ და ვერ ვსუნთქავ... — გასცინებია ნოდარს.

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



მიხოს ეუბნება შვილი:

— მამი, წუხელ სიზმარში ორი ლარი მაჩუქე.

— მიდი შენა, ეგ გაკვეთილი კარგა ისწავლე და ამაღამ 5-ლარიანსაც გაჩუქებ... სიზმარში!

*ვახტანგ ჯანეზაშვილი, თბილისი*



სვანი მივა აფთიაქში და პროვიზორს ეუბნება, — ჩქარა, 2 მილიონი პენიცილინი! ჩქარა, ჩქარა!..

— რა იყო, ასე სად გეჩქარება?

— კამაზის შოფერი არ იცდის, ჩქარა, — დამტვირთეო...

*ჯანსულ ბოჭორიშვილი, ქუთაისი*



მატარებლის კუპეში სხედან სვანი და მეგრელი. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ მეგრელი ეუბნება:

— მე ოთარი მქვია, თქვენ?

სვანი დაფიქრდა და უპასუხა:

— არა, მე არ მქვია ოთარი!



ერთი სვანი ეუბნება მეორეს:

— შენ თუ ნახე სიზმარი მაიმუნებსა და ზებრებზე?

— არა, არ მინახავს!

— ეეე! ნახე აუცილებლად, ისეთი კარგი სიზმარია, ბევრს იცინებ!..

*თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი.*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

## მილოცვა

ნაზი და გურამ დავითაშვილებს, უმშვენიერესი ოჯახის ლამაზ წყვილს, კარგ დედას და მამას, საუკეთესო ბებიას და პაპას – შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილი ვულოცავთ დაბადების 70-ე წლისთავს.



ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერებას. თქვენი იმედი დღემდე გვაქვს და კვლავაც გვექნება. მუდამ გვემაყებით. იხარეთ შთამომავლების სიმრავლით.

*მერცია და ციცია*

## მადლობა

არ ვიცი, როგორ აღვწერო ის მადლიერების გრძნობა, რომელიც 20 ივნისს განვიცადე... მქონდა კატარაქტა. ოპერაციის გაკეთების არავითარი საშუალება არ გამაჩნდა. მართალია, მოვხვდი „ჰუმანიტარულ პროგრამაში“, მაგრამ ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ გექცევიან კლინიკაში (ჩვენ ხომ გადავეჩვიეთ ყოველგვარ თბილ და კეთილშობილურ დამოკიდებულებას). მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო თსსკ ცენტრალური კლინიკის ექიმებს – **მალხაზ ჩიქოვანსა და ქეთევან ტყებუჩავას** ოქროს ხელებისა და კეთილი გულისათვის; ვუსურვო მათ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, ადამიანთა იმედად და სასიკეთოდ.

*მადლიერი პაციენტი მადლენა ჩიჩუა*

## ბინები

იყიდება 3-ოთახიანი ბინა სანზონაში მიშენებით, 7(8), სარდაფით, ს/ფ-ით, ჩაშენებული კარადებით, გამოცვლილი პარკეტით, ბ/არით. ლიფტი მუშაობს. ფასი $1500. ტელ: 61-07-96; 877 49-47-83

ქირავდება საუკეთესო კომერციული ფართი – 75 კვმ, 2 დიდი ვიტრინით, ჟალუზებით, სვ. წერტილით, საწყობით. მის: თამარ მეფის №14 (სადგურის ქუჩა). ტელ: 899 500-559

## მუშაობა საზღვარგარეთ

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

პირველად საქართველოში – ფინანსური დამოუკიდებლობა! საერთაშორისო ბიზნესცენტრი გთავაზობთ ბიზნესის განვითარებას ამიერკავკასიაში. არის რამდენიმე შესაძლებლობა. გვესაჭიროება პარტნიორები – როგორც თბილისიდან, ასევე სხვა ქალაქებიდან. რისკის ფაქტორი გამორიცხულია. ტელ: 877 71-69-35. მერაბი; 37-86-15. ფარვიზი

Деловому центру требуются сотрудники с высшим образованием на административно-кадровую работу. Т: 34-96-04 (9-16ч.)

## მომსახურება

ვარ პედაგოგ-ფსიქოლოგი. აღსაზრდელად ავიყვან ბავშვს 3-დან 6 წლამდე. გათვალისწინებულია გონების გასავითარებელი თამაშები; მეცადინეობები ქართულში, რუსულში, ინგლისურში, მუსიკაში; გასეირნება. ფასი $60. ტელ: 96-37-49

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები“! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: გაგარინის ქ. №10, მე-2 სად, ბინა №17. ტელ: 37-77-58; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

გთავაზობთ სხეულის ნებისმიერი ადგილის კორექციას. ცხიმების სწრაფ დაშლას, წონაში დაკლებას თვეში 7-დან 20 კგ-მდე, შიმშილის გარეშე; ასევე სიმაღლეში სწრაფ ზრდას, თვეში 3-4 სმ-ით, 2-დან 25 წლამდე. შედეგები გარანტირებულია. მის: მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმია“, I სართ, ოთახი №6. ტელ: 98-86-19; 893 90-15-52. კონსულტანტი ნინო

სხეულის კორექცია უნიკალური მცენარეული, არაჰორმონული საშუალებებით: წონაში დაკლება დიეტისა და შიმშილის გარეშე, იაფად და ეფექტურად; ორგანიზმის გაწმენდა, იმუნური სისტემის აღდგენა, ნივთიერებათა ცვლისა და ნერვული ფონის მოწესრიგების ხარჯზე; სიმაღლეში ზრდა, თვეში 5-10 სმ-ით, გოგონებისა და ვაჟებისათვის – 25 წლამდე. ტელ: 95-33-47; 899 99-14-95

ჭარბთმიანობისაგან განკურნება მხოლოდ ერთხელ გაკეთებული ეპილაციის შედეგად. ასეთი აპარატურით ვმუშაობთ მხოლოდ ჩვენ! შედეგის არქონის შემთხვევაში (რაც არ ხდება), გადახდილი თანხა დაგიბრუნდებათ. ჩირქოვანი გამონაყარისგანაც განიკურნებით ასეთივე გარანტიით. მიღება თბილისში და ქუთაისში. ტელ: 893 31-05-49. ლალი

კაბინეტი პრეტენზიული ქალებისათვის!!! თმის მოცილება მცენარეული ნაყენით, რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მცენარეების სამეცნიერო კვლევის დარგში, დოცენტის ხელმძღვანელობით. მის: მ. „მარჯანიშვილი“, აღმაშენებლის №113 (შესასვლელი თაღიდან). კაბინეტი №55. ტელ: 95-83-54. ნანა, ინგა

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. მჭედლიძე

საავეჯო კომბინატ „განთიადში“ ფუნქციონირებს საამქრო, რომელიც გთავაზობთ: ძველი ავეჯის რესტავრაციას იტალიური ტექნოლოგიით; ახალი ავეჯის და ხის სხვა ნაკეთობათა კოსმეტიკურ დამუშავებას, იტალიური და ფრანგული ლაქ-საღებავებით. შესაძლებელია ადგილზე მომსახურებაც. ტელ. 899-25-55-69

## მკურნალობა

სმენის აღდგენა აპარატისა და ოპერაციის გარეშე. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ვმკურნალობ სხვადასხვა დაავადებასაც. მის: აღმაშენებლის გამზ. № 115 (ეზოს ბოლოში), კაბ. № 77. ლევან სეხნიაშვილი. მიღება 9-14 სთ. ტელ: 95-83-54; 53-44-39; 899 97-85-46

უცხოური უახლესი მეთოდებით, უცხოური აპარატურით, ტრენაჟორებით და ჩინური ნემსებით, ყველა ასაკში სწრაფი შედეგებით – სრული გარანტიით აღვადგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ლოგონევროზს, ნევროზს, ფსიქოლოგიურ აშლილობებს, ენაჩლუნგობას (თლიფინებს), პარეზებს, დცპ-ს – თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, თსუ-ის ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი ქ-ნი ინა კომახიძე. მიღება წინასწარი ჩაწერით: 899 55-05-75

უსწრაფესი ეფექტით!!! ვმკურნალობთ ნერვის ანთებას, რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, დისკოზს (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებებს (ანთება, მარილების დაგროვება), პოდაგრას, მიოზიტს. მკურნალობის მეთოდი კომპლექსურია, კონსულტაცია-გასინჯვა – უფასო. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან“, ც. დადიანის №87), კაბ. №11, 16-19 სთ. ტ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

ვმკურნალობთ უახლესი მეთოდებით მეტყველების დარღვევებს, ენაბლუობას (ლოგონევროზი), ენაჩლუნგობას, ალალიას, აფაზიას. რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრი, ლოგოპედიური განყოფილება. მის: ვაჟა-ფშაველას 18ª. ტელ: 39-01-12 (სამს.); 23-12-89 (ბინა). ლომთათიძე ლალი

## სწავლა

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების, ფინანსებისა და სამართლის ქართულ-ბრიტანული ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე: ეკონომიკური, იურიდიული, ჟურნალისტიკა, უცხო ენები, და კომპიუტერული ტექნოლოგიები. წლიური გადასახადი – $150. მის: შარტავას №7 (შრომის სასახლე), მე-15 სართ. ტელ: 38-76-52; 899 57-19-44; 590-590

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 150 ლარიდან. მის: თოფურიას №12, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 30-51-30; 32-06-97; 32-82-60

გრძელდება მიღება კოსმეტიკის შემსწავლელ კურსებზე, ქართულ და რუსულ ენებზე. შეისწავლება სახის კანის დეფექტები, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ლოსიონები, ნიღბები, საპნები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის. ც. დადიანის №26 (ყოფილი ოქტომბრის). მ. „ვაგზლის მოედანთან“. ტ: 66-53-56; 893-33-09-66

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

გამოცდილი ფიზიკა-მათემატიკოსები მოვამზადებთ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკურ საგნებში ან დავეხმარებით ყველა საგნის მომზადებაში მაღალი ნიშნის გარანტიით. ტ: 39-08-42

შეგასწავლით ბუღალტრულ აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტებით. საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობას. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს „ორის ბუღალტერია“, „ინფო ბუღალტერი“, კურსდამთავრებულებს ერთი წლის მანძილზე გაეწევათ პრაქტიკული დახმარება. ფასი ჯგუფში 70 დოლარი. ინდივიდუალურად – $250. ტ: 33-30-88; 899-78-24-96.

პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი და კოლეჯი აგრძელებს მიღებას ფაკულტეტებზე: 1. პროგრამირება; 2. კომპიუტერული მეცნიერებანი (კომპიუტერული გრაფიკა, ქსელის ადმინისტრირება); 3. ბიზნესინფორმაციის მართვის სისტემები; 4. საზოგადოებრივი ურთიერთობები (PR); 5. უცხო ენები (ტექნიკური თარგმნა; ინგლისური ენა და ლიტერატურა). მის: ქეთევან წამებულის №25 (მ. „ავლაბარი“). ტელ: 77-44-56

გეპატიჟებათ სამედიცინო ინგლისური ენის ცენტრი სერტიფიკატის გაცემით. ისწავლება ზოგადი ინგლისური ენაც დამწყებთათვის. მის: შრომის სასახლე, XII სართ. ტელ: 96-13-90

„ელიტას-სკ“-ს კომპიუტერული პერსონალური კურსი – შეგასწავლით პროგრამებს: WINDOWS XP, WORD (EXCELL/PHOTOSHOP) და ინტერნეტი. ცოდნის მიღება გარანტირებულია. მის: ქავთარაძის №12. ტელ: 30-39-20

## იყიდება

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართავით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მამაკაცთა საპარიკმახერო, 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.



აქცია ძალაშია პროკრედიტ ბანკის ყველა ფილიალსა და განყოფილებაში 2003 წლის 15 დეკემბრამდე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პროკრედიტ ბანკს
მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, რომელიც 15 დეკემბრამდე გახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს გენერატორს.
დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს



ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 20-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
central@procreditbank.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
მცხეთის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
vake@procreditbank.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
saburtalo@procreditbank.ge

ვაგზლის განყოფილება
0112 თბილისი
თევდორე მღვდლის 3/32
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
stationsquare@procreditbank.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
წმინდა ნინოს ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
kutaisioutlet@procreditbank.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
თაბუკაშვილის ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
zugdidi@procreditbank.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09, 7-30-64
ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58
gori@procreditbank.ge

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
ჩოლოყაშვილის ქ. 3
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
marneuli@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ომარ ხიზანიშვილის ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
gldani@procreditbank.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
ჯავახეთის ქ. მე-2 ჩიხი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
varketili@procreditbank.ge

ლილოს განყოფილება
0115 თბილისი
კახეთის გზატკეცილი 112
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
lilo@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
kutaisi@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4
poti@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ლუკა ასათიანის ქ. 18
ტელ: (995 222) 7-24-20
ფაქსი: (995 222) 7-19-54
batumi@procreditbank.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 222) 7-74-19
ფაქსი: (995 222) 7-74-19
batumioutlet@procreditbank.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
kobuleti@procreditbank.ge

### გოგიტა თაგვიაშვილის გახსენება



18 სექტემბერს ერთი წელი შესრულდა იმ დაწყევლილი დღიდან. არადა, რა ლამაზად გქონდა მომავალი წარმოდგენილი... ყველას გული დაგვწყვიტა შენმა მოულოდნელმა წასვლამ. ძალიან განიცდის უშენობას შენი პატარა ნიკა. მას ხან ზეცაში ჰგონიხარ, ხან კი საწოლის ქვეშ დაგეძებს. ძალიან უყვარს ის ადამიანები, ვინც შენ გიყვარდა. კაცურად ამბობს შენს სადღეგრძელოს და სათუთად გინთებს სანთელს.

დღე არ გავა, შენ რომ არ გახსენოთ, შენ ხომ ძალიან ახლობელი იყავი ჩვენი. უსაზღვრო სევდა და ტკივილი დაუტოვე შენი ოჯახის წევრებს. იმედი გქონდეს, სითბოს და სიყვარულს არ მოვაკლებთ შენს ნიკას, გავამხნევებთ შენი ოჯახის წევრებს. გჯეროდეს, არასოდეს დაგივიწყებთ.

ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა.

*შენი ნათლია თენგო და მარინა*

### ლადო გუბელაძის გახსენება



2 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. თვალცრემლიანი გილოცავთ 61 წლის შესრულებას. რაოდენ დიდი ტკივილია ჩვენთვის, როცა სასაფლაოზე უნდა მოგილოცოთ ეს თარიღი. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები, ჩვენო თბილო და ტკბილო მამავ, რამხელა სევდა, რამხელა გულისტკივილი დაგვიტოვე. საოცრად მოსიყვარულე გული გქონდა და ვაი, რომ სწორედ ამ გულმა გიმტყუნა.

ამბობენ, სიკვდილიც, პირველ რიგში, კარგებს ირჩევსო, ღმერთსაც — თავისთან რჩეულები მიჰყავსო. ასეთი იყავი შენ, მამა. შენ მხოლოდ თვალს მოაკლდი, თორემ გულებში ისევ ის კეთილი დარჩი. რამდენი სიკეთე ჩუმად გაგიკეთებია. შენისთანები როდი კვდებიან, შენ მხოლოდ გარდაიცვალე. ყველა კეთილად გიგონებს, ყველას ენანები.

გწამდეს, რომ შენი ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება. შენმა კეთილმა სულმა გამყოფოს სამოთხეში და ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა.

*შვილები: ლევანი, ლალი, ლადი*

### გივი ოზბეთელაშვილის გახსენება



ერთი წელი იწურება, გივი, ტკივილიანი წელი, რაც ჩვენთან აღარ ხარ. რა ხანმოკლე აღმოჩნდა შენთვის ეს წუთისოფელი და ამ მოკლე დროში რამდენი სიკეთე, სიყვარული და კაცობა დათესე ირგვლივ. შენ აღარ ხარ ჩვენთან, მაგრამ შენი სიცოცხლე გრძელდება შენს შვილებსა და შვილიშვილებში.

გაუსაძლისია ჩვენი ტკივილი. ძნელია, უყურო შენი მოხუცი დედის ჩამქრალ თვალებს და სანუგეშოდ არაფრის თქმა არ შეგეძლოს.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი სული, ჩვენ კი აქედან ვილოცებთ შენთვის.

*ოჯახი*

### ნანა პატაშურს!



უშენოდ მოვიდა ტკივილიანი შენი დაბადების დღე — 22 სექტემბერი. შვიდი წელია, ნატვრად ქცეული მოგონებებში გამქრალხარ. მხოლოდ 30 წელი, მარად ახალგაზრდობა — ასეთი იყო შენი ბედისწერა.

წახვედი ჩვენგან ისევე საიდუმლოდ, როგორი მესაიდუმლეც თვითონ იყავი; დატოვე სახელი ნამდვილი ქართველი ქალისა, რომელიც მხოლოდ სიკეთით და სიყვარულით სულდგმულობდა.

ტკივილამდე გვაკლიხარ, გვენატრები და ვლოცულობთ შენთვის.

*გუკა, ზუკა, კოჩა და მარად მწუხარე მშობლები*

ხალისით ველოდები იმქვეყნად გამგზავრებას და მიხარია, რომ ამ ტანჯულ ცხოვრებას აღარასოდეს დავუბრუნდები.

*შენით უბედური დედა*

### სოსო თარგამაძის მონატრება



19 სექტემბერი... ექვსი ცრემლიანი, ტკივილიანი და უნუგეშო თვე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო საყვარელო, თბილო, მზრუნველო, მონატრებულო მამიკო.

ექვსი თვე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, თვეები თვეებს მისდევს, დღეები — დღეებს, შენი წასვლით გამოწვეულ უდიდეს ტკივილს კი ვერაფრით ვიყუჩებთ. ამბობენ, — დრო მკურნალიაო, მაგრამ შენი დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას რომელი წამალი განკურნავს?!

ჩვენო ძვირფასო მამა, გვენატრება შენს შვილებს შენი მოფერება (შვილები ხომ მშობლისთვის ყოველთვის პატარები არიან!), შენი დარიგება, შენი ხმის გაგონება. შენ ხომ შენი სამი შვილისთვის ყველაფერი იყავი, მამიკო — დედაც და მამაც. შენ ხომ მარტომ დაგვზარდე. ჩვენმა ლამაზმა დედამ — მედეა ჩარუამ სამი შვილი (6, 5 და 2 წლისანი) დაგიტოვა. უკურნებელმა სენმა წაგვართვა დედის თავი და დაგვტოვა ობლად, შენს ფრთებს ქვეშ შეფარებული დაგვზარდე.

ერთმანეთზე მეტად გვენატრები სამივეს, გვენატრები ძალიან, ახლა კიდევ უფრო ძლიერად და უშენობით გაჩენილ სიცარიელეს ვერაფრით ვავსებთ.

გულს მხოლოდ იმით ვიმშვიდებთ, რომ შენს ნათელ და სპეტაკ სულს უფალი იქ დაუმკვიდრებს ადგილს, სადაც მართალნი განისვენებენ!

ყველას ძალიან გვენატრები!

*მონატრებული შვილები: ალიკო, მარინე, მადონა*

### მაყვალა ტოტოლაშვილი მღებრიშვილის გახსენება



ჩემო ძვირფასო დედა, ტანჯვით და ცრემლებით გავიდა 1 ტკივილიანი წელი. სასაფლაოზე მოგილოცეთ დაბადების დღე — 55 წელი.

შენს საყვარელ დასთან ლეილასთან ერთად, რომელსაც ძალიან უნდა ტკივილი შეემსუბუქოს, წელს პირველად მოვიდა 23 აგვისტო — ჩემი დაბადების დღე. გელოდებოდი, თითქოს შემოაღებდი ჩემი სახლის კარს. დედა, მარად იცოცხლებ, შენი 6 შვილიშვილის გულში.

*შენი შვილი მაიკო პაპიაშვილი ოჯახით*

ძვირფასო მაყვალა! 1 ტკივილიანი წელი გავიდა ჩვენი განშორებიდან. ამ 13 წლის მანძილზე იმდენი სიკეთე დათესე ჩემს გულში, ენით აუწერელი. შენ ჩემთვის რძლის დედა კი არა, უძვირფასესი მეგობარიც იყავი.

მსუბუქი იყოს შენს გულზე შინდისის მიწა.

*შენი მძახალი ნათელა პაპიაშვილი ოჯახით*

### ოთარ ელიზბარის ძე ჭანტურიას გახსენება



საყვარელო მამიკო, ჩვენო უსაზღვრო ტკივილო, თავზარდამცემი იყო ჩვენთვის, შენი შვილიშვილებისათვის, ნათესავებისა და მეგობრებისათვის შენი ამ ქვეყნიდან წასვლა.

25 სექტემბერს ერთი წელი სრულდება, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. უკეთილშობილესო, ალალმართალო, ულალატო, ოჯახის სიამაყევ, შვილების გაუყუჩებელო ტკივილო და დარდო, ძალიან გვენატრები, გვიყვარხარ და მუდამ გვეხსომები. ღმერთმა აცხონოს შენი სული.

*შვილები*

### თაზო კალატოზის ხსოვნას!



24 სექტემბერს ორი წელი სრულდება იმ საშინელი და ტრაგიკული დღიდან, ორი წელია აღარ გვინახავს ცხადად შენი სიყვარულით და სითბოთი სავსე ღიმილიანი გამოხედვა.

სიკვდილს და სიცოცხლეს ხომ სიზმარი აერთიანებს, სიზმარში კი ჩვენთან ხარ, მაგრამ ვაი, რომ ეს ვერ ავსებს უშენობას. ძალიან, ძალიან გვენატრები და მოულოდნელად მოველით იმ დღეს, როცა ჩვენი სულებიც შენს სულთან მოვა და ერთად ვიქნებით მარადისობაში.

*შენი უბედური დედ-მამა*

### მარი რაზმაძის ხსოვნას!



ჯვართამაღლების დღესასწაულს გილოცავთ, მარი, თავზარდამცემი იყო შენი ტრაგიკული დაღუპვა, შენ მხოლოდ ერთი წელი იქცეოდი ჩვენ გვერდით. ძალიან გვიჭირდა უშენოდ პირველი სექტემბრის მოსვლა. რომ იცოდე, როგორ გვაკლიხარ და გვენატრები ყველას, უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. ამინ.

*თანაკლასელები*

### ეგრისი კირტავას ხსოვნას!



სევდით და ტკივილით, საოცარი მონატრების განცდით 27 სექტემბერს სრულდება ხუთი წელი. გადის დრო და ეს უფრო მძაფრად აღვიძებს მონატრებას. მიჭირს ვილაპარაკო წარსულ დროში ისეთ საოცრად გულთბილ და მოსიყვარულე ადამიანზე, როგორიც შენ იყავი, ჩემო ეგრისი!

სიცოცხლის მოყვარული წამში იქეცი მარადისობად. შენ ის ლამაზი სიზმარი ხარ, რომლის დასრულებაც არ მინდა, რომლის ცხადში უსასრულოდ გაგრძელებასაც ვოცნებობ. ძნელია უშენობასთან შეგუება, ჩემო ეგრისი, ყველას გულში დიდი ტკივილი დაგვიტოვე.

რა ხანმოკლე დრო გვერგო ერთად ყოფნისა და ბედნიერებისათვის, თუმცა ხანმოკლე, მაგრამ დიდი სიყვარულით უკვდავების ტოლფასი. გპირდები, რომ მუდამ ვილოცებ შენი სულის სიმშვიდისათვის, არ მოგაკლებ ცრემლებს, სანთელს და ყვავილებს.

ღმერთმა გაცხონოს და ნათელში ამყოფოს შენი სული.

*სამარადისო ხსოვნით შენი მეუღლე*

### იაშა ვარდოსანიძის გახსენება



40 ტკივილიანი დღე გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ბაბუ! თვალს ველარ ვუსწორებთ შენგან ცალად დარჩენილ ბებიას. შენ ხომ ეს ცხოვრება მუხლჩაუხრელ შრომაში კაცურად გალიე. ალალმართალი იყავი ბაბუ, თბილი და კეთილი. დააკლდა ოჯახს შენი გამრჯე მარჯვენა, შენი ზღვისფერი თვალების სითბო. ღმერთს ვთხოვთ, სამოთხეში დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი, ჩვენი დანთებული წმინდა სანთელი განათებდეს და გიმშვიდებდეს სულს.

*შენი შვილიშვილები: მაკა, ინგა, რამაზ ჭუმბურიძეები*

### შოთა ქადაგიშვილის გახსენება



20 სექტემბერს მიიწურა ცრემლიანი 7 წელი, სიხარულის მაგივრად მწარედ ამატირე სექტემბერში.

ვაჟკაცი იყავი და სიკვდილსაც ვაჟკაცურად, ფეხზე ამდგარი შეხვდი. ლამაზად იცხოვრე და მე დიდი სიყვარული დამიტოვე.

გჯეროდეს, ჩემთვის ლამაზ სიყვარულად დარჩები.

შენ ნათელში ხარ, სულ აგინთებ სანთლებს და შენი სულისთვის ვილოცებ.

*შენი მეუღლე ეთერი*

### სანდრო ცეცვაძის მონატრება



4 წელი გაილია, სანდრო, შვილო, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. გვენატრება შენი დანახვა, შენი ხმის გაგონება, შენი ღიმილიანი სახე. ჩვენო კეთილო, ალალი გულის პატრონო, შენ ხომ ყველასთვის სიკეთე გინდოდა. უშენობა შენი დედ-მამისათვის დიდი ტკივილია.

შენი დედა და მამა ყოველთვის აგინთებენ წმინდა სანთელს და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის, რომ ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*დედა და მამა*

### თათია ჩახუნაშვილის გახსენება



თუკი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფლად, ეს სიკვდილია, მოულოდნელი და თავზარდამცემი ტრაგედია.

სწორედ ასეთ ტრაგიკულ დღედ იქცა ჩვენთვის 16 აგვისტო, შენი გარდაცვალების დღე, ჩვენო მშვენიერო და უსაყვარლესო მეგობარო თათია.

უკვე 40 დღე გადის, რაც ჩვენთან აღარ ხარ, თათი. უსიხარულოდ მოვიდა უშენოდ პირველი სექტემბერი. დაპირება შევისრულეთ და შენს საფლავთან გავატარეთ სხვა დროს სიხარულის მომტანი დღე. ყოველ წუთს გვახსოვხარ, გვიყვარხარ, გვენატრები, არასოდეს დაგივიწყებთ შენი თანაკლასელები.

გეთხოვებით და ვფიქრობთ, სიკვდილი ყოველთვის დასასრულს როდი ნიშნავს.

*ქ. ვანის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-11 კლასელები, კლასის ხელმძღვანელი ეთერ ფოფხაძე*

### ვახო ეხვაიას მარადიული არდავიწყება



24 სექტემბერს წელიწადი სრულდება, რაც განშორდი ამქვეყნიურ სამყოფელს. ცხოვრება უშენოდ გრძელდება... ჩვენთვის ნუგეშად მხოლოდ მოგონებაღა რჩება. ისევ ისე გვიყვარხარ, გვენატრები. შენი რჩევა, გამჭრიახი ხედვა დაგვაკლდა ყველას. რა ბედნიერები ვიყავით, შენ რომ გვყავდი — ძლიერი, უშიშარი ადამიანი, გწამდა სიმართლე, რომელიც სიცოცხლეზე მეტად გიღირდა. ზნეობისთვის მებრძოლი უსამართლობაში სიმართლის აღდგენას ლამობდი, ბევრს ივრდომებდი, ბევრს მფარველობდი, ბევრსაც რისხავდი. სჯეროდათ კაცისა, რომლისთვისაც სინდისი იყო უმაღლესი მსაჯული. უშიშარი იყავი და მარადისობაშიც უშიშრად გადახვედი.

შენს სახელს ჩვენგან დავიწყება არ უწერია. ჩვენს ხსოვნაში მარად ახალგაზრდა, მოსიყვარულე ვახოდ დარჩები, რომელიც ყოველთვის გვერდში გვედექი და ჩვენი დიდი იმედი იყავი. საოცრად ტევადია ქართული სიტყვა — გარდაიცვალა.

ვახო გარდაიცვალა, წარმავალი ცხოვრება საუკუნოდ იცვალა. ნათელში იყავ, მარად ჩვენო გამორჩეულო, კეთილო ძმაო ვახო. მიიღე ეს მცირე სიტყვა, როგორც მკვდარ ძმაზე დის ნატირალი.

*შენი დაიკო — დეიდაშვილი მაია.*

### ხვიჩა ბათირაშვილის მონატრება



24 სექტემბერს 33 წელი შეგისრულდებოდა. ოთხი თვე შესრულდება იმ ავადსახსენებელი 27 მაისიდან გაუნელებელ ცრემლსა და მწუხარებაში, რაც ვარკეთილს შავი ღრუბელივით გადაუარა შენი დაღუპვის ამბავმა.

დედის გაუყუჩებელო ტკივილო და შეუმშრალებელო ცრემლო, ჩემო ტანჯვა-წამებაში გაზრდილო ხვიჩა, შვილო. თავზარდამცემი და მოულოდნელი იყო შენი წასვლა ამ ქვეყნიდან. ულმობელი ყოფილა ეს წუთისოფელი. ენატრები დედას, რომლისთვისაც მოურჩენელი ტკივილი ხარ; მეუღლეს, რომელსაც დაუტოვე დარდი, სევდა, ცრემლი და ორი პატარა შვილი — ირაკლი და დათო, რომლებიც უშენოდ დაიზრდებიან. ენატრები ძმას, რომელიც შენი გაზრდილი იყო და ძალიან უყვარხარ. ვინ იცის, რას ფიქრობდი იმ უკანასკნელ წამებში, ვის უხმობდი საშველად და რა იყო შენი უკანასკნელი სიტყვები, როცა დუშეთის გზაზე გულმა ველარ გაგიძლო და ტრაგიკული შემთხვევით დასრულდა შენი ხანმოკლე სიცოცხლე.

ყველაფერმა აზრი დაკარგა, სრულიად გამანადგურა უშენობამ. მალე მეც მოვალ შენთან, ჩემო სიცოცხლევ. მანამდე კი ვილოცებ შენთვის, რათა დედის ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სამუდამო სასუფეველი. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩემო კეთილო და ლამაზი შვილო ხვიჩა.

*შენი მრავალტანჯული დედა*

27 სექტემბერს ოთხი თვე გახდება, რაც შენ დაგვტოვე. დაგვიტოვე ძალიან დიდი სევდა, გულისტკივილი. ხვიჩა, ძმაო, შენი დაღუპვა ძალიან დიდი ტრაგედია იყო ჩვენი ოჯახისთვის, უპირველესად ჩვენი დედიკოსათვის, შენი ცოლ-შვილისთვის და ჩემთვის. მივჩერებივარ შენს მოღიმარ სახეს სურათზე და თვალზე ცრემლი მადგება, მინდა, რომ კიდევ ერთხელ მითხრა „შენ ჩემი გაზრდილი ხარ“, „შენს თავს ვფიცავარ“... მაგრამ ვიცი, რომ ეს შეუძლებელია და გული მტკივა. რატომ დატოვე ისედაც უბედური დედა ჩემს იმედად?! რატომ გააუბედურე სამუდამოდ, სიცოცხლის ბოლომდე?! დედა მოდის შენს საფლავზე, ტირის და შემდეგ სახლში ბრუნდება გულდაკოდილი. ხვიჩა, გპირდები, გავუმაგრებ დედას გულის იმ ნაწილს, რომელიც შენმა დაღუპვამ დაუნგრია. ყველაზე საწყენი კი ის არის, რომ შენ იმ გზაზე დაასრულე სიცოცხლე, სადაც ძალიან გიყვარდა გავლა. მამის სამშობლოდან წამოსულმა, დედის სამშობლოში პოვე სიკვდილი. ნეტავ რა მოხდა იმ ღამეს, რამ დაგიხუჭა თვალები, რამ გაგიჩერა ეგ კეთილი გული? პასუხი მხოლოდ შენ იცი. სულ ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

*შენი ძმა გოგიტა*

### დათო ალლაძის მონატრება



მესამე შავბნელი 22 სექტემბერი მოუვიდა დედაშენს, ჩემო სიცოცხლევ! ძალიან გაგვიჭირდა უშენოდ, შვილო, სულ შენ გარშემო ტრიალებს ჩემი ფიქრები. როგორ უცბად წამართვა უხილავმა მტერმა შენი თავი... ყოველ წუთს შენს ლანდს ვხედავ, ვხედავ შენს ნათიფურებს წიგნებზე თუ სხვაგან.

იზრდებიან შენი დაობლებული გოგოები და ახლა უფრო მეტად სჭირდებათ შენი მზრუნველი ხელი. რამ უნდა მომიშუშოს შენი არყოფნის სევდა? არა, შვილო, დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი. ენატრები შენ ცოლ-შვილს, მოხუც მამას, დასა და დისშვილებს.

სამი წელი გავიდა, სამი ტკივილიანი წელი შენი წასვლიდან და ერთი წუთითაც არ განელებულა ჩემს გულში ის სიმწარე, რაც შენმა დაკარგვამ მოგვიტანა. ცრემლიანი და ტკივილიანი სიბერე მარგუნა ბედმა.

23 ოქტომბერს 51 წელი გისრულდება, ჩემო ვაჟკაცო. იძინე ტკბილად, მთელი ჩემი სიცოცხლე ერთგულ დარაჯად ვდგევარ შენს ცოლ-შვილს.

ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი სული.

*ოჯახი*

### ბორის კიკიანის ხსოვნას!



ჩვენო ძვირფასო ბორის! გუშინ 72 წელი შეგისრულდა. ეს პირველი დაბადების დღე იყო, რომელიც უშენოდ ავღნიშნეთ. შენი ოჯახის წევრები და მეგობრები გიხსენებდით, ვიხსენებდით შენს ნათქვამს, შენს საქციელს. ცრემლიც მოგვერია და ზოგ რამეზე გაგვეცინა კიდეც. შენ ეს არ გეწყინება. შენ ხომ გინდა, რომ ჩვენ ნაკლები ტკივილით ვიცხოვროთ, ალბათ ამიტომ არის, რომ სულ მხიარული გვესიზმრები, თითქოს გინდა გვითხრა, რომ შენი სული მშვიდად არის. გვჯერა, ასეც იქნება. შენ ხომ ამქვეყნიური, მიწიერი ცხოვრებით დაიმსახურე იმქვეყნიური სიმშვიდე და ნათელი. ამ რწმენით ვაგრძელებთ ცხოვრებას უშენოდ. იზრდებიან შვილიშვილები, რომლებსაც შენი ცხოვრება და მოღვაწეობა ექნებათ სამაგალითოდ.

*ოჯახის წევრები*

### ზურაბ ალექსანდრეს ძე მჭედლიძის გახსენება



ჩემო მამიკო, დიდი ცრემლი და გულისტკივილი დაგვიტოვე გულში შენს საყვარელ ოჯახს, შვილებს და შვილიშვილებს. ჩემო თბილო და საყვარელო მამიკო, გეფერები შორი გზიდან. ვწუხვარ, რომ ვერ დავესწარი შენს გამოსვენებას და იმ მწარე წუთებში, როცა სული ამოგდიოდა, შენ გვერდით არ ვიყავი. ჩემო თბილო და საყვარელო მამიკო, 22 სექტემბერს შეგისრულდა 40 დღე, რაც დატოვე ეს ქვეყანა და დატოვე დიდი სიყვარული და გულისტკივილი 55 წლის ასაკში — არა მარტო ჩვენს გულებში, არამედ შენი ნაცნობების, ნათესავების, მეგობრების, განსაკუთრებით შენი ოჯახისა და შვილების გულებში. არასოდეს დაგვავიწყდები და მოგიხსენიებთ ყოველთვის კარგად. შენ მუდამ გამორჩეული იყავი შენი სიკეთით და სათნოებით. მსუბუქი იყოს შენთვის ბოსლევის მიწა.

*შენი შვილი შორენა მჭედლიძე*

### გია ტალიაშვილის (ტარასიჩი) ხსოვნას!



ო, რა ულმობელი და მკაცრია წუთისოფელი. სიკვდილიც კი რჩეულებზე ნადირობს თურმე...

მოულოდნელი იყო და თავზარდამცემი: აღარ არის გია ტალიაშვილი! მეხი ხომ სწორედ მუხას ეცემა პირველად, უფალიც იმას მოუხმობს თავისთან, ვინც გამორჩევით უყვარს ძალიან. ჩემო ერთადერთო, საფიცარო ძმაო, შენი ლამაზი სული ზეციურ საქართველოში გადასახლდა. სწორედ მაშინ შემოგაღამდა შუა გზაზე, როცა ამომავალი მზის პირველი სხივები შორით გამოჩნდა. სანთლად ენთე და სანთელივით ჩაიფერფლე, კაცი იყავი და კაცურად იცხოვრე, წმინდა იყავი და ღვთისმშობელმა, განგებამ ალბათ იმიტომ გიხმო.

გია! თავზე ჩამოგვემხო ზეცა — ავადსახსენებელი 28 სექტემბერი გაათენა და შენი სპეტაკი შუბლი მოგვანატრა. მძიმეა, ძმაო, ოჯახის მწუხარება! გულსაკლავად გმინავს შენი მეუღლე ქეთინო, სიმწრით ღმუიან დედა და მამა, იცრემლებიან შენი პატარა ლიკა და მარიამი, — ფრთამოტეხილი დაგვტოვა მამამ და მისი სული ზეცაში ამაღლდაო, მაგრამ ვაი, რომ ვერაფერი შეავსებს სიცარიელეს, შენი წასვლის შემდეგ დარჩენილს. ვაი, რომ ვერავითარი ცრემლი, გოდება ვერ შეამსუბუქებს ამ მძიმე დასასრულს, მაგრამ სამაგიეროდ ვერც ვერავითარი სიკვდილი ვერ ჩააქრობს სულის იმ სანთელს, რომელიც შენ აგინთია ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. ბედნიერი ხარ, რადგან სიავით და სიავკაცით კი არა, სიყვარულით ხარ დამარცხებული. მე მჯერა, მარადიულ სასუფეველში სანთლად მიუხვალ ყველა წინაპარს.

*„წმინდა გიორგი, საქართველოს ნათლის მხედარი, ფერისცვალების მაღალ მთაზე დაგიდგამს კარავს“.*

ნაზად ვესათუთები შენს აჩრდილს — და ხმამაღლა გეტყვი: შენი დისშვილი თეა სესიტაშვილი ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. რომ მპირდებოდი, მაღარიჩი მე უნდა გადავუხადოო, გელოდები დარდით და სევდით. წვეულება არც მე გადამიხდია, რადგან ჩემს გულში სიცარიელეა. გიორგის ჰპირდებოდი: ცხოვრების დიდ გზაზე მეგზურად გაგყვები, იმედს, სითბოს, საკმეველივით აგინთებო... მაგრამ ვაი, რომ არ დაგცალდა.

ჩემო ლამაზო ძამიკო, შენს გაუბედურებულ დედ-მამას, ცოლ-შვილს შეძლებისდაგვარად მე მივხედავ. შენი პატარები ხშირად ამბობენ: მამა რომ მოგვენატრება, მამიდას — მამას დავუძახებთ, გულში ჩავეხუტებით, თვალებს დავუკოცნით და მწარედ ავქვითინდებითო.

ისევ გრძელდება სიცოცხლე. კიდევ დაიზრდებიან ტალიაშვილები. შენი ჯიშის და შენი გენის გჯეროდეს, ათასი სანთლით გაგინათებთ გზას.

იყავით განათლებული უკუნითი — უკუნისამდე. მშვიდობით კაცო — სავსევ ქართულის პატიოსნებით. დაე, მსუბუქი იყოს შენთვის სათაყვანო მამულის მიწა.

*შენი და ნიაზი, სიძე დათო, დისშვილები გიორგი, თეა*

### ნათელა ალადაშვილის გახსენება



ჩემო საყვარელო დაო და მეგობარო, სიცოცხლისა და სილამაზის მოყვარულო ნათი, ძალიან მძიმეა უშენოდ ყოფნა, დაგვიტოვე დიდი სიცარიელე, მოუშუშებელი იარა, ჩვენი გამწარებული დედისთვის. შენ ყველა ახლობლისთვის საიმედო დასაყრდენი, სასურველი სტუმარი და მხიარული მასპინძელი იყავი.

შენს დაბადების დღეს სიცოცხლეშივე გახსენების დღე უწოდე. განსაკუთრებულად ლამაზად ხვდებოდი ამ დღეს, სიყვარულით ავსებდი ყველას გარშემო.

დღეს უშენოდ შეიკრიბნენ შენი ახლობლები და მეგობრები. გიხსენებთ ისევ ისეთ ლამაზსა და მხიარულს, როგორიც იყავ. შენ ხომ სიცოცხლეშივე მოემზადე სამუდამო სამყოფელში შესასვლელად და ჩვენც მხოლოდ შენზე ლოცვით ვინუგეშებთ თავს და ვიცით, რომ ყოველთვის ჩვენთან იქნები.

*ყუყუნა ალადაშვილი ოჯახით*



# სასჯელი საფლავის შეურაცხყოფისთვის

*ბატონი ლერი 43 წლისაა. ნაჯაფი, სევდიანი. რედაქციაში მეწვია და მთხოვა, ერთი უცნაური ამბავი უნდა გიამბოთ და დამიბეჭდეთ, რადგან მინდა, მკითხველმა ყურად იღოს და გაითვალისწინოსო. რაც მისგან მოვისმინე, მართლაც სულის შემძვრელი აღმოჩნდა:*

— მე და ჩემი ცოლი 17 წელი ამაოდ ველოდით შვილის შეძენას, — დაიწყო ბატონმა ლერიმ, — ბოლოს, ბავშვის აყვანა გადავწყვიტეთ. იმ დღიდან არ გასულა დიდი დრო, რომ ცოლმა მითხრა, — გამხელისაც მეშინია, მაგრამ ფეხმძიმედ უნდა ვიყოო!..

1998 წლის დასაწყისში ნანატრი შვილი, თანაც ბიჭი, მანუჩარი, შეგვეძინა. დავიფიცე, ყოველ წელიწადს, ბიჭის სახელზე, ცხვარს შევწირავ ეკლესიას-მეთქი. ასეც ვიქცეოდი, ვიდრე ეშმაკმა არ მაცდუნა.

ამ ორი წლის წინ, ჩემი ბიძაშვილის 4 წლის ბავშვი „ბატონებმა წაიყვანეს“. ბიძაშვილი ქალაქში ცხოვრობს. მაგრამ ბათუ სოფელში დაკრძალა. ყოველკვირა აკითხავდა საფლავს, მეც მივდიოდი ხოლმე, ვპატრონობდი... საფლავზე სათამაშოებით სავსე რკინის კარადა იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი ნანატრი შვილი მყავდა, ხელმოკლეობის გამო ვერ ვანებივრებდი. აქ ყველაფერი იკარგება, ჩემს შვილს კი ესენი თვალით არ უნახავს. რა იქნება, თუ ერთ ბურთს ან მანქანას წავუღებ-მეთქი, — გავიფიქრე და ბურთი და ლამაზი მანქანა იმ ტომარაში ჩავჩურთე, რომლითაც ყანიდან ხბოსთვის მოთიბული ბალახი მომქონდა. წამოვედი და... ზურგი ამიწვა ვიღაცის დაჟინებულმა მზერამ. თუმცა სინდისი მქენჯნიდა, ვერც მივბრუნდი და ვერც მივიხედე უკან...

უეცრად სრულიად ვაკე ადგილზე, კენჭიც რომ არსად ეგდო, ფეხი გადამიბრუნდა, წავიქეცი, ვიღაცის საფლავის რკინის მოაჯირს მივასკდი თავით. სანამ გონს დავკარგავდი, მომელანდა: ბათუმ ჩემს მანუჩარს ხელი ჩაჰკიდა და ერთად აფრინდნენ ჰაერში...

თვალი რომ გავახილე, დავინახე, ტომრიდან გადმოგორებული ბურთი ისევ ბათუს საფლავის კართან ეგდო... შემეშინდა, კანკალმა ამიტანა, ტომარას ხელი დავავლე და გამოვიქეცი. მოპარული მანქანის დატოვება დამავიწყდა... მართლა დამავიწყდა... ტომარა ბოსლის კართან დავაგდე და რადგან თავს ცუდად ვგრძნობდი, დავწექი. ჩამძინებოდა. რომ გამეღვიძა, თავს ცოლი მადგა და ხელში ის ავბედითი სათამაშო ეჭირა, — ტომარაში ვნახე, სად იყიდეო.

მერჩია, მიწა გამსკდომოდა. ვერაფრით გავუბედე ცოლს სიმართლის თქმა. მაღაზიიდან ნისიად წამოვიღე, ბიჭის გახარება მინდოდა-მეთქი... მართლაც გაიხარა ჩემმა ბიჭმა, იმას მოუკვდეს სულწაწყმედილი მამა... ცოტა ხანში ისიც „ბატონებმა წაიყვანეს“... უგონოდ რომ იყო, მაშინაც ჩაბღუჯული ჰქონდა საფლავიდან აღებული მანქანა. გამორთმევა რომ დავუპირეთ, ატირდა და ბოდვა დაიწყო, ვიღაცას ეჩხუბებოდა: — ეს მამიკომ მე მიყიდა, მეტი არა მაქვს, შენ კი, ნახე რამდენი სათამაშო გაქვსო!..

მივხვდი, ჩემგან გაძარცული მიცვალებულის შურისძიებას ეწირებოდა ჩემი შვილი... გავიქეცი ქალაქში, თუ რამე დანაზოგი მქონდა, ვიყიდე სათამაშოები, მანუჩარის „ბატონებსაც მივართვი“, სასაფლაოზეც წავიღე, სანთლით ხელში დაჩოქილი პატიებას ვთხოვდი, მაგრამ... მაინც დაიღუპა ჩემი შვილი!..

ცოდვა მოძღვართან ვაღიარე...

ჩემს თავს ისევ მოახდინა სასწაული უფალმა — ჩემი 41 წლის ცოლი ისევ დაფეხმძიმდა. არ მინდა, ცოდვა დაუბადებელ ბავშვზეც გადავიდეს, მანუჩარის სიკვდილიც მეყოფა სასჯელად!.. ხელმრუდეებმა უნდა იცოდნენ, რომ საფლავის შეურაცხყოფისათვის სასტიკად დაისჯებიან!..

*სამწუხაროდ, ბოლო ხანს გახშირდა საფლავების შეურაცხყოფა და ძარცვა, ზემოთ მოთხრობილი ამბავი მაგალითი უნდა იყოს იმისა, თუ რა უმძიმეს ცოდვაში ვარდებიან ამ სიავის მქნელნი. არ შეიძლება მოპარული საფლავის ქვით ან მოაჯირით ბედნიერება იყიდოს ადამიანმა...*

*მახსენდება პირამიდებისა და ფარაონების სიმშვიდედარღვეული საფლავების მრისხანებაც, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში არაერთ ადამიანს დასტყდომია თავს.*

**ინგა ჯაყელი**

ჩვენ გვწერენ

# ალი ხიდზე

ერთი შეხედვით მხიარული ახალგაზრდა კაცი, რომელიც შემთხვევით გავიცანი, საკმაოდ უცნაური ხასიათისა აღმოჩნდა. შებინდებული იყო, ერთად მოგვიხდა გზის გარკვეული მონაკვეთის გავლა. გზად პატარა ხიდი უნდა გადაგვევლო. მან ცივი უარი განაცხადა — არავითარ შემთხვევაში, მზის ჩასვლის შემდეგ ხიდზე არ გადავალო. გამეღიმა. მან კი ნაწყენმა მითხრა:



— სიყმაწვილეში ხშირად მსმენია უფროსებისაგან, ღამით მდინარესთან გავლა საშიშიაო, მაგრამ გულთან ახლოს არ მიმქონდა მათი ნათქვამი. რას უნდა შევეშინებინე, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა... ერთხელ, მდინარეს მივუახლოვდი. კარგად იყო ჩამობნელებული. უცებ, ვხედავ, ქვემოდან ჩემი ბიძაშვილი ამოდის, ლამაზად დაუვარცხნია თმა, თითქოს საგანგებოდ, თეთრი კაბაც ჩაუცვამს და მიღიმის. ჩვენ გვერდ-გვერდ სახლებში ვცხოვრობდით და ყოვლდღე ერთად ვიყავით. ის კაბა არასოდეს მენახა მის ტანზე და ცოტა კი შევეჭვდი, მაგრამ განა რას გაიფიქრებ და გაითვალისწინებ კაცი ერთ წუთში! ამოვიდა, ხიდთან დადგა და დამიწყო ლოდინი. გაოცებულმა ავუჩქარე ნაბიჯს.

აქ რა გინდა, შინ რატომ არ ხარ-მეთქი, ვკითხე. ღიმილით მომიგო, — რა იყო, მერე, შენ გელოდებიო. ცოტა გავუბრაზდი, — ამ შუაღამისას მარტო როგორ გაბედე გამოსვლა, არ გეშინიამეთქი? გაეცინა: — ვისი უნდა მეშინოდეს, თანაც შენ გელოდებიო. ამასობაში, საკმაოდ მივუახლოვდი. ძალიან ლამაზი მეჩვენა და გამიკვირდა კიდეც — აქამდე რატომ არ შემიმჩნევია, თუ ასეთი თვალწარმტაცი იყო-მეთქი და გულმა რეჩხი მიყო. მოდიო, — ხელი გამომიწოდა. არც გავეკარე და არც ხმა გავეცი. ის კი ღიმილით მეხვეწებოდა, — ჩამყევი ქვემოთ, მდინარესთან, ნურაფრის გეშინიაო.

ჩვენი სოფელი მთის კალთაზეა შეფენილი და მდინარის ორივე ნაპირი თითქმის ციცაბო და მიუდგომელია იმ ადგილას, სადაც ხიდია გადებული. სულიერი იქ დღისით, მზისით არ ჩავა, თორემ ღამით?!

— ქვევით არაფერი მესაქმება, შინ მეჩქარება-მეთქი და გვერდის ავლა დავაპირე. თან ვიგრძენი, როგორ მომებჯინა გული ყელში.

მოდი, რომ გეძახი, მთელი ღამე შენ გელოდები, ნუ გამაწბილებო. ეს რომ გავიგონე, მაშინ კი ვუთხარი თავს, — მიდი, ახლა, გაიქეცი, თორემ ცუდად არის შენი საქმე-მეთქი. როგორც კი გაქცევა დავაპირე, ის მშვენიერი ალქაჯი მეცა. ან სად ჰქონდა ამხელა ღონე, ლამის 100-კილოიანი ვაჟკაცი ხელში ამიტაცა და ორჯერ მიმანარცხა ჯებირს. ძალიან უნდოდა მდინარეში გადავეგდე. რაც ძალა და ღონე მქონდა, რკინის ჯებირს მოვეჭიდე. მხრებში დამწვდა და ჰაერში ამიტაცა. იღბლად ხიდზე დავეცი. აღარაფერზე აღარ ვფიქრობდი, ოღონდ გამესწრო. ის კი იდგა დავარცხნილი, ლამაზი და ზემოდან დამყურებდა. რომ არ გავინძერი, დაიხარა, მკერდზე დამაცხრა... კარგა ხანს ვიბრძოლეთ. ღონეც გამომელია და გრძნობაც დავკარგე, ოღონდ ის მაინც არ ვუთხარი, წამოგყვები-მეთქი. მამალმა რომ პირველად იყივლა, თავი დამანება და გამშორდა, საით წავიდა, არ ვიცი.

გამთენიისას მივედი შინ, გვარიანად დაბეგვილი. ერთი კვირა ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი და ჩემი ბიძაშვილის დანახვისას ელეთ-მელეთი მომდიოდა. კიდევ გამემტყუნება, რომ ხიდზე გადასვლისა მეშინია?! სხვათა შორის, შენც სიფრთხილეს გირჩევ, თორემ შიში რომ დაგრევს ხელს, მთელი სიცოცხლე ჩემსავით გაგიმწარდება...

**გვანცა გუნცაძე**

## „საზალლო–სალალო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — დ); 2) — ბ); 3) — დ); 4) — ა); 5) — ა); 6) — ბ); 7) — გ).

**II.** მე-3

**III. რებუსი**

სიფრთხილე სიბრძნის დედაა.

**IV.** აქლემი.






# რად უნდა სოროსს პავლიკი?

სვერდლოვსკის ოლქის სოფელ გერასიმოვკაში პიონერ პავლიკ მოროზოვის სახლ-მუზეუმის მშენებლობა დაიწყო. საამისოდ სახსრები სოროსის ფონდმა გამოყო. გრანტი 7.000 დოლარს შეადგენს.

საკუთარი მამის გამცემი ბიჭის პიროვნებისადმი დამოკიდებულება დღემდე არაერთგვაროვანია. პირველნი მას „ჩამშვებს“ უწოდებენ, მეორენი — ეპოქის უდანაშაულო მსხვერპლს. საბჭოთა პერიოდში გერასიმოვკაში მოსწავლეები დაჰყავდათ ექსკურსიებზე — უამბობდნენ, რა შესანიშნავი ბიჭი იყო პავლიკი, როგორ ებრძოდა კულაკებს და ხელმძღვანელობდა პიონერულ რაზმს. ამისათვის დაუდარაჯდნენ კულაკები 1932 წლის 3 სექტემბერს მას და მის ძმას და ორივე მოკლეს.

პერესტროიკის დროს პავლიკი დამსმენად და მოღალატედ შერაცხეს. ექსკურსიები შეწყდა და სკოლის მუზეუმიც გაპარტახდა. პავლიკის ზოგიერთი თანამემამულის თქმით, ბიჭმა შური იძია მამაზე, გაუთავებელი ორგიების, ცემა-ტყეპისა და აღვირახსნილობის გამო. სოროსის ფული ალბათ ნათელს მოჰფენს დიდი ხნის წინანდელ ტრაგედიას.

***იზვესტია***

# მობილური კამასუტრა



ბრაზილიის ფიჭურმა კომპანიამ ადგილობრივი მაჩოებისთვის, რომლებიც სატრფოებთან სექსის დროს ფანტაზიის სიმწირეს უჩივიან, მომსახურების ახალი სახეობა შემოიღო. ამიერიდან, სულ 33 ცენტად, შემკვეთს კამასუტრას — ინდური სექსის ხელოვნების პოზები მიეწოდება.

კომპანიის ბიბლიოთეკაში სულ 40 სურათია. თუმცა თუ კლიენტი თავს გამოიდებს, ორჯერ მეტსაც მიაწვდიან. თითოეულ სურათს ამშვენებს წარწერა: „მხოლოდ სრულწლოვანთათვის!“

***ოჯი***

# პრინცესა ცირკის აკრობატზე გათხოვდა



მონაკოს სამეფოს პრინცესა სტეფანია ცოლად გაჰყვა პორტუგალიელ ცირკის აკრობატს. ცერემონია შვეიცარიაში 18 სექტემბერს გაიმართა.

სამეფო კარის წარმომადგენლის ინფორმაციით, ქორწილს მმართველი ოჯახიდან არავინ დასწრებია. სტეფანია 38 წლისაა, მას სამი შვილი ჰყავს. ეს პრინცესას მეორე ქორწინებაა. სტეფანია კარგა ხანია ბულვარული პრესის გმირია, რადგან მისი ცხოვრების სტილი სრულიად არ შეეფერება გვირგვინოსანი ქალბატონის ცხოვრების სტილს. აი, ამჯერადაც არ გაუცრუა მან იმედები ჟურნალისტებს: მისი ქმარი, ადანს ლოპეს პერესი, მასზე 10 წლის უმცროსია, იგი შესანიშნავად ჟონგლიორობს და დადის ხელებზე.

საერთოდ სტეფანიამ დიდი ხანია, რაც „საშინელი ბავშვის“ რეპუტაცია დაიმკვიდრა. პრინც რენიესა და ჰოლივუდის ყოფილი მსახიობის, გრეის კელის სამი შვილიდან უმცროსი სტეფანია ტაბლოიდების ხშირ სტუმრად თავისი რომანტიკული თავგადასავლების გამო იქცა. თავის დროზე დადიოდა ხმები მისი რომანის შესახებ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეკარე ფაბიენ ბარტეზთან, აგრეთვე ჰოლივუდის მსახიობებთან რობ ლოუესთან და ჟან კლოდ ვან დამთან. მისი პირველი ქორწინება ყოფილ მცველ დენიელ დიუკრუასთან მას შემდეგ დასრულდა, რაც სტეფანიამ თავისი ქმარი აუზში სტრიპტიზიორ ქალთან მონებივრე იხილა ვიდეოფირზე. დიუკრუასგან სტეფანიას ორი შვილი დარჩა. ხუთი წლის კამილას მამა კი უცნობია. ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში შეიძინა პრინცესამ სკანდალურობის ელფერი, როცა ავტოკატასტროფაში დაიღუპა მისი დედა. გასულ წელს სტეფანია შეეცადა გაექარწყლებინა ჭორები იმის შესახებ, რომ მანქანას თავად მართავდა. მან განაცხადა: „მე არ მომიკლავს დედაჩემი“.

# ბებია — ნინძა



სამხრეთაფრიკელმა 85 წლის მადელინ კარაასმა, მარტოდმარტომ, სამი მძარცველი დააკავა — თავდამსხმელებმა იცოდნენ, რომ მოხუცი ალმასის საბადოს მეპატრონეა და შესაბამისად, შინაც ბევრი რამ ექნებოდა ხელის მოსათბობი. რა იცოდნენ, რომ მადელინი ბავშვობიდან აღმოსავლურ ორთაბრძოლას მისდევდა. ხმაურზე გამოვარდნილი დედაბერი ისე ენერგიულად ეკვეთა ხუთ მძარცველს, რომ გონზე მოსვლა ვერც მოასწრეს. ორმა გაქცევით უშველა თავს, სამი კი პოლიციამ მეტად გასაცოდავებულ მდგომარეობაში იხილა.

ბებია-ნინძას თურმე საკმაოდ საშიში ბანდა „გაუხაზირებია“. მათ 12 მკვლელობა ჰქონიათ ჩადენილი.

***კრიმინალნაია ხრონიკა***

# ფეიქარი პატიმრები

ქალაქ ოსაკის ციხის ორი პატიმარი უზარმაზარ ხალიჩას ქსოვს. მასზე ხმლის დუქანი და მისი მყიდველებია გამოხატული. ყველას ძველებური კიმონოები აცვიათ.

ტრადიციული იაპონური საფეიქრო ხელოვნების, საკაის ოსტატები მთელ ქვეყანაში ეძებენ თავიანთი საქმის გამგრძელებლებს, მაგრამ საკაის დიდი დრო და ჯაფა სჭირდება და თანამედროვე ახალგაზრდებს ამიტომაც აღარ იზიდავს.

ციხეში კი საამისოდ უამრავი დროა და უძველეს ხელობასაც მიმდევრები გამოუჩნდნენ. პატიმრების ნაქსოვი ხალიჩების გამოფენას მსურველები, იქვე, ციხეში გაეცნობიან.

***ეხო პლანეტი №34***

# რა ღირს საცოლე?

ქალების დეფიციტმა ჩინეთში საქმე იქამდე მიიყვანა, რომ გასათხოვარი ქალი აღებ-მიცემობის ობიექტი შეიქნა.

ფსიქიატრიული კლინიკის ერთმა ალღოიანმა ხელმძღვანელმა სიტუაციით ისარგებლა და თავისი შეშლილი ქალი-პაციენტები სარფიანად დაათხოვა. სანამ სასიძოს გააცნობდა, საცოლეს ორკვირიანი ინტენსიური მკურნალობა უტარდებოდა. მერე, ასე თუ ისე, „ჭკუამოწესრიგებულ“ ქალს სასიძოს მიყიდდა, ფასსაც კარგს იღებდა. უკანონო ბიზნესი მას შემდეგ შეწყდა, როცა რამდენიმე მამაკაცმა ცოლი უკან დააბრუნა — ნამეტანი მწყრალად არიან ჭკუასთანო. მაგრამ დანარჩენები კი დღემდე ეწევიან ცოლქმრულ უღელს და ეს გასაკვირი არც არის — ქალს ჩინეთში ოქროს ფასი დაედო. დაახლოებით 70 მლნ მამაკაცი ქვეყანაში უცოლოა. მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა ჩინეთში გატარებულმა პოლიტიკამ გამოიწვია. ის კი მოსახლეობას მოუწოდებდა — „ერთი ოჯახი, ერთი შვილი“. ბევრ ოჯახს მემკვიდრედ მხოლოდ და მხოლოდ ვაჟი სურდა, ამიტომაც ქალები როგორც კი გაიგებდნენ, გოგო უნდა გვეყოლოსო, ფეხმძიმობას წყვეტდნენ.

***ჟენსკიე დელა***

# ლუდი — სირაქლემასთან ერთად



ვარშავის ერთ-ერთი ლუდხანის მეპატრონე კლიენტებს კათხა ლუდსა და... სირაქლემებს სთავაზობს. ლუდხანას სახელიც შესაბამისი აქვს: „სირაქლემა“. ორი ვეებერთელა სირაქლემა მედიდურად დასეირნობს იქვე, გაზონზე. ტროტუარზე კი ტენტიანი მაგიდებია ჩამწკრივებული. ლუდის მოყვარულებს ახალი „თანამეინახეები“ მოეწონათ. არც ლუდხანის მეპატრონეა გულდაწყვეტილი — შემოსავალი ერთიორად გაეზარდა. მხოლოდ ეკოლოგები არ ისვენებენ და კატეგორიულად ითხოვენ სირაქლემების ბუნებრივ გარემოში დაბრუნებას. მათ ნორმალური ცხოვრებისთვის სულ ცოტა 500 კვმ მაინც სჭირდებათ, ლუდხანაში კი ორივე ოთხმეტრიან გალიაში ჰყავთ ჩამწყვდეული. გარდა ამისა, განუწყვეტლივ გრიალებს მუსიკა, კლიენტები ეწევიან — ეს კი ფრინველების ფსიქიკასა და ჯანმრთელობას ვნებს. მეტიც, შეშინებული სირაქლემა ძალზე საშიშია ადამიანისთვის — ერთი მძლავრი დარტყმით შეიძლება ნეკნიც კი ჩაუმტვრიოს. ლუდხანის მეპატრონე ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს — აგერ-აგერ, დედალი სირაქლემა კვერცხსაც დადებს და კლიენტებს უფასო, უზარმაზარ ერბოკვერცხს ჰპირდება.

***ნიუ ზუიქი***



# ბურატინო — 2003

ტანზანიაში ეტყობა ჯერ კიდევ ბლომად არიან ისეთი ბრიყვები, რომლებიც ბრიყვთა ქვეყანაში მოხვედრაზე ოცნებობენ. ქვეყნის პოლიციამ დააკავა სამი თაღლითი, რომლებიც ბურატინოს მეთოდით ყვლეფდნენ ბრიყვებს. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ხის კაცუნა ფულს მიწაში მარხავდა, თაღლითები კი დოყლაპიებს ფულს „ჯადოსნურ“ ყულაბაში აყრევინებდნენ, თან იფიცებოდნენ — რამდენიმე დღეში ყულაბის კაპიტალი ერთიორად გაიზრდებაო. კლიენტს ნდობის მოსაპოვებლად თაღლითები ვითომდა ჯადოსნურ ყულაბაში „მოყვანილ“ ფულის სქელ დასტას უჩვენებდნენ. ახლა სამივე „ბურატინო“ სასამართლოს დეტალურად აღუწერს „ოქროს გასაღების“ აფრიკული ვარიანტის წვრილმანებს.

***მირ ნოვოსტეი***

# მამათა და შვილთა ბრძოლა

სწორედ ეს პრობლემა დაედო საფუძვლად დეტექტიურ ისტორიას, რომლის მთავარი გმირი „მის ვიეტნამი“ ფამ თხი მაი ფიონგი გახლავთ. იმ დროს, როდესაც მომხიბლავი სილამაზის დედოფალი ლონდონში სასწავლებლად უნდა გამგზავრებულიყო, იგი გაუჩინარდა. თავზარდაცემულმა მშობლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, ჩვენი ქალიშვილი საქმრომ მოიტაცა, მას არ სურდა გოგონას ინგლისში გაშვებაო. მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა, „მის ვიეტნამს“ ლამის მთელი ვიეტნამი ეძებდა. სიტუაციას ნათელი თვით „გატაცებულმა“ მოჰფინა. ჩემი გაუჩინარება პროტესტია მშობლების წინააღმდეგ, რომელთაც სამშობლოდან ჩემი გადახვეწა მოინდომესო. ამიტომ გადაუწყვეტია ფიონგს შინიდან გაქცევა. აურზაურმა კიდევ უფრო პოპულარული გახადა სილამაზის დედოფალი და ალბათ უსამსახუროდ აღარ დარჩება.

***ვოკრუგ სვეტა***



# ნიღბოსანი პარლამენტარი

ცნობილ იაპონელ მოკრივეს მასანორი მირაკავას, რომელიც რინგზე „დიდი სასუკეს“ სახელით გამოდიოდა, სამსახურშიც მისცეს მოკრივული ნიღბის ტარების უფლება. სამსახური კი მართლაც საპასუხისმგებლო აქვს: ხალხმა თავისი კერპი პრეფექტურა მორიოკას მთავრობაში თავის წარმომადგენლად მიავლინა.

კანონის თანახმად კი მთავრობის წევრებს სახე დაფარული არ უნდა ჰქონდეთ.

***ეხო პლანეტი №34***

# საზოგადოებისთვის გაწეული სამსახურისთვის

აშშ-ში იმ ძაღლების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომლებიც საზოგადოებას ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ. ჯილდოდ ადამიანის ოთხფეხა მეგობრებს მედლებსა და საკვების პაკეტებს გადასცემდნენ. პრიზები გერმანიის, სამხრეთ კორეის, ბრაზილიის და სხვა ქვეყნების ძაღლებმა დაიმსახურეს. ყველაზე დიდი პრიზი ლაბრადორმა ჯომ დაიმსახურა — მან 10 მლნ დოლარის ღირებულების ნარკოტიკები აღმოაჩინა.

***ოკნა №33***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში შოპენჰაუერის სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**კ.** ფრანც ბეკენბაუერის მეტსახელი; **ვ.** გრძელი, ბოლოში ორად გაყოფილი ალამი, რომელსაც სამხედრო გემებზე აღმართავენ; **ი.** ის, რაც გამოთქმის თანახმად ყველაზე ბოლოს კვდება; **რ.** სახალხო კრება უკრაინაში; **ი.** ნაწარმოები, სადაც ტროას ომის ბოლო 54 დღეა აღწერილი; **ს.** კახეთის ერთ-ერთი რაიონი; **პ.** რა ერქვა ეკატერინე -ის შვილს, რომელიც მის მერე ავიდა ტახტზე; **ა.** ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოსული სხივი; **ლ.** კურორტი აფხაზეთში; **ი.** კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი; **ტ.** ამერიკელი მოკრივე; **რ.** კომედიური ჟანრის ფრანგი მსახიობი; **ა.** ბავშვის სარწეველა საწოლი; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ძ.** მიცვალებულის მოსახსენებლად გამართული პურის ჭამა დამარხვის დღეს; **ვ.** გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1933 წლებში; **ე.** რა ამოვიდა მურმანის საფლავზე; **ნ.** გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; **ი.** მონასტრის წინამძღვარი; **გ.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ა.** მარიამობისთვე; **ზ.** მტაცებელი თევზი; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **თ.** მცენარე, რომლის მერქნისგანაც ამზადებენ ჩიჩილაკს; **ი.** უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი ასო მათემატიკაში; **ა.** შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც ფოსტით იგზავნება.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**გ.** გაგრა; **ა.** ალაფი; **ე.** ესქილე; **რ.** რეცეპტი; **თ.** თხემი; **ე.** ერუდიტი; **თ.** თალმუდი; **დ.** დიმიტრი; **ა.** აუტი; **დ.** დრეიფი; **ა.** აბრაზია; **ი.** იქსი; **ს.** სიო; **ვ.** ვექილი; **ე.** ეგრისი; **ნ.** ნიორი; **ე.** ექსცესი; **თ.** თოხი; **ჩ.** ჩაი; **ვ.** ვედრება; **ე.** ეკიპაჟი; **ნ.** ნიუტონი; **თ.** თუნგი; **ა.** აუდი; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ენგური; **რ.** რვალი; **თ.** თხუნელა; **ა.** ანდები; **დ.** დიონისე.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: გაქცეულ მტერს ოქროს ხიდი უნდა გაუდო.**

# რამ გაამხიარულა ნათია ზამბახიძე

**— მაინტერესებს გათხოვილია თუ არა „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი ნათია ზამბახიძე. როგორი მუსიკა და კინოფილმები მოსწონს, უყვარს თუ არა სპორტი და რომელ სახეობას ანიჭებს უპირატესობას?**

***სიმპათიით გამსჭვალული მალხაზი, 28 წლის***



კითხვაზე უპასუხებს **ნათია ზამბახიძე**, ჟურნალისტი.

— რაღა დაგიმალოთ და ძალიან გამამხიარულა თქვენმა შეკითხვამ. 20 წლისა გავთხოვდი. მყავს მეუღლე და გოგონა, რომელიც სექტემბერში 8 წლისა გახდა. რაც შეეხება მუსიკას და კინოფილმებს, მიყვარს კლასიკა და როკი, ცოტაც ავანგარდული მუსიკა. ფილმებიდან კი, რომელიმეს დასახელება გამიჭირდება, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რა ჟანრისაა ფილმი: კომედია, ბოევიკი თუ თრილერი, მთავარია რაღაცით მაინც დამაინტერესოს. უპირატესობას ვანიჭებ ევროპელ და ამერიკელ რეჟისორებს. რაც შეეხება ბოლო კითხვას, სპორტი ნამდვილად მაინტერესებს. ერთ დროს აქტიურადაც ვვარჯიშობდი, — დავრბოდი, ამჟამად ამისთვის დრო არ მრჩება. ისე კი ფეხბურთისა და ჩოგბურთის მოყვარული და გულშემატკივარი ვარ...

# 3-4 თვეში წნორელები მატარებლით ივლიან...

**— ამ რამდენიმე წლის წინ თბილისი-წნორის მატარებელი გადავარდა ლიანდაგიდან, იყო მსხვერპლი, რის შემდეგ შეწყდა კიდევაც ამ მიმართულებით მატარებლის მოძრაობა. გთხოვთ, გაგვარკვიოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმღვანელობამ ბოლოს და ბოლოს აღდგება თუ არა აღნიშნული მარშრუტით მატარებლის მოძრაობა.**

***გივი ათანელაშვილი***



— მიუხედავად ორკვირიანი მცდელობისა, დაწვრილებით შეგვეტყო საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის სამომავლო გეგმები თბილისი-წნორის მიმართულებით მატარებლის მარშრუტის აღდგენასთან დაკავშირებით, მხოლოდ ის გამოვარკვიეთ, რომ კატასტროფის შემდეგ სარკინიგზო მონაკვეთის დიდი ნაწილი სერიოზულად დაზიანდა (ერთ მონაკვეთზე აყრილია რელსები), რის გამოც სერიოზული სარემონტო სამუშაოებია ჩასატარებული. მიუხედავად ჩვენი დაჟინებული მოთხოვნისა, განემარტათ დეპარტამენტის სამსახურების უფროსებს, თუ როდის დაიწყება და სავარაუდოდ რამდენ ხანს გასტანს ამ მონაკვეთზე სარემონტო სამუშაო, კონკრეტული პასუხი ვერავისგან მივიღეთ. მეტიც, ყველამ თავი აარიდა შეკითხვაზე პასუხს. საბოლოოდ ორჭოფული ახსნა-განმარტების მოცემა დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსს **ლალი ეგაძეს** მოუხდა, რომელმაც აი, რა გვიპასუხა: — *წინასწარ რაიმეს თქმა რთულია. არ გვინდა მოქალაქეების შეცდომაში შეყვანა. ვთქვათ, დავპირდით, კონკრეტულ ვადაში აღდგება წნორი-თბილისის მიმართულებით მატარებლის მოძრაობა... რომ ვერ ჩავეტიოთ ვადებში? ამიტომ, პირდაპირი პასუხისგან თავს შევიკავებ და გეტყვით, რომ სავარაუდოდ დაზიანებული სარკინიგზო მონაკვეთის რემონტს 3-4 თვე დასჭირდება. შესაძლოა, უფრო ნაკლებიც, ამიტომ ძნელია კონკრეტული ვადის დასახელება... თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ წნორი-თბილისის მატარებლის მოძრაობა ჩემ მიერ აღნიშნულ ვადაზე მალე აღდგება...*

P.S. ვფიქრობთ, რკინიგზის დეპარტამენტი მეტი ყურადღებით მოეკიდება რეგიონებში სარკინიგზო მიმოსვლის მოწესრიგების საკითხს. ზემოთ აღნიშნული სავარაუდო ვადები და კონკრეტულ საკითხზე (ამ შემთხვევაში თბილისი-წნორის მიმართულებით მატარებლის მოძრაობის აღდგენა) ორჭოფული პასუხი პირველ რიგში ამ დეპარტამენტის პრესტიჟის შემლახველია.

# სიტყვათა კონა

**გირვანქა** — ძველებური წონის ერთეული — უდრის 96 მისხალს ანუ 409,5 გრამს.

**გირლანდა** (იტალ.) —დაწნული ყვავილების ან ფოთლების ლენტი.

**გლიჯინი** (საუბ.) — ტლანქად, დიდი ნაბიჯებით სირბილი; ამგვარი სირბილით გამოწვეული ხმა.

**გლუკოზა** (ბერძ.) — ტკბილი ნივთიერება, რომელიც მოიპოვება მცენარეთა და ცხოველთა ორგანიზმში, — ყურძნის შაქარი.

**გოგოჭუა** (საუბ.) — ქალური ქცევის ბიჭი (კაცი), ქალაჩუნა.

**გოდოლი** (ძვ.) — მაღალი კოშკი.

**გოდორყური** — თევზის საჭერი გოდორი, კონუსის მოყვანილობისა.

**გოზაური** — ღვინო-არყის ჩასასხმელი მოზრდილი თიხის ჭურჭელი.

**გოთურგა** — ხმლის, ხანჯლის, თოფის და მისთ. ჩამოსაკიდი თასმა.

**გოლეული** — ფიჭიანი თაფლი.

**გომი** — მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საზამთრო (მიწური) სადგომი, გომური.

**გომიჯი** — უსაფუვრო და უმარილო მრგვალი პური, ნაღვერდალში გამომცხვარი.

**გონიო** — სწორკუთხა სახაზავი, — მკუთხავი, იხმარება სადურგლო-სამშენებლო საქმეში სწორი კუთხეების გამოსაყვანად.

**გონჯა** (ძვ.) — ერთმანეთზე ჯვარედინად დამაგრებული ორი ჯოხი ადამიანის ფორმისა ძონძებში გახვეული; დაჰქონდათ კარდაკარ გონჯაობის დროს.

**გონჯაობა** (ძვ.) — გვალვის დროს გონჯათი ხელში კარდაკარ სიარული და ვედრება წვიმის მოსაყვანად.

**გორგომიჭელა** — კაკლის მთლიანი ლებანი.

**გორდა** — მოკლე (უვადო) ხმალი.

**გოჭა** — 1. ფრინველი ერთგვარი კოკორინების ოჯახისა. 2. იგივეა, რაც კობრი.

**გოხი** — კლდის ნატეხი, რიყის ქვა.

**გოჯი** — მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე; იხმარებოდა სიგრძის საზომად (უდრის დაახლ. 4 სმ-ს).

# სააკაშვილი... ქართველია!

**— ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ სააკაშვილის არაქართულ წარმოშობაზე. შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს?**

***თამაზ სუხიშვილი***



კითხვაზე უპასუხებს თბილისის საკრებულოს პრესსამსახურის უფროსი **გიორგი არველაძე**.

— ბატონ მიხეილს ისეთი წინაპრები ჰყავს, ბარე ბევრ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეს შეშურდება. სწორედაც რომ შური ალაპარაკებს ზოგიერთს. მიხეილ სააკაშვილის წარმომავლობის გენეტიკური ხე (შტო) არაერთგზის შეისწავლეს პოლიტიკურად დაპირისპირებულმა მხარეებმა, მაგრამ სათქმელი რომ ჰქონოდათ, აქამდე იტყოდნენ. მიხეილ სააკაშვილის წინაპრები, როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან დიდი და გამოჩენილი საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ. წინასაარჩევნოდ ნაციონალების მიერ გამოცემული გაზეთის სპეციალური ნომრის ერთ-ერთი გვერდი მთლიანად ეთმობა ბატონ მიხეილის წინაპრებს. ასე რომ, მსურველებს და ცნობისმოყვარე ადამიანებს შეუძლიათ თავადვე შეიტყონ ყველაფერი მისი წინაპრების შესახებ. მარტო მიხაკო და ალექსანდრე წერეთლის შთამომავლობა რად ღირს (დედის მხრიდან), ხოლო მისი სეხნია ბაბუის — მიხეილ სააკაშვილის წარდგენა უფროსი ასაკის თაობას ალბათ არც სჭირდება: იგი გახლდათ მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული მედიცინის ისტორიის ფუძემდებელი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პირველი დირექტორი.

ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს, ადრე თუ გვიან ხომ უნდა დამთავრდეს ამაზე ლაპარაკი. მკითხველს კი ვურჩევთ, ნუ წამოეგებიან იმ ანკესს, რომელსაც შავი პიარი ჰქვია...

# ბანქოს სახეობებში სპორტული მხოლოდ ბრიჯია!

**— იმართება თუ არა ბანქოს სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო ჩემპიონატები, ტურნირები და რომელი არ ითვლება აზარტულ თამაშად?**

***ალეკო დემურიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **მიხეილ ვირსალაძე**, საქართველოს სპორტული ბრიჯის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

— ბანქოს თამაშებიდან მხოლოდ ბრიჯია სპორტული სახეობა, თანაც იგი ძალიან უახლოვდება ჭადრაკს და არც აზარტულ თამაშებს განეკუთვნება. ისევე როგორც ჭადრაკი, ბრიჯი ინტელექტუალური თამაშია. სპორტის ამ სახეობაში ყოველწლიურად ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი. შექმნილია ევროპის ლიგა და ბრიჯის მსოფლიო ფედერაცია. თქვენ წარმოიდგინეთ, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ბრიჯის ფედერაცია ერთ-ერთი პირველია, რომელმაც აღიარება მოიპოვა და ევროპულ ლიგაშიც გაწევრიანდა. ბრიჯის თამაშში, როგორც წესი, მთავარი გამართლება არ არის. იგი ადამიანის ლოგიკური აზროვნების უნარზე, ინტელექტზე, ვარიანტთა გათვლასა და ფანტაზიაზეა დამოკიდებული. უძლიერეს მოჭადრაკეთა უმეტესობა სწორედ ბრიჯით არის გატაცებული. მათ შორის ანატოლი კარპოვი, ირინა ლევიტინა და სხვები. ბრიჯი სპორტის ოლიმპიური სახეობაცაა და რადგანაც ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ძალიან გადატვირთულია, აპირებენ იგი შეიტანონ ზამთრის თამაშებში.

# «ბებერი» ქალაქები

**— გთხოვთ, თანმიმდევრობით, ხნოვანების მიხედვით ჩამოგვითვალოთ მსოფლიოს ათი უძველესი ქალაქი.**

***გიორგი ინალიშვილი***

მსოფლიოში არაერთი უძველესი ქალაქია. მათი უმრავლესობის ასაკის დადგენა თითქმის შეუძლებელია. თუმცა შევეცდებით მკითხველის არაერთგზის გამოგზავნილი შეკითხვა უპასუხოდ არ დავტოვოთ და ჩამოვთვალოთ მხოლოდ ის ათი უძველესი ქალაქი, რომლის ასაკიც მეცნიერების მიერ ზუსტად არის დადგენილი.

| | ქალაქი | სახელმწიფო | ხნოვანება (წ.) |
|---|---|---|---|
| 1. | ჯერიკო | იორდანია | 9.000 |
| 2. | პლოვდივი | ბულგარეთი | 8.000 |
| 3. | ამანი | იორდანია | 7.000 |
| 4. | კონია | თურქეთი | 6.800 |
| 5. | ალეპო | სირია | 5.000 |
| 6. | დამასკი | სირია | 5.000 |
| 7. | ქუფი | ჩინეთი | 5.000 |
| 8. | კაირო | ეგვიპტე | 5.000 |
| 9. | არგოსი | საბერძნეთი | 4.000 |
| 10. | ჰამოუკარი | სირია | 4.000 |



***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**


# გუნების მაგიური ქაღა ქალის ჯანმრთელობისათვის




„ბალზაკის ასაკი“ - ასაკი, როდესაც იწყება ჰორმონალური გარდაქმნა და საკვერცხეები სულ უფრო ნაკლებ ესტროგენებს გამოიმუშავებს. იშლება ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ენდოკრინული ჯირკვლების „ანსამბლი“ - ვითარდება კლიმაქტერული სინდრომი. ქალების უმრავლესობისთვის ეს ტანჯვაა. საშინელი ალები – სიცხის შეგრძნება სახეზე, კისერზე, მკერდზე, რომლებიც ცხოვრების ყველაზე საპასუხიმგებლო მომენტებში იჩენს თავს, პათოლოგიური ოფლიანობა, დაუსრულებელი სისუსტე, დაღლილობის შეგრძნება, ხასიათის არაკონტროლირებადი ცვლილებები. . . აზიის ქვეყნებისა და განსაკუთრებით კი გამხდარი ქალების დაახლოებით 25-30 პროცენტს, მენოპაუზის დროს უვითარდებათ მძიმე ოსტეოპოროზი, რაც შემდგომში შესაძლოა გახდეს ართროზის (კლიმაქტერული) ჩამოყალიბების მიზეზი, რომელიც სწრაფად პროგრესირდება და ინვალიდობამდეც მივყავართ. ნუთუ უნდა ვითმინოთ და შევეგუოთ იმას, რომ წინ მხოლოდ „მუქი სივრცეა“?

საბედნიეროდ, კლიმაქსი დღეს დაბურულ მომავალს აღარ გვიქადის!

**„მენოპაუზ-ფორმულა“ - ცნობილი ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ნატურალური (არაჰორმონალური) პრეპარატი, დაგეხმარებათ სწრაფად და უსაფრთხოდ მოიხსნათ ყველაზე უსიამოვნო კლიმაქტერული სიმპტომები და თავიდან აიცილოთ ქალისათვის ისეთი მნიშვნელოვანი მინერალების დანაკარგი, როგორებიცაა კალცი, ფოსფორი, იოდი და სხვა., დაარეგულირებს არტერიული წნევის ცვალებადობას. გარდა ამისა, პრეპარატი ქალურობის, საკუთარი ქალური „მე“-ს შენარჩუნებაში დაგეხმარებათ, რომელიც მისმა მფლობელმა ქალბატონმა ჩამოიყალიბა, შეისისხლხორცა და რომლის გარეშეც შემდგომი ცხოვრება არ წარმოუდგენია. ამ „მე“-ს ატრიბუტებს წარმოადგენენ – თმა, კანი, ფიგურა. კლიმაქსი ხომ ქალის სილამაზის თითოეულ ამ შემადგენელს თავის დაღს ასვამს: თმები ბზინვარებასა და სისქეს კარგავენ; კანი უფერულდება, ისეთი მკვრივი აღარ არის; ფიგურის კონტურები სიმსუბუქეს კარგავენ.**

**კლიმაქსი ხელს არ უშლის ქალურობას, უბრალოდ საჭიროა ორგანიზმს, არსებობის მისთვის ახალი პირობების ათვისების საშუალება მივცეთ. „მენოპაუზ-ფორმულა“-სთან ერთად ეს პერიოდი შეუმჩნევლად ჩაივლის, როგორც თქვენთვის, ასევე გარშემომყოფებისთვის.**

***ჩვენთან მოგისმენენ და გაგიგებენ, დაგიბრუნებენ იმედსა და ჯანმრთელობას!***

ჯეოვიტი
GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი
საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56.
www.schiffvitamins.com

# „ყველაფერს იმიტომ გავუძელი, რომ ჩემი საქართველო მსოფლიოში პირველი ყოფილიყო...“



დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ელდარ კურტანიძე გახდა პირველი სპორტსმენი, რომელმაც ორგზის მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ქართველ ფალავანთა მსოფლიო დონის მიღწევებით ყოველთვის ამაყობდა ქართული სპორტი. საბედნიეროდ, ეს ტრადიცია ამჯერადაც გრძელდება. ამერიკაში, ქალაქ ნიუიორკში დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის საქართველოს ნაკრებმა უდიდესი სენსაცია მოახდინა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა, ეს წარმატება კი ჩვენს ეროვნულ გუნდს ელდარ კურტანიძის ფინალურ ორთაბრძოლაში გამარჯვებამ მოუტანა. მისი მეტოქე ირანელი, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონი ალი რეზა ჰეიდარი გახლდათ, რომელიც ფინალური შერკინებისას არანაირ პროვოკაციას არ ერიდებოდა. თუმცა ელდარმა, როგორც ღირსეულმა სპორტსმენმა, გაუძლო მეტოქის არაკაცურ გამოხდომებს და სპორტულ ბრძოლაში ბოლომდე გამოიყენა თავისი უპირატესობა. ფინალური შერკინება ელდარის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა — 4:0. არც ის უნდა იყოს ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ქართველ ფალავანთან შერკინებისას არც ერთ მის მოწინააღმდეგეს ერთი ქულაც კი არ მოუპოვებია.

**ელდარ კურტანიძე:** „თბილისში რომ ჩამოვედი, მივხვდი, თუ რა დიდი სიხარული მომიტანია ჩემი ქვეყნისთვის, ამდენი გულშემატკივარი აეროპორტში არასდროს დამხვედრია, ვგრძნობ, რომ ყველას გულწრფელად უხარია ჩემი წარმატება.

თუმცა, ამ გამარჯვების მნიშვნელობის გასააზრებლად მაინც დროა საჭირო, ჯერ კიდევ არა აქვთ ბიჭებს გაცნობიერებული, თუ რა დიდ წარმატებას მიაღწიეს. ამერიკაში დაამარცხო ამერიკის ნაკრები, ეს მართლაც უბრწყინვალესი შედეგია. ის, რომ ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, მოუგო ირანსა და ამერიკას, ისეთივე სენსაციაა, როგორიც ის იქნებოდა, სომხეთის ნაკრებს ბრაზილიაში ბრაზილიის ფეხბურთის ნაკრებისთვის რომ მოეგო.

ფინალურ ორთაბრძოლაში ირანელი სპორტსმენი დამიპირისპირდა, ეს შერკინება არა მარტო ჩემს მსოფლიო ჩემპიონობას წყვეტდა, არამედ საქართველოს ნაკრების გუნდური პირველი ადგილიც ჩემს გამოსვლაზე იყო დამოკიდებული. ყველაფერს გავუძელი, მეტოქის ინტრიგებს, მის არასპორტულ გამოწვევებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი საქართველო მსოფლიოში პირველი ყოფილიყო...

ახლა უკვე მომავალ ოლიმპიადაზე ვფიქრობ. ჩემს ყულაბაში არაა ოლიმპიური ოქრო და ბუნებრივია, ახლა მთელი აქცენტი იქით მაქვს გადატანილი, რომ ეს ჯილდოც მოვიგო.“

# სირცხვილი...

## ანუ ვინ აძევებს შეკრებაზე მყოფ საქართველოს ტრიუმფატორ რაგბისტებს სასტუმროდან

10 ოქტომბერს ავსტრალიაში იწყება მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ეტაპი რაგბიში, სადაც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული გუნდი. საქართველოს ისტორიაში ეს გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც სათამაშო სახეობებში საქართველოს ნაკრები გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს.

ჩვენი ნაკრები ამჟამად მონპელიეში ემზადება გადამწყვეტი პაექრობისთვის. სორელი და მისი შეგირდები გულმოდგინედ ემზადებიან ისეთ სარაგბო გრანდებთან შესარკინებლად, როგორებიც არიან ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებები.

ამასობაში კი ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომელიც მხოლოდ ჩვენი ქვეყნის უნიათო მთავრობის გადამკიდე საქართველოს ნაკრებს თუ შეიძლება დამართოდა. უსახსრობა ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების თანამდევი სენი გახლავთ, თუმცა, თუკი ეროვნული ნაკრები, თავისი არსებობის ასეთ საპასუხისმგებლო ეტაპზე დადგებოდა იმ საშიშროების წინაშე, რომ ფულის გადაუხდელობისათვის სასტუმროდან გამოძევება დაემუქრებოდა, ძნელად წარმოსადგენი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს რეალობაა. საქართველოს ნაკრებს ორშაბათს ულტიმატუმს წაუყენებენ — ან ფულს გადაიხდის სორელი და მისი კომპანია, ანდა ქუჩაში მოუწევთ დარჩენა.

ამასობაში კი საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის ხელმოწერილი ბრძანებები, რომლითაც ნაკრების საჭიროებისთვის თანხა უნდა გამოიყოს, ფარატინა ქაღალდებად ქცეულა, ფინანსთა სამინისტროს ვერ გამოუნახავს თანხა, რათა ეს პრობლემა მოაგვაროს.



**ბიძინა გეგიძე,** რაგბის კავშირის თავმჯდომარე: „ჩვენი ეროვნული გუნდი არ არის იმის ღირსი, რომ ვიღაცამ სასტუმროდან გამოაგდოს, არადა ეს რეალურია, მე არ ვიცი რა ვუთხრა ბიჭებს, როგორ მოვუწოდო, რომ საქართველოს სახელი დაიცვან, იმ ქვეყნის სახელი დაიცვან, რომელმაც იგნორირება გაუკეთა მათ. საკმაოდ ცინიკურია დამოკიდებულება სახელმწიფოს მხრიდან რაგბისადმი, არადა ქართველ ხალხს ჩვენ უდიდესი ბედნიერება მოვუტანეთ, მაგრამ ვერ ვხედავ, რომ ახლა ვინმეს აინტერესებდეს ეს. ერთხანს ვფიქრობდი, რომ საქართველოს რაგბის კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა დამეტოვებინა, თუმცა მერე მივხვდი, რომ ეს იოლი გამოსავალი იქნებოდა. ახლა გადავწყვიტე, რომ მე არ წავალ ავსტრალიაში, სადაც მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე საპატიო სტუმრის რანგში ვარ მიწვეული. ჩემი ცხოვრების მიზანი იყო ასეთ ფორუმზე ჩასვლა, მაგრამ მე უარს ვაცხადებ ჩემს ოცნებაზე. სამწუხაროდ, მაშინ, როცა ქვეყნის უმაღლესი პირების მიერ ხელმოწერილი ბრძანებები ფარატინა ქაღალდებად დარჩა, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, იძულებული ვარ პროტესტი ასეთი ფორმით გამოვხატო.

ჩვენი ნაკრები, იმედია, მაინც გაემგზავრება ავსტრალიაში, რამდენად იქნება ეს საქართველოს მთავრობის ხელისშეწყობით, ძნელი სათქმელია. თუმცა ის სიტუაცია, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების წყალობით საფრანგეთში მყოფ ეროვნულ გუნდს შეექმნა, ჩამოურეცხავ ლაქად დარჩება ქართული სპორტის ისტორიაში.

# ჩემპიონთა ლიგის ქრონიკები

*გასულ კვირას დაიწყო ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის გათამაშება ფეხბურთში — ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი. შარშანდელი გათამაშება გამორჩეული იყო ქართული ფეხბურთისთვის — ტრიუმფატორი „მილანის“ რიგებში კახა კალაძეც გამოდიოდა. ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ხუთი ქართველი ითამაშებს, „რეინჯერსის“ დუეტი — შოთა არველაძე და ზურა ხიზანიშვილი, „მილანელი“ კახა კალაძე და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები მიხეილ აშვეთია და მალხაზ ასათიანი.*

*ჯგუფური ტურნირის პირველ ტურში სამმა ქართველმა ითამაშა. ქართველ ლეგიონერთა შოტლანდიურმა დუეტმა და ლოკომოტიველმა მიხეილ აშვეთიამ. კახა კალაძე ტრავმირებულია, ხოლო მალხაზ ასათიანს კი სიომინი ისევ ჯიუტად არ ენდობა.*



## ლიგას შოთა შამპანურით იწყებს

გლაზგოს „რეინჯერსი“ საკუთარ მოედანზე იღებდა ბუნდესლიგის მეორეადგილოსან „შტუტგარტს.“

მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ დაძაბულად დაიწყო, თავიდანვე უნდა ითქვას, რომ შოტლანდიურმა პუბლიკამ შოთა არველაძე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა, ჩვენებურს ამ ნომინაციისთვის განკუთვნილი შამპანურიც ერგო. ის მთელი თამაშის მანძილზე მეტად სასარგებლოდ მოქმედებდა, მაკლიშმა გადაწყვიტა, რომ შოთას ნახევარდაცვიდან უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო და არც შემცდარა. მისი გარჯის შედეგად რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა გერმანელთა კართან. მეორე ტაიმში კი შოთამ თავდამსხმელების უკან გადაინაცვლა, საიდანაც თავის თანაგუნდელებს, მოლსსა და ლოვენკრანდსს ამარაგებდა პასებით. ორჯერაც თავად მას ჰქონდა რეალური საგოლე მომენტი, პირველად „შტუტგარტის“ კარგად მოთამაშე მეკარემ ჰილდებრანდმა მოასწრო კუთხის დაფარვა, მეორე მომენტისას კი ჩვენებურმა ბურთი მკერდით კარგად ვერ გააჩერა და დარტყმაც ამიტომ გაუცუდდა. თამაშის ბოლოს კი შოთა არველაძის წინააღმდეგ საჯარიმო მოედანზე აშკარად დაარღვიეს წესები გერმანელებმა, მაგრამ მსაჯმა მათ მიმართ ლმობიერება გამოიჩინა და არ დასაჯა ისინი.

მანამდე კი, პირველი ტაიმის მიწურულს, გერმანელებმა შეძლეს ბურთის გატანა. მაკლიში ავანტიურაზე წავიდა და მეორე ტაიმში ოთხი თავდამსხმელით ათამაშა გუნდი. ამ რისკმა გაამართლა. თამაშის 74-ე წუთზე ნერლინგერმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 79-ე წუთზე ლოვენკრანდსმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

**ზურა ხიზანიშვილი:** — „საკმაოდ დაძაბული თამაში იყო, „რეინჯერსში“ ახალი მისული ვარ, თუმცა, უკვე შევეგუე „აიბროქსს“, მაგრამ ის, რაც იმ დღეს ხდებოდა სტადიონზე, ძნელია სიტყვებით გადმოსცე. ვალდებულები ვიყავით, გამარჯვება მოგვეპოვებინა, პირველი გოლი სამწუხაროდ ჩვენ გავუშვით, ორი მცველი დავრჩით ორი თავდამსხმელის პირისპირ. ბუნებრივია, ასეთ დროს უპირატესობა თავდამსხმელებს აქვთ და მათ ეს შანსი გამოიყენეს. მეორე ტაიმში მდგომარეობა გამოსწორდა, თანაც თამაში უფრო დაწყნარდა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აღარ ვნერვიულობდი და ამან უფრო გამიადვილა კონცენტრირება.

**— როგორ შეაფასა შოტლანდიურმა პრესამ შენი და შოთას თამაში?**

— რვიანები დაგვიწერეს, რაც საკმოდ მაღალი ქულაა. ვიტყვი იმასაც, რომ გუნდის ხელმძღვანელების მხრიდან არაერთი საქებარი სიტყვა მოვისმინეთ.

**— მომავალ მატჩზე რას გეგმავთ?**

— მომავალი მატჩი საბერძნეთში, „პანათინაიკოსთან“ გვაქვს, პირველი მატჩის მოგების შემდეგ ბუნებრივია, უფრო გამოიკვეთა ის რეალობა, რომ ჩვენ შეგვიძლია ჯგუფიდან გავიდეთ, ამისთვის საბერძნეთში მოგება საკმაოდ დიდ ფორას შეგვძენს. მიუხედავად იმისა, რომ „პანათინაიკოსმა“ მანჩესტერთან წააგო დიდი ანგარიშით, ვფიქრობ, რომ საბერძნეთში სულ სხვა თამაშს შემოგვთავაზებს ეს გუნდი. წინასწარ კი იმის თქმა შეიძლება, რომ საკმოდ სუსტი დაცვა ჰყავთ, ბუნებრივია, ამ ნაკლს უცებ ვერ გამოასწორებენ, ჩვენ ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ერთი სიტყვით, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, მართალია საბერძნეთში ტრადიციულად რთულია თამაში, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

## კახა კალაძის ახდენილი წინასწარმეტყველება

ჯგუფური ტურნირის პირველი მატჩი ლიგის შარშანდელ ტრიუმფატორს, „მილანს“ შინ, თავის ტრადიციულ მეტოქესთან, ამსტერდამის „აიაქსთან“ ჰქონდა. თამაშის წინ დავუკავშირდით **კახა კალაძეს**, რომელსაც პირველ რიგში მისი ჯანმრთელობის შესახებ ვკითხეთ:

— ახლა ვმკურნალობ, ფეხი ისევ მაწუხებს, ექიმები ვარაუდობენ, რომ თვის ბოლოს ვარჯიში უნდა დავიწყო, ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის მატჩისთვის მზად ვიქნები.

**— რამდენად იოლი იქნება შენთვის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება?**

— იოლი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. არ დავიშურებ არაფერს, რომ ჩემი ადგილი დავიბრუნო „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში.

**— „აიაქსის“ შესახებ რას იტყვი?**

— კუმანმა მეტად კარგი გუნდი შეკრა, გუნდი ახალგაზრდულია და ბუნებრივია, გამოცდილებაც ნაკლები აქვთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ რთული იქნება გამარჯვება, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ გარდა გამარჯვებისა, ახლა მილანში სხვა შედეგზე არავინ ფიქრობს.

თამაში „მილანმა“ მოიგო პიპო ინძაგის კინკილა გოლის წყალობით, მიუხედავად ასეთი მოკრძალებული შედეგისა, „როსონერების“ დამრიგებელი კარლო ანჩელოტი პრესკონფერენციაზე საკმაოდ კმაყოფილი გახლდათ:

„ტიფოზებმა ჩვენი შესრულებით მორიგი სპექტაკლი იხილეს. თამაშის 90 წუთის მანძილზე ჩვენ ვფლობდით უპირატესობას, ვაკონტროლებდით მოედნის ცენტრს, მიუხედავად ამისა, გამარჯვების მოპოვება გაგვიჭირდა, ეს ლოგიკურიცაა, რადგან კუმანს შესანიშნავი გუნდი ჰყავს და ამასთან ისიც მინდა ვთქვა, რომ მსაჯმა ნაღდი პენალტი არ დაგვინიშნა.“

ერთი სიტყვით, ახდა კახა კალაძის წინასწარმეტყველება, თუმცა, საინტერესოა, ასრულდება თუ არა წლევანდელი სეზონისას მილანელთა მთავარი მიზანი — კახა კალაძე ერთმნიშვნელოვნად აცხადებს — „მილანი“ ყველა ტურნირის მოგებას გეგმავსო.

## რატომ ვერ გაათრია მიხო აშვეთიამ რუსული „პარაოზი“ კიევის „დეპოდან“

კიევის „ოლიმპიისკიზე“ გამართულ მატჩს ადგილობრივ „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“ შორის ერთგვარი პოსტსაბჭოური ნოსტალგია ახლდა, ამიტომაც დიდი იყო ამ მატჩისადმი ინტერესი. ჯგუფში რომ გამოკვეთილი ლიდერები — „არსენალი“ და „ინტერი“ არიან, ამაზე არავინ დაობს, მაგრამ პოსტსაბჭოთა გუნდებს (განსაკუთრებით კიევის „დინამოს“) მართლაც შეუძლიათ სიურპრიზების შემოთავაზება.

სიომინის გუნდი ამ სეზონში წარმატებული თამაშით ვერ დაიკვეხნის, თუმცა მიხეილ აშვეთიას მოსვლის შემდეგ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა — ჩვენებურის წყალობით, რკინიგზელთა შედეგიანობა ერთიორად გაიზარდა.

„ლოკომოტივმა“ თამაშის 83 წუთის განმავლობაში შეძლო სუფთად შეენახა კარი, მაგრამ კიეველთა რიგებში მოედანზე გამოსულმა ბრაზილიელმა ლეგიონერმა რინკონმა ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა — ორი ბურთი გაიტანა და საკუთარ გუნდს გაამარჯვებინა, მიხო აშვეთიამ კი, რომელიც მარტოდმარტო ირჯებოდა რკინიგზელთა თავდასხმაში, ვერაფერი გააწყო.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურს სენსაციის გარეშე არ ჩაუვლია. ლონდონის „ჰაიბერიზე“ ერთმანეთს „არსენალი“ და მილანის „ინტერი“ დაუპირისპირდნენ. თამაშის 24-ე წუთისთვის „ინტერი“ უკვე ორბურთიანი უპირატესობით იგებდა, კრუზისა და



ვან დერ მეიდეს გატანილი გოლებით. სულ მალე „არსენალის“ მთავარ მეგოლეს, ფრანგ ტიერი ანრის თერთმეტმეტრიანით მიეცა შანსი ანგარიში შეემცირებინა, მაგრამ იტალიელმა ტოლდომ ივაჟკაცა და მოიგერია ბურთი.

ინგლისელთათვის ეს უკვე სრულ ფსიქოლოგიურ ფიასკოს ნიშნავდა. პირველ ტაიმში „ინტერმა“ კიდევ ერთი გოლი გაიტანა — ამჯერად მარტინესმა გამოიჩინა თავი.

3:0 გასვლაზე მოგება, ნებისმიერი გუნდისთვის საამაყოა, მით უფრო საამაყო „არსენალთან“ „ჰაიბერიზე“ დიდი ანგარიშით მოგებული მატჩი გახლავთ.

ვნახოთ, რა სიურპრიზებს შემოგვთავაზებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტური.

**A ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| ბაიერნი | სელტიკი | 2:1 |
| ლიონი | ანდერლეხტი | 1:0 |

**B ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| აეკ | დეპორტივო | 1:1 |
| პსვ | მონაკო | 1:2 |

**C ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | ინტერი | 0:3 |
| დინამო კ | ლოკომოტივი | 2:0 |

**D ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| სოსიედადი | ოლიმპიაკოსი | 1:0 |
| იუვენტუსი | გალათასარაი | 2:1 |

**E ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| მანჩესტერი | პანათინაიკოსი | 5:0 |
| რეინჯერსი | შტუტგარტი | 2:1 |

**F ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| რეალი | ოლიმპიკი | 4:2 |
| პარტიზანი | პორტუ | 1:1 |

**G ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| სპარტა | ჩელსი | 0:1 |
| ბეშიქთაში | ლაციო | 0:2 |

**H ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| მილანი | აიაქსი | 1:0 |
| ბრიუგე | სელტა | 1:1 |

*გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა*

CMYK

## №37 (363) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგს 614 მკითხველი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 274-მა ქალმა და 333-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას — **„რომელია ქალის ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანი აქსესუარი?“**

მკითხველთა უმრავლესობის — 67-ის აზრით, ქალისათვის ყველაზე აუცილებელი აქსესუარი „ჩანთაა“. რესპონდენტთა მხოლოდ 1-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. **8,43** საშუალო ქულით „ჩანთა“ პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე 7,56 საშუალო ქულით „ცხვირსახოცია“. როგორც ვხედავთ, მამაკაცებისა და მანდილოსნებისთვისაც ამ აქსესუარს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონია.

რესპონდენტები თვლიან, რომ ქალისათვის ასევე აუცილებელია საფულე, რომელიც 6,14 საშუალო ქულით რეიტინგში მესამე ადგილზეა.

ჩვენი მკითხველების აზრით, მანდილოსანთათვის შედარებით ნაკლებ აუცილებლობას წარმოადგენს მზის სათვალე, ქამარი და ავტოკალამი. მათ შორის ყველაზე ნაკლები დატვირთვა კი ავტოკალამს ჰქონია — რესპონდენტთა მხოლოდ 1-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. მინიმალური შეფასება კი 46-ისაგან დაიმსახურა.

თავად ქალები ფიქრობენ, რომ ქოლგაზე მეტად მათ მზის სათვალე და მობილური ტელეფონი სჭირდებათ.

ერთი სიტყვით, ამ ორი კვირის განმავლობაში მეტად საგულისხმო რეკომენდაციები დაგვიგროვდა როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისთვისაც.

მამაკაცებო! ცხვირსახოცის, ქამრისა და საათის გარეშე თუ აღმოჩნდებით, ჩათვალეთ, რომ აუცილებელი აქსესუარები გაკლიათ. რაც შეეხება მანდილოსნებს, ჩანთა, ცხვირსახოცი და საფულე მეტად მნიშვნელოვანი შტრიხებია მათ ჩაცმულობაში.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან 27 წლის სენაკელი **ეკა დანელია** და 18 წლის თბილისელი **გიორგი ქუთელია.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 24 სექტემბერს, 17 საათზე.

## №38 (364) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას და მონაწილეობა მიიღოთ **მკითხველის პრემიაში**

**№38 (364) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 24 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 25 სექტემბრის 13 საათამდე.** © თბილისი

საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №38 (364) — ნდობა

**რომელ პოლიტიკურ ლიდერს ენდობით ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№38(364) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პოლიტიკოსი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ჯუმბერ პატიაშვილი | |
| 2 | გოგი თოფაძე | |
| 3 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 4 | შალვა ნათელაშვილი | |
| 5 | ნინო ბურჯანაძე | |
| 6 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 7 | ასლან აბაშიძე | |
| 8 | ზურაბ ჟვანია | |
| 9 | დავით გამყრელიძე | |

**დამატებითი კითხვა**

აპირებთ თუ არა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას?

| დიახ | არა | ჯერ არ გადამიწყვეტია |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**რომელი ქართული საინფორმაციო ტელეგადაცემა მოგწონთ ყველაზე მეტად?**

| | | | ქულა |
|---|---|---|---|
| 1. | კურიერი | (რუსთავი 2) | 753 |
| 2. | რა ხდება?! | (I არხი) | 305 |
| 3. | ღამის მზერა | (მზე) | 278 |
| 4. | ღამის კურიერი | (რუსთავი 2) | 268 |
| 5. | ქრონიკა | (იმედი) | 259 |
| 6. | მზერა | (მზე) | 184 |
| 7. | მოამბე | (I არხი) | 183 |
| 8. | ალიონი | (I არხი) | 80 |
| 9-10. | დღის ამბები | (IX არხი) | 43 |
| 9-10. | ახალი ამბები | (იბერია) | 43 |

როგორ ხდება ქულების მინიჭება: თქვენ უნდა დაგვესახელებინათ სამი საუკეთესო საინფორმაციო გადაცემა. პირველ ადგილზე დასახელებულ გადაცემას მიეკუთვნება სამი ქულა, მეორე ადგილზე დასახელებულს — ორი, ხოლო მესამეზე — 1 ქულა. ქულები შეიკრიბა და მათი ჯამის მიხედვით შედგა საინფორმაციო გადაცემების რეიტინგი.

როგორც ვხედავთ, ათეულში საინფორმაციო გადაცემებთან ერთად საავტორო ანალიტიკური გადაცემებიც მოხვდა. წმინდა ინფორმაციულობის თვალსაზრისით **„კურიერი“** პირველობას ისევ და ისევ არავის უთმობს, რაც შეეხება ღამის ეთერის გადაცემებს, როგორც ვხედავთ, კოკა ყანდიაშვილის **„რა ხდება?!“** ლიდერობს.

ქულათა გარკვეული რაოდენობა მოაგროვეს გადაცემებმა — **„დროება“** (იმედი), **„დილა მშვიდობისა“** (რუსთავი 2), **„დღეს“** (კავკასია).

***მკითხველის რეიტინგში 518 რესპონდენტი მონაწილეობდა***

## ფოტოანტიკვარი © · ფოტოპალიტრა ·



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— მომავალი მეფეობა მაშინაც მეტყობოდა...

**ა.ჩ.** (ფიქრობს) — ამ დალოცვილს თავისთვის ტელეფონი რომ ვერ დაუჭერია ხელში, საინტერესოა, ტუალეტში ვინ ეხმარება?

***ვალერიან ნაზღაიძე, რუსთავი***

ვივა ჩუბაის!
ვავა მირცხულავა!..

***ლევან ბექვაია, თბილისი***

**ა.ჩ.** — ისე გამდიდრდი, რომ მობილურის დამჭერი დაქირავებული გყავს?
**დ.მ.** — რა მენაღვლება, შენს მოცემულ ფულს ვიხდი.

***გივი კაციტაძე, თბილისი***

**დ.მ.** — მე შევასრულე ბრძანება,
ჩრდილო და თეთრი მელასი!
„გადავულოცე“ ჩუბაისს
ჩაოხრებული „თელასი“!

***ლევან კვანტალიანი, თბილისი***

**დ.მ** — ბატონო ედუარდ, ჩუბაისს უნდა თქვენი ნახვა. ასე მითხრა, ერთი ის კაცი მანახე, შენ რომ ენერგეტიკოსობა დაგაბრალაო.

***გია ჯოხაძე, თბილისი***

**დ.მ.** (ტელეფონზე) — Да, слушаю... Нет, вы ошиблись, я не продаю футбольные матчи сборной... Я повторяю, я не... сколько? ... Хорошо, хорошо, постараюсь...

***კოკა, დრანდა***


დავით მირცხულავა და ანატოლი ჩუბაისი

საუბრის ელიტარული და დუმილის ავისმომასწავებელი ფორმა.

***„დასავლეთელი“***

**საუკუნის საუკეთესო ტყუილი:**
მირცხულავას დენმა დაარტყა და ხელები წაერთვაო.

***გელა ზურაბიშვილი, შილდა***

ყურში გეტყვი დარიგებას:
საიდუმლო გარიგება
რომ შეითიხნეთ ბარიგებმა,
ბოლოს მაინც გაიგება.

***გივი ბარბაქაძე, ხაშური***

# ფოტოგანწყობა



— თქვენ ეს ცახცი გგონიათ ხომ, არაფერიც, ყა-ბა-ყი-ა...



**თარაზულად:** 1. პირის პატივის მოყვარული; 4. სპილოს წინაპარი; 6. რომანის — „წითელი და შავი“ ავტორის ნამდვილი გვარი; 7. ფოლადის ვიწრო ძელი, რომელზეც ვაგონის თვლები მოძრაობს; 8. ხალხური საგმირო თქმულებები; 9. ყავისფერი კანფეტი პატარა ოთხკუთხა კვერების სახისა; 10. ხელფასის ნაწილი; 13. ქრისტიანული წესით ბავშვის მოსანათლავი ჭურჭელი; 16. კომპიუტერის „საქაღალდე“; 18. ყნოსვის უქონლობა, მოშლა; 19. გემრიელი, სანუკვარი საჭმელი. 20. ძველებური სააფთიაქო წონის ერთეული; 22. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ძირითადი ინსტინქტი“; 23. ამერიკელი კინომსახიობი; 25. ლუდის სასმისი; 27. თეატრში გრძელი, დაბალი ბარიერი ავანსცენის გასწვრივ, რომელიც ფარავს დარბაზის მხრიდან სცენის გასანათებელ მოწყობილობას; 28. საზღვარი, ზღვარი; 29. „ფოსტალიონი ორჯერ აკაკუნებს“, „კინგ-კონგი“, „ტუტსი“ (მსახიობი); 30. მითოლოგიური ურჩი მფრინავი; 31. პერსონაჟი დიუმას რომანიდან „სამი მუშკეტერი“.

**შვეულად:** 1. სწავლით მიღებული ცოდნა; 2. ძველი აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი მოსახლე; 3. ძვირფასი წიგნების შემგროვებელი; 4. მდინარე მარკ ტვენის ნაწარმოებებში; 5. მიმართულება ფილოსოფიაში; 11. ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 12. სამხ. ამერიკ.-ესპ. კოლონიების გათავისუფლებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელი... ბოლივარი; 14. კომისარი ჟორჟ სიმენონის რომანებში; 15. ვინც სიკეთის ღირსი არ არის, უპატიოსნო ადამიანი; 16. ფაშისტ გერმანელთა ფრთოსანი რაკეტები; 17. თმის ბუნებრივი საღებავი; 21. უკიდურესად მაღალი შენობა; 22. განთქმული მექსიკელი ფერმწერი და გრაფიკოსი, მონუმენტური ფერწერის ფუძემდებელი; 24. ჩუქურთმა; 25. დამწვარი შაქარი, რომელსაც იყენებენ საკონდიტრო ნაწარმისათვის ფერის მისაცემად; 26. უცხოეთში გათხოვილი ქართველი მოჭადრაკე.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

## ვინ არის პლანეტის ყველაზე სექსუალური მამაკაცი?



ყოველწლიური გამოკითხვის შედეგებით, მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მამაკაცის ტიტული 22 წლის მომღერალმა ჯასტინ ტიმბერლეიკმა მიიღო, რომელმაც შარშანდელთან შედარებით 46 პუნქტით წინ გადაიწია. მეორე ადგილი საყოველთაოდ აღიარებულმა დევიდ ბექჰემმა დაიკავა, მესამე — ბრედ პიტს ერგო, ხოლო მეოთხე ადგილზე მუსიკალური ჯგუფის „BLUE“-ს ვოკალისტი დანკენ ჯეიმსი აღმოჩნდა, მეხუთე ადგილი ერგო რობი უილიამსს. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ძალზე საინტერესო ფაქტი — უილიამსმა ყველაზე ნაკლებსექსუალურ მამაკაცთა ნუსხაშიც დაიმკვიდრა მეშვიდე ადგილი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, ტონი ბლერსაც კი „აჯობა“...

* * *



მიხო ეკითხება რაჟიკოს:

— რა გირჩევნია, 5 ათასი დოლარი, თუ 5 გოგო!

— 5 გოგო

— ვითომ რათაო?..

— რათაო და, ახლა 8 მყავს.

26/IX ● ახალი მთვარე

**მაგნიტური დღეებია:**

24/IX. 11-დან 13 საათამდე

27/IX. 12-დან 21 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



* * *

**მასპინძელი — სტუმრებს:**

— ამ ტახტზე არ დაჯდეთ, სავსეა ბაღლინჯოებით.

— მერე გადააგდეთ!

— გადავაგდეთ, მაგრამ თვითონ შემოიტანეს უკან.







ყოველ ზღაპარს ფაზლებით ასაწყობი სურათები მოყვება


## გვინეტ პელტროუ — კერკეტი კაკალი



გვინეტ პელტროუმ ვიდეოკამერა შეიძინა და სერიოზული ომი გამოუცხადა პაპარაცებს. მსახიობს მობეზრდა ფოტოგრაფების სამიზნედ ყოფნა და თავად დაიწყო ნადირობა პაპარაცებზე. ამ გზით მას უნდა დემონსტრირება გაუკეთოს საზოგადოების წინაშე თავის ყოფას — კოშმარად ექცა ცხოვრება ფოტოგრაფების წყალობით.

„მოვდივარ ქუჩაში სპორტულ შარვალსა და ბოტასებში და 50-ჯერ მაინც მიღებენ, მერე თითოეულ ფოტოს რამდენიმე ათას დოლარად ყიდიან“, — ჩივის მსახიობი. პელტროუ ედავება პაპარაცებს, მას კი ჯგუფ „COLDPLAY“-ს მუსიკოსები უჩივიან, რომელთაც მიაჩნიათ, რომ გვინეტისა და მათი მეგობრის კრის მარტინის რომანის გამო პრესა მხოლოდ კრისით არის დაინტერესებული და დანარჩენ მუსიკოსებს იგნორირებას უკეთებენ. მაგრამ განსაკუთრებით შეაშინა მუსიკოსები გვინეტის გადაწყვეტილებამ, მარტინთან ერთად შეასრულოს რამდენიმე სიმღერა.

პელტროუ იოკო ონოსაც კი შეადარეს, რომელმაც, ბევრი ბიტლომანის აზრით, დაშალა ლივერპულელი ოთხეული...

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## უფასო განცხადების ქვითარი

(38)



განცხადების ტექსტი ________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№38 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 25 სექტემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ©1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.


შავი ყვითელი ლურჯი წითელი